სოხოლ ზაალიშვილი

დერვიში



სოსო ზაალიშვილი

დერვიში

თბილისი 2022

მადლობას ვუხდი ხელნაწერის პირველ მკითხველს თამარ (თაკო) ჯელიას, რომელმაც გადამაწვეტინა „დერვიშის“ ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა. აგრეთვე, უღრმესი მადლობა ჩემს მეგობარს საშა (ალექსანდრე) ცისარს, ჟურნალისტს ისრაელიდან, რომელის დამსახურებითაც გამოიცა ნაწარმოები.

წიგნი ეძღვნება ჩემი მშობლების ლალი და მამუკა ზაალიშვილების ხსოვნას.

სოსო ზაალიშვილი

მხატვარი: **გიგა ზაალიშვილი**

© **სოსო ზაალიშვილი**

ISBN 978-9941-8-4941-1

დერვიში

მებარგულო, იცოდე, რომ საოცარი ამბავი გადამხდა თავს. ყოველივეს გიამბობ, რაც დამმართნია და გადამიტანია, ვიდრე ამ კეთილდღეობას მოვიპოვებდი და დავჯდებოდი იქ, სადაც ვარ. ამ განცხრომასა და ადგილს სანამ მივაღწევდი, მძიმე გარჯა, დიდი გაჭირვება და მრავალი საფრთხე გამოვიარე. რამდენი შრომა და ტანჯვა გადავიტანე, რამდენი ვიმოგზაურე და ყოველი მოგზაურობის დროს ისეთი საოცარი ამბავი გადამხდა, რომ ფიქრს გააოგნებს. ეს ყოველივე განგებითა და ბედისწერით იყო. ვერსად გაექცევი და დაემალები იმას, რაც გიწერია.

მოგზაური სინდბადი

ათას ერთი ღამე

ლეკები

– ოც წუთში იქით ვიქნებით. ჰა, ჰა ნახევარი საათი დაგვჭირდეს საზღვარზე გადასასვლელად, მეტი არა – გაამხნევა რუსტამმა ჯგუფის წევრები, რომლებიც აზერბაიჯანი-რუსეთის საზღვართან, ე.წ. „ოქროს ხიდთან“ პატარა, ერთსართულიანი მოტელის ერთ-ერთ ნომერში, ლოგინებზე იყვნენ წამომსხდრები.

რუსტამი მოჯღანული, ბეჭებში მოხრილი და გაუპარსავი ლეკი გამყოლი იყო. სიმპათიას არ ბადებდა. ერთი შეხედვით, არც დიდი ჭკუითა და ინტელექტით გამოირჩეოდა. ძუნძგლიანი ტყაპუჭი და სპორტული შარვალი ეცვა, თასმების გარეშე წვეტიანი ფეხსაცმელები ქუსლთან ჩაკეცილი ჰქონდა, რათა ოთახში შესვლისას ადვილად გაეძრო ფეხიდან. შესახედაობით ნდობას ნამდვილად არ იმსახურებდა. ისეთი ჰაბიტუსი ჰქონდა, საკუთარ დედასაც კი ფულზე გაყიდდა.

ფანჯრიდან ოთახში სატვირთო ავტომანქანების ძრავას გუგუნისა და საყვირის ხმა შემოდიოდა. გარეთ მისაბმელიანი ტრაილერების მთელი ქარავანი იდგა. მძღოლები,ზოგი მანქანაში და ზოგიც მანქანის შორიახლოს, ელოდნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრის ნებართვას, რათა ჩრდილოეთისაკენ დაძრულიყვნენ. ზოგიც მწვადსა და ქაბაბს, ჩაისა და ტკბილეულს მიირთმევდა, იქვე, ხელდახელ აშენებულ ჩაიხანებში. რამდენიმე ნარდსაც აგორებდა. რამენაირად ხომ უნდა გაეყვანათ დრო.

ოფიცერი არ ჩქარობდა მათ გაშვებას. საბაჟოს წარმომადგენელს ელოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მძღოლებმა ფული გადაიხადეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მანქანებს სპეციალურ სადგომზე გადაიყვანდა. იქ კი ნამდვილი წამება დაიწყებოდა. მანქანასა და მისაბმელს, ტვირთითურთ, ბოლო ყუთამდე, თუ ჭანჭიკამდე შეამოწმებდნენ.

ამ ჯოჯოხეთის თავიდან ასაცილებლად ყველა იხდიდა ფულს, რომ საზღვარი უპრობლემოდ გადაელახათ. მძღოლების წვალება გარკვეულწილად მრავალფეროვანს ხდიდა მებაჟეების, მესაზღვრეებისა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ჯურის ჩინოვნიკის მონოტონურ სამსახურს. ათასგვარი საბუთისა და ტვირთის შემოწმება რელიგიური რიტუალის დონეზე იყო აყვანილი, სადაც ჩინოვნიკები ერთგვარი ქურუმების როლს ასრულებდნენ.

როგორც ყველგან, აქაც გამოჩნდებოდა ერთი-ორი ურჩი, ვინც გადაწყვეტდა, არ დამორჩილებოდა არსებულ წეს-წყობილებას, მაგრამ მხოლოდ დროებით. საბაჟოს უფროსი მყისიერად მიუთითებდა მათ მძღოლთა ჯოჯოხეთისაკენ, ანუ საჯარიმო სადგომისაკენ.

კამათი ყოველთვის მებაჟეთა გამარჯვებით მთავრდებოდა. საბოლო-

ოდ, საბაჟო საკუთარ წილს ურჩებისაგანაც იღებდა და მძღოლები ბუზ-ღუნით, ზოგიც გინებით უბრუნდებოდა მანქანის კაბინებს, სადაც მოუთ-მენლად ელოდნენ საზღვრის გადაკვეთის უფლებას. ვერ იტყოდი, რომ ძალიან ციოდა. ნესტი და ტალახი, გამხმარი და ნამიანი ბალახი სიცივის შეგრძნებას უფრო ქმნიდა. ჩრდილოეთიდან ცივი ქარი უბერავდა. ხანდა-ხან წვიმდა. კავკასიის მთები ღრუბლების ქურქში იყო გახვეული. შემოდ-გომის დასასრულისა და ზამთრის დასაწყისისათვის ტიპური ამინდი იყო.

ასეთი ამინდი ნამდვილად არ ვარგოდა ექსკურსიისათვის. არც რუს-ტამი ჰგავდა უბრალო გიდს. ვინ იყვნენ? რისთვის შეიკრიბნენ? სად მი-დიოდნენ? ან რატომ ელოდნენ რუსტამის ნებართვას?

ტურისტებს არ ჰგავდნენ. ცდილობდნენ, არ ეფუსფუსათ, არც ყუ-რადღების მიპყრობა სურდათ. ოთახიდან არ გამოდიოდნენ. სიგარეტს არ ეწეოდნენ. არ საუბრობდნენ. საზღვრისპირა სასტუმროს ნომერში ჩუმად ისხდნენ და ჩაისა და ტკბილეულს მიირთმევდნენ. ხანდახან ბარგს შე-ათვალიერებდნენ. რამდენიმე გადასკოჩილი დიდი სამგზავრო ჩანთა და ერთი ზურგჩანთა იქვე, კედელთან იყო მიყრილი.

უცებ ვიღაც ტიპმა კარი შემოაღო. ნახევარი ტორსით შემოდგა კა-რის ღიობში. მეტად სერიოზული სიფათით შეხედა ოთახში მსხდომებს.

– მოემზადეთ, ბარგი თანაბრად გაინაწილეთ, ჩანთები მართალია მძიმეა, მაგრამ არ უნდა გაგიჭირდეთ მათი თრევა. გზაში არავინ ჩა-მორჩეს, თორემ არ დაველოდები. თქვენი გულისათვის პრობლემებს ვერ შევიქმნი სამსახურში. სამსახურს ვინ ჩივის, ერთი შეყოვნება და ეს დედამოტყნულები ადგილზე დაგვადუღებენ, – თქვა და რუსტამს შეხედა, თითქოს მისგან დასტურს ელოდა, ხომ მაგრად გამომივიდა ნათქვამიო.

ეგეც ნაღდად რუსტამის ჯიშის იქნებოდა. სახეზე ეწერა, მაგარი გაიძვერა იყო. სიტყვა დატოვა და ისევ გავიდა ოთახიდან. ამჯერად კა-რი ღონივრად მიაჯახუნა.

– ეს სირი ვინღაა?! აუ, რას ჰგვანან. ალბათ, ამას ველოდებოდით. ამათ ჩემი მტერი ენდოს, – ჩაიბურდღუნა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა. მოკლე წვერს ატარებდა, ტყავის მოკლე ქურთუკი, ჯინსის შარვალი და სამხედრო ჩექმები ეცვა. ფანჯარას იყო მიჩერებული, ეტყობა, ფიქრებ-ში წასულს არ ესიამოვნა, როდესაც ნააზრევი გააწყვეტინეს.

„ეს სირიც“ ლეკი იყო. სახელად აფერი. აზერბაიჯანის საბაჟო სამ-სახურში მუშაობდა. სახელმწიფო მოხელე იყო და სწორედ აქედან მომ-დინარეობდა მისი „მბრძანებლური“ ტონი, „ნაჩალნიკობდა“. საზღვრის ორივე მხარე ყველა ძაღლსა თუ მაიმუნს იცნობდა. მესაზღვრეებს, მე-

ბაჟეებს, სანიტარული სამსახურის წარმომადგენლებს, რუს ფეესბეშნიკებსა, თუ აზერბაიჯანის უშიშროების წარმომადგენლებს.

თუ საზღვარზე რაიმეს ან ვინმეს გადატანა, ან გადაყვანა მოგინდებოდა, აფერზე კარგ მეგზურს ვერ იპოვიდი. ყველა პრობლემას აგვარებდა. ფულს თუ გადაუხდიდი, ატომურ ბომბსაც კი გადაგატანინებდა და შემოგატანინებდა.

მოკლედ, ფული თუ გაქვს, აზერბაიჯანში ყველაფერს გააკეთებ. ფული კი ლეკების მეგზურებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

ჯგუფის წევრები ნელ-ნელა წამოდგნენ. თავ-თავიანთი ჩანთები აიღეს და ზურგზე შემოიგდეს. გაემზადნენ. ერთმანეთს გადახედეს, თითქოს თვალებით საქმის წარმატებით დასრულება უსურვეს.

ადგილობრივი დროით საღამოს 22 საათი იქნებოდა. საზღვრისპირა ტერიტორიაზე უფრო და უფრო მეტი შეიარაღებული აზერბაიჯანელი მესაზღვრე გამოჩნდა. ჯარისკაცები ცდილობდნენ, ოფიცრისათვის აეწყოთ ფეხი, მაგრამ დამშეულ, დაუბანელ წვევამდელებს აშკარად უჭირდათ სიარული. რუსული ავტომატი AK-47, მისი საბრძოლო ამუნიცია, რუსული ჯავშანჟილეტი, შლემი საკმაოდ მძიმე იყო.

ხანდახან წყობა ირეოდა. მედგარი ოფიცერი შეამჩნევდა თუ არა უწესრიგობას, რაღაცას დასჭყივლებდა აზერბაიჯანულად და ისინიც მაშინვე სირბილით დაეწეოდნენ ერთმანეთს. ცდილობდნენ ფეხის აწყობას. ძალიან სასაცილო სანახავი იყო ეს ყველაფერი.

კიდევ რამდენიმე ხანი გავიდა. აფერი არ ჩანდა. რუსტამი ოთახში იყო და სიგარეტს ეწეოდა. სიტუაცია იძაბებოდა. აშკარა იყო, რომ ჯგუფის წევრების მოთმინების ფიალა ივსებოდა. ერთმანეთს გადახედავდნენ და შემდეგ ლეკ რუსტამს ალმაცერად ახედავდნენ ხოლმე, თითქოს მიზანში იღებდნენო.

– რატომ არ გავდივართ? – დამტვრეული რუსულით იკითხა არაბმა აბუ-ყასიმმა და რუსტამს თვალი თვალში გაუყარა.

– ჩვენ ბევრი დრო არ გვაქვს, ერთი სიცოცხლე გვაჩუქა ალაჰმა, – სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, ფეხზე წამოდგა, ორივე ხელი წვერზე ჩამოისვა და არაბულად წარმოთქვა ბისმილაიჰუ იროჰუმანი იროჰიმი.

რუსტამი გაფითრდა. მიხვდა, რომ ცოტა ხანიც და შესაძლოა, მისი საქმე ცუდად წასულიყო. ჭერს ახედა. ბეჭებში უფრო მოიკუნტა. ისეთი სახე გაუხდა, თითქოს უზენაესს შეავედრა თავისი სიცოცხლე. აკი შეისმინა ალაჰმა მისი ვედრება. კარი გაიღო და აფერი შემოვიდა. მიხვდა, რომ სიტუაცია დაძაბული იყო, აბუ-ყასიმს უთხრა, დაწყნარდი, ცოტაც მოითმინე, რუსულ მხარეს გუშაგთა ცვლას ველოდებით და მალე გავალთო.

ოთახში ორი ლეკი, ერთი არაბი, ორი ჩეჩენი და ჯგუფის კიდევ ერთი წევრი იმყოფებოდნენ.

აბუ-ყასიმი საუდის არაბეთის მოქალაქე იყო. არაბი, ეროვნებას ხაზს არასდროს უსვამდა. თავს დიდი ისლამური ერის წარმომადგენლად მიიჩნევდა. საღვთო ომს – ჯიჰადს, ახალგაზრდობიდანვე ეზიარა. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობდა. სინამდვილეში ვინ იყო, არავინ იცოდა, მაგრამ მსოფლიოს ჯიჰადისტურ წრეებში საკმაო გავლენით სარგებლობდა, თორემ ასეთ საპასუხისმგებლო მისიას არ დაავალებდნენ.

მუსლიმი შეიხები ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობას თავად არ იღებენ. ისინი ისლამის განსადიდებლად უამრავ ფულს ხარჯავენ. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნიდან არიან წარმოშობით, საუდის არაბეთიდან, ემირატებიდან, თუ ყატარიდან და ქუვეითიდან. ნავთობით მდიდარი ქვეყნების ელიტის გარკვეული ნაწილი აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ჯიჰადის დაფინანსებაში. ისინი აფინანსებდნენ მრავალი სახის დივერსიულ, თუ ტერორისტულ ჯგუფებს. აბუ-ყასიმი ჯიჰადის მიმდევართა ჯგუფებს ადგენდა, შემდეგ სპონსორებს პოულობდა და იმ ქვეყნებში აგზავნიდა, სადაც საღვთო ომი მიდიოდა.

ტრადიციული არაბული ტანსაცმელი ეცვა. მუხლებამდე უღილებო პერანგი და ფართო შარვალი, როგორც ყველა მორწმუნე მუსლიმს, შარვალი კოჭებს ზევით ჰქონდა აკეცილი, რათა მოშარდვისას არც ერთი წვეთი არ მოხვედროდა შარვალზე და არ წაებილწა ტანსაცმელი, რომელშიც ლოცვა უნდა აღევლინა. ხელში კრიალოსანი ეჭირა და დროდადრო ლოცვებს კითხულობდა. ჰო, კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, სწორედ ამ მიზეზის გამო მორწმუნე მუსლიმები ჩაკუზულები შარდავენ.

ჯიჰადში მყოფის დაღუპვის შემთხვევაში ტანსაცმელზე არსებული ტალახი და ჭუჭყი შარდის წვეთებისაგან განსხვავებით დადებითი მოვლენაა. ისინიც კი ამოწმებენ ალაჰის წინაშე, რომ ადამიანი შაჰიდია. ამიტომ ბრძოლაში დაღუპულ მოჯაჰედებს არ აპატიოსნებენ.

ალი და მამედი იორდანიელი ჩეჩნები იყვნენ. მათი წინაპრები თითქმის ორი საუკუნის წინ გადასახლდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე. ახლა ახალგაზრდები თავიანთი ისტორიული სამშობლოს, ისლამური მიწის, ჩეჩნეთის მუნაფიკებისა და კაფირებისაგან გასათავისუფლებლად მიეშურებოდნენ. ორივე ამერიკულ სამხედრო ფორმაში, „რეინჯერში“ იყვნენ გამოწყობილნი, უხდებოდათ. სამხედრო ფორმა ჩეჩნებს ძალიან უყვართ, თან ტყესა და ღრეში ამაზე უკეთესი რა უნდა ჩაიცვა.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მუსლიმი არ იყო. არაბიც და ჩეჩნებიც მისდამი პატივისცემით იყვნენ განწყობილნი. ალბათ იმიტომ, რომ მათ-

თან ერთად ისლამის დაუძინებელი მტრების, რუსების წინააღმდეგ საომრად მიემართებოდა. ყოველ შემთხვევაში მათ ასე ეგონათ.

ჯგუფი ბაქოში შედგა. ერთმანეთი ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში გაიცნეს. იქ სხვადასხვა გზით მოხვდნენ. სწორედ ეს იყო წარმომადგენლობის ერთ-ერთი ფუნქცია. სტუმრების მიღება-დაბინავება, შემდეგ მათი ჩეჩნეთში გადაყვანა. მანდ გადაწყდა, რომ აბუ-ყასიმი, ალი, მამედი და უცნობი ერთად გადავიდოდნენ რუსეთის საზღვარზე.

არაბი აფეთქებების სპეციალისტი იყო. ალისა და მამედს მოიერიშე ჯგუფის წევრისათვის საჭირო განათლება ჰქონდათ მიღებული. ორივე იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს ანტიტერორისტულ ორგანიზაციაში მსახურობდნენ.

იორდანიაში ანტიტერორისტული ცენტრი მაგრად მუშაობს. ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში ტერორისტისა და ტერორისტების სულიერი ლიდერის შეიხ ალ-ზაჰირის ადგილსამყოფელს მიაკვლიეს. ალი და მამედი მისი დაკავების ოპერაციაში იღებდნენ მონაწილეობას. ზუსტად არავინ იცის, რა და როგორ მოხდა, მაგრამ ალ-ზაჰირი დაპატიმრებასა და იორდანიულ სამართალს გადაურჩა. მის მიერ მონუსხულნი, ალი და მამედი კი მსოფლიო ისლამურ ჯიჰადს შეუერთდნენ. შესაძლოა მათში რწმენამ გაიღვიძა. შესაძლოა მიწამ იყივლა და ურწმუნოთაგან სამშობლოს გათავისუფლება მოუნდათ. არც ისაა გამორიცხული, რომ ალ-ზაჰირიმ ფულით მოისყიდა ახალგაზრდები.

ასე იყო თუ ისე, ისინი პაკისტანში ერთ-ერთ მედრესეში გაემგზავრნენ სასულიერო განათლების მისაღებად. შემდეგ ავღანეთში გაიარეს საბრძოლო პრაქტიკა. ახლა კი ალ-ზაჰირის რეკომენდაციით ჩეჩნეთში მიემართებოდნენ, რათა საღვთო ომი გაეგრძელებინათ. ერთი შეხედვითაც შეამჩნევდი, რომ ფიზიკურად საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებულნი. მაგრამ რამდენად გამოადგებოდათ ავღანეთში, პაკისტანსა და იორდანიაში გავლილი მომზადება კავკასიის მთებში, დრო აჩვენებდა.

უცნობისათვის ყველაფერი საფრანგეთში, პარიზში დაიწყო. ბისტროში აღმოსავლური მუსიკა უკრავდა. პარიზში ეს გასაკვირი არცაა, რადგან ევროპის ამ ქალაქში ძალიან ბევრი არაბი და აფრიკელი ემიგრანტი ცხოვრობს.

გარსონს დაუძახა და ანგარიში სთხოვა.

ამ დროს ბისტროში არაბულ ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა. მას რამდენიმე შავ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი შემოჰყვა. ერთ-ერთი მათგანი მისი ძველი ნაცნობი ალი-მუჰამედი აღმოჩნდა.

საოცარია, როდესაც ამხელა ევროპაში შემთხვევით გადააწყდები ნაცნობს, რომელიც რამდენიმე წელია არ გინახავს.

ცოტა ხნის წინ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ასეული მომიტინგე პალესტინაში მცხოვრები არაბებისა და კავკასიაში მებრძოლი ჩეჩნების მხარდასაჭერ აქციას მართავდა. ალი-მუჰამედი ამ შეხვედრის ორგანიზატორი იყო. მიტინგზე მგზნებარედ გამოდიოდა სიტყვით. ალაჰუ აკბარს გაჰყვიროდა. თვალებში ცეცხლი ენთო. ეტყობოდა, რომ თავის გამოჩენა უნდოდა.

უცებ ბრბოს რამდენიმე ადამიანი გამოეყო. ისინი ნელ-ნელა გაემართნენ სიტყვით გამომსვლელისაკენ. აღმოსავლური გარეგნობა ჰქონდათ. ისეთივე გაუპარსავები იყვნენ, მუქი კანი ჰქონდათ, არც ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ დანარჩენებისაგან. ერთ-ერთმა უბისაკენ წაიღო ხელი, იარაღი ამოიღო და ალი-მუჰამედისაკენ მიმართა. მის გვერდზე მდგომმა ყვირილი დაიწყო და ხელის შეშლა სცადა. არაბმა გამომსვლელმა და მიტინგის სხვა მონაწილეებმა ეს შენიშნეს.

ამის შემხედვარე ალი-მუჰამედი რამდენიმე წამით გაშეშდა, გაფითრდა. ზეცისკენ აღაპყრო მზერა, ხელები სახესთან მიიტანა და ლოცვას შეუდგა. ვერ იტყოდი, რომ შეეშინდა. უფრო ექსტაზში ჩავარდა. სიკვდილთან მიახლოებამ ალბათ მის ორგანიზმში ადრენალინის დიდი რაოდენობით გამოყოფას შეუწყო ხელი. ამ მცირე პაუზის შემდეგ იარაღიანისკენ დაიძრა. ნაბიჯი ააჩქარა, თითქმის მირბოდა. ეტყობოდა, რომ იარაღის წართმევა სურდა.

მიტინგის მონაწილეებმა აქეთ-იქით სირბილი და ყვირილი ატეხეს. ყველაზე ხშირად სიტყვა შაითანი და კაფირი ისმოდა. ფარაჯიანი გოგოები ისეთ ხმას უშვებდნენ, თითქოს ჯვაროსნების ლაშქარი დაინახეს, რომელიც მათი საცხოვრებლების აოხრებას, ახლობლების განადგურებასა და ამოჟლეტას აპირებდა.

თავდამსხმელმა რამდენიმე გასროლა მოახერხა და გაიქცა. მასთან ერთად მყოფები ბრბოს შეერივნენ, თითქოს უჩინმაჩინის მანტიები მოისხეს ტანზე. აქციის მონაწილე რამდენიმე ახალგაზრდამ სცადა გაკიდება, მაგრამ თავდამსხმელები იქვე მდგარ მოტოციკლებს შემოახტნენ და მიიმალნენ.

სროლისას ქილერმა ალი-მუჰამედის მსუბუქად დაჭრა შეძლო. პლაკატებითა და დროშით ხელში ეგზალტირებული ბრბოს ნაწილი მიწაზე, მუხლებზე დაეშვა და გოდებას მოჰყვა, სხვები ღრიალებდნენ, ხაოდნენ, ტიროდნენ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ თავად დაჭრილი ყველას გადაავიწყდა. ნელ-ნელა აზრზე მოვიდნენ. მისცვივდნენ ჩაკუზულ ალი-

მუჰამედს, რომელსაც ხელის მტევანი მხარზე ჰქონდა მიჭერილი, რათა სისხლდენა შეეჩერებინა.

ახლა დაჭრილთან მყოფი ბრბოს ნაწილი უკვე ინშალა შაჰიდ-შაჰიდს გაჰყვიროდა. შაჰიდი არაბულად მოწმეს ნიშნავს. უზენაესის ერთ-ერთი სახელია და ასევე ეძახიან რწმენისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლსაც. თუმცა ალი-მუჰამედი ალაჰმა სასიკვდილოდ არ გაიმეტა. მხარში გამჭოლი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, მაგრამ მიტინგის მონაწილეებისათვის ალბათ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი ლიდერის დაღუპვა. მეტ სარგებელს ნახავდნენ. უფრო გახმაურდებოდა ეს ამბავი და სპონსორებიც მეტ თანხას გაიღებდნენ მომავალში ანალოგიური აქციის მოსამზადებლად.

ამ დროს უცნობი იქვე ფოტოკამერით იდგა და ანკარის ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს იღებდა. უცნობი, რომელიც შემთხვევით შეესწრო ამ ამბავს, მივარდა ძირს გართხმულ ალი-მუჰამედს. აქეთ-იქით გაყარა არაფრისმაქნისი, მოღრიალე და მტირალი მაყურებლები. თავდასხმის მსხვერპლს პირველი დახმარება გაუწია. ცხვირსახოცით შეეცადა, სისხლდენა შეეჩერებინა.

რამდენიმე ხანში თურქი პოლიციელები და სამხედროებიც მოცვივდნენ. ადგილზე სასწრაფო დახმარების რამდენიმე ეკიპაჟი მოვიდა, დაჭრილი მანქანაში მოათავსეს. უცნობი კი, როგორც ამ ამბის შემსწრე, ალი-მუჰამედთან ერთად საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქვე, პალატასთან დაკითხეს და გაათავისუფლეს.

ამ ამბის შემდეგ თურქეთის თურქული და ინგლისურენოვანი პრესა რამდენიმე კვირის განმავლობაში იხსენებდა მომხდარს. სხვადასხვა ვერსიას განიხილავდნენ, დაწყებული უცხოური სპეცსამსახურების მოქმედებებიდან, დაქირავებული მკვლელებისა თუ პირადი დაპირისპირების ვარიანტებსაც კი უშვებდნენ. თავად დაზარალებულს სიტყვაც კი არ დაუძრავს, არც პოლიციის გამომძიებლებისათვის და არც ჟურნალისტებისათვის. ერთადერთი, მადლობა გადაუხადა უცნობს და უთხრა: ღმერთი თუ მოინდომებს, კიდევ შევხვდებითო.

ახლა კი პარიზში ერთ-ერთ ბისტროში შეხვდნენ ერთმანეთს.

ალი-მუჰამედი დავაჟკაცებულა. იერი შეცვლოდა. სემიტებისათვის დამახასიათებელ მუქ კანს მზისაგან მიღებული რუჯი კიდევ უფრო ამუქებდა. ხშირ გრძელი წვერს, შეკრეჭილ ულვაშებს ატარებდა. მისი თანმხლებნი კუნთმაგარი ბიჭები იყვნენ. ბიჭებს ვამბობ, თორემ 30-35 წლის მამაკაცებს ეტყობოდათ, რომ ისინი ალი-მუჰამედის მეგობრები არ იყვნენ. ასაკითაც უფროსად გამოიყურებოდნენ, ვიდრე იყვნენ. შესაძლოა,

ანკარაში მომხდარმა ამბავმა შეაშინა ახალგაზრდა არაბი და ორი მცველი ამიტომაც დაიქირავა.

თურქული პრესა იმასაც წერდა, რომ ჭორების თანახმად, დაჭრილი ქვეყნიდან გაიყვანეს. ძალიან მდიდარი ნათესავები ჰყავდაო, ნავთობის მაგნატები და შეეშინდათ, თავდასხმა კიდევ არ განმეორებულიყოო. ზოგიც ამბობდა, ამერიკაში წავიდა სწავლის გასაგრძელებლადო, ზოგიც დიდ ბრიტანეთს ასახელებდა. თუმცა, მალე ეს ამბავი ყველას გადაავიწყდა, რადგან თურქეთში იმ დროს სხვადასხვა ჯგუფის მიერ ორგანიზებული ჩეჩნებისა და პალესტინელი არაბების მხარდამჭერი აქციები ხშირად იმართებოდა.

უცნობს გარსონმა ანგარიში მიუტანა. მან ხურდა ფული რაღაც მოუხერხებლად გაუწოდა და ოფიციანტს ძირს დაებნა. უცნობი უცებ დაიხარა, აკრიფა და ფეხზე წამოდგა. ფული გარსონს ჩაუჯიბა. ასეთი მკვეთრი მოძრაობა მუჰამედის დაცვის წევრებს არ გამორჩათ და მაგიდისაკენ გამოიწიეს.

– შეჩერდით, – უთხრა მათ არაბმა. ეს ის კაცია, მე რომ გადამარჩინა. მისთვის ჯეროვანი მადლობაც კი არ გადამიხდია.

აღმოსავლური ქედმაღლობა მოეფინა სახეზე. ნიკაპი მაღლა ასწია, მხრებში გასწორდა, გაიხედ-გამოიხედა და მაგიდისაკენ დაიძრა, რომელთანაც უცნობი იდგა. ახლოს მივიდა და ხელი გაუწოდა.

– სალამ ალეიქუმ, – მიესალმა და წარბებს შუა შეხედა მას.

– ალეიქუმ ასალათუ ასალამ, – უპასუხა უცნობმა.

– ვერ მიცანი? მე ალი-მუჰამედი ვარ. შენ ალაჰის ნებას ასრულებდი, როდესაც დამეხმარე თავდასხმის დროს ანკარაში. აღარ გახსოვს?!

– კი, კი, მახსოვს, მერე მოვედი მოსანახულებლად და აღარ იყავი. ამბობდნენ, ამერიკაში წახვედი სასწავლებლად. მე იქ აღარ დავრჩი. წამოვედი.

– აქ რა გინდა? პარიზში ცხოვრობ? – შეეკითხა მუჰამედი.

– არა, სამოგზაუროდ ვიყავი, ახლა საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში მინდა ჩავეწერო. კარგი ხელფასებია, პენსიაც კარგიაო, ამბობენ. რა ვიცი, მგონი, არაა ცუდი აზრი ჩემისთანა მარტოხელა ადამიანისათვის.

– თუ აქ არ გაქვს მუდმივი საცხოვრებელი, ჩემი სტუმარი იქნები. უცხოელთა ლეგიონი არსად გაგექცევა. ისე, რა გინდა უცხოელთა ლეგიონში, მუსლიმები არ გიყვარს?! – ოდნავ მომღიმარმა იკითხა მუჰამედმა.

– ფული მჭირდება. ახლა კრიზისია და ყველა ჩვენებურად ვწრიალებთ. თუ გამომივა, კარგი იქნება, თუ არა და რაიმე სხვას მოვძებნი.

– წამოდი ჩემთან. რამდენიმე დღე დაისვენებ. შემდეგ ბიძაჩემს გა-

გაცნობ. დაგასაქმებს. თან შენი ვალი მაქვს. მუსლიმები ვალს ყოველთვის ვაბრუნებთ, – თქვა არაბმა.

ბისტროდან ერთად გამოვიდნენ. გარეთ ორი რენჯ როვერი იდგა. ერთ-ერთის კარი დაცვის წევრმა სწრაფად გააღო. მანქანაში კიდევ ერთი მცველი და მძღოლი ისხდნენ. ალი მუჰამედი და მისი ნაცნობი უკან ჩასხდნენ, მეორეში კი – დანარჩენი დაცვის წევრები.

– ამდენი მცველი იმ ამბის მერე გყავს? – იკითხა უცნობმა.

– არა, ახლა საწყალი, დაუცველი მუსლიმი აღარ ვარ. სხვა საქმით ვარ დაკავებული, – ჩაიღიმა ალი-მუჰამედმა.

– კარგია, თუ სარფიანი საქმეა. – კვერი დაუკრა სტუმარმა და კიდევ ერთხელ შეათვალიერა ალი-მუჰამედის დაცვის წევრები, რომლებიც დიდი ნდობით არ უყურებდნენ მას.

– ჩვენს სასტუმროში წაგიყვან. იქ რამდენიმე დღე დარჩები. მერე ბიძაჩემს შეგახვედრებ.

– ეტყობა, სერიოზული ბიზნესით ხარ დაკავებული.

– ჰო, სერიოზული საქმეა. არ დაგიმალავ, სარისკოა, მაგრამ საინტერესო. იმ ამბის შემდეგ, ცხოვრებას სხვაგვარად შევხედე. მრავალი ქვეყანა შემოვიარე: ავღანეთი, პაკისტანი, სუდანი, ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, ჩეჩნეთი. ბიძაჩემის დავალებებს ვასრულებდი.

ალი-მუჰამედის ბიძა, მდიდარი საუდელი შეიხი ალი-აჰმედი რამდენიმე ათეული ნავთობის ჭაბურღილის მფლობელი გახდა. ეს ქონება მთელი მათი მრავალრიცხოვანი ჯილაგის ფინანსური სტაბილურობის გარანტია იყო. უამრავი ფული ჰქონდა. სამოთხის ბილეთსაც იყიდდა.

– მაგ ლეგიონში კიდევ წესიერი მამაკაცი არ წავა. ერთი ჩემი ნაცნობი, ალჟირიდან, აპირებდა იქ მოწყობას. გაჭირვებული ოჯახიდან იყო. ბევრი და-ძმა და ნათესავი ჰყავს სამშობლოში. ფული სჭირდებოდა და მოქალაქეობა. ჰოდა, კარანტინში ყოფნისას სერჟანტმა თეფშში ჩაუფურთხა და უბრძანა, შეეჭამა. სერჟანტი მაგრად გაილახა, მაგრამ ის ბიჭი ახლაც ციხეში ზის სამხედროზე თავდასხმის გამო. საზიზღარი ადგილია ეგ უცხოელთა ლეგიონი. შაითანის სამფლობელოა.

ლაპარაკ-ლაპარაკში სასტუმროსთან მივიდნენ. მუჰამედმა დამხვდურს რამდენიმე სიტყვა უთხრა არაბულად. შემდეგ სტუმარს მოუტრიალდა.

– ახლა წავალ, საქმეები მაქვს, რამდენიმე დღეში მოვალ და ბიძაჩემთან წაგიყვან. გაგესაუბრება. თუ გაგიმართლებს, ჩემს მეორე ბიძასაც გაიცნობ. აი, ის კი დატოვებს შენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას.

კარგი სასტუმრო იყო. ხუთვარსკვლავიანი. ერთადერთი, რაც და-

სავლური ცივილიზაციის წარმომადგენელს შეაწუხებდა ის იყო, რომ ბარში ალკოჰოლიანი სასმელები არ იყიდებოდა.

ისლამი კრძალავს ალკოჰოლით თრობას. დანარჩენი რაც გინდა, სულო და გულო. კარგად დაისვენებდა ადამიანი, თუ დასასვენებლად იყავი ჩასული პარიზში და არ სვამდი. არც ქალების პრობლემა იყო. განსხვავებით სხვა სასტუმროებისაგან, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები გრძელ კაბებსა და თავშლებში ისხდნენ მისაღებსა და ბარში. უალკოჰოლო კოქტეილებს, ხილის წვენს, ყავას ან ჩაის მიირთმევდნენ. მომსახურების მაღლი დონის მიუხედავად, ტარიფები მისაღები იყო. ყველანაირ სექსს თანხმდებოდნენ და არაფერზე ამბობდნენ უარს, არც ორალურ და ანალურ სექსს უკადრისობდნენ. უფასოდ მხოლოდ მუცლის ცეკვას ასრულებდნენ. სექსის შემდეგ განბანვის ცერემონია არ ავიწყდებოდათ, თავიანთ გრძელ კაბას იცვამდნენ, თავშალს მოიხურავდნენ და ჩვეულ ადგილს უბრუნდებოდნენ. ტიპური ისლამური სამოთხე გახლდათ.

ჰოდა, რამდენიმე დღე უცნობმა ამ სამოთხეში გაატარა. ამჩნევდა, რომ ყურადღების ცენტრში იყო და არა მარტო იმიტომ, რომ ალი-მუჰამედმა მოიყვანა სასტუმროში.

ერთხელ, გამოვიდა თუ არა ნომრიდან, მაშინვე შეამჩნია, რომ ერთი მაღალი ოყლაყი არაბი ძალიან აკვირდებოდა. ეს ოყლაყი ცდილობდა, სტუმარს არ შეემჩნია, მაგრამ არაფრით გამოდიოდა. მეტად გამოირჩეოდა სხვებისაგან. ეტყობოდა, რომ პროფესიონალური სპორტით იყო დაკავებული. ტანსაცმელი ტანზე ასკდებოდა. იარაღიც გამოსაჩენად ჰქონდა გათხრილი ქამარში. ალბათ სასტუმროს დაცვაში მუშაობდა, თუმცა შესაძლოა რეკეტით იყო დაკავებული. ფულს არაფერში იხდიდა, არც სასტუმროში, ბარში და არც იქვე მიმდებარე მაღაზიებში.

საკმარისი იყო, სტუმარი სასტუმროდან გარეთ გასულიყო სიგარეტის მოსაწევად, ისიც დგებოდა და მიჰყვებოდა. აშკარად უთვალთვალებდა. უჩუმრად იცავდა, მაგრამ ვისგან ან რისგან?! ან უბრალოდ აინტერესებდა, ვის შეიძლება შეხვედროდა და რას აკეთებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, შუადღისას სასტუმროს შავი მანქანების კორტეჟი მოადგა. სამი შავი რენჯ-როვერი პირდაპირ სასტუმროს შესასვლელთან გაჩერდა. დაცვის წევრები ხმაურით გადმოხტნენ მანქანებიდან. ბოლოს, შუა მანქანის კარი გაიღო და ალი-მუჰამედი გადმოვიდა.

დაცვა ახლა სასტუმროს კარისაკენ დაიძრა. შემოცვივდნენ სასტუმროში, აქეთ-იქით გაიხედეს. შეათვალიერეს ინტერიერი თუ სტუმრები, რომლებიც მისაღებში ისხდნენ. ბოზები წამოყარეს და ბარისაკენ გახიკეს. მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდა ალი-მუჰამედი სასტუმროში.

– სალამ ალეიქუმ, – მიესალმა ალი მუჰამედი სტუმარს, რომელიც ყავას მიირთმევდა.

– ალეიქუმ სალამ, – ფეხზე წამოდგა და ისე უპასუხა მან.

– როგორც შეგპირდი, ბიძაჩემს უნდა შეგახვედრო. ხომ კარგად დაისვენე?! ყველაფერი წესრიგშია?!

– კი, კი, გმადლობ.

– მადლობა ალაჰს. მისი ნებით ხდება ყველაფერი. წამოდი, ბიძაჩემი გველოდება.

სასტუმროდან გამოვიდნენ და მანქანებში ჩასხდნენ.

რამდენიმე ხანში პარიზის ერთ-ერთ უბანში, არაბულ რესტორანთან მივიდნენ. მანქანები აქაც პირდაპირ შესასვლელთან გააჩერეს. დაცვაც და დაცვის ობიექტებიც მანქანიდან გადმოვიდნენ. რესტორანში მხოლოდ ალი-მუჰამედი და ევროპელი შევიდნენ. ისინი სწრაფი ნაბიჯებით გაემართნენ ერთ-ერთი მაგიდისაკენ.

მაგიდასთან მოწყობილ ტახტთან შუახნის, არაბულ ტანსაცმელში გამოწყობილი გამხდარი, წვერებიანი მამაკაცი იჯდა. ხელში პატარა კრიალოსანი ეჭირა და აბზრიალებდა. ალი-მუჰამედი მაგიდასთან მოწიწებით მივიდა. დამხვდური ტახტიდან ოდნავ წამოიწია და მას არაბულად მიესალმა. უცნობი მიხვდა, რომ დამხვდური ალი-მუჰამედის ბიძა, შეიხი ალი-აჰმედი გახლდათ. შეიხმა ანიშნა, დასხედითო და ორივე მაგიდას მიუსხდა.

დარბაზში სტუმრები კანტიკუნტად ისხდნენ. ერთმანეთთან ხმადაბლა საუბრობდნენ. ამ დროს მაგიდასთან ჩასუქებული, ულვაშებიანი მამაკაცი მოვიდა. ხელში ათასგვარი აღმოსავლური ტკბილეულით დატვირთული ხონჩა ეკავა. მორიდებულად დახარა თავი და ხორაგის დალაგებას შეუდგა.

ალი-მუჰამედმა შეიხს არაბულად გაუმართა საუბარი. ამ დროს მათი სტუმარი, ტკბილეულის დაგემოვნებას შეუდგა და თან რესტორნის ინტერიერისა და სტუმრების შეთვალიერება დაიწყო.

– გადაწყდა, ხვალ ბაქოში გაფრინდები. ჩვენ გვჭირდება შენნაირი ხალხი. ჯერ ჩეჩნეთში გადახვალ. იქ რამდენიმე ხანს დაჰყოფ. თუ გაამართლებ, შემდეგ სხვაგანაც გაგიშვებთ. შეიძლება ჩემი მეორე ბიძაც გაიცნო, ბენ იუსუფი. მაგარი კაცია. მთელი ცხოვრება ჯიჰადშია.

– და რა მინდა ან ბაქოში ან ჩეჩნეთში?!

– და საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში რა გინდოდა?! ფული გექნება, იმოგზაურებ, არაფერს მოგაკლებს ალაჰი. ვინც მისი განდიდებისთვის იბრძვის, ის განადიდებს მას.

– კარგი, არაა პრობლემა, მაგრამ რა უნდა გავაკეთო?

– გაიგებ, გაიგებ. ჯერ დააკვირდები, ისწავლი, მერე... მერე ვნახოთ.

შეიხს დაემშვიდობნენ და კვლავ სასტუმროში დაბრუნდნენ.

იმ საღამოს სტუმარმა სასტუმრო რამდენიმე საათით პირველად დატოვა.

ფეხით გაისეირნა პარიზის ქუჩებში. სასიამოვნო იყო საღამოს პარიზი და ძალიან ლამაზი. განათებული ლამპიონების ქვეშ ქუჩებსა და პარკებში სკამებზე – შეყვარებული წყვილები. მარტოხელებიც სეირნობდნენ, ოჯახებიც. ზოგი ძაღლს ასეირნებდა, ზოგი ალბათ სახლში მიიჩქაროდა. ყველგან ყავისა და ახალგამომცხვარი კრუასანის სურნელი ტრიალებდა. მართლაც სიყვარულის ქალაქი – პარიზი.

თუმცა უცნობი მთლად სასეირნოდ არ გამოსულა. ის ოყლაყი კვლავ აეკიდა. ერთი ნახევარი საათი მიდიოდა. გზად ერთი ლამაზი, მეტად ექსტრავაგანტური, გოთურ ტანსაცმელში გამოწყობილი ბოზი შენიშნა. უცებ მოელაპარაკა და იქვე დაბალფასიანი სასტუმროს ნომერში ავიდნენ.

ოყლაყი აღარ შეჰყვა სასტუმროში. ქვევით დალოდება არჩია.

ბოზმა ნომრის კარი გააღო და შევიდნენ.

გეგმა

ნომერში სამი შუახნის მამაკაცი და ერთი ქალი ისხდნენ. გოგონას ანიშნეს, სააბაზანოში დაგველოდეო. ფეხზე წამოდგნენ. უცებ მიესალმნენ შემოსულს.

– როგორაა საქმეები? – იკითხა ერთ-ერთმა.

– კარგად, მგონი, ჭამეს. ხვალ ბაქოში მივფრინავ. – უპასუხა უცნობმა

– კარგია, კარგი... – გააგრძელა მეორემ. არ იაქტიურო, აცადე, თვითონ წამოაყენონ წინადადებები. ეჭვი არ აღძრა.

– კონტაქტზე გამოსვლას არ ეცადო. თუ საჭირო გახდა, ჩვენ თვითონ დაგიკავშირდებით, – გააგრძელა მესამემ.

– სერიოზული საცეცები აქვთ. რაღაც საშინელებას აპირებენ. უნდა გავიგოთ, რა უნდათ. მაგრამ არ იაქტიურო. მთავარია წამოეგნენ. სანამ ნდობას დაიმსახურებ, ათასჯერ შეგამოწმებენ. მაგისთვის გიშვებენ ჩეჩნეთში, იქ ჯოჯოხეთია, – დაასრულა საუბარი.

– შენ არ გაქვს გავლილი სპეცმომზადება და ეს კარგია, თორემ

მაშინვე ამოგიცნობდნენ. ყველა სპეცსამსახურს თავისი ხელწერა აქვს. ამათ კი ყველგან ჰყავთ თავიანთი ხალხი. ისე, რამდენი ხანი გავიდა? – იკითხა ქალბატონმა.

– ალბათ თხუთმეტი-ოცი წუთი.

– საკმარისია. ამ დროში გაათავებდი. გადი, რამე არ იეჭვოს იმ ოყლაყმა.

– ერთი ეგ მომცა ერთი საათით, ყველაფერს დავაფქვევინებდი... – თქვა ერთ-ერთმა, სათვალიანმა. შლაპა ეხურა.

-კი, კი, ეგრეა... რაც იცის, დააფქვევინებდი, მაგრამ არ შეიძლება. მაგას არაფერი ეცოდინება, ლოცვის გარდა. იდიოტია. შენ ცივი ომის დრო ნუ გგონია. მაგ იდიოტს ვინ რას გააგებინებს. მაგისი უფროსების თავში რაა, ის გვაინტერესებს. მოკლედ, შენ იცი. შენზეა ყველაფერი. – თქვა მეორემ.

– ამ გოგოს უთხარით, რომ სასტუმროსთან კიდევ ერთი თვე უნდა იდგეს და იმუშაოს. ფული არ დაინანოთ. ყურადღება მიაქციეთ. კლიენტებიც მიუყვანეთ. ხომ იცი, ეს ნაბოზვრები გადაამოწმებენ. – თქვა პირველმა, რომელიც თითქოს ცოტას ნერვიულობდა.

– კი, კი, ვიცით. პირველად ხომ არ ვატარებთ ოპერაციას. – უპასუხეს სხვებმა.

– ახლა ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამისთანა შანსი მეორედ შეიძლება აღარ მოგვეცეს. ბენ იუსუფზე შეიძლება გავიდეთ. ეგ კი... თფუ, თფუ, თფუ ... – ვერ ჩერდებოდა პირველი.

– აბა, წადი. წარმატებას გისურვებთ. შენ იცი. – უთხრა უცნობს ქალბატონმა.

გოგონას სააბაზანოს კარზე მიუკაკუნეს. ოთახიდან გოგონა და უცნობი გამოვიდნენ. ფული ჩაუთვალა. გოგონამ გაიღიმა და სავიზიტო ბარათი მისცა.

– თქვენი კორპორაცია მომეწონა. კარგი კლიენტები ხართ, – თქვა. როცა დაგჭირდე, არ მოგერიდოს, დამირეკე, შევხვდეთ.

გოგონამ თმა აიჩეჩა. კლიენტმა კი პერანგი ამოიტანია შარვლიდან და სასტუმროდან ისე გამოვიდა.

გარეთ ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და უცნობი ალი-მუჰამედის სასტუმროსაკენ დაიძრა.

ოყლაყი კიდევ რამდენიმე ხანი იდგა იქვე. შემდეგ გოგონასთან მივიდა. რაღაცა გამოკითხა. სასტუმროს ნომერში აჰყვა. ცოტა ხანი იქ დაჰყო. ალბათ შეამოწმა, მართლა ჰქონდათ თუ არა სექსი. ნომერში კარგად გამოჰკითხა გოთი გოგო. ვინ ხარ, რამდენი ხანია ამ საქმით ხარ

დაკავებულიო. მანაც არც აცია და არც აცხელა, უპასუხა, რომ სუტენიორს დაურეკავდა.

– თუ პოლიციიდან არ ხარ, თავი დამანებე. წადი აქედან, კლიენტებს ნუ მაკარგვინებ, თორემ დავრეკავ და ერთი მაგრად მიგბეგვავენ. მაგ კითხვებს არავინ მისვამს. შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ.

– ეგ კაცი ჩვენი სტუმარია და მაინტერესებს, ხომ ყველაფერი წესრიგშია, მაგიტომ გეკითხები, თორემ არაა პრობლემა, შენ შენი გზა გაქვს, მე – ჩემი. – უპასუხა ოყლაყმა. შემდეგ ტელეფონი ამოიღო და სადღაც დარეკა. არაბულად რაღაც ილაპარაკა და სასტუმროსაკენ დაიძრა.

მეორე დილას, 7 საათისათვის რენჯ-როვერები სასტუმროს მოადგნენ. სტუმარი უკვე მისაღებში იყო. მუჰამედი სასტუმროში შემოვიდა. ერთმანეთს მიესალმნენ.

– მზად ხარ? – ჰკითხა ახალგაზრდა არაბმა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა დამხვდურმა.

– გუშინ კარგი დრო გაგიტარებია. ისე, ეგენი სასტუმროშიც ბევრნი არიან. ტყუილად გადაყარე ფული. ჩვენ სტუმრებს პატივს ვცემთ. აწი თუ რამე დაგჭირდა, მითხარი. არაფერი დაგაკლებდა. არ გინდა აქეთ-იქით ხეტიალი. რაიმე შარში არ გაეხვიო. თუმცა რაღა შარი, იქ, სადაც მიდიხარ, სულ შარი არაა, – თქვა და ჩაიღიმა.

– გასაგებია. მაგრამ ეგ მაგარი იყო, რაღაც განსხვავებული. – უპასუხა სტუმარმა. აწი ეგრე ვიზამ, თუ კიდევ მოვხვდი პარიზში.

– კარგი, წავედით. 4-5 საათში ბაქოში იქნები. იქიდან დაიწყება შენთვის საინტერესო ცხოვრებ. ისე, რომ იცოდე, ყველაფერი ალაჰის ნებაა, – გაიღიმა არაბმა.

აეროპორტამდე 1 საათში მივიდნენ. ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

– ალეიქუმ სალამ, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, თუ ალაჰი ისურვებს, – თქვა მუჰამედმა. ბაქოში, აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპთან ჩვენი ბიჭები დაგხვდებიან. ხელში ფურცელი ექნებათ, რომელზეც უცნობი ეწერება.

მომავალში სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ მუსლიმები სტუმარს და თანამებრძოლს. ისლამური სახელის დარქმევა ვერ შესთავაზეს, თუმცა არაისლამური სახელით თანამებრძოლის მოხსენიება მაინც ეხამუშებოდათ.

სასაზღვრო კონტროლი უცებ, უპრობლემოდ გაიარა, რადგან მხოლოდ ხელბარგი ჰქონდა. თვითმფრინავში ილუმინატორთან მოეწყო. სტიუარდესას სთხოვა, ბაქომდე არ შემაწუხოთო. თვალები დახუჭა. ჩაეძინა. უფრო სწორად, გაითიშა. 4 საათი მაგრად ეძინა. მხოლოდ მაშინ გაახილა

თვალი, როდესაც ბოინგი მოხდენილად დაფრინდა აზერბაიჯანის დედაქალაქის აეროპორტის საფრენ ბილიკზე.

საპასპორტო და საბაჟო შემოწმება არ გაუვლია, რადგან თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე, ტრაპთან ორი მაღალი, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა დახვდა. მიესალმნენ. უთხრეს, რომ ჩეჩნეთის საელჩოდან, თუ წარმომადგენლობიდან იყვნენ და მას ელოდნენ. ხელჩანთა გამოართვეს. იქვე მდგომი მანქანის საბარგულში ჩადეს. თავადაც ამავე მანქანაში ჩასხდნენ და გაემგზავრნენ.

ეს ორი ჩეჩენი საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრეს.

– ახლა სასტუმროში წაგიყვანთ. მერე სხვები მოგხედავენ.

ბაქოს აეროპორტი ქალაქიდან საკმაოდ შორს მდებარეობს. მანქანით საათი მაინც მოანდომეს მგზავრობას. ჩეჩნებს მანქანაში ცნობილი მომღერლის, იმამ ალიმ-სულთანოვის კასეტა ჰქონდათ ჩართული.

„ტოლამი“ – ასე ერქვა ალბომს. ეს ალბომი იმამმა თურქეთში ჩაწერა. ასეთი სიმღერები საკმაოდ ამაღლებდნენ ახალგაზრდა მოჯაჰედთა საბრძოლო სულს. თავად იმამი საკმაო პატივისცემით სარგებლობდა როგორც მოჯაჰედებში, ისე მათ მეთაურებში. მიუხედავად ავტორიტეტისა, პირველი ომის შემდეგ ის კიევში ბანდიტურ გარჩევებს შეეწირა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია დაიბეჭდა ადგილობრივ მედიაში. ჩეჩნები კი ამბობდნენ, რომ იმამ ალიმ-სულთანოვი რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოპერაციის შედეგად მოკლეს.

რამდენიმე დღე ჩეჩნების კუთვნილ სასტუმროში მოუწია დარჩენა. სამსართულიანი ტიპური პროექტის სასტუმრო არაფრით გამოირჩეოდა დაბალფასიანი ევროპული მოტელისაგან. მომსახურე პერსონალი ადგილობრივი მცხოვრებლებით იყო დაკომპლექტებული, ძირითადად აზერბაიჯანელებით. მათ შორის რამდენიმე ყირიმელი თათარიც ერია. სერვისში სამჯერადი კვება და სუფთა თეთრეული შედიოდა. ნომერში ტელევიზორი, ვიდეო და საშხაპე, კონდიციონერი, ანუ ყველაფერი იყო, რაც საჭიროა ადამიანისათვის, რათა რთული მოგზაურობის წინ რამდენიმე დღე დაისვენოს.

შენობის პირველ სართულზე განთავსებულ დიდ დარბაზში სასტუმროში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების „სტუმრები“ ერთად საქილობდნენ. სასადილო ევროპაში მიღებულ საშუალო ბისტროსაც ვერ შეედრებოდა. ინტერიერითა და შინაარსით ის სსრკ-ის დროინდელ საზოგადოებრივი კვების ობიექტსა ჰგავდა. კედელს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის ზეთში შესრულებული რამდენიმე დიდი ტილო

ამშვენებდა, ხოლო მაგიდებს – შუშის ჭიქებში ჩადგმული ხელოვნური ყვავილები.

ყველა სტუმარი ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები ესაუბრა, რათა სხვათა ყურადღება არ მიექცია. სასტუმროს ბინადრები არაბები, თურქები, პაკისტანელები, ბანგლადეშელები, აგრეთვე სხვა ისლამური ქვეყნების მოქალაქეები გახლდნენ. ამ სიჩუმის სახლში მყუდროება მხოლოდ ორი რამით ირღვეოდა: პირველად, ეს ნამაზის აღვლენის წინ, როდესაც ყველა ბინადარი ნომრებიდან გარეთ გამოეფინებოდა და მისაღებში ერთობლივად იწყებდნენ ლოცვასა და მეორედ, როდესაც ერთ-ერთი, აშკარად სლავური წარმოშობის მოხუცი გამოვიდოდა ხოლმე თავისი ოთახიდან. სლავურ წარმოშობაზე მისი აპრეხილი ცხვირი და სახის წყობა მიანიშნებდა. ცოტას კოჭლობდა, მაგრამ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, მასონებზე, ომზე, კავკასიაზე და არა მარტო. მოკლედ, ლაპარაკის თემა არ ელოდა. თან ჩუმად კი არა, თითქმის მთელ ხმაზე გაჰყვიროდა. მისი ნომრიდან გამოსვლა და ხმაურისა და ჩოჩქოლის ატეხა, ერთი იყო.

სხვა სტუმრებისაგან განსხვავებით, სასადილოში ჭამისას არასდროს ჭირვეულობდა. გემრიელად, მაგრამ ხმაურიანად მიირთმევდა ნებისმიერ საკვებს. ყოველ ახალ სტუმარს შემდეგი სიტყვებით ესალმებოდა – „სლავა ნაციი“ (უკრაინელი ნაციონალისტების მისალმება), დამშვიდობებისას კი აუცილებლად გეტყოდათ: „სმერტ მოსკალიამ“ (სიკვდილი რუსებს).

ვერც ახალი ბინადარი გადაურჩა მასთან საუბარს. ერთხელ, საუზმისას მაგიდასთან მოვიდა, ხელში წვნიანის თეფში და რამდენიმე ნაჭერი თეთრი პური ეჭირა.

– „სლავა ნაციი“, მე პან ანატოლი ვარ. გეტყობა, რომ არ ნერვიულობ. ჩეჩნეთში მიდიხარ? რა გინდა? მოჯაჰედს არ ჰგავხარ. რომელი ქვეყნიდან ხარ? – დააყარა შეკითხვები.

უცნობმა ჭამა შეწყვიტა, ამოიხედა, გაუღიმა და უთხრა, რომ მეგობარმა გააგზავნა ჩეჩნეთში.

– მუსლიმი მეგობარი მყავს, შეიხ ალი-აჰმედის ძმისშვილია, ჩავალ, ვნახავ, იქნებ რაიმე საინტერესო გამოვიდეს ამ საქმიდან. შემდეგ არ ვიცი, რა მოხდება. ვნახოთ, როგორც განგება მოისურვებს. მართალი გითხრა, არც კი ვიცი, სად მივდივარ და ვისთვის, ან რისთვის ვმუშაობ. ალი-აჰმედი დახმარებას დამპირდა.

– 26 წელი გულაგში ვიჯექი, დისიდენტობის გამო. ათას ყლეზე ვარ გადამხტარი და ერთადერთი, რაც კარგად ვისწავლე ამ 26 წლის განმავლობაში, ადამიანის ამოცნობაა. სპეცებიდან არ ხარ, ვინ და რა

ხარ, სულ არ მაინტერესებს. მაგრამ რადგან ესენი გენდობიან, მე მაგრად მკიდია. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ხარ. მთავარია აქ ხარ და ჩვენს საქმეს აკეთებ.

– იცი, ძალიან საინტერესო მოხუცი ხარ, გეტყობა, მართლა დიდხანს იჯექი და ცხოვრებასა და ადამიანებზე შენი აზრი ჩამოგიყალიბდა. კარგია, არავის რომ ენდობი. არავის მოუთხოვია შენთვის და არც არავისთვის ანგარიშის ჩაბარება და არც ვაპირებ. ჩემს შრომაში ფულს არ მიხდიან. როდესაც შენთან გამომაგზავნიან, დიდი სიამოვნებით გესტუმრები და გაგესაუბრები. ჩეჩნეთში თუ გადავეყარეთ ერთმანეთს, იქაც შეიძლება რაიმე გამოვიდეს. სამწუხაროდ, ყოფილი სსრკ-ის ციხეები, ამ ქვეყნის დაშლა და ამის მიზეზების გამოკვლევა არ მაინტერესებს. ადრესატი შეგეშალა. – უთხრა და კვლავ გაუღიმა.

– არა, შენ ვერ მიმიხვდი, მე ჩეჩნეთზე, ჯოჰარზე, აზერბაიჯანზე, კავკასიასა და რუსეთზე მინდა გელაპარაკო. ჩემნაირად ეს საკითხი არავინ იცის. ნუ, კარგი, არ გინდა, ნუ გინდა. მაგრამ იცოდე, ამათ ნამეტანი არ ენდო, ხომ იცი, მუსლიმები არიან. სანამ უჭირთ, გვიყენებენ, შემდეგ ხელი არ აუკანკალდებათ, ისე გამოგჭრიან ყელს. სულ კონტროლის ქვეშ უნდა გყავდეს. ახლა რუსებს ხოცავენ, ეს ჩვენს ინტერესებშია, მაგრამ მერე რა ეშმაკები მოუვათ თავში, ღმერთმა იცის. ახლა შევჭამ და ერთ ფინჯან ჩაის დავაყოლებ. კაი ჩაის აკეთებენ ეს ღვთის გლახები.

პან ანატოლი ძლივს გაჩუმდა. სასადილოში ყველამ შვებით ამოისუნთქა. მოხერხებულად მიუჯდა მაგიდას. გემრიელად შეუდგა წვნიანისა და პურის ჭამას. ისე თქვლეფდა წვნიანს, თითქოს მთელი თვის მშიერი იყო. თან სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა.

სასტუმროში უცნობმა რამდენიმე დღე დაჰყო. მისი ერთადერთი მოსაუბრე პან ანატოლი იყო. ისე, ერთი შეხედვით, საინტერესო ადამიანი გამოდგა. იშვიათად ბანაობდა, ბომჟივით ეცვა. სამხედრო ბუშლატი, დახეული ბოტასები, გაბურძგნილი წვერი და რუხი შარვალი რაღაცნაირ ქარიზმას სძენდა. კოლორიტული ადამიანი იყო, ნამდვილი რევოლუციონერი, რაღაც საერთო ჰქონდა ერნესტო ჩე გევარასთან, თუმცა სოციალისტებს, კომუნისტებს დასანახად ვერ იტანდა. 26 წელი საბჭოთა გულაგში იჯდა. 40 დღეზე მეტი იშიმშილა, სანამ ამნისტია შეეხო და ვადამდე გაათავისუფლეს. ფეხზე ვეღარ დადიოდა. მაგრად ეჯავრებოდა რუსები, მაგრამ თურქები უფრო მაგრად ეზიზღებოდა.

ათას საინტერესო ამბავს მოუყვა ბებერი უცნობს. მაგალითად იმას, რომ გულაგში სიგარეტი და ასანთი ყველაზე ძვირად ფასობდა. ვისაც ეს ორი ნივთი ჰქონდა, მაღალ იერარქიულ საფეხურზე იმყოფებოდა.

80-იანების ბოლოს, ციხიდან როდესაც ათავისუფლებდნენ, სსრკ-ის ხელმძღვანელობაზე ამერიკელებისა და ევროპელების ზეწოლის შედეგად, პოლიტპატიმრების სიაში რამდენიმე კანონიერი ქურდი ჩააწერინა და ახლა ისინი მადლობის ნიშნად ეკონომიურად ეხმარებოდნენ მას და მის მიერ შექმნილ პოლიტიკურ-გასამხედროებულ დანაყოფს, უკრაინის ეროვნულ ასამბლეასა და უკრაინის ეროვნულ თავდაცვის ძალებს.

მოკლედ, ბაქოს მოტელში დროის მარყუჟში მოქცეულებს რაღა დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ბედს შეჰგუებოდნენ. რამდენიმე დღეში ერთხელ, დღე-ღამის სხვადასხვა დროს, ფოიეში სპორტულ ფორმაში ჩაცმული რამდენიმე წვერგაუპარსავი ახალგაზრდა მოდიოდა. სტუმრებს შორის რამდენიმეს გამოარჩევდა და ისინიც გახარებულები მიჰყვებოდნენ ხოლმე მათ. ეს ხალხი უკვე ჩეჩნეთისაკენ მიემართებოდა.

ერთ საღამოს მუქ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი მოვიდა და უცნობს სთხოვა, ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში გაჰყოლოდა. რამდენიმე წუთში უკვე „ნისან პატრულში“ ისხდნენ. ბაქოში, ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში მივიდნენ, რომელიც მონტინის ქუჩაზე მდებარეობდა. იქ რამდენიმე ხანი დაჰყვეს მოსაცდელ ოთახში, რომელიც კაბინეტის წინ იყო.

მდივანი გოგონა უსაქმოდ იჯდა და კომპიუტერზე რაღაც სულელურ თამაშს თამაშობდა. ტელეფონმა დაურეკა. მან ყურმილი აიღო და სტუმარს სთხოვა, ოთახში შებრძანებულიყო.

– ალი გელოდებათ, მიბრძანდით, – უთხრა მომღიმარმა მდივანმა გოგონამ. ისიც წამოდგა სავარძლიდან. ნელა წავიდა კარისაკენ. გოგონამ კარი შეუღო და სტუმარი ოთახში შევიდა.

– სალამ ალეიქუმ, – მიესალმა ოთახში მაგიდასთან მსხდომ რამდენიმე მამაკაცს.

– ალეიქუმ ასალათუ ასალამ, – უპასუხეს მასპინძლებმა და პატივისცემის ნიშნად ოდნავ წამოიწიეს სავარძლებიდან.

ერთ-ერთმა, დაბალმა, კოხტად შეკრეჭილი წვერებით, საუბარი წამოიწყო.

– დაბრძანდი, მე ალი ვარ, აზერბაიჯანში ჩეჩნეთის წარმომადგენელი. ახლა ველაპარაკე ალი-აჰმედს. დღეს გაგიშვებთ. ესენი ჩვენი მეგობრები არიან, გაიცანი, ეს „ჭაღარა სულთანია“, ეს – აბუ-ყასიმი, აჰმედ მაგომედოვი „ზაზას“ ხელმძღვანელია. „ზაზა“ იცი ალბათ, რაცაა.

სტუმარმა ალის შეხედა და თავი დაუქნია. იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდა „ზაზას“ შესახებ. დუდაევის მიერ შექმნილ ამ სპეცსამსახურზე ლეგენდები დადიოდა რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც. მას არ ეგონა, რომ პირველივე სტუმრობისას გაიცნობდა აჰმედ მაგამედოვს. ერთ-ერთი ყვე-

ლაზე საშინელი სპეცსამსახურის უფროსს, აგრეთვე „ჭაღარა სულთანს“, ადამიანს, რომელიც მთელ მოსკოვს შიშის ზარს სცემდა. „ჭაღარა სულთანი“ რუსეთში მოქმედ კრიმინალურ სამყაროში სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობდა, ბევრი კანონიერი ქურდი, ძველი ბიჭი სცემდა მას პატივს. სერიოზული ფულის პატრონი იყო და როგორც ჭეშმარიტი მუსლიმი, თავის შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ჯიჰადს ახმარდა.

ალიმ ბოდიში მოუხადა სტუმარს დაყოვნებისათვის და უთხრა, რომ მის მომავალ თანამგზავრებს ელოდებოდა, ორ იორდანიელ ჩეჩენს, რომლებიც წუთი წუთზე უნდა შემოსულიყვნენ ოთახში. ყველა მხიარულ გუნებაზე იყო. „ჭაღარა სულთანი“ და ახმედი თავშესაქცევ ამბებს ჰყვებოდნენ. უცნობიც იღიმოდა. მართლაც საინტერესო იყო, თუ როგორ შერჩა რამდენიმე ომგამოვლილ ადამიანს იუმორის გრძნობა. მართალია მიუჩვეველი ყურისათვის ზოგიერთი ამბავი არცთუ სასაცილო იყო, მაგრამ როდესაც რამდენიმე ხანი დაჰყოფ ასეთ ხალხთან, მათი შავი იუმორი ერთადერთი დროის გასაქარვებელი საშუალება ხდება.

– გახსოვს, აჰმედ, აფხაზეთში რომ გაგვიშვა ჯოჰარამ?! მე ეგ აფხაზები მუსლიმები მეგონა და მაგიტომ წავედი – თითქოს თავი გაიმართლა „ჭაღარა სულთანმა“. ეგენი კი ურწმუნო კაფერები ყოფილან. გაგრასთან ღორები დავინახე და სროლა ავუტეხე. რამდენიმე მოვკალი. ეგ წარაკუა ჩათლახები, ბებერი აფხაზები ფიწლებით და თოხებით გამომეკიდნენ. არ მომეშვნენ, სანამ ფული არ მივეცი. არა, ჯოჰარაც კაი გამოსირებულია. რა სირი უნდოდა, ყველგან რომ ეტენებოდა.

– ხო იცი, რაც უნდოდა, მანდედან ჩვენ იმდენი იარაღი წამოვიღეთ, ორი-სამი ომი გვეყოფა. თან გაივარჯიშეს ბიჭებმა. ეჰ, აფხაზეთი არ იყო კაი საქმე. ეგენი მაინც რუსებისაკენ იქაჩებიან. სირები არიან, – დაამატა აჰმედმა.

– კაია აქ ყოფნა, მაგრამ საქმე არ ითმენს. წავიდეთ, აჰმედ, დავტოვოთ სტუმრები. ესენი გზაზე არიან, არ შევაწუხოთ, თორემ იფიქრებენ, ეს ჩეჩნები გამოსირებულები არიან, რამდენს ქაქანებენ და იცინიან, იმის მაგივრად, რომ იომონო. – „ჭაღარა სულთანი“ ფეხზე წამოდგა. იღლიაში ხელი ამოსდო აჰმედს, რომელსაც თურმე ერთი ფეხი არ ჰქონდა.

– სადაა ჩემი ფეხი?! იმ დებილმა გოგომ სად დადო? – გაიცინა აჰმედმა.

– ალი, შენი მდივანი მაგარი ნაშაა, მაგრამ მე მგონი, ტვინი არ აქვს და ჩემი ფეხი შენს ასოში შეეშალა. უთხარი, შემოიტანოს, სადმე არ ჩაუვარდეს, სველი ფეხით სიარული არაა კაი საქმე. სადმე არ მოვსრიალდე, – გადაიხარხარა აჰმედმა.

ამის შემყურე, არაბი წითლდებოდა. ეტყობა, ესმოდა რუსული. ფიქრობდა, ამათმა როგორ უნდა აღასრულონ ალაჰის მოძღვრებაო. ამ დროს 9 საათიც შესრულდა, ბოლო ნამაზის აღსრულების დრო დადგა. არაბმა აზანის სიმღერა წამოიწყო.

– ალაჰუ აკბარ, ალაჰუ აკბარ, ალაჰუ აკბარ, ალაჰუ აკბარ, ვაშადუ ალაჰ, ლაი ლა ილ ალაჰ მუჰამადი რასულ ალაჰ, – წარმოთქვა. ფეხზე წამოდგა, წვერებზე ხელი ჩამოისვა. სხვა სტუმრებს გადახედა. თვალით ანიშნა, მორჩითო ყბედობას, ლოცვის დრო დადგაო.

ალი, „ჭაღარა სულთანი“, ცალფეხა აჰმედი რიგში მოეწყვნენ და აბუ-ყასიმს უკან გაჰყვნენ.

აჰმედმა ფეხის გაკეთება ვერ მოასწრო, ხტუნაობით, სიმღერ-სიმღერით გავიდა ოთახიდან. უცნობი ოთახში მარტო დარჩა. მდივანმა გოგონამ ფინჯანი ხსნადი ყავა და ნამცხვარი შემოუტანა.

– მალე შემოვლენ. მოისვენეთ, – უთხრა.

– გმადლობ, გეთაყვა, თქვენი სახელი? – ჰკითხა უცნობმა.

– ალიმ იცის ჩემი სახელი, – ღიმილით მოკლედ მოუჭრა მდივანმა გოგონამ სიტყვა.

– კარგი, ალის ვკითხავ. არაა პრობლემა. არ მგონია, უარი მითხრას. მუსლიმი ხარ? თავშალი რატომ არ გახურავს?

– კი, მუსლიმი ვარ. დედა რუსი მყავს, მამა –აზერბაიჯანელი. არ უთხრა ალის ჩემზე არაფერი. სამსახურს დავკარგავ. ოჯახში მარტო ვმუშაობ. კი არ მიხარია აქ ყოფნა, მაგრამ ...

– რას აკეთებ ამასთან?! ალბათ ინგლისური და კომპიუტერი იცი და ამიტომ აგიყვანა, არ მგონია, ბევრმა მოითმინოს აქაურობა. არსად გაგიშვებს.

გოგონამ ჩაიღიმა.

ძალიან ლამაზი გოგონა იყო. მაღალი, გრძელი ფეხები. ლამაზ მკერდს დეკოლტე ხაზს უსვამდა. მუქი თმა და ცისფერი თვალები მეტად ეხამებოდა ერთმანეთს. არც მეტად გამომწვევად ეცვა. ადრე, ალბათ, მოდელად მუშაობდა. ასაკის მომატებასთან ერთად მოდელის კარიერაც დასრულდა. ახლა აქ, ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში მდივნის ფუნქციას ასრულებდა. რომ გითხრათ, ბევრი საქმე ჰქონდა, ნამდვილად არა, თუმცა დღეში რამდენიმე ოფიციალური წერილის დაწერა და თვითმფრინავის ბილეთების შეძენა მაინც უწევდა.

საკუთარ სექსუალურობას არ აჩენდა. მისი ტან-ფეხის პატრონს ნამდვილად შეეძლო გაეგიჟებინა მრავალი სტუმარი, მაგრამ რადგან ალისთან წარმომადგენლობაში სულ ხალხმრავლობა იყო, მეტად სექ-

სუალური მდივანი თუ თანაშემწე საქმეს არ წაადგებოდა. ძირითადად მუსლიმური ქვეყნებიდან ჩამოსულ მორწმუნეთათვის მეტად არასამუშაო გარემო შეიქმნებოდა. ეს კი ალის პრესტიჟზე ცუდად იმოქმედებდა. არასერიოზული, მექალთანე ბიზნესმენის სახელი მას არაფერში გამოადგებოდა.

ალი, ისევე როგორც სხვა ჩეჩნები, ქალს როგორც ნივთს, საკუთარ ნივთს, ისე უყურებდა და ამიტომ მეტისმეტი ყურადღების გამოჩენა არ შეიძლებოდა. ეს კარგად ესმოდა უცნობსაც და თავად გოგონასაც და ამიტომ ფლირტი მხოლოდ რამდენიმე ქათინაურით შემოიფარგლა.

ბაქოში ქალების პრობლემა საერთოდ არ იყო, მრავალი ჯიშისა და ჯილაგის საუკეთესო წარმომადგენლებს სპეციალური სააგენტოები ნებისმიერი რაოდენობითა და ნებისმიერ ადგილას მოგვაწვდიდნენ, თქვენი სურვილისამებრ.

როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, სააგენტოები ქალბატონებით სამოდელო სახლებიდან მარაგდებოდნენ. თუმცა გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ მრავალი ამ გოგონათაგან ადგილობრივ სპეცსამსახურებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. კომპრომატების შეგროვება კლიენტებზე ასეთი სახის სერვის ჯგუფებისათვის დამატებითი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. ამიტომ, ასეთი სერვისით აზერბაიჯანში დროებით მყოფი სტუმრები სარგებლობდნენ. ალი და მისნაირები კი ცდილობდნენ, კარგად შემოწმებულ ქალბატონებთან დაეჭირათ საქმე. მდივანიც ერთ-ერთი მათგანი გახლდათ.

უცნობმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ აღარ გააგრძელა საუბარი გოგონასთან. თუმცა გოგონას ეტყობოდა, რომ სტუმარმა მასზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ დროს ოთახში ალი შემოვიდა.

– საბინა, სტუმარმა ხომ არ მოიწყინა? – იკითხა.

– არა, ბატონო ალი. – თქვა გოგონამ.

– საბინა კარგი სახელია, – ჩაილაპარაკა სტუმარმა გოგონას გასაგებად. მანაც გაუღიმა. ალიმ ჯერ გოგონას შეხედა, შემდეგ კი სტუმარს გადახედა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა და გოგონას უთხრა, დაგვტოვეო.

– ახლა წახვალთ შენ, აბუ-ყასიმი და კიდევ ორი ახალგაზრდა. გზაში გაიცნობთ ერთმანეთს. თუ რამე დაგჭირდება დაღესტანში, ომარს დაურეკე. აგერ ნომერი. ჩვენი კაცია. ყველაფერში დაგეხმარება. საერთოდ მხოლოდ მოჯაჰედები გადაგვყავს აქეთ-იქით, მაგრამ შენ ალი-აჰმედმა გაგიწია რეკომენდაცია. აბა, სალამ ალეიქუმ, ინშალაჰ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ალაჰს სურს.

ოთახიდან გამოვიდნენ, მისაღებში აბუ-ყასიმი და ორი ახალგაზრდა იდგნენ და მათ ელოდებოდნენ. წარმომადგენლობიდან ერთად გამოვიდნენ. ტაქსიში ჩასხდნენ. არაბი აბუ-ყასიმი, ორი იორდანიელი ჩეჩენი და მათი თანამგზავრი ერთად გაემგზავრნენ აზერბაიჯანის ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის საზღვრის მიმართულებით.

ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა მეტად მოსაწყენი გამოდგა. მძღოლი ადგილობრივი ფოლკლორის შედევრებით ცდილობდა მგზავრების გართობას, თუმცა მომავალ თავგადასავლებზე ფიქრი მხიარულების არავითარ საფუძველს არ იძლეოდა.

რამდენიმე ხანში აზერბაიჯანელმა მძღოლმა მაგნიტოფონი გამორთო და მგზავრებს საკუთარი ნააზრევი გაუზიარა. მაშინ კი ინანეს მეგზურებმა, რომ ჯეროვნად ვერ დააფასეს ადგილობრივი ხალხური მუსიკალური ხელოვნება. მძღოლმა შორიდან დაიწყო მოყოლა. თქვა, რომ აზერბაიჯანში რეგისტრირებულ ერთ-ერთ ისლამურ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მძღოლად მუშაობდა. თვეში დაახლოებით ორასი ამერიკული დოლარი ჰქონდა ხელფასი. რა თქმა უნდა, არ ჰყოფნიდა, რადგან ექვსი პირდაფჩენილი შვილი ელოდებოდა სახლში.

კავკასიელი მუსლიმები მრავალშვილიანები არიან. იშვიათად ვინმე გადაგეყაროთ, რომელსაც ერთი შვილი ჰყავდეს. აზერბაიჯანში ცხოვრება საკმაოდ ძვირია ისევე, როგორც საქართველოსა და სომხეთში და ორასი დოლარი მართლაც არაა საკმარისი ოჯახის შესანახად. ეტყობოდა, რომ ცნობისმოყვარეობა კლავდა, ისე აინტერესებდა მგზავრების ანაზღაურების ოდენობა. ბოლოს ვერ მოითმინა და ჰკითხა:

– თქვენ ალბათ საკმაო თანხას გიხდიან, არა?!

იორდანიელმა ჩეჩნებმა და არაბმა აინუნშიც არ ჩააგდეს აზერბაიჯანელი. ეტყობოდათ, რომ ადამიანადაც არ მიიჩნევდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ის ისლამის მთავარ სწავლებას, ჯიჰადს უარყოფდა.

– მართლა გაინტერესებს? – კითხვა კითხვითვე შეუბრუნა მეოთხე მგზავრმა და მუსტაფას, ასე ერქვა მძღოლს, კეფაზე დააკვირდა.

– ყველაფერი ხელშეკრულებაშია ჩაწერილი, – უპასუხა.

– ეჰ, ხელშეკრულებასაც გიდებენ? – ჩაეკითხა მუსტაფა.

– აბა, ხელშეკრულების გარეშე ვინ იმუშავებდა, – გაეღიმა.

– ამათაც ხელშეკრულება აქვთ? – გააგრძელა მძღოლმა დაკითხვა.

კითხვის გარეშეც კარგად ჩანდა, რომ არაბი და ჩეჩენი თანამგზავრები ფინანსურ პრობლემებს ნამდვილად არ უჩიოდნენ.

ომი დიდძალ თანხებს მოითხოვს და ისლამური ჯიჰადის ლიდერები მდიდარი „მეცენატებისა“ და „კეთილისმყოფელების“ ნაკლებობას ნამ-

დვილად არ განიცდიდნენ. მაგრამ ამაზე მძღოლთან საუბარი და გარჩევა ნამდვილად არ შეიძლებოდა. შესაძლოა, მძღოლი თავს ისულელებდა, შესაძლოა კი არა, დიდი ალბათობით და საერთოდაც აზერბაიჯანის კონტრდაზვერვის წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო. როდესაც მან ევროპელი სტუმარი არაბებს შორის შენიშნა, დააინტერესა, თუ რა უნდოდა მას ჩეჩნეთში. რაიმე ხომ არ გამოეპარათ. ერთია, როდესაც მუსლიმები მიდიან ჯიჰადის საწარმოებლად, მაგრამ სხვაა ევროპა ან ამერიკა, როდესაც ერთვება ომში. ეს კარდინალურად ცვლის სიტუაციას რეგიონში და ამის შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეს ხელმძღვანელობამ.

ასეთ ფიქრებში გართულმა ანაზდად მძღოლისაკენ გაიხედა. მძღოლი სარკეში იყურებოდა და აკვირდებოდა. თითქოს მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა. ან უბრალოდ ცნობისმოყვარეობა კლავდა და მართლა აინტერესებდა თავის კითხვაზე პასუხი.

„ახლა ამასთან ჯობია არ ვილაპარაკო“. – გაიფიქრა. „ზედმეტი ინტერესი არ მჭირდება ჩემი პერსონის მიმართ. არც სიტუაციის დაძაბვა მაწყობს. არაბისაკენ გადავამისამართებ. მომეშვება“, – გაიფიქრა უცნობმა.

– ესენი დღეს გავიცანი. მე ჩემი საქმე მაქვს, ამათ – თავიანთი. – უპასუხა ცნობისმოყვარე აზერბაიჯანელს და აბუ-ყასიმისაკენ გაიხედა.

აზერბაიჯანელმაც მიიხედა არაბისაკენ, მაგრამ ვერ შეჰკადრა საუბრის წამოწყება. არაბი ისეთი სიფათით იჯდა მანქანაში, რომ მასთან საუბრის წამოწყება შესაძლოა აზერბაიჯანელისთვის ძალიან ცუდად დამთავრებულიყო და ამჯობინა, ისევ მასთან გაეგრძელებინა საუბარი, მაგრამ ამჯერად თემა შეცვალა.

– არა, მეც ვიბრძოდი. არ გეგონოს, უბრალო მძღოლი ვარ. ყარაბაღში ვიბრძოდი. იქ არაბებიც იყვნენ, თურქებიც, ჩეჩნებიც. არავინ მიხდიდა არაფერს. სამშობლოსათვის, აზერბაიჯანისათვის ვიბრძოდი... არა, ისლამისათვის, – ჩაასწორა, იფიქრა, არაბმა და ჩეჩნებმა ცუდად არ გამიგონო, ისედაც არაფრად გვაგდებენ და უღირს მუსლიმანებად გვთვლიანო.

– ჰო, ისლამისათვის. მეც მუსლიმი ვარ, მოჯაჰედი.

მგზავრმა ღიმილით შეხედა მუსტაფას. შეამჩნია, რომ პატარა, მსუქან აზერბაიჯანელ მძღოლში რაღაც დიდმა პატრიოტულ-ფუნდამენტალისტურმა გაიღვიძა.

მუსტაფა გაიბღინძა. პერანგის ზედა ღილები შეიხსნა. ფანჯარა ბოლომდე ჩაწია, თითქოს ჰაერი აკლდა. ღრმად ჩაისუნთქა და საუბარი გააგრძელა, ვითომ ვინმეს აინტერესებდა მისი მონათხრობი, ან ნააზრევი. საკუთარ თავს უსვამდა შეკითხვებს, თავადვე პასუხობდა. მოკლედ, მუს-

ტაფა მაგრად ბაქიბუქობდა. სასწაულ ამბებს ჰყვებოდა, როგორ დაამარცხა ერთმა უიარაღო აზერბაიჯანელმა მოჯაჰედმა ათასი სომეხი კბილებამდე შეიარაღებული მეომარი და რაღაც ასეთებს.

საერთოდ, აზერბაიჯანელებს ისედაც უყვართ ბევრი ლაპარაკი, მაგრამ ეს განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. ენას არ აჩერებდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ რუსეთსა და კავკასიაშიც, რა თქმა უნდა, სომხეთის გარდა, მთელი ბაზრები ამათი ჯიშის ხალხითაა სავსე. იმდენს გელაპარაკება, რაიმეს აუცილებლად გაყიდინებს, მაგრამ მუსტაფამ აზერბაიჯანელი ერის მეომარი სახე წარმოაჩინა. ყარაბაღში განცდილ მარცხს მძღოლი მთლიანად ღალატსა და მუხანათობას აბრალებდა, თუმცა არ აკონკრეტებდა, ვინ, ვის, სად, ან როდის უღალატა.

– მოღალატეები რომ არ გვყოლოდა... ვაჰ, განა დავმარცხდებოდით?! ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ლომებივით ვიბრძოდით, ღალატმა წაგვაგებინა, ღალატმა. – წამოიყვირა მუსტაფამ.

აი, ამ დროს კი უმტყუნა მოთმინებამ აბუ-ყასიმს. შეხედა მუსტაფას და მაგარი წაუთაქა თავში.

– ქაქანს შეეშვი და გზას უყურე. გამომივიდა მოჯაჰედი ეს ღორის შვილი.

ალისას და მამჰადს თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვეს. თითქოს სისხლის სუნი იკრესო, მაგრამ არაბმა დააშოშმინა. რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს არაბულ-ჩეჩნურად და ფანჯარაში ყურება და ბუნებით ტკბობა განაგრძეს .

ბაქოში ალიმ უთხრა, საზღვართან ორ-სამ საათში იქნებითო, მაგრამ გზაში იმდენი საგზაო პატრული შეხვდათ, რომ როდესმე თუ მიაღწევდნენ დანიშნულების ადგილამდე, ნამდვილად სასწაული იქნებოდა. ინსპექტორები ყოველ ნახევარ საათში, თუ უფრო ხშირად არა, მაინც აჩერებდნენ მანქანას. მძღოლი მათ საბუთებთან ერთად ფულსაც აძლევდა. ეს საჩუქარი ასე 2-5 დოლარამდე იყო. ამის შემდეგ ინსპექტორი მანქანაში მსხდომებს მშვიდობიან გზას უსურვებდა და სამხედრო სალმით ემშვიდობებოდა. მთელ ტრასაზე თითქმის ერთმანეთზე მიმდგარიყო საჩაიეები, სამწვადეები, პატარ-პატარა მაღაზიები და ბენზინგასამართი სადგურები იყო გაშენებული. ეს სადგურები ზომით პატარა სტადიონს არ ჩამოუვარდებოდა. ისეთი გრანდიოზული და გაჩახჩახებული იყო, რომ დასათვალიერებლად მაინც გაჩერდებოდა კაცი, საწვავის ჩასხმაც რომ არ სდომებოდა. უბრალოდ მგზავრებს ექსკურსიისათვის არა სცხელოდათ და ამიტომ მხოლოდ მანქანიდან აკვირდებოდნენ აზერბაიჯანული არქიტექტურის ამ შედევრებს.

ალაგ-ალაგ მოსწორებულ მდელოებზე, პატარა ბორცვებზე, ცხვრის ფარა ბალახობდა. იქვე მდგარი მწყემსი მანქანებს აკვირდებოდა, რომ არ გამოჰპარვოდა ცხვრის კლიენტი. ცხვარი ცოცხალიც, დაკლულიც, დაფასოებულიც იყიდებოდა. თუ მოგინდება, იქვე აგიშიშხინებენ უგემრიელეს მწვადსაც.

რუსეთის საზღვრთან მიახლოებას ლანდშაფტის მკვეთრი ცვლილებით მიხვდნენ. პატარ-პატარა მდელოები – ტყის მასივებმა, ბორცვები კი მთებმა და კლდეებმა შეცვალეს. კაკლისა და მუხის ტყეები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ძალიან ლამაზი იყო.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საზღვარს, მძღოლი უფრო და უფრო ჩუმად საუბრობდა. მხრებში მოიხარა, პერანგის ღილები შეიკრა.

ასე სიჩუმეში გაიარეს ქალაქი ყუბა და შევიდნენ დასახლებულ პუნქტ იალამაში.

ეს რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე უკანასკნელი მჭიდროდ დასახლებული პუნქტია, რომელსაც ქალაქი შეიძლება ეწოდოს. იალამა ისევე, როგორც მთელი ჩრდილოეთი აზერბაიჯანი, ძირითადად ეთნიკური ლეკებითაა დასახლებული. მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ერთადერთი პრობლემა როდია. აქაც, ჩრდილოეთში, საკმაოდ რთული პოლიტიკური სიტუაციაა შექმნილი. აზერბაიჯანელები და ლეკები ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ლეკი ეროვნების მოსახლეობის რიცხვი რვაასი ათასს აღწევს. ამას ისიც ემატება, რომ რუსეთის ფედერაციაში, დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში ლეკები აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიაზე არიან განსახლებული. საზღვრის ორივე მხარეს მაცხოვრებლებს ერთმანეთთან უვიზო, უპასპორტო მიმოსვლა აქვთ. ადგილობრივი სულიერი ლიდერების ნაწილი ცდილობს, საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ლეკები ერთიანი ისლამური ლეზგინისტანის შექმნის იდეის ქვეშ გააერთიანოს, რომლის დედაქალაქი რუსეთის ფედერაციის წევრი, დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი ქალაქი დერბენტი იქნება.

ეს თუ ასე მოხდა, რუსების რა გითხრათ, მაგრამ აზერბაიჯანელები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ერთი მხრივ, სომხები და მეორე მხრივ, ლეკები. ლეკებს სხვა დაღესტნელებიც მოჰყვებიან და ეგეც შენი აზერბაიჯანი, ნაკუწებად დაიშლება.

მიუხედავად ღამისა, იალამა საზღვრისპირა ქალაქისათვის დამახასიათებელი რიტმით ცხოვრობდა. იქ მრავალი ჯურის ვაჭარი თუ კონტრაბანდისტი, მესაზღვრე და მებაჟე, ტურისტები, მსხვილი და წვრილი ბიზნესის წარმომადგენლები ირეოდნენ.

ადგილობრივი ჩაიხანები კლიენტებით სულ გამოტენილი იყო. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ირანელები, თურქები, ყაზახები, აზერბაიჯანელები და კიდევ ვინ მოთვლის, ოქროს ხიდის გავლით ხვდებოდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. აქედან შედიოდა რუსეთში ისლამური სამყაროს ქვეყნებში წარმოებული მსუბუქი თუ მძიმე მრეწველობის საქონელი, საკვები პროდუქტი, ხილი, ბოსტნეული, ტანსაცმელი. მოკლედ ყველაფერი, რაც გინდა, სულო და გულო. რუსეთიდან გამოჰქონდათ ჯართი, ხე-ტყე, საწვავი და კიდევ ვინ მოთვლის, რა.

პატარ-პატარა მოტელები თურქი და ირანელი ტრაილერის მძღოლების მომსახურებას ვერ აუდიოდნენ. აქ ისევე, როგორც სხვა ქვეყნების სასაზღვრო ქალაქებში, ბევრი იყო ადგილობრივი მეძავიც. თუმცა, არც ერთ მგზავრს გასჩენია სურვილი, რომელიმე მათგანთან ურთიერთობა დაემყარებინა. ჯიჰადში მყოფებს ღმერთი და რწმენა უკრძალავდა ამას. უცნობი სხვა ფიქრით იყო დაკავებული, ამიტომაც ზედაც არ შეუხედავს ბოზებისთვის. უძველესი პროფესიის მანდილოსნები ძირითადად მძღოლებს ემსახურებოდნენ. არც სილამაზით გამოირჩეოდნენ და არც სისუფთავით. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანდა. სხვათა შორის, მომსახურების საფასურიც საკმაოდ მაღალი იყო.

იალამაში მძღოლმა ერთ-ერთ ჩაიხანასთან შეაჩერა მანქანა. მგზავრები მანქანიდან სერიოზული და მკაცრი სახეებით გადმოვიდნენ იმის ნიშნად, რომ შემთხვევით ტიპებს მათთან კონტაქტში შესვლა არ მონდომებოდათ. საბარგულიდან ჩანთები ამოიღეს თუ არა, მანქანა დაბუქსავდა, მუსტაფასთან დამშვიდობება ვერც კი მოასწრეს, ავტომობილი ადგილს მოსწყდა და თვალს მოეფარა ისე, რომ მტვრის კორიანტელი დააყენა.

ჩაიხანიდან დასახვედრად გამოსულ დამხვდურს სახეზე დამცინავი ღიმილი უთამაშებდა.

– სად დამეთესა ეს აზიკი. ბაქოში რაღაც მინდოდა გამეტანებინა, – თქვა.

საშუალო ტანის წვერგაუპარსავი შუახნის მამაკაცი სპორტულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. სპორტულსავე კოსტიუმზე ტყავის ქურთუკი ჰქონდა შემოცმული. თავზე კი სიასამურის ბეწვის ქუდი ეხურა.

გაღიმებულ მასპინძელს ერთი შეხედვითაც შეამჩნევდით, რომ სტომატოლოგს მისი კბილების შესამკობად ოქრო არ დანანებოდა.

აბუ-ყასიმი გულმხურვალედ მიესალმა, როგორც ეს მუსლიმებს სჩვევიათ, მაგრამ ეგრევე უკან გამოიწია. ახალი მასპინძელი ყარდა. მუდმივად ცხვრის ხორცით კვებამ და პირად ჰიგიენასთან მწყრალად ყოფნამ

თავისი დაღი დაასვა მასპინძელს. კიდევ კარგი, ცივა, გაიფიქრა უცნობმა, თორემ რა აიტანდა ამათ ზაფხულში.

შემდგომში, როდესაც მთებისაკენ გადაინაცვლეს, კიდევ ერთი სპეციფიკური, ამჯერად სასიამოვნო სურნელი გახდა მათი თანამდევი, რომ არა ვესტ-ინდური კანაფი, რომლის პლანტაციებიცაა მოფენილი მთელი საზღვრისპირა რაიონი რუსეთსა და აზერბაიჯანში, გამყოლების გადამკიდე, შესაძლოა, აირწინაღიც დასჭირვებოდათ გზის გასაგრძელებლად.

დამხვდურს ჩაიხანიდან კიდევ ორი ტიპი გამოჰყვა. ჩამოსულებს ზურგჩანთები გამოართვეს და შიგნით შეიპატიჟეს.

– სერიოზული ახვრები არიან, – ჩაიბურდღუნა უცნობმა, რადგან ეგრევე შეამჩნია, რომ ლეკები ჩანთების ზედაპირზე ხელებს აფათურებდნენ. ხელით ცდილობდნენ გაეგოთ, თუ რა ტვირთი გადაჰქონდათ მგზავრებს საზღვრის მიღმა. შემდეგ არაბს შეხედა, მიხვდა, რომ აბუ-ყასიმი არ ნერვიულობდა. მისთვის ეს პირველი ამგვარი გადასვლა არ იყო და კარგად იცნობდა უკვე გამყოლებს, მათ ქცევასა და ადათ-წესებს. ხელით ანიშნა თანამგზავრებს, ჯერ თქვენ წადით და თქვენ შემდეგ შემოვალო.

ჩაიხანაში მაგიდას მიუსხდნენ. შუშის საშუალო ზომის გამჭვირვალე ჭიქებით ჩაი მიართვეს. აქაც, ისევე როგორც აზერბაიჯანში და ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნებში, ჩაის განსაკუთრებული კულტია. საუკეთესო არომატის, გემოსა და ფერის ჩაი სწორედაც რომ დროულად მოართვეს. თითო ყლუპის მოსმა და ნატეხი შაქრის მიყოლება მოასწრეს, რომ პასტა და ფურცელმომარჯვებული მიმტანი მოვიდა მაგიდასთან.

– რამეს ხომ არ შეუკვეთთ? გვაქვს... არაბს, ჩეჩნებსა და უცნობს ხმის ამოღება ვინ აცალა. ლეკმა საუბარი გააწყვეტინა ოფიციანტს.

– ქაბაბი, მწვადი, მწვანილი და კოკა-კოლა... და ხორბლის არაყი „სტოლიჩნაია“. ძალიან გვშია, თანაც სტუმრებს ეჩქარებათ. ხომ ხვდები, ვინც არიან და სადაც მიემგზავრებიან. დროზე მოიტანეთ ყველაფერი.

მერე აბუ-ყასიმისაკენ მოტრიალდა და უთხრა.

– აქ ყველაფერი ცხვრისაგან მზადდება, ცხვარი ხომ იცით, რომელია... – რუსულად, დამარცვლით გამოთქვა ბოლო სიტყვა ლეკმა, რომელიც ცდილობდა ხელებისა და მიმიკის დახმარებით ცხვარი წარმოეჩინა და არაბი მიეხვედრებინა, რომ საუბარი მუსლიმანთათვის მისაღებ საკვებზე იყო.

როდესაც მიმტანმა სუფრასთან, საჭმელთან ერთად, რუსული არაყი მოიტანა, აბუ-ყასიმს სიფათი მოეღრიცა. ბოთლისაკენ ხელი გაიშვი-

რა, მაგიდიდან გადაგდებაც კი სცადა, მაგრამ ვერ მიართვეს. ლეკმა ისეთი სისწრაფით სტაცა არაყს ხელი, საცობი მოხსნა, ჭიქაში დაასხა და გადაკრა, რომ ოთხივე სტუმარს გაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა. ლეკი ხელს არ უშვებდა ბოთლს. მარჯვენა ხელით მადიანად შეექცეოდა ჯერ მწვადს, შემდეგ ქაბაბს, თან პირს მწვანილით იტენიდა. მეორე ხელით არაყსა და კოკა-კოლას ასხამდა ჭიქაში და სადღეგრძელოს თქმის გარეშე ყლურწავდა. ამ სცენის შემხედვარე აბუ-ყასიმსაც კი ჩაეღიმა. ხელი ჩაიქნია, ეტყობა იფიქრა, ამათი საშველი არ იქნებაო.

ლეკი საკმაოდ შეზარხოშდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. როდესაც სუფრაზე საჭმელი და სასმელი აღარ დარჩა და ტრაპეზი დასასრულს მიუახლოვდა, ჩაიხანის პატრონმა ანგარიში წარმოადგინა.

აბუ-ყასიმი წყნარად იჯდა მაგიდასთან და ჩაის მიირთმევდა. ალი და მაჰმადი ერთმანეთთან საუბრობდნენ. უცნობმა კი შეამჩნია, რომ მასპინძელი ლეკი ნელ-ნელა წამოდგა მაგიდიდან, ჩაიხანის მეპატრონესთან მივიდა, გაესაუბრა და შემდეგ სადღაც გავიდა. მეპატრონე მაგიდასთან მოვიდა და საწყალი თვალებით დაუწყო ყურება აბუ-ყასიმს. მისი ყურადღება რომ ვერ მიიპყრო, რუსულად უთხრა, თუ შეიძლება გადაიხადეთო.

აი, მაშინ კი აღშფოთდა არაბი. ფეხზე წამოხტა. არ სურდა ალკოჰოლიანი ტრაპეზის საფასურის გადახდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა. ჯიბიდან ასდოლარიანი გააძრო, გადაუგდო მეპატრონეს. ამ დროს ლეკიც შემოვიდა. აბუ-ყასიმი ახლა მას გადასწვდა და მიაძახა, შაიტანიო. თან დამტვრეული რუსულით პატარა ლექცია წაუკითხა.

– იცით, რატომ აკრძალა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა ალკოჰოლით თრობა?! – ლეკი ოროსანი მოსწავლესავით თავჩაღუნული იდგა არაბის წინაშე. ეს ცოდვაა. მუსლიმანისათვის არ შეიძლება დალევა. ეს იგივეა, რომ შაიტანთან ერთად იტრაპეზო.

აბუ-ყასიმი ლექციის გაგრძელებას აპირებდა, ალბათ უკვე მომზადებული ჰქონდა არაერთი ჭეშმარიტი ჰადისი, თუ სურა ყურანიდან, რათა თავის სიმართლეში დაერწმუნებინა ლეკი, რომ ჩაიხანის კარი გაიღო და მებაჟის ფორმაში ჩაცმული მეორე ლეკი შემოვიდა.

– დაშოშმინდით, არ გვინდა ზედმეტი ყურადღების მიქცევა. აქვე ეზოში, მოტელში ნომერი გვაქვს თქვენთვის გამზადებული. შებრძანდით და ცოტა დაისვენეთ. წინ რთული გზა გელით. – თქვა მან.

აბუ-ყასიმმა საუბარი შეწყვიტა. ალის და მამედს გადახედა. თავი ჩაიქნია, ჩანთას ხელი მოკიდა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს. ოთხივე სტუმარი მებაჟეს გაჰყვა და მოტელის ერთ-ერთ ნომერში შევიდა.

გადასვლა

– გავედით, მანქანა მოვიდა. ზევით, მთებში უნდა ავიდეთ. იქიდან კი...

ყველამ თავის ზურგჩანთას დაავლო ხელი. პირველი ლეკი გავარდა გარეთ ოთახიდან. მას სხვებიც მიჰყვნენ. იქვე ძველი რუსული ავტომანქანა „პობედა“ იდგა. ის დაქოქილი ელოდა მგზავრებს. ისეთი ძველი იყო, რომ გამოერთოთ, შესაძლოა ვეღარც დაექოქათ. კორპუსი სულ დაჟანგული ჰქონდა. ერთი მანქანის წონა შპაკლით ძლივს იყო შეკოწიწებული. კარი გააღეს და ძალიან ფრთხილად დახურეს, რათა რაიმე ნაწილი არ ჩამოვარდნილიყო. ჩასხდნენ. მიუხედავად სიძველისა, მოხერხებულად მოკალათდნენ, რადგან საკმაოდ დიდი სალონი ჰქონდა. ძველისძველი, დაჟანგული მანქანა ნელ-ნელა და ხმაურით გაუყვა მთისაკენ მიმავალ გზას. ამ პრეისტორიულ გადასაადგილებელ საშუალებას ენა რომ ჰქონოდა, ალბათ ძალზე ბევრ საინტერესო ამბავს მოუთხრობდა მგზავრებს. სალონში გამონაბოლქვი შემოდიოდა. გათბობა ჩართული ჰქონდათ, მაგრამ ვერ იტყოდი, რომ თბილოდა. მანქანაში, ლეკების გარდა, ყველა აბუზული იჯდა. სიცივე განსაკუთრებით ფეხებთან იგრძნობოდა. შესაძლოა ამის მიზეზი ის CO იყო, რომელიც სალონში შემოდიოდა, შესაძლოა კი – უბრალოდ დაძაბული სიტუაცია, რომელშიც მგზავრები იმყოფებოდნენ. ისე, ფანჯრებიც ჩამოწეული იყო და მთისკენ ასვლისას უფრო და უფრო ყინავდა.

მანქანაში ჩასხდომისას საწვავის ნამწვთან ერთად სალონში ცხვრისა და დამპალი ბოსტნეულის სუნიც იდგა. ეტყობა ამ სატრანსპორტო საშუალებით საზღვრის უკანონო გადამკვეთებთან ერთად სხვა საქონელიც გადაჰქონდათ კონტრაბანდისტებს. საზღვრის სხვადასხვა მხარეს ფასის განსხვავება და განუბაჟებლად გაყიდვა საკმაოდ სარფიანი საქმე იყო. ყველა ამ არომატთაგან ერთი მაინც განსაკუთრებული, სასიამოვნო გახლდათ. ის, სხვა სურნელისაგან განსხვავებით, მეტად დადებით ემოციებს აღძრავდა. მისი ამოცნობა არ იყო რთული. ვესტინდური კანაფის მძაფრი სუნი არაფერში შეგეშლებოდა.

უცნობმა მძღოლს გახედა და შეამჩნია, რომ ის ტარიან პაპიროსს აბოლებდა. აი, სწორედ მძღოლის მიერ მოწეული პაპიროსის ბოლის სუნმა გადაჯოკრა ყველა სხვა. ისეთი ბოლი დადგა, რომ ყველა ფანჯრის ბოლომდე ჩაწევა მოუწიათ. რაც უფრო ზევით ადიოდნენ მთაში, უფრო ყინავდა. მძღოლი კი არ ეშვებოდა ანაშის ქაჩვას. იმხელა ნაფაზებს არტყამდა, გეგონებოდა, ფილტვები კი არა, კომპრესორი უდგასო.

რომ დაინახა, მგზავრი აკვირდებოდა, მოტრიალდა და მასაც შესთავაზა. უცნობმა არ იუკადრისა. ორი ნაფაზი მოქაჩა. საკმაოდ ძლიერი მოსაწევი აღმოჩნდა, მაგრად დაბოლდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა აბუ-ყასიმს. არაბმა რაღაც გადაულაპარაკა ჩეჩნებს და წინა საქარე მინას მიაშტერდა. ალბათ დამოძღვრა, რომ მათ არასდროს მოეწიათ მარიხუანა, თუმცაღა, რამდენად დაუჯერებდნენ ახალგაზრდა მოჯაჰედები არაბს, საკითხავი იყო. ჩეჩნეთის ტყეებში, ომის პირობებში ანაშაზე უარის თქმა ცალკე ვაჟკაცობად უნდა მიჩნეულიყო. თან, ზოგიერთი ისლამელი თეოლოგის თქმით, მარიხუანა სამოთხეშიც კი იზრდება და თავისუფალ მოხმარებაშია, თან, თუ შაჰიდად შეხვედი ღვთის საუფლოში.

დაახლოებით ნახევარი საათი იმგზავრეს და კაკლის ტყის მისადგომებთან შეჩერდნენ. მანქანიდან გადმოვიდნენ. თავ-თავიანთი ზურგჩანთები აიღეს და იქვე, შორიახლოს მდებარე მიწურისაკენ გაემართნენ.

მიწური

მიწური ალბათ ავდრისას მეცხვარეებსა და მონადირეებს თუ უწევდა თავშესაფრის მაგივრობას, რადგან ის არც მუდმივ საცხოვრებლად და არც სააგარაკოდ არ გამოდგებოდა. ნაწილობრივ ქვა-ღორღითა და ქვიტკირით, აგრეთვე გაურანდავი ფიცრებით ნაშენი ქოხმახი გარედან ტალახით, ძროხის ფუნით, ან რაიმე მსგავსით იყო შელესილი. სიცივის მიუხედავად, მყრალი სუნი აშკარად იგრძნობოდა. ხის კარი მრავალი წლის დაუზეთავ ანჯამებზე ეკიდა და გაღება-დახურვისას ისე ჭრიალებდა, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა. ქარი ყველა ხვრელიდან უბერავდა. ჰა, ჰა წვიმისაგან და თოვლისაგან თუ დაიცავდა მგზავრებს. ლეკები ცეცხლის ანთებას არ ჩქარობდნენ. ეტყობა შეშას უფრთხილდებოდნენ, ან ისეთი დაბოლილები იყვნენ, რომ სიცივის გრძნობა ჰქონდათ დაკარგული. არაბი და ჩეჩნები ჯერ კიდევ მანქანაში გაითოშნენ. ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ. ერთმანეთს მიეყუდნენ და ისე, ხმის ამოუღებლად მიეყარნენ იქვე, პატარა ხის სკამებზე.

იქაურობა ზღაპრებში მონათხრობ ყაჩაღთა ბუნაგს ჰგავდა. ხის თაროებზე დიდიხნის გაურეცხავი ჯამ-ჭურჭელი ეწყო. იქვე, კუთხეში რუსული კალაშნიკოვის მოდელის 7-62 კალიბრის ჟანგმოკიდებული, ხის კონდახიანი ავტომატი იყო მიყუდებული.

მებაჟე აფერმა და რუსტამმა ჯგუფი ახალ მასპინძლებს გადააბარეს.

– ახლა წავალ, გავარკვევ, რა ხდება და დავბრუნდები. მანამდე

ესენი მოგხედავენ. არ მოიწყინოთ, მალე დაღესტანში იქნებით. – თქვა აფერმა. რუსტამს ანიშნა, მომყევიო და მიწურიდან გავიდნენ. პობედისკენ გაემართნენ. მანქანა დაქოქეს და გაეშურნენ.

ახალი მასპინძლებიც ლეკები იყვნენ. მათი სახელები არავის მოუკითხავს. ტანმორჩილი, ცხვრის ტყაპუჭში გამოწყობილი ორი მამაკაცი დაბალჭერიან ოთახში თავს საკმაოდ მოხერხებულად გრძნობდა. ისინი ან მწყემსები იყვნენ, ან მონადირეები, შეთავსებით – კონტრაბანდისტები.

– გადი, ძაღლებს აჭამე, თორემ სულ გაგიუდებიან. მე მანამდე მოსაწევს შევაკეთებ და ჩაის დავასხამ.

მეორეც ზანტად წამოდგა, კუთხეში მიგდებული ტომრიდან პურის ზორბა ნაჭერი ამოიღო. იქვე მიგდებულ სპილენძის დიდი ხნის გაურეცხავ, ქონითა და რაღაც შეჭამანდით მოთუთხნილ ქვაბში ამოუსვა და გარეთ გავიდა.

– ხომ არ გცივათ? – იკითხა პირველმა. პასუხი რომ ვერ მიიღო, სამფეხა ტაბურეტზე ჩამოჯდა და ანაშის ტარიანში შეკეთებას შეუდგა. აფერი და რუსტამი მალე მოვლენ. ნუ ნერვიულობთ, ხომ უნდა შეამონმონ ყველაფერი. ერთხელ ერთი ჯგუფი ეგრე შეუმოწმებლად გადავიდა და საზღვარზე ჩაცხრილეს. აბა, აბა...

ლეკის ლაყბობა არც არაბსა და არც ჩეჩნებს არ ადარდებდათ. აბუყასიმი ჩეჩნეთში პირველად როდის გადადიოდა. ალის და მამედს კიდეც უნდოდათ, საზღვრიდანვე ჩაბმულიყვნენ ჯიჰადში. უცნობი კი, ყოველ სიტყვას გაფაციცებით უსმენდა, თუმცა არ იმჩნევდა.

– ერთი ვნახოთ, რას შვრება ის გამოსირებული, ძაღლებმა ხომ არ შეჭამეს. – უთხრა ლეკმა უცნობს.

ორივე ფეხზე წამოდგა და მიწურიდან გამოვიდა.

– და ბევრი ხალხი გადადის და გადმოდის აქეთ-იქით? – შეუბრუნა კითხვა უცნობმა ლეკს.

– სეზონს გააჩნია. – ისე თქვა ლეკმა, თითქოს საკურორტო ზონის სასტუმროს, ან ტურისტული სააგენტოს გამოცდილი მენეჯერი გახლდათ.

– თავიდან იქიდან მოდიოდა ბევრი, ძირითადად ჩეჩნები, დევნილები. ოჯახებით გამორბოდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები. მაშინაც ბევრ ფულს ვაკეთებდით. ახლა აქედან მიდიან. ზაფხულში მეტია მსურველი, ზამთარში ცივა. ახლა გაგვიმართლა. ბევრი მიდის.

– აი, ჩემი ფინიებიც, – თქვა ლეკმა და ხელი გაიშვირა კაკლის ხის ძირში დაბმული ორი უზარმაზარი ქოფაქისაკენ, რომლებიც ხარბად თქვლეფდნენ პურისა და კიდევ რაღაც ნარჩენებისაგან გადალესილ სალაფავს.

მეორე ლეკიც იქვე, კაკლის ხესთან ჩაცუცქულიყო და სიამოვნებით შესცქეროდა ამ სცენას. თითქოს რაღაც მაღალი გემოვნების ფილმს თუ თეატრალურ სცენას უყურებდა.

– აუ, რას კიშკაობენ?! აუ, რა მაგარი ტიპები არიან, – ჩაიბურდღუნა, ეტყობოდა, უკვე მაგარი დაბოლილი იყო და ვერც შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა ორი მამაკაცი.

– დაყლევდი, არა? ბევრი მოწიე? – უთხრა მას ძაღლების სანახავად გამოსულმა.

– არა, ეს მაგარი იყო. აჰა, გასინჯეთ. ჩვენებური არაა. ავღანური მოსაწევია. ერთმა ბარიგამ ჩამოიტანა. გასასინჯად მოგვცა და მერე გადავაგდე. – თქვა და ისეთი სიცილი აუტყდა, რომ ხველებაში გადაუვიდა.

– კარგი, აპარტამენტებში დავბრუნდეთ და იქ გავსინჯავთ. – უპასუხა მეორემ.

ნელი ნაბიჯით გამოემართნენ მიწურისაკენ. უცნობმა შეამჩნია, რომ ორივე ლეკი შეიარაღებული იყო. ერთს უბეში მაკაროვი ჰქონდა გარჭობილი, მეორეს კი – ტეტეს სისტემის პისტოლეტი.

ლეკებმა შეამჩნიეს, რომ უცნობი იარაღს უყურებდა.

– კავკასიის მთები საშიში ადგილია, ფხიზელი და შეუიარაღებელი დიდხანს ვერ გაძლებ, – თქვა ერთ-ერთმა.

– და კიდევ მშიერი, – დაუმატა მეორემ. კარი შეაღო და მიწურში შევიდნენ.

ამინდი გაფუჭდა. ქარი ამოვარდა და კიდევ უფრო მაგრად აცივდა. კარმა უფრო ძლიერად იწყო ჭრიალი. მიწურის კედლების ღრიჭოებიდანაც უკვე სერიოზულად უბერავდა. ერთ-ერთმა ლეკმა ასანთს გაჰკრა და საცეცხლეზე დაწყობილ შეშას მოუკიდა. მეორემ თაროდან გაურეცხავი ტაფა და ცელოფნის პარკი ჩამოიღო. პარკიდან ხორცის ნაჭერი პირდაპირ ტაფაზე გადმოაგდო. ტაფაზევე სახელდახელოდ აქნა ჟანგიანი ხანჯლით და ცეცხლზე შემოდგა.

რამდენიმე წუთში ხორცმა შიშხინი დაიწყო. ტაფა ცეცხლიდან გადმოდგეს. იქვე მიგდებული, გადაბრუნებული ტაბლა გაასწორეს. სახელდახელოდ გაშალეს სუფრა. ტაფა პირდაპირ ტაბლაზე დადეს. მტვრიანი, შუშებჩამტვრეული განჯინიდან გაურეცხავი ჭიქები, ჩანგლები და თეფშები გამოალაგეს. ხელით ანიშნეს სტუმრებს, მოდით, დაგვეწვიეთო და ის იყო პირში პირველი ლუკმა უნდა ჩაედოთ, რომ არაბმა ხელით ანიშნა, შეჩერდითო. ლეკებს თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირათ. თან საჭმელს უყურებდნენ და თან არაბს. ერთი სული ჰქონდათ, როდის იტაკებდნენ პირში ლუკმას. მაგრამ ხვდებოდნენ, რომ მორწმუნე მუსლიმებთან ტრაპე-

ზის წინა ლოცვას ვერ გადაურჩებოდნენ. აბუ-ყასიმმა ლოცვა წარმოთქვა და ამის შემდეგ მასპინძლებიც და სტუმრებიც ერთად შეუდგნენ ჭამას.

ჭამა რომ დაამთავრეს, უკვე ღამე იყო. ამ დროს ქოხში აფერი და რუსტამი შემოვიდნენ. სტუმრებს ისე გაუხარდათ მათი დანახვა, რომ ფეხზე წამოდგნენ და ერთმანეთს მიულოცეს, გვეშველაო.

აფერი და რუსტამი მარტო არ იყვნენ. მათ კიდევ ერთი ლეკი შემოჰყვა – ნაზიმი. ის უკვე რუსეთის საბაჟოზე მსახურობდა. რუსი მებაჟის ფორმაში გამოწყობილი ლეკი მიესალმა მასპინძლებსა და სტუმრებს. ცეცხლთან ახლოს ჩაიცუცქა და ხელის მტევნები მიუშვირა.

– მაგრად ცივა. მთავარია, არ იწვიმოს და არ ითოვოს, თორემ გაგვიჭირდება სიარული. – თქვა და აბუ-ყასიმს შეხედა, – თქვენც მთლად ზამთრისათვის გამოწყობილი არ ხართ. ერთი ჯგუფი, თქვენნაირად ჩაცმული, თოვლის ქარბუქსა და ნამქერში მოყვა, ჰოდა, მერე ეძებდნენ ორი კვირა. გაიყინნენ.

რა თქმა უნდა, თოვლსა და წვიმაში, ტალახში, სიცივეში არავის სიამოვნებს მთებსა და ტყეში ხეტიალი, მაგრამ არაბს ბუნებრივი მოვლენები ვერ შეაჩერებდა. არც ალის და მამედს ეტყობოდათ, რომ მეტად ნერვიულობდნენ თოვლის, წვიმის ან სიცივის გამო. ისინი ხომ ურწმუნოთა გასანადგურებლად მიემართებოდნენ.

– ეს ნაზიმია, თქვენი გამყოლი. ეს გადაგიყვანთ საზღვარზე და შემდეგ დერბენტამდე ჩაგაცილებთ. ახლა, იცოდეთ წესები, თუ ვინმე ჩამორჩება, არ ველოდებით. ვინმე დაიღლება, არ ვეხმარებით. წაიქცა, ფეხი მოიტეხა, ცუდად გახდა, არ იცის ნაზიმმა. ის გზას აგრძელებს. ისედაც მაგრად ვრისკავთ თქვენი გულისათვის. ეს ორი ბიჭიც გამოგყვებათ. არავითარი ფარნები, ცეცხლი და სიგარეტი. მიჰყვებით ნაზიმს. რასაც გეუბნებათ, იმას აკეთებთ. გასაგებია?! – დაასრულა გამოსვლა აფერმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველამ თავი დაუქნია.

– ახლა იარაღს დაგირიგებთ, რა იცით, რაში გამოგადგებათ. დერბენტთან ამ ბიჭებს დაუბრუნებთ და ისე გაჰყვებით ნაზიმს.

იარაღის ხსენებაზე ალის და მამედს თვალები აუკიაფდათ. ყიჟინა არ დაუციათ, რადგან აბუ-ყასიმისა და სხვათა მოერიდათ, მაგრამ როდესაც ლეკებმა AK-47-ის ძველი ხის კონდახიანი ავტომატები ამოალაგეს იქვე, მიწურის კედელთან მდგარი სკივრიდან, ცოტა არ იყოს, შეცბნენ.

– ცოტა დაჟანგულია, მაგრამ მაინც მაგარი იარაღია. – თქვა ნაზიმმა, შეატყო რა, რომ დიდი აღფრთოვანება ვერ გამოიწვია ჩეჩნებსა და არაბში მათმა საგულდაგულოდ გადანახულმა იარაღმა.

7.62 კალიბრის AK-47 მართლაც მაგარი ავტომატია. ყველანაირ პი-

რობებში შეგიძლია იხმარო. უდაბნოსა თუ წყალში, ჰაერიდან თუ მიწაზე. არ გიმუხთლებს. ამიტომაა ის მეტად პოპულარული სრულიად კავკასიაში. უცნობს ბევრი ამბავი ჰქონდა მოსმენილი ამ იარაღზე; ზოგი სიმართლე, ზოგიც მოგონილი, მაგრამ ფაქტია, რომ რუსული წარმოების ეს ავტომატი ერთნაირი პოპულარობით სარგებლობს როგორც მრავალი ქვეყნის რეგულარული ჯარის შეიარაღებაში, აგრეთვე ტერორისტებსა თუ სხვა გასამხედროებულ შეიარაღებულ ფორმირებებში და ამის მთავარი მიზეზი მისი ფასი, ხელმისაწვდომობა და გამძლეობაა.

მიწურიდან გამოვიდნენ. საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით გაუყვნენ ვიწრო ბილიკს, რომელიც გორაკისაკენ მიემართებოდა. დისტანცია ჯგუფის წევრებს შორის დაახლოებით ერთი მეტრი იყო, რადგან უფრო შორს შეიძლება ვეღარც დაენახათ ერთმანეთი. ღრუბლიანი ცა მთვარისა და ვარსკვლავების შუქს არ ატარებდა და სავარაუდოდ, უფრო მაღლა, ტყეში ნისლიც იქნებოდა. დაახლოებით ნახევარი საათი იარეს და ტყის პირს მიუახლოვდნენ. რამდენიმე წუთი შეისვენეს, უფრო სწორად, ზუსტად იმდენი ხანი, რამდენიც პაპიროსის შეკეთებასა და მის მოწევას დასჭირდა. ლეკები თავიანთ ენაზე რაღაცას ბჟუტურობდნენ. კიდევ ერთხელ შესთავაზეს მარიხუანა „ტურისტებს“. მაგრამ ამჯერად ყველა მათგანისაგან მკაცრი უარი მიიღეს. როგორც გითხარით, ამ ადგილას დიდხანს არ შეჩერებულან. გამყოლებს ბრმად მიენდნენ და იარაღასხმულები უღრან ტყეში შევიდნენ.

ახალი ნაწვიმარი იყო, რაც გარკვეულწილად ართულებდა ჯგუფის უხმაუროდ გადაადგილებას, ასე ეგონათ, მათგან გამოწვეული პატარა ხმაურიც კი მთელ ტყეში ისმოდა. მართლაც ასე იყო. პატარა ფიჩხის გატეხვასაც კი ისეთი ჭახანი გაჰქონდა, რომ თავიდან უცნობი საკმაოდ დაიბნა, რადგან ირგვლივ ისეთი სიჩუმე იყო, ხმამაღალი სუნთქვისაც კი მოგერიდებოდა. შიგადაშიგ სიჩუმეს ეული მგლის ან ტურის ყმუილი თუ ჭოტის ან რაღაც მისი მსგავსი ღამის ფრინველის კივილი არღვევდა.

გამყოლთათვის გზის გასანათებელი ერთადერთი საშუალება პერიოდულად ანთებული სანთებელა გახლდათ. ისინი დამაჯერებელი, გამოზომილი ნაბიჯებით, შეუსვენებლად მიიწევდნენ წინ. ჯგუფის სხვა წევრებიც ჩუმად მიჰყვებოდნენ სანთებელას მბჟუტავ ალს. საკმაოდ დიდხანს მიდიოდნენ. ტყიდან გამოსასვლელი კი არ ჩანდა. საათ-ნახევრიანი ტრავესის შემდეგ აბუ-ყასიმმა, როგორც გამოცდილმა საზღვრის დამრღვევმა, პირველმა იგრძნო, რომ ძალიან დიდი დრო გავიდა, რაც მიდიოდნენ. მან შეაჩერა ნაზიმი და დამტვრეული რუსულით ჰკითხა, გზა ხომ არ აგერიაო, რაზეც ნაზიმმა უპასუხა, ყველაფერი რიგზეა, მოგვყევითო.

სამი საათის სიარულის შემდეგ გამყოლები შეჩერდნენ, ერთმანეთში ცხარე კამათის მერე კი გამოტყდნენ, მგონი, გზა აგვებნაო. ამჯერად, აბუ-ყასიმმა პარტიზანული კონსპირაციის ყველა წესი დაარღვია, რომელსაც აქამდე განუხრელად იცავდა. არაბულ ენაზე, თითქმის ყვირილით, ხმამაღალი მორალი წაუკითხა ლეკებს. ისინიც თავდახრილები უსმენდნენ მას; არაბის ნათქვამიდან ერთი სიტყვაც კი არ შესვლიათ დაჩლუნგებულ გონებაში. მხოლოდ თავს უქნევდნენ. ასევე თავდახრილებმა ანაშით შეკეთებული კიდევ თითო პაპიროსი მოწიეს. თითქოს მარშრუტის გახსენებაში მოსაწევმა ხელი შეუწყოო, მხიარულად დაუქნიეს ხელი არაბს და ანიშნეს, აქეთ წამოდითო.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა და ყველას გაუჩნდა ეჭვი, რომ ტყეში უაზროდ სიარული შესაძლოა ცუდად დამთავრებულიყო; ანაშის სურნელთან ერთად, რომელიც უკვე მუდმივი თანამდევი გახდა, ღალატის სუნიც დატრიალდა. რამდენიმე ხანში ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წევრს, ალის, ნერვებმა უმტყუნა. მან ავტომატი გადატენა და ლეკ გამყოლებს შეჰკივლა, აქეთ მოეთრიეთო, მაგრამ გამყოლები თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ისე გაუჩინარდნენ უღრან ტყეში. თავდაპირველად სახეზე სიბრაზისა და დაბნეულობის გამომსახველი მიმიკა ელვის სისწრაფით ერთმანეთს ცვლიდა, მაგრამ მალე ყველა დაშოშმინდა. გაახსენდათ, რომ დაღესტნის უღრან ტყეში სოკოს საკრეფად ან სანადიროდ არ იყვნენ წასული, არამედ – წმინდა ჯიჰადის აღსასრულებლად.

მეთაურობა თავის თავზე მათ შორის ყველაზე გამოცდილმა, აბუ-ყასიმმა აიღო, მან შუაგულ ტყეში საველე-სამხედრო თათბირი მოიწვია. ყველა აცნობიერებდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ლეკი გამყოლების გამო.

ადგილმდებარეობის შესწავლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ, საბედნიეროდ, თითქმის ტყის განაპირას იყვნენ გასულები. ალი მაღალი ხის კენწეროზე აძვრა. იქიდან დაზვერა გარემო და აბუ-ყასიმს მოახსენა, რომ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით საცხოვრებელი სახლებისათვის დამახასიათებელი შუქი მოჩანდა. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ შუქსა და ტყეს შორის აგრეთვე განათებული რუსული სათვალთვალო-საგუშაგო კოშკი მოჩანდა. საგუშაგოსთან სიახლოვემ ახალგაზრდა ჩეჩნების გაღიზიანება გამოიწვია. გაბრაზებულებმა თუ აღტყინებულებმა თავი ვერ შეიკავეს, ჯერ არაბულად, შემდეგ ჩეჩნურად გვარიანად შეიკურთხეს და გაუჩინარებული გამყოლების მიმართულებით ავტომატის ჯერი მიაყოლეს.

ალისა და მამედის ასეთი ქმედება კინაღამ საბედისწერო გახდა

ჯგუფის წევრებისათვის. სათვალთვალო კოშკიდან ჯგუფის მიმართულებით ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნეს და ისინიც დაუყოვნებლივ გაეცალნენ სახიფათო ადგილს. საბედნიეროდ, ტყეში რუსმა ჯარისკაცებმა ხმით ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დაადგინეს და ამიტომ სროლაც უმისამართო გამოდგა. ასე რომ, საპასუხო ცეცხლის გახსნა არც უცდიათ, ჯგუფის წევრები ფეხაკრეფით გაერიდნენ სახიფათო ადგილს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არც რუსმა მესაზღვრეებმა მოიკლეს თავი დევნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ უნდა გასჭირვებოდათ კვლის აღება, რადგან გამყოლების გარეშე დარჩენილი ჯგუფი უაზროდ დაეხეტებოდა ტყეში განთიადის მოლოდინში.

რუსების ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედება იმით აიხსნებოდა, რომ ტყის ამ ნაწილით, სამხედრო დივერსიული ჯგუფების გარდა, ათასი ჯურის კონტრაბანდისტი სარგებლობდა, რუს მესაზღვრეებს მათთან საკმაოდ მჭიდრო ფინანსური ინტერესები აკავშირებდათ და გასროლაც მხოლოდ სამხედრო წესდების მოთხოვნების გათვალისწინებითა და მოვალეობის მოხდის მიზნით იყო განხორციელებული.

ამასობაში კუნაპეტ ღამეს ცისკარი შეენაცვლა. ამის შესახებ პირველებმა ჯგუფის წევრებს ტყის პატარა ბინადრებმა ამცნეს. როდესაც ხეზე ციყვი დაინახა, ალის კიდევ ერთხელ გაუჩნდა ცხოველი სურვილი, გამოეცადა თავისი კალაშნიკოვი, მაგრამ ამჯერად აბუ-ყასიმმა დროული სიმკაცრე გამოიჩინა და იარაღის ხმარება სასტიკად აუკრძალა ახალგაზრდა მოჯაჰედს, თანაც შეახსენა, რომ დილის ლოცვის, ნამაზის, აღსრულების დრო დამდგარიყო.

ნისლი გაიფანტა და მხედველობის არეალი გაიზარდა. საკმაოდ სუსხიანი დილა დადგა. შესაძლოა იმის გამო სციოდათ, რომ თავიდან ფეხებამდე გალუმპულები იყვნენ ნაწვიმარ ტყეში სიარულისა და ტალახში გორაობისგან, ამას ისიც ემატებოდა, რომ ძალიან შიოდათ და ეძინებოდათ.

აბუ-ყასიმმა ახალგაზრდა თანამებრძოლებს ნამაზისთვის მომზადება მოსთხოვა. მათაც, მიუხედავად სიცივისა, ფეხთ გაიხადეს და მათარებში დაგროვებული სასმელი წყლით ფეხები და სახე განიბანეს.

უცნობი იქვე იდგა და მომავალ თავგადასავლებზე ფიქრობდა. იმ დროს შესაძლოა ვერც კი წარმოედგინა, რომ ბედი ამაზე ბევრად უარეს ფათერაკებს უმზადებდა, თუმცა ლეგენდად ქცეულ ბენ-იუსუფთან შეხვედრა ნამდვილად ღირდა ყველაფრად.

მას შემდეგ, რაც არაბებმა ნამაზი აღავლინეს, გადაწყვიტეს, ადგილმდებარეობის დასაზვერად წასულიყვნენ. ამისათვის ტყიდან გამოსვლა იყო

საჭირო. პერიოდულად ცაში რუსული სამხედრო ვერტმფრენები გადაიფრენდნენ ხოლმე. მათი მიზანი რუსეთის ტერიტორიაზე საზღვრის დამრღვევებისა და ჩეჩნეთში მიმავალი ან გამოსული დივერსიული ჯგუფების აღმოჩენა და მათი განადგურება გახლდათ. ისინი ადგილობრივი მესაზღვრეებისაგან განსხვავებით, საქმეს პატიოსნად უდგებოდნენ და საკმარისი იყო ასეთი სახის ჯგუფის ნიშანკვალის აღმოჩენა, ტყვიისა და ცეცხლის წვიმა დაატყდებოდა ხოლმე სავარაუდო დისლოკაციის ადგილს. თუ საჭირო იყო, ბრძოლაში ქვეითი ძალა და ჯავშანტექნიკაც ერთვებოდნენ, რომლებიც დაღესტანში იმ დროისათვის უთვალავი რაოდენობით იყო შეყვანილი.

აბუ-ყასიმმა ტყის განაპირა მხარეს ამაღლებული ბორცვი შეამჩნია და ჯგუფის წევრები ხოხვით მისკენ გაემართნენ. რამდენიმე წუთში მაღლობიდან თვალწინ საზღვრისპირა ქალაქი, დერბენტი, გადაიშალა. მოჯაჰედთა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციაში ორმოცი კილომეტრის მანძილზე იყვნენ შეჭრილი. აბუ-ყასიმმა გადაწყვიტა, ღამემდე მოეცადათ, რადგან ასეთი ჩაცმულობისა და კომუფლირების ადამიანები ადგილობრივ მოსახლეობაში მყისვე აღძრავდნენ საფუძვლიან ეჭვს და რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის იოლი ნადავლი შეიძლება გამხდარიყვნენ.

მაღლობის უკან ჭაობიანი ადგილი შენიშნეს, რომელიც საკმაოდ მაღალი მცენარეებით იყო დაფარული. ღამემდე თავშესაფრად სწორედ ეს ადგილი ამოარჩიეს. ჭაობამდე კვლავ ხოხვით მივიდნენ. იქ კი უკვე შეძლეს წამოდგომა და მაშინ იგრძნეს, რომ სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ჩრდილოეთიდან ცივმა და სუსხიანმა ქარმა დაუბერა, ცეცხლის დანთება არ შეეძლოთ, რადგან ადვილად აღმოსაჩენი გახდებოდნენ, ამიტომ გამუდმებით მოძრაობდნენ. დრო ნელა გადიოდა. საღამოს მოლოდინში თანამგზავრების ერთადერთი გასართობი იარაღის დაშლა-აწყობა გახდა. დღის სინათლეზე კარგად დაათვალიერეს ავტომატები. როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი იმაზე ცუდ მდგომარეობაში იხილეს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ახალსა და ტაოტიანს არავინ ელოდა და ეს მინურში ყოფნისას კარგად იცოდნენ, მაგრამ ასეთ იარაღს შესაძლოა ვერც კი შეესრულებინა თავისი ფუნქცია. ლეკმა გამყოლებმა აქაც თავისებური ეკონომია გააკეთეს და ძველი იარაღი ახლის ფასად „ათხოვეს“ ჯგუფის წევრებს.

დროდადრო ალისა და მამედს გართობას აბუ-ყასიმის მიერ ნამაზისაკენ მოწოდება აწყვეტინებდა. ჩეჩნები საჩქაროდ ჭაობთან ახლოს მდებარე შედარებით სუფთა წყლის გუბურისაკენ გარბოდნენ. ხელ-ფეხს, სახეს იბანდნენ და ლოცვას შეუდგებოდნენ ხოლმე. დილის ნამაზის შესრულება

მეტად გაუჭირდათ, რადგან მოღრუბლულ ცასა და ბინდს ნისლიც ემატებოდა. მეტად რთული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების დადგენა. მუსლიმები მექას მიმართულებით უნდა ლოცულობდნენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად ვერ ხერხდება წმინდა ქალაქისა და მასში არსებული ქააბის ქვის ადგილმდებარეობის მიმართულების დადგენა, მათ აქვთ უფლება, ილოცონ ნებისმიერი მიმართულებით, მაგრამ შემდეგ, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა აანაზღაურონ გამოტოვებული ლოცვა.

სწორედ ასე მოიქცნენ, მიახლოებით დაადგინეს სამხრეთ-აღმოსავლეთი და ამ მიმართულებით ილოცეს.

მზის ჩასვლის შემდეგ, როდესაც აბუ-ყასიმმა და ახალგაზრდა მოჯაჰედებმა ბოლო ლოცვა აღასრულეს, გადაწყვიტეს, დერბენტისაკენ დაძრულიყვნენ. იარაღი საგულდაგულოდ შეფუთეს და იქვე, ჭაობთან ახლოს, მათ მიერ სახელდახელოდ მოწყობილ ადგილას მიმალეს.

ქალაქისკენ გასვლის წინ ტანსაცმლის მოწესრიგებას შეეცადნენ, ტალახი წყლით ჩამოირეცხეს, მაგრამ უმეტესწილად მაინც ღამის სიბნელის იმედად იყვნენ. ბორცვიდან, რომელსაც სათვალთვალო სიმაღლედ იყენებდნენ, სამანქანო გზატკეცილისაკენ სირბილით დაეშვნენ. ის იყო გზატკეცილზე გამოვიდნენ, ქალაქის შესასვლელთან ფედერალური ჯარებისა და ადგილობრივი მილიციის ერთობლივი ბლოკპოსტი შენიშნეს, რომელიც სატვირთო და მსუბუქი მანქანების შემოწმებით იყო დაკავებული. მილიციელები ასეთი სახის „შემოწმებებიდან“ კარგ მოგებას ნახულობდნენ, მსუბუქ მანქანებსა და მათ მძღოლებს ზერელედ თუ აათვალიერ-ჩაათვალიერებდნენ, სატვირთო მანქანებს კი საგულდაგულოდ ამოწმებდნენ. თუ სპეციალური ინფორმაცია არ ჰქონდათ, მსუბუქი ავტომობილის შემოწმებას აზრიც არ ჰქონდა. შეიძლება რაიმე შარში გახვეულიყვნენ. ასეთი რამ რამდენჯერმე მოხდა კიდეც და ძალისმიერი სტრუქტურის წარმომადგენლის დაღუპვით ან დაჭრითაც დასრულდა.

ტრასაზე მომავალი ოთხი ადამიანი, ერთი – არაბულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ორნი – სამხედრო ფორმითა და რუსულთან მწყრალად მყოფნი, ნამდვილად გამოიწვევდნენ მათში ეჭვს და ამიტომ აბუ-ყასიმმა ბლოკ-პოსტისათვის გვერდის ავლა გადაწყვიტა. გზიდან საპირისპირო მხარეს, სახნავ-სათესად გამზადებულ მინდორზე გადავიდნენ და ჯერ ხოხვით, შემდეგ კი სირბილით აუარეს გვერდი ერთ-ერთი სატვირთო მანქანის მძოლთან კამათში გართულ მილიციელებს. გზატკეცილზე კვლავ ზედ ქალაქის შემოსასვლელთან დაბრუნდნენ.

მათ წინ წამოჭიმულმა უზარმაზარმა, პროჟექტორებით განათებულმა ასოებმა აუწყეს, რომ უკვე დერბენტის შესასვლელთან იმყოფებოდნენ.

ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებით თავი არ მოუკლავთ. არც იყო ამისი დრო და არც სურვილი ჰქონდა რომელიმეს. პრინციპში, სანახავი არც არაფერი იყო. ერთადერთი გამოსარჩევი ამ საზღვრისპირა ქალაქში დერბენტის ციხეა, რომელიც იმ მომენტში ამაყად გადმოჰყურებდა ყოფილი საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელ პატარა ქალაქს, უმეტესწილად ეთნიკური ლეკებით დასახლებულს. ტიპური ნაგებობები, კომუნისტური არქიტექტურა, საბჭოთა კვარტალური განაშენიანება, აგრეთვე, ერთი ან ორსართულიანი სახლები ეზოებითა და უამრავი ხეხილით, რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური თუ გასტრონომი, ქალაქის ცენტრში მთავარი მოედანი, ლენინისა და რომელიღაც ადგილობრივი რევოლუციონერის ძეგლითურთ.

ჯგუფის წევრები ქალაქისავე ცენტრში, განათებულ ადგილას, იქვე ჩამწკრივებულ ტაქსებთან სწრაფად, თითქმის სირბილით მივიდნენ და ტაქსის მძღოლს, ადგილობრივი ტარიფების გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალი ანაზღაურების საფასურად მოელაპარაკნენ და მათთვის ნაცნობ მისამართზე მიყვანა სთხოვეს.

მძღოლი ბარგის საბარგულში ჩადებაში დაეხმარა, უცებ ჩასხდნენ მანქანაში და ქალაქის ცენტრშივე მდებარე ერთ-ერთ მისამართზე გაემგზავრნენ. იქ შუაღამისას მივიდნენ. ტაქსის მძღოლი ცდილობდა, ვიწრო, ჩაბნელებული ქუჩებით ევლო, რათა უეცრად ადგილობრივი მილიციის პატრულს არ გადასწყდომოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე უთხრა მგზავრებს. ისინიც უყოყმანოდ დაეთანხმნენ მას. დაღლილებისათვის აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ნახევარი საათით ადრე, თუ გვიან მივიდოდნენ ადგილზე. როდესაც ჭიშკარს მიადგნენ, მძღოლი მკვირცხლად გადმოხტა მანქანიდან, ჭიშკარზე დააკაკუნა. მგზავრები მანქანაში გაყუჩებულები ისხდნენ. ცოტა ხანში კარი უმკლავებო ქურთუკში გამოწყობილმა მასპინძელმა გააღო. მგზავრებს ხელი დაუქნია. უცბად ამოიღეს ბარგიბარხანა მანქანის საბარგულიდან და საკმაოდ ჩქარი ნაბიჯით შევიდნენ ეზოში. მოკლე მისალმების შემდეგ ოჯახის უფროსმა სტუმრები ადგილობრივ დონეზე საუკეთესოდ მოწყობილ სასტუმრო ოთახში, სახლის მეორე სართულზე აიყვანა. უთხრა, რომ დაესვენათ, ხოლო რამდენიმე დღეში ჩეჩნეთში გაამგზავრებდა. მანამდე, სანამ საძინებლებს მოაწყობდნენ, თითო ფინჯანი ჩაი მიირთვეს. შემდეგ კი მათთვის განკუთვნილ საძინებლებში დაბინავდნენ.

უცნობი მოსასვენებლად წამოწვა თუ არა, მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა. გრძელმა, ფათერაკებით აღსავსე ტრავერსმა საკმაოდ გამოფიტა. როდესაც გაეღვიძა, უკვე შუადღე დამდგარიყო. გვერდით ოთახში შეი-

ხედა, რომელსაც მისი თანამგზავრები სტუმრობდნენ, მაგრამ იქ არავინ დახვდა. იფიქრა, ალბათ ეზოში გავიდნენ, ან ლოცულობენ, ან ტრაპეზობენო. აივანზე გავიდა, ფართო კიბით პირველ სართულზე ჩამოვიდა. არც აქ დახვდა ვინმე. ფანჯრიდან ეზოში ფუსფუსი შენიშნა, რამდენიმე თავშლიანი ქალი და გოგონები ეზოს ალაგებდნენ და სხვა საოჯახო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. ოჯახის უფროსი იქვე, ხის ძირას საგანგებოდ მოწყობილ ხის მაგიდასთან იჯდა და ჩაის მიირთმევდა. კარი გამოაღო და ეზოში გამოვიდა, მასპინძელს მიესალმა და ჰკითხა, თუ სად გაქრნენ მისი თანამგზავრები. მან კი უპასუხა, რომ აბუ-ყასიმი იმავე ღამეს დაუკავშირდა დერბენტში მცხოვრებ ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებს და მათი დახმარებით სამივე მოჯაჰედი ჩეჩნეთში გაემგზავრა.

სტუმარმა საღად შეაფასა საკუთარი მდგომარეობა. ბაქოში, ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში გაგებული რამდენიმე დაღესტნელი ავტორიტეტული პირის მისამართი და ტელეფონის ნომრები გაიხსენა. მასპინძელს სთხოვა, დახმარებოდა მათ მოძებნაში და ისიც თავაზიანად დასთანხმდა. სტუმარი ოთახში აბრუნდა, ხოლო მასპინძელმა ტყავის ქურთუკი შემოიცვა და ეზოდან გავიდა.

ცოტა ხანში კადირი, ასე ერქვა ოჯახის უფროსსა და მასპინძელს, ოთახში შემოვიდა, უთხრა, რომ სტუმრის ადგილსამყოფელი დაღესტნელ ავტორიტეტებს შეატყობინა და ორ-სამ საათში ისინი ჩეჩნეთში გაემგზავრებოდნენ. გამგზავრებამდე კი, კავკასიური ტრადიციების თანახმად, სტუმარი ღვთისააო, თქვა და სტუმრის პატივსაცემად გაშლილ სუფრასთან მიიწვია.

სტუმარიც დიდი სიამოვნებით დასთანხმდა, რადგან კარგა გვარიანად მოშიებოდა და მასპინძელს ყველაფრისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა. სუფრას ღარიბულს ნამდვილად ვერ დაარქმევდი. დიასახლისსა და მის ქალიშვილებს ნაირ-ნაირი კერძი შემოჰქონდათ. ძირითადად, ცხვრის ხორცის კერძები, აგრეთვე, სხვადასხვა სახის შემწვარ-მოხრაკული ფრინველი და რძის პროდუქტები დომინირებდა. მასპინძელმა სტუმრის პატივსაცემად არაყიც გამოიტანა და მანაც დიდი სიამოვნებით შესვა რამდენიმე ჭიქა.

ცოტა რომ შეთვრნენ, მათ შორის საუბარი კადირმა წამოიწყო და დაღესტანში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია მიმოიხილეს.

– ჩვენს რესპუბლიკაში ორმოცდათორმეტზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ყველა მათგანს საკუთარი ენა აქვს. ამიტომ ძალიან ძნე-

ლია საერთო ენის გამონახვა. ქალაქში ძირითადი მოსახლეობა ლეკები ვართ, – თქვა კადირმა და განაგრძო:

– ცხოვრობენ ავარელებიც, მაგრამ მათ აქ გასაქანს არავინ აძლევს, რადგან ისინი ჩვენებს მახაჩყალაში ჩაგრავენ. საერთოდ, თუ ოდესმე შეიქმნება დიდი ლეკეთი, მისი დედაქალაქი სწორედ დერბენტი გახდება, – თქვა კადირმა.

– თქვენ ცალ-ცალკე ვერ შეძლებთ რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას, – ჩაერთო სტუმარი.

– არა, ცალ-ცალკე რატომ?! ახლა ჩვენ ლიდერი გვყავს და ის გაგვაერთიანებს. იგი მექაშია ნამყოფი და იქიდან ჭეშმარიტი სწავლება ჩამოგვიტანა, – ამაყად მიუგო მასპინძელმა.

– ჯერ აზერბაიჯანში შევეცდებით ბაზის შექმნას, ავტონომიის სახით, შემდეგ კი ჩრდილოეთისაკენ გადმოვინაცვლებთ.

– საბჭოთა კავშირის დროს დაღესტანი კარგად ფინანსდებოდა, როგორც ფეთქებადსაშიში რესპუბლიკა. მიუხედავად ამისა, ლეკი მამაკაცების უმრავლესობა აზერბაიჯანში ან შუაგულ რუსეთში მიდიოდა სამუშაოს საძიებლად, კარგად, ძირითადად, მხოლოდ სახელმწიფო ჩინოვნიკები ცხოვრობდნენ, მაშინაც და ახლაც, – ამოიხვნეშა მთხრობელმა.

– ადრე მემანქანე ვიყავი. ახლა კი შენნაირი სტუმრების მიღება-გაცილებით ვინახავ ოჯახს. ხომ ხედავ, ორი გასათხოვარი ქალიშვილი მყავს, ფული ხომ მჭირდება. სამსახური არ მაქვს და იძულებული ვარ, ასე ვიშოვო, მაგრამ მალე, ინშალაჰ, ყველაფერი გვექნება, – თქვა ლეკმა და ჩაიღიმა.

სტუმარი აღარ ჩაეკითხა, საიდანო, რადგან იცოდა, არ უპასუხებდა, ისედაც ბევრი მოუვიდა, მაგრამ მიხვდა, რომ დაღესტანში ყველაფერი კარგად არ იყო. ეთნიკურმა და ეკონომიკურმა დაპირისპირებამ დაღესტანი სამ ძირითად ნაწილად გაყო: ლეკური ნაწილი – სამხრეთი დაღესტანი, დერბენტითურთ; ავარული – დაღესტნის ცენტრალური ნაწილი და დედაქალაქი მახაჩყალა; ლაკურ-ჩეჩნური რაიონი – დაღესტნის ჩრდილოდასავლეთი, ნოვოლაკსკი რაიონი და ქალაქი, ხასავ-იურტი, რომელიც თავის დროზე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ეკუთვნოდა, ახლა კი დაღესტნის შემადგენლობაში შედის.

პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებიც ამ სამი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორისაა გადანაწილებული. ავარელები და ლეკები ერთმანეთს ცენტრალურ სატრანზიტო არტერიაზე კონტროლის გამო ედავებიან. ამ გზით შედის რუსეთის ტერიტორიაზე ირანიდან, თურქეთიდან და სხვა ისლამური ქვეყნებიდან მომავალი ტვირთის თითქმის ასი პროცენტი.

ხასავ-იურტელი ჩეჩნები, ლაკები და ავარელები კი კასპიის ზღვაში უხვად მობინადრე ზუთხისა და ხიზილალის ექსპორტის ბიზნესის კონტროლის გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

უბრალო ხელჩართული დაპირისპირებები ხშირად ნამდვილ სამოქალაქო დაპირისპირებამდე და ეთნიკურ შეტაკებებამდეც მიდის ხოლმე. რა თქმა უნდა, უბრალო ხალხმა, კონფლიქტის უშუალო მონაწილეებმა, არც კი იციან, თუ რა არის სისხლის ღვრის გამომწვევი ნამდვილი მიზეზი, ამიტომ ისინი შეუპოვრად იცავენ საკუთარი ავტორიტეტული ლიდერების პოზიციებს.

ტრაპეზმა კარგა ხანს გასტანა. მოსაღამოვდა კიდეც. მასპინძელსაც და სტუმარსაც ძილი მოერიათ. ოჯახის წევრი ქალებიდან მხოლოდ კადირის მეუღლეს ეღვიძა. ქალიშვილები უკვე კარგა ხანია დასაძინებლად იყვნენ წასულნი, თუმცა მანამდე არაერთხელ შემოვიდნენ ოთახში, სადაც ოჯახის უფროსი და მათთვის უცნობი პიროვნება სუფრასთან ისხდნენ და სადილობდნენ.

ჩრდილო კავკასიაში ყოველი მამაკაცი სტუმარი პოტენციური სასიძოა. ამიტომ კადირის ქალიშვილები, ლამაზად ჩაცმულნი, მაკიაჟით სახედამშვენებულები, აივლიდნენ და ჩაივლიდნენ უცნობის წინ. კარგი გოგონები იყვნენ, ასე 17-18 წლის, ქერა თმითა და ღია თაფლისფერი თვალებით; ხორბლისფერი კანი, შედარებით მუქი წარბ-წამწამი, სახის მოყვანილობა და ცხვირის ფორმა ხაზს უსვამდა მათ კავკასიურ, ლეკურ წარმოშობას. უცნობი ცდილობდა, ზედმეტი ყურადღება არ მიექცია გოგონებისათვის, რომ მათ ან მასპინძელს, ან ოჯახის წევრებს, ცუდი ზრახვა არ დაენახათ, ან პირიქით, გოგონების გათხოვების მცირეოდენი იმედის ნაპერწკალი არ გასჩენოდათ. ჩრდილო კავკასიაში გაუთხოვარი გოგოსათვის შეხედვა, ყურადღების მიქცევა თავად გოგონასა და მისი ოჯახის წევრებისათვის სერიოზული გადაწყვეტილების ნიშანია. ასეთ ქმედებას საბოლოო ჯამში ქორწინება ან სისხლის ღვრა მოჰყვება ხოლმე. სისხლის ღვრის მიზეზი ადგილობრივი ადათებისა და ტრადიციების უპატივცემულობაა. „სხვა მამაკაცის მიერ „შეხედულ“ ქალს სახლში არავინ შეუშვებს“, „რადგან „ისე“ შეხედა ე.ი. მისცა ამის მიზეზი“ და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი საჭორაო მასალა შეიძლება მისცეს ერთმა შეხედვამ მეზობლებსა თუ ნათესავებს. საბოლოოდ კი ქალი გაუთხოვარი რჩება და ძირითადად, გაუნათლებელ გოგონებს საკუთარი თავის შენახვა უჭირთ. ისინი ოჯახს კისერზე აწვებიან ზედმეტ ტვირთად. აღარაფრი რომ ვთქვათ გვარის შებღალულ სახელზე. შებღალული სახელი კი შეიძლება წლობით გაჰყვეს. ამიტომ ოჯახის პატრონები საგულდაგულოდ ცდილობენ, დაიცვან საკუთარი ქალიშვილების პატიოსნება.

ერთხელ, საკმაო ხნის შემდეგ, ჩეჩნეთში სტუმრობისას, გროზნოს ერთ-ერთ უბანში, სტაროპრომისლოვსკი რაიონში უცნობს რამდენიმე თვით ერთ-ერთ ოჯახში მოუწია გაჩერება. დღე-დღეზე – დაღესტანში, შემდეგ აზერბაიჯანსა და თურქეთში უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა, როგორც საბრძოლო მოქმედებებისას ხდება ხოლმე, თითო დღე, თითო თვედ იქცა. რუსეთთან პირველი ომი დამთავრებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა. გროზნოს ნაწილი ისლამელ ფუნდამენტალისტებს, ე.წ. ვაჰაბისტებს ჰქონდათ დაკავებული, მეორეს კი სამთავრობო დანაყოფები აკონტროლებდნენ. ამის გამო ჩეჩნეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე, ინგუშეთში, რუსეთსა და დაღესტანში სიტუაცია მეტად გართულდა და ყოველ წამს შესაძლებელი იყო რუსეთთან ახალი ომის დაწყება. ერთადერთი, შედარებით მშვიდი სიტუაცია საქართველოს მიმართულებით დარჩა. ამავე დროს უცნობს ადგილობრივი მოკავშირის პირით მისმა მეგობარმა მუჰამედმა გადასცა, რომ ჩეჩნეთში მისი უფროსი ბიძა, ბენ-იუსუფი უნდა ჩამოსულიყო.

მოკლედ რომ გითხრათ, იმ ოჯახის უფროსი, სადაც უცნობი რამდენიმე დღით მიაბარეს და რამდენიმე თვე შერჩა, მოხუცი მუსლიმი სასულიერო პირი – მოლა, ოჯახში ერთადერთი მამაკაცი გახლდათ. ოთხმოც წელს მიღწეულს სამი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი, გოგონა ჰყავდა. სამირა ასე 14-15 წლის იქნებოდა. ულამაზესი გოგონა, საუცხოო, დახვეწილი ტანფეხით, მაღალი თეძოებით, ღია წაბლისფერი თმით, რომელიც ბოლოებში უქერავდებოდა, უქერავდებოდა კი არა, ოქროსფერში გადასდიოდა. თეთრი, ქათქათა სახის კანი, წითელი, სისხლისფერი, სიცოცხლით სავსე ტუჩები ამშვენებდა, ახალგაზრდული ვადრისფერი დაჰკრავდა ყვრიმალებზე, ლამაზი გრძელი ხელის მტევნები და ნატიფი თითები ჰქონდა. მის ისედაც დახვეწილ გარეგნობას მწვანე თვალები, რომლებსაც იასამნისფერი ლიბრი დაჰკრავდა, იდუმალებასა და მისტიკურობას ანიჭებდა. ის ყოველთვის გემოვნებიანად იცვამდა, განსხვავებით სხვა, მისი ასაკის და არამარტო, გოგონებისა და ქალებისგანაც კი. შესაძლოა, უცნობს სხვა დროს არ მიექცია ყურადღება მისთვის, მაგრამ, როდესაც რამდენიმე თვის განმავლობაში ეზოდან, ეზოდან ვინ ჩივის, ხანდახან სახლიდანაც კი ვერ გადიხარ და ერთადერთი გასართობი იარაღის, ავტომატისა და პისტოლეტის დაშლა-აწყობაა, გონება ანაზდად ითხოვს მოსვენებას. თან როდესაც ირგვლივ მოჯაჰედები, მსტოვრები, იარაღისა და წამლის ბარიგები გახვევია, ათასგვარ მამაძაღლებთან გაქვს საქმე, შესაძლოა რომც არ შეხვდე ვინმეს, ასეთი ილუზიაც კი შექმნა, რომელიც რეალობას ჩაანაცვლებს რამდენიმე ხნით მაინც. სხვა შემთხვევაში, ჭკუიდანაც კი ადვილად შეიძლება შეიშალოს ადამიანი.

სიმართლე ვთქვათ და თავიდან არც შეუმჩნევია გოგონა. დრომაც და სიტუაციამაც ალბათ თავისი ქნა, მაგრამ ის, რომ სამირა მართლაც ულამაზესი იყო, ფაქტია. განსაკუთრებით უხდებოდა გამომწვევად ჩაცმა, რისი უფლებაც მას ოჯახისაგან მიღებული ჰქონდა. რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარ სახლსა და ეზოში, მაგრამ გროზნოში, ჩეჩნეთში, სადაც ეზოებსა და სახლებში სულ სტუმრიანობაა, ყოველ წამში მეზობლები ან ნათესავები შემოდიან, უკვე დიდი მიღწევაა. ბაბუასა და დეიდებს ძალიან უყვარდათ შვილიშვილი და ცდილობდნენ, არაფერში შეეზღუდათ ის. ხანდახან წითელი „ელასტიკებით“, მოკლემკლავიანი, მკერდამოღებული მაისურით, რომელიც მისი სხეულის ხაზსა და ფორმებს მეტად უსვამდა ხაზს, გამოვიდოდა ეზოში და დალაგებას იწყებდა. ძალიან სასაცილო სანახავი კი იყო. სხვა ქვეყნებში ასე ჩაცმული გოგონები კლუბებსა და ბარებში მიდიან ხოლმე გასართობად უიქ-ენდებზე. ჩეჩნეთში კი გართობად სახლისა და ეზოს დალაგება ითვლებოდა.

მიუხედავად ასაკისა, არც არაფერი აკლდა მის ქალურ ფორმებს, არც რაიმე ზედმეტი ჰქონდა. ეშმაკურად გამოიხედავდა, თმაზე ხელს გადაისვამდა, თავს სტუმრისაკენ შემოატრიალებდა, ტუჩის კუთხეს ოდნავ ზევით ასწევდა, შემდეგ ასე, ოდნავ გაიღიმებდა, მოტრიალდებოდა ზურგით, თმის სამაგრს, ან თმის რეზინს დააგდებდა, დაიხრებოდა, შემდეგ აიღებდა. აშკარად უნდოდა სტუმრის ყურადღების მიპყრობა. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, მოსახდენი მოხდა: საუცხოო ფიგურამ და სილამაზემ, ჯადოსნურმა გამოხედვამ და გაღიმებამ თავისი შედეგი მოიტანა. მიუხედავად ადგილობრივი ტრადიციებისა და წესებისა, რომლებსაც აქამდე ყველგან და ყოველთვის განუხრელად იცავდა უცნობი, სამირასკენ მზერა გაექცა, შეხედა და გაუღიმა.

იმ საღამოს სამირა უცნობთან ოთახში პირველად შემოვიდა. არა, მარტო არ იყო, ერთ-ერთ დეიდასთან ერთად. მანამდე, საღამოობით, ყოველთვის დეიდებს შემოჰქონდათ ჩაი ან ყავა, ვახშამი და ტკბილეულობა.

სამირას ხელში ვერცხლის ლანგარი ეჭირა. ლანგარზე პატარა ჩაიდანი, ფინჯანი და ვახშამი იყო გაწყობილი. გოგონა ოდნავ მოიხარა და დაბალ მაგიდაზე ნაზი მოძრაობით გადმოალაგა თეფშზე ლამაზად დალაგებული პურის ნაჭრები, შებოლილი თართი, კარაქი, ჩაიდანი, დაყენებული ჩაითა და ფინჯნებითურთ. სტუმარს გაუღიმა და ოთახიდან გავიდა. უცნობმა თავისდაუნებურად გააყოლა თვალი გოგონას ისე, რომ მადლობის თქმა ვერც მოასწრო. იმ მომენტში ალბათ გაუკვირდა კიდეც, როდესაც ვახშამი გოგონამ მოართვა, მაგრამ უფრო გაუკვირდა დეიდას

მიერ წამოწყებული საუბარი, რომელიც ოთახში დარჩა, თავისთვისაც და სტუმრისთვისაც ჩაი დაასხა.

თავიდან შემოვლითი საუბარი წამოიწყო. იკითხა, რამე ხომ არ სურდა, მეტი ყურადღება ხომ არ სჭირდებოდა სტუმარს. თუ რამე უნდა, შეუძლია მათ ან სამირას უთხრას და კავკასიური ადათების თანახმად, სტუმრისთვის გაუჩენელს გააჩენენ. შემდეგ კი დისშვილის შესახებ დაიწყო საუბარი. თუ რა კარგი გოგოა სამირა, როგორი განათლებული, რომ სულ პატარაობიდან დაუწყო ბაბუამ ძველარაბულის სწავლება და ახლა ის ყურანს თავისუფლად კითხულობს. უბრალოდ კი არ კითხულობს, არამედ ყურანის კითხვის კონკურსშიც იღებს მონაწილეობას, როდესაც ასეთი იმართება; რომ რუსეთში, სტავროპოლის რაიონში ძალიან მდიდარი ბიძა, დედის ძმა ჰყავს. ის რაიონის ყოფილი პროკურორი იყო და ახლა ბიზნესითაა დაკავებული, რომელსაც მე-600 მოდელის მერსედესი ჰყავს. გოგონა აპირებს, ჩააბაროს უმაღლესში, მოსკოვში. ძალიან უყვარს სახლის საქმეები, მეტად პატიოსანია და მოკლედ რომ გითხრათ, საუკეთესო სარძლოა. თავიდან ამ საუბარმა უცნობში მცირე კულტურული შოკი გამოიწვია. კი იცოდა, რით შეიძლება დასრულებულიყო კავკასიაში ქალისათვის შეხედვა, უფრო სწორად, გაგებული ჰქონდა, მაგრამ თუ ასე უცებ, პირდაპირ შეიძლება მომხდარიყო ეს ყველაფერი, ნამდვილად ვერ წარმოედგინა. საკუთარ ფიქრებში იქვე გაამართლა მოსაუბრე ქალბატონი: მართლა ძალიან ლამაზი და საოცარი გოგონაა სამირა და ამაყობს დეიდა. არაფერია დასაძრახი ამაშიო. დეიდა არ ჩერდებოდა, სამირაზე ლაპარაკს როდესაც მორჩა, ახლა საკუთარ თავზე დაიწყო მოყოლა. რომ ის ექიმი, გინეკოლოგია და გინეკოლოგებს ძალიან ბევრი ფული აქვთ. როგორ მუშაობდა პირველ ომამდე სამშობიაროში, ახლა კი კერძო პრაქტიკა აქვს. მეორე დეიდაც არ დაავიწყდა. ისიც კომერციით იყო დაკავებული და პარფიუმერიით ვაჭრობდა. თან რანდენიმე ენა იცოდა – თურქული, არაბული. ხანდახან თარჯიმნადაც მუშაობდა.

ბაბუას რაც შეეხებოდა, ის ხომ მთლად პატივსაცემი ადამიანი იყო ჩეჩნეთში. მისი წინაპარი იმამ შამილის ნაიბი იყო, მათი გვარის მამაკაცების უმრავლესობა კი – მოლები. ბაბუას ერთ-ერთ პირველს ჰქონდა შესრულებული ჰაჯი და ეს მის ავტორიტეტს კიდევ უფრო ამაღლებდა.

ასე რამდენიმე დღე გაგრძელდა. სამირას უკვე ვახშამთან ერთად, სადილიც და საუზმეც შემოჰქონდა, ნაზად დააკაკუნებდა კარზე. როდესაც უცნობი იკითხავდა, ვინ იყო, ის კი პატარა ბავშვივით, მესამე პირში პასუხობდა: ეს სამირაა, საუზმე, სადილი ან ვახშამი მოგიტანა. უცნობს ეღიმებოდა, სამირაც ამოხედავდა, გაუღიმებდა და ჩქარა გავიდოდა

ოთახიდან. ყოველდღე ახალ-ახალ ტანსაცმელს იცვამდა. აშკარად ცდილობდა, რომ თავი მოეწონებინა.

როდესაც უცნობი დილას ეზოში გავიდოდა, სამირა ეზოს დალაგებას იწყებდა. შუადღეს დეიდებს ეზოში, ფანჩატურში მოწყობილ ღია სამზარეულოში სადილის მომზადებაში ეხმარებოდა. მაგრამ თვალი სულ უცნობისაკენ ეჭირა. საკმარისი იყო უცნობს ამ დროს შეეხედა და მათი მზერა გადაკვეთილიყო, თმას გაისწორებდა, მიატოვებდა საქმეს და სხვა რამით კავდებოდა.

ერთ, მეტად თბილ, მთვარიან საღამოს უცნობს კვლავ დაუკაკუნეს კარზე. მან ავტომატი, რომლის დაშლა-აწყობით იქცევდა თავს, გვერდზე გადადო. თავისდაუნებურად სარკესთან მივიდა, წვერზე ხელი ჩამოისვა, თითქოს შეისწორა, პერანგიც გაისწორა, ღრმად ჩაისუნთქა და კარის სახელური ჩამოსწია. ამჯერად, რატომღაც არ იკითხა, ვინ არისო. გაღიმებულ უცნობს კარის მიღმა ორი ქალბატონი, სამირას ორი დეიდა დახვდა.

– დღეს კარგი ამინდია, გარეთ, ეზოში ხომ არ დალევდით ჩაის? – იკითხა ერთ-ერთმა.

– დიდი სიამოვნებით, მართლაც საუცხოო საღამოა, – ცოტათი დაბნეულმა უპასუხა დამხვდურმა. შემდეგ მიტრიალდა, სარკესთან შეისწორა ტანსაცმელი და ქალბატონებს გაჰყვა.

ეზოში, კაკლის ხის ქვეშ მაგიდა იყო გაშლილი. ვახშამი უკვე მზად იყო. სამირამ ჩაიდანი მოიტანა და ჩაის ჩამოსხმა დაიწყო. მაგიდასთან მისი მოხუცი ბაბუაც მოვიდა. სტუმარს მიესალმა და ისიც, კავკასიური ადათის მიხედვით, ფეხზე წამოდგა და მხოლოდ მას შემდეგ მიუჯდა მაგიდას, როდესაც მოხუცი კარგად მოკალათდა. მაგიდასთან საშუალო ზომის ტუმბო იდგა, ტუმბოზე – ტელევიზორი, რომელშიც ჩეჩნური საინფორმაციო გადაცემა გადიოდა. საინფორმაციოში დიქტორი გეოპოლიტიკურ ვითარებასა და ადგილობრივ ახალ ამბებზე ჰყვებოდა. ადგილ-ადგილ მოწვეული სტუმრები სტუდიიდან ახალ თეოლოგიურ კვლევებსაც აცნობდნენ საზოგადოებას. მოხუცს მეტი არც გამოუხედავს სტუმრისაკენ, ტელევიზორს მისჩერებოდა, ქალებისაგან განსხვავებით, რომლებიც მის იქ ყოფნაში მხოლოდ მაგიდასთან შორიახლოს მოძრაობდნენ, სუფრაზე მიმდინარე მოვლენებზე მეტად ჩეჩნეთის ირგვლივ შექმნილი ვითარება აინტერესებდა. რამდენიმე ფინჯანი ჩაი დალია, მსუბუქად წაიხემსა და სუფრა დატოვა. ამჯერადაც ფეხზე წამოდგა უცნობი, დაემშვიდობა ოჯახის უფროსს და კვლავ მიუჯდა მაგიდას.

მთელი ამ დროის განმავლობაში არც ერთი ქალი მაგიდასთან არ დამჯდარა. ისინი შორიდან უყურებდნენ, რამე არ მოჰკლებოდა სუფრას,

მხოლოდ ჩაიდანი გაჰქონდათ, ამატებდნენ ჩაის ნაყენს და ისევ სუფრაზე დგამდნენ.

მას შემდეგ, რაც მოხუცი სახლში შევიდა, ერთ-ერთმა დეიდამ თავს უფლება მისცა, დამჯდარიყო, ხოლო მეორე – სახლში შევიდა და ცოტა ხანში დიდი, ხისგან დამზადებული, ლაქით შეღებილი პრიალა ყუთით ხელში გამოვიდა. მას აგრეთვე სამირა გამოჰყვა, რომელიც იმ მთვარიან თბილ საღამოს განსაკუთრებით ლამაზი იყო. გრძელი, მუქი მწვანე, პერლამუტრით გაწყობილი, ტანზე შემოჭერილი ღრმა დეკოლტეიანი კაბა ეცვა. ღამის მიუხედავად, ეზოს განათება და სავსე მთვარეზე მწვანე კაბა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის მწვანე თვალებს, რომლებშიც სინათლე ირეკლებოდა. ფოცხვერივით ან კატისებრთა ოჯახის რომელიმე სხვა წარმომადგენელივით გამოემართა მაგიდისაკენ. ფეხსაცმელები – საკმაოდ მაღალ ქუსლებზე; ხასხასა წითელი ტუჩის საცხი მეტ ეროტიკულობას მატებდა მის ღიმილს. ლამაზად აწყობილ თმას ასევე ლამაზი პერლამუტრის რამდენიმე თმის სამაგრი უმაგრებდა. ბრილიანტის საყურეები, ოქროს სამკაულები, გემოვნებიანი მაკიაჟი მეტად უხდებოდა. მისი შემხედვარე ნამდვილად ვერ იტყოდი, რომ შენ წინაშე 14-15 წლის გოგონა იდგა. თითქოს ქორწილში ან სადმე, წვეულებაზე აპირებდა წასვლას. თავიდან ასეც იფიქრა უცნობმა, მაგრამ როდესაც გოგონა მაგიდას მოუახლოვდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ სამირა მის მოსახიბლად იყო გამოწყობილი. ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა, უფრო სწორად, დაძაბული იყო, თუმცა ცდილობდა, სტუმარს ეს არ ეგრძნო.

რამდენიმე წამი უცნობმა თვალი ვერ მოსწყვიტა გოგონას. ამ მშვენიერ სანახაობას, სამირას თმაზე და კაბაზე მთვარის ათინათინის კიაფიც უწყობდა ხელს. გოგონას სილუეტი ათას ერთი ღამის მშვენიერ შეჰერაზადას გაგახსენებდა. მისი სუნამოს ნაზი სურნელის გრძელი შლეიფი იმდენად მიმზიდველს ხდიდა მას, რომ უცნობი ფეხზე წამოდგა და სკამი გამოუწია, თუმცა კი იცოდა, რომ ასეთი თავაზიანობა ქალის მიმართ ისლამურ კულტურასა და ტრადიციებში მიღებული არ არის.

– მოდი, დაჯექი, – თითქოს საკუთარ სახლში იყო ან სადმე ევროპაში, მეტად ცნობილ რესტორანში. რამდენიმე ხნით კიდეც დაავიწყდა, რატომ, საიდან, რისთვის მოხვდა ჩეჩნეთში და საერთოდ ყველაფერი. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც სამირამ უარი უთხრა.

– არა უშავს, ვიდგები. დღეს მთელი დღე ვიჯექი, ვკითხულობდი და არ დავღლილვარ.

უცებ უცნობმა სამირას დეიდებს გახედა, რომლებსაც უზარმაზა-

რი ყუთი უკვე მაგიდაზე დაედოთ, თავიც აეხადათ და თვალებდაჭყეტილი უყურებდნენ მათ წინაშე გამართულ სცენას.

– კარგი, სამირა, ჩვენ მივხედავთ სტუმარს, შენ წადი, დაისვენე, დაიძინე, ხვალ ბევრი საქმე გაქვს ეზოში.

როდესაც დეიდამ საუბარი დაასრულა, სამირა უცნობისაკენ მოტრიალდა და უთხრა: – შეგიძლია, ხვალ დამეხმარო ცოტა ეზოს მილაგებაში, ბაბუა უკვე მოხუცია და აღარ შეუძლია ფიზიკური შრომა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა უცნობმა, – რომელ საათზე?

– საუზმის შემდეგ, – გაუღიმა სამირამ. ღამე მშვიდობისა უსურვა, ნაზად ჩაიკისკისა და სახლისაკენ წავიდა.

ამჯერად კიდევ უფრო დაიბნა უცნობი. თუ აქამდე ცდილობდა, შეენარჩუნებინა თავდაჭერილობა, ამჯერად ვეღარ შეძლო. ფეხზე ამდგარმა გააყოლა თვალი გოგონას. ქუსლები, კოჭები, ფეხები ... არც ერთი ადგილი არ დარჩა, სადაც არ შეუხედავს. თითქოს ზომავდა, წონიდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა. გოგონაც ალბათ გრძნობდა, რომ უყურებდნენ და ნაბიჯი შეანელა. ასე, ნელი სვლით, ნაზი მიხრა-მოხრით მივიდა კარამდე. ხელის მტევნის ნაზი მოძრაობით შეაღო კარი, კვლავ ესროლა მომღიმარი მზერა უცნობს და სახლში შევიდა.

– დაბრძანდით, მიირთვით ჩაი და ტკბილეული, – მას კი ამ დროს, თითქმის ტრანსში წასულს, დეიდას ხმა ჩაესმა, რომელმაც რეალობაში დააბრუნა...

– უკაცრავად, ჩავფიქრდი, – დაბნეულმა უპასუხა დეიდას უცნობმა, თითქოს თავს იმართლებდა. – რაღაც გამახსენდა. არა უშავს. ახლავე გადავიღებ ნამცხვარს. დარწმუნებული ვარ, ძალიან გემრიელია.

– აღარ მინდა ამ გოგოზე ფიქრი, – გაიფიქრა, ახალი წინადადების წარმოთქმაც დაიწყო და იმავე დროს დეიდებმა თითქმის ერთდროულად თქვეს: – სამირას გამომცხვარია. ორივეს გაეღიმა.

უხერხული სიტუაციის განმუხტვა მეორე დეიდამ სცადა.

– ეს სამირას სამკაულია. სამზითვოა, რომელსაც გავატანთ, როდესაც გათხოვდება. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა რელიგიას. მთავარია, სამირას მოსიყვარულე მეუღლე შეხვდეს. თან საუბრობდა და თან ყუთიდან ნაირ-ნაირ სამკაულებს ალაგებდა მაგიდაზე. ოქროს, ბრილიანტის ერთმანეთზე მშვენიერი ხელოვნების ნიმუშები მართლაც ლამაზი და განუმეორებელი იყო და ალბათ ძალიან ძვირიც ღირდა. ჩეჩნეთში ქალები და გოგონები ოქროსა და ბრილიანტის გარდა ყველაფერს უკადრისობენ. საერთოდ, ალბათ სხვაგანაც ასეა, თუმცა ისლამურ სამყაროში ოქროსა და ბრილიანტის მოყვარეობა განსაკუთრებულ ხარისხშია აყვანილი.

ამასთან ერთად, ეტყობა, სამირას ბაბუა ან ბიძა მართლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც რუსეთში, ასევე ჩეჩნეთში, თორემ ამ ქვეყანაში ბევრად ნაკლები რაოდენობის ოქროსა და ბრილიანტის გამო მოუტაცებიათ, უწამებიათ და მოუკლავთ ხალხი.

ძველებური ოქროს ნივთები, ოქროთი მოვარაყებული ხანჯლები, დამბაჩები საქორწილო საჩუქრის ერთი ნაწილი იყო. ახლა მეორე დეიდა დაიძრა სახლისაკენ და ფაიფურის ჭურჭლის გამოტანას შეუდგა. ამაზე კი უკვე გაეღიმა სტუმარს, თუმცა მისი მზერა სახლისაკენ იყო მიმართული, საიდანაც შესაძლოა გოგონას ფანჯრიდან გამოეხედა. ეს ერთი შეხედვა მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე მთელი ჩეჩნეთის ოქრო-ვერცხლი თუ ავლადიდება.

დეიდები არ ჩერდებოდნენ, რიგრიგობით შედიოდნენ სახლში და გამოჰქონდათ ათასგვარი მდიდრული ნივთი და სხვა სიმდიდრე. იმდენი ოქრო-ვერცხლი და ძვირფასეულობა გამოიტანეს, რომ ერთ დიდ საიუველირო მაღაზიას ანდა მუზეუმს ეყოფოდა გამოსაფენად. სამკაულების დათვალიერების შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანი ისაუბრეს სამირაზე, მის განათლებაზე, თუ როგორ დაეხმარებოდნენ გაუთხოვარი დეიდები და ოჯახი დისშვილსა და მის მომავალ მეუღლეს ფინანსურადაც და ყოველმხრივ. შემდეგ ცოტა პოლიტიკაზე, ამინდზე ისაუბრეს და სხვა არამნიშვნელოვან თემებსაც გადასწვდნენ.

როდესაც ჩათვალეს, რომ ყველაფერი აჩვენეს, უთხრეს და აღარაფერი დარჩათ არც სათქმელი და არც საჩვენებელი, დაემშვიდობნენ მას და თითქოს მოსაფიქრებელი დრო მისცეს. მარტო დატოვეს მაგიდასთან ისე, რომ არც აულაგებით. ერთადერთი, რაც დეიდებმა მეტისმეტად ჩქარა და ცალყბად თქვეს ის იყო, რომ გოგონას დედა პირველ მეუღლეს გაცილებული იყო და მეორედ გათხოვდა. ამ ქორწინებიდან მას მეორე შვილი ჰყავდა და ამიტომ იზრდებოდა სამირა დეიდებთან და ბაბუასთან. უცნობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა ჩეჩნეთში ეს საკმაო საფუძველი იყო სამირას ოჯახში არშესაშვებად.

იმ ღამეს ალბათ მოხუცი ბაბუას მეტს არავის ეძინა. სამირას ალბათ ერთი სული ჰქონდა, დილა გათენებულიყო, რათა უცნობი დახმარებოდა ეზოს დალაგებაში და ბოლოს და ბოლოს ერთად მოხვედრილიყვნენ მარტო, სადმე ეზოს კუთხეში. დეიდები დისშვილის მომავალს არჩევდნენ. უცნობი კი, რომელიც ნატრულობდა, დროზე შეხვედროდა ბენ-იუსუფს, რათა დაეტოვებინა ჩეჩნეთი, გროზნო, ეს ოჯახი და ბაქოში ან მეტ-ნაკლებად ცივილიზებულ სამყაროში მოხვედრილიყო, ახლა უკვე საპირისპიროს ფიქრობდა.

ბევრმა აზრმა გაუელვა თავში. გარკვეულწილად შეეცოდა კიდეც ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ყველაფერზე მიდის, რათა გოგონა ადრეულ ასაკში გაათხოვოს, ნაკლები საზრუნავი, რომ ჰქონდეს.

სამირას შემთხვევაში ეს შესაძლოა ასე არც იყო, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ქალიშვილის გათხოვება არაა ადვილი საქმე. საჭიროა, ქალის ოჯახი ფინანსურად შეძლებული იყოს, ან მართლაც მზეთუნახავი უნდა იყოს გოგონა, რომ მისმა სილამაზემ თვალი მოსჭრას პოტენციურ სასიძოს. ამავდროულად, აუცილებელია, რომ გოგონა ქალიშვილი გათხოვდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მშობლები სასიძოსა და მისი ნათესავების წყრომას ვერ გადაურჩებიან. წყრომა რბილი ნათქვამია, საქმე შეიძლება მკვლელობამდეც მივიდეს და თან ეს ის შემთხვევაა, როდესაც სარძლოს ნათესავები სისხლის აღებასაც ვერ შეძლებენ. ვერავინ, ვერც ჯამაათი, ვერც შარიათის სასამართლო, ნათესავები, მეზობლები და სოფლის ან ქალაქის მოსახლეობა მათ ვერ და არ გაამართლებს.

ამის გამო ჩრდილო კავკასიაში გარკვეული სახის, როგორც დრომ აჩვენა, პლასტიკური ქირურგიის მეტად სარფიანი მიმართულება განვითარდა. თუმცა ყველაფერი უკანონოდ, ჩუმად, მეტად კონსპირირებულ პირობებში სრულდებოდა. რამდენადაც საოცარი და სასაცილო უნდა იყოს, პლასტიკურმა ქირურგებმა, რომლებიც ქალებისათვის საქალწულე აპკის აღდგენით იყვნენ დაკავებულნი, სამართალდამცავებზე, ადგილობრივ ავტორიტეტებსა თუ რელიგიურ ლიდერებზე მეტი ქალი თუ მამაკაცი გადაარჩინეს უეჭველ სიკვდილს.

ოპერაციები ჩრდილო ოსეთის ან სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე სრულდებოდა. თუმცა ქირურგების ემისრები მუსლიმურ რესპუბლიკაში ხსნიდნენ სხვადასხვა სახის პლასტიკური ქირურგიის მცირე, საიდუმლო კაბინეტებს. ოპერაცია და კონსპირაცია ფიზიკურად გადარჩენის ასპროცენტიან გარანტიას არ იძლეოდა. სასიძოს ოჯახები სპეციალურ გამომძიებლებსაც კი ქირაობდნენ ხოლმე, რათა დაედგინათ, ნამდვილად ქალიშვილი იყო სარძლო თუ მას აღდგენის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. თუ გოგონა გათხოვებამდე რამდენიმე ხნით ადრე გასული იყო რესპუბლიკის ტერიტორიიდან, ეს გარკვეულ ეჭვს ბადებდა.

ამის შემდეგ გამომძიებელი ადგენდა, თუ სად, რამდენი ხნით და ვისთან ერთად იყო წასული ახალგაზრდა ქალბატონი. ღმერთმა არ ქნას და გამომძიებლის მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სასიძოს ნათესავებს ეჭვი შეჰპარვოდათ რაიმეში. ამ შემთხვევაში სასჯელი უფრო მეტად საშინელი იყო. ერთია, როდესაც საქონელი გაფუჭებულია და უარესი, როდესაც ამას მალავ და გასაღება გინდა. მომავალ

რძალს კი სწორედ როგორც საქონელს, ისე უყურებდნენ და არა, როგორც ოჯახის წევრს.

მაღალი მოთხოვნის და მიწოდების პირობებში ქალის ორგანიზმში ეს უბრალო, რამდენიმეწუთიანი, უმარტივესი პლასტიკური ჩარევა ჩეჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიაზე ბევრად მეტი რისკის შემცველი ბიზნესი იყო, ვიდრე იარაღით, ანდა მძევლებით ვაჭრობა. ამის გამო, ბიზნესში მხოლოდ მეტად გაბედულები დარჩნენ. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალიშვილობის დამდგენი ოპერმუშაკების, აღდგენილი ქალიშვილების, აღმდგენებისა და შუამავლების წინააღმდეგ ჩატარებული ეგზეკუციებისა და სადამსჯელო ოპერაციების მიუხედავად, ისლამისა და მომავალი მეუღლის წინაშე ჯგუფური დანაშაულის ჩამდენთა რიცხვმა არ იკლო.

ამასთან ერთად, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც თეოლოგიური მმართველობაა, ან უბრალოდ რელიგიური ფუნდამენტალისტები სჭარბობენ, აკრძალულია აბორტი. თუმცა, ქალთა კონსულტაციები, მეან-გინეკოლოგიური კაბინეტები, ათასი ჯურის ექიმბაშები თუ სასულიერო პირები ადრეული ფეხმძიმობის პერიოდში, პირველსავე ტრიმესტრში, ნაყოფის სქესის დადგენით არიან დაკავებული.

ექიმების, ექიმბაშების, ბებიაქალების, ჯადოქრების, მოლების ერთ-ერთი შემოსავლის წყარო სწორედ ეს და ამის შემდეგ კი – არასასურველი ნაყოფის, მუცლადმყოფი გოგო ბავშვების ჯადოების, შელოცვების, სახლის პირობებში დამზადებული შხამ-საწამლავების საშუალებით მოცილებაა. კლიენტები, სამწუხაროდ, არც მათ არ აკლდათ, რადგან როგორც ზევით მოგახსენეთ, ნამდვილად არაა ადვილი ჩრდილო კავკასიაში ცხოვრება და მით უმეტეს, გოგონასათვის. ის ადამიანად მხოლოდ მაშინ ითვლება, თუ მისი მშობლები მეტად ძლიერი გვარიდან, ოჯახიდან, ტეიპიდან არიან, ან რელიგიური-სულიერი ლიდერის ნათესავი, ან შვილი და შვილიშვილია.

ყოფილა ბევრი შემთხვევა, როდესაც ექიმბაშს ან ჯადოსანს შეშლია სქესის დადგენა და გოგოს მაგივრად მუცლადმყოფი ბიჭი მოუკლავს. ბევრი ისეთი შემთხვევაც იყო, როდესაც თავად დედაც გადაჰყოლია ამ საშინელ პროცედურას, მაგრამ ძირითადად, ასეთი ფაქტები გამოსასყიდის გადახდით გვარდებოდა. ამის შემდეგ დამნაშავე კვლავ აგრძელებდა თავის საქმიანობას, ვითომც არაფერი მომხდარა, რადგან საზოგადოებაში ამგვარი საქმიანობის მოთხოვნა არ კლებულობდა.

მეოცე საუკუნის ბოლოს დაღესტანსა და ჩეჩნეთში გოგონების მიმართ კიდევ ერთმა საშინელმა, არაჰუმანურმა ტრადიციამ დაიდო საფუძველი. ისლამური ფუნდამენტალიზმის მომძლავრებასთან ერთად,

იმატა მრავალცოლიანობამ და ქალის გენიტალიების დამახინჯების, აგრეთვე, კუსტარულ პირობებში, სარდაფებში, ეზოებში, სახლებში ჩატარებული ოპერაციების რიცხვმა.

ეს ტრადიცია აფრიკისა და შორეული აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნებიდან შემოვიდა. პატარა გოგონებს სასქესო ორგანოებს უმახინჯებენ. აჭრიან კლიტორის თავსა და სასქესო ტუჩებს. ეს ტრავმა კი მათ ცხოვრების ბოლომდე მიჰყვებათ. ოპერაციის გამართლება ხდება იმით, რომ ქალმა სექსის დროს არ უნდა მიიღოს არანაირი სიამოვნება. ქალისათვის სქესობრივი კავშირი მხოლოდ გამრავლების საშუალებაა. სიამოვნება, ორგაზმი მხოლოდ მამაკაცისთვისაა. ამ ყველაფერიდან გამომდინარე, მეტად პოპულარულია ანალური სექსი, რომლის ხშირი, უმეცარი პრაქტიკა კიდევ სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს. ამერიკელების მიერ ავღანეთის ოკუპაციის შემდეგ მათ ქალთა მიმართ ძალადობის მრავალი, მეტად საშინელი ფაქტი აღმოაჩინეს. ძალიან ბევრ ახალგაზრდა გათხოვილ გოგონას მოკლულს, ძირითადად ჩაქოლილს პოულობდნენ. ამერიკელმა სამხედრო გამომძიებლებმა და ქალთა უფლებების დამცველმა ოგანიზაციებმა ამ მოვლენის გამოძიება და მოსახლეობის გამოკითხვა წამოიწყეს. მათ საშინელი რამ აღმოაჩინეს: ახალგაზრდა ქალების მკვლელობის მიზეზი უშვილობა, ანუ გამრავლების უნარის არქონა აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ახალგაზრდა ქალებს ბერწობასა და აქედან გამომდინარე, შაითანთან კავშირს აბრალებდნენ. უშვილობა აბრაამისტული რელიგიების თანახმად, დაწყევლილობას ან ბნელ ძალებთან კავშირს, ეშმაკეულობას ნიშნავს.

მიუხედავად ადგილობრივების სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩაქოლილი ქალების ცხედრებს სამედიცინო ექსპერტიზაც ჩაუტარდათ. ექსპერტების დასკვნით, დაღუპულ ქალთა აბსოლუტურ უმრავლესობას გამრავლების სისტემა ნორმაში ჰქონდა. მათ სხეულში, საშოში კი მოიძებნებოდა გარკვეული ინფექციური დაავადებების გამომწვევი ბაქტერიები, რომლებიც ჰიგიენასთან მწყრალად ყოფნის მიზეზით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს ავადმყოფობები ასეთ ახალგაზრდა ასაკში უშვილობას ვერ გამოიწვევდა. ზოგიერთ გაკვეთილ ცხედარს საქალწულე აპკის მთლიანობაც კი არ ჰქონდა დარღვეული, მიუხედავად იმისა, რომ ქალი უკვე რამდენიმე ხნის გათხოვილი იყო.

დადგინდა, რომ ქალები უშვილოები არ იყვნენ, თუმცა მეუღლეები და ადგილობრივი საზოგადოება სწორედ ამაში ადანაშაულებდა მათ. გამოძიებით, გამოკითხვითა და სამედიცინო ექსპერტიზით აღმოჩნდა, რომ უშვილობის მიზეზი ანალური სექსით დაკავება იყო. მეუღლეები, ძირი-

თადად, სექსის ამ ფორმას ანიჭებდნენ უპირატესობას და რა თქმა უნდა, ასეთი ფორმის კავშირით მომავალს ვერ შექმნიდნენ. საწყალი ქალები კი საკუთარი მეუღლეების სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მსხვერპლნი ხდებოდნენ.

მოკლედ, სამედიცინო ბიზნესი მეტად მოთხოვნადი, მაგრამ სარისკო საქმეა ჩრდილო კავკასიაში და არა მარტო ჩრდილო კავკასიაში, არამედ ისლამის აღმსარებლობის მრავალ ქვეყანაში. ქალების მიმართ ასეთი დამოკიდებულება მათ ბავშვობიდან მეორეხარისხოვან ადამიანად აყალიბებს, რაც მთელ მათ ცხოვრებაზე მოქმედებს. აღარაფერს ვამბობ ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე, ინფექციაზე თუ სხვა მრავალ დაავადებაზე.

გოგონებში ფრიგიდულობამ იმატა, რაც თავისთავად ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს და ძალიან ბევრია თვითმკვლელობის ფაქტი, თუმცა ოფიციალური სტატისტიკა ამის შესახებ დუმს.

საბჭთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბადებულ გოგონებს შორის ძალიან ბევრს არ გააჩნია დაბადების მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთები. მუდმივი სტრესებისაგან გაუსაძლის პირობებში მყოფი გოგონები ფსიქიკურად არამდგრადი ხდებიან და გაურბიან საშინელ ყოფას. ისინი რუსეთის სხვადასხვა ქალაქსა თუ დაბაში მიემგზავრებიან და სწორედ იქ ასრულებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით.

ასეთ რთულ პირობებში იზრდება ფუნდამენტალისტებისა და ტერორისტების ფასი. ისინი ერთგვარი დამსაქმებლის როლში გამოდიან. მშობლები, რომლებსაც შესაძლოა სრულიადაც არ ეპიტნავებათ ისლამური წეს-წყობილება, მათი კანონები და ომი, ცდილობენ, ყოველგვარი საშუალებით მოიძიონ სარჩო-საბადებელი. ამისათვის არაფერს თაკილობენ, არც ფუნდამენტალისტებთან, ტერორისტებთან და ათასი ჯურის უკანონო ბიზნესით დაკავებულ ადამიანებთან თანამშრომლობას.

ამ ფიქრებში გართულ უცნობს განთიადი გამოეპარა. მზე ახალი ამოწვერილი იყო. ის-ის იყო ჩიტებმა ჟღურტული დაიწყეს, თვალები მიელულა და ჩაეძინა. მაგრამ ეს ამბავი, სამირას გაცნობა, მასთან ურთიერთობის დაწყება და კიდევ მრავალი საინტერესო რამ, ფათერაკი თუ ტანჯვა, აგრეთვე, ბენ-იუსუფთან და ჯიჰადის სხვა მეთაურებთან შეხვედრა უცნობს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა. ის ჯერ დერბენტში, ერთ-ერთ სახლში, ლეკურ ოჯახში მასპინძელ კადირთან ელოდა მომავალს.

შუაღამისას მასპინძელმა უცნობი გააღვიძა. სთხოვა, სასწრაფოდ ჩაეცვა და ეზოში გასულიყო. ქუჩაში მერსედესის მარკის ავტომანქანა ელოდებოდა, რომელსაც დაღესტნის რესპუბლიკის ნომრები ჰქონ-

და. როდესაც მანქანაში ჩაჯდა, მძღოლი მიესალმა და უთხრა, რომ მახაჩყალამდე, შუადაღესტანში, ავარების დედაქალაქამდე, ის წაიყვანდა.

მახაჩყალამდე პრობლემების გარეშე იმგზავრეს. თუ პრობლემად არ ჩავთვლით ცენტრალურ ტრასაზე მათი მანქანის საგზაო პატრულის მიერ რამდენიმე გაჩერებას. რუსი ჯარისკაცები შეშინებული სახით შემოიხედავდნენ ხოლმე მანქანაში და მას შემდეგ, რაც მძღოლი რაღაც საბუთს აჩვენებდა, სამხედრო სალამით უცებ უშვებდნენ.

უცნობი მიხვდა, რომ მძღოლი საკმაოდ ცნობილი პირი უნდა ყოფილიყო და ჰკითხა, სად მუშაობდა. მან პირდაპირ უპასუხა, რომ ეროვნებით ავარელი იყო და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგიონული წარმომადგენლობის საკმაოდ მაღალი ჩინის ოფიცერი გახლდათ, ასეთი ვოიაჟები კი მისი დამატებითი შემოსავლის წყარო იყო.

– დაღესტანში ყველა ცდილობს, რამენაირად იხეიროს ამ ომით. ჩეჩნები კარგად გვიხდიან, რუსები კი მედლებს გვირიგებენ, – თქვა უმარმა.

– ერთი შენისთანა მოჯაჰედის მახაჩყალამდე ჩაყვანაში 500 ამერიკულ დოლარს მიხდიან, ხელფასი კი ამის მეხუთედი მაქვს. ღირს. ათში ერთს ვიჭერ და მედალს და პრემიასაც მაძლევენ, აგრეთვე – საგზურს სადმე, დასასვენებელ ადგილას, პანსიონატში მთელი ოჯახისათვის და რა ვიცი, კიდევ რას, – გააგრძელა საუბარი უმარმა. თქვა და მგზავრისათვის საჩვენებლად იღლიაში, ბრიტანელი აგენტის 007-ის მსგავსად, კაბურაში ჩადებული იარაღი გაისწორა. ამით ხაზი საკუთარ ფასს გაუსვა, რომ „სპეცების“ წარმომადგენელი იყო და მისი მომსახურება ამიტომ ღირდა ძვირი.

– ომის დაწყებისას ძირითადად ჩეჩნეთიდან დაჭრილების გაყვანაზე ვმუშაობდი. ბევრი დაჭრილი საველე მეთაური გამოვიყვანე. თითოში 9-10 ათას ამერიკულ დოლარს ვიღებდი. ისე კი, რომ იცოდე, სხვადასხვა ფასია. დაჭრილების აზერბაიჯანამდე გაცილება 3 ათასზე მეტი ღირს, მაგრამ მე პრობლემები არც ერთ საგუშაგოზე არ მაქვს და ამიტომ ჩემს შრომას ძვირად ვაფასებ, – ომახიანად განაცხადა ავარელმა.

ჩეჩნეთში ომის დაწყებისთანავე ამ ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკიდან ლტოლვილებისა და დაჭრილების ნაკადი ძირითადად ორი მიმართულებით, დასავლეთით, ინგუშეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, აზერბაიჯანისკენ დაიძრა.

მეტწილად მეომრები სწორედ აზერბაიჯანში მიჰყავდათ, მშვიდობიანი მოსახლეობიდან უფრო შეძლებულები ამ ქვეყანაში მიდიოდნენ, რადგან აქედან ძალიან ადვილი იყო მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მოხვედრა. ამის გამო, სწორედ აზერბაიჯანი გახდა ჩეჩნებისათვის ერთგვარი თავშესაფარი თუ გამანაწილებელი პუნქტი. აზერბაიჯანის დედაქალაქი-

დან, ბაქოდან, ნაწილი თურქეთში, საუდის არაბეთში, იორდანიაში, პაკისტანსა თუ სხვა ისლამურ ქვეყანაში მიემგზავრებოდა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ევროპასა თუ ამერიკას არჩევდნენ, რათა იქ წარემართათ აქტიური პოლიტიკური ბრძოლა ან ჩეჩნური ჯიჰადისათვის სპონსორებისა და პოლიტიკური მხარდამჭერების მოძიება მოეხერხებინათ.

რუსების წინააღმდეგ ომის გაჩაღებისთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო საჭირო. ბაქოში, კიევში, სტამბულში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა თუ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ ავსტრალიის სხვადასხვა მეგაპოლისში დაჭრილების მკურნალობა, მათი და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება, მატერიალურად უზრუნველყოფა, პროთეზირების ხარჯების გაწევა თუ სხვა სახის დახმარება და ტრანსპორტირება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. მდიდარი არაბი შეიხები, ჩეჩენი ბიზნესმენები, მათი სხვა მოკავშირეები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ახალშექმნილ ისლამურ რესპუბლიკას ფინანსური სახსრები არ მოჰკლებოდა.

ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის მიერ ჯიჰადის გამოცხადებამდე რუსეთში საკმაოდ ბევრი ჩრდილოკავკასიელი ეროვნების წარმომადგენელი ეწეოდა კომერციულ საქმიანობას. კომერსანტობა ბევრმა მათგანმა ჯერ კიდევ სსრკ-ის დაშლამდე, ე.წ. პერესტროიკის პერიოდში დაიწყო. რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარედ ჩეჩენი ეროვნების რუსლან ხაზბულატოვის არჩევის შემდეგ კი ცენტრალურ ქალაქებში, სადაც კი ფული ტრიალებდა, ყველგან შეიქმნა ჩეჩნური დაჯგუფებები.

1989 წლიდან რუსეთში პოლონეთიდან, თურქეთიდან და სხვა ისლამის მიმდევარი ქვეყნებიდან იმპორტის 99 პროცენტი ჩეჩენი ბიზნესმენების მიერ ხორციელდებოდა. ამას კარგად დაემთხვა ისრაელის მიმართულებით დაწყებული დიდი ალია საბჭოთა კავშირიდან და ბიზნესის სფეროში გამოთავისუფლებული ადგილები თითქმის მთლიანად ჩეჩნებმა აითვისეს. იმ დროისათვის ჩეჩნები რუსეთის არალეგალური ფინანსების უდიდეს ნაწილსაც აკონტროლებდნენ.

პირველი, ყველასათვის ცნობილი დიდი ფინანსური აფიორა, რომელიც რუსეთში გახმაურდა, ჩეჩნების მიერ იყო შესრულებული. ამის გამო მას „ჩეჩნური ავიზო“ უწოდეს. ავიზო დოკუმენტ-შეტყობინებას წარმოადგენს, რომლითაც ბანკები ურთიერთანგარიშსწორების აღრიცხვიანობას ახორციელებენ.

გადარიცხვის ოპერაცია შემდეგნაირი გახლდათ: ერთი ანგარიშიდან მეორეზე ფულის გადარიცხვისათვის თანხის გამგზავნის მომსახუ-

რე ბანკი თანხის მიმღების მომსახურე ბანკს – ცენტრობანკის ფილიალს, ტელეტაიპის საშუალებით, ავიზოს, მოკლე სპეცშეტყობინებას უგზავნიდა. მასში კოდებისა და პაროლების საშუალებით მითითებული იყო გადასარიცხი თანხის რაოდენობა და ანგარიშის ნომერი, რომელზეც თანხა უნდა დარიცხულიყო. გადარიცხული თანხა ანგარიშიდან გამოჰქონდათ ანუ „აქეშებდნენ“, შემდეგ ამ თანხას ან უკვე არსებულ ბიზნესში აბანდებდნენ, ან ვალუტას ყიდულობდნენ და საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ეს კი თავისთავად რუბლის ინფლაციას იწვევდა, ეკონომიკას ასუსტებდა.

სსრკ-ის დროს ნებისმიერ ფულად გადარიცხვას სამი დღე ესაჭიროებოდა. იმ დროს ყალბი ავიზოს საშუალებით ასეთი მაქინაციების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი გახლდათ, რადგან არც კერძო იურიდიული პირები არსებობდნენ და არც ფულის გამოტანის, ვალუტაში კონვერტირებისა და საზღვარგარეთ გატანის საშუალება იყო. რუსეთის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ხელისუფლება ითვალისწინებდა დასავლეთის ყველა რეკომენდაციასა თუ მოთხოვნას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მაჩვენებლები კერძო ფინანსური ინსტიტუტების არსებობა და სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა ანუ პრივატიზაცია გახლდათ. სახელმწიფო ცდილობდა, წაეხალისებინა კერძო ბანკების ჩამოყალიბება, აგრეთვე შეზღუდულ ვადებში გაესხვისებინა სახელმწიფო ქონება; აუქციონებზე გაჰქონდა ქარხნები თუ ფაბრიკები, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის ფერმები, მსხვილი სამრეწველო კომბინატები, მოკლედ, ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. აუქციონის წესით გასაყიდად გამოტანილი ქონება ახალჩამოყალიბებული ბანკებისა და ცალკეული ფინანსური ჯგუფების ხელში გადავიდა.

ბანკებს დასავლური და ადგილობრივი მედიის საშუალებით საკმაო რეკლამა უკეთდებოდა, როგორც დიდი ფინანსური კაპიტალისა და წარმატებული ფინანსური მენეჯმენტის ობიექტებს. საბჭოთა გადმონაშთის, რუსეთის ცენტრობანკის მიერ ასეთი ახალჩამოყალიბებული, მაგრამ კარგად რეკლამირებული და უკვე საქვეყნოდ ცნობილი ბანკების მიერ მოწოდებული ავიზოების გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და სწორედ ამით ისარგებლეს სხვადასხვა ჯურის ფინანსურმა ავანტიურისტებმა, მათ შორის კი ჩეჩენი იამან ზელიმხანოვი და ჰუსეინ ხეკუევი გამოირჩეოდნენ.

რუსეთის ხელისუფლება თავს იწონებდა დასავლური ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების წარმომადგენლების წინაშე წარმატებული ეკონომიკური რეფორმის შედეგებით. სამაგიეროდ, სულ უფრო დიდ კრედიტებსა და დახმარებებს იღებდა. პრივატიზაციაში მონაწილე

რუსული ფინანსური ჯგუფებიდან სახელმწიფო ჩინოვნიკები ევროპელი და ამერიკელი დონორების მიერ რეკომენდებულ ჯგუფებსა და ბანკებს ირჩევდნენ. ასეთი წარმატებული ფინანსური ორგანიზაციები, თავის მხრივ, „ჩეჩნური კვალის“ მატარებელ კომერციულ სტრუქტურებს უწევდნენ ლობირებას.

ელცინის გუნდი მონდომების შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებდა პროცესის შეჩერებას. მათი შესაძლებლობის მაქსიმუმი უბრალო სტატისტის როლი გახლდათ.

ელცინსა და მისი მთავრობის წევრებს ყველაზე მეტად „წითელი რევანშის აჩრდილი“ აშინებდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის ინიციატივა ხომ სწორედ მისგან და მისი გუნდის წევრებისგან მოდიოდა და ეს მოსახლეობასაც და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებსაც კარგად ახსოვდათ. უცხოური ინვესტიციების გარეშე დარჩენას შესაძლოა სოციალური აფეთქება გამოეწვია და ეს ელცინისათვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო.

დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და არაგეგმური ეკონომიკის მშენებლობის ლოზუნგებით, ევროპისა და აშშ-ის ლიდერების ურყევი მხარდაჭერით გაპრეზიდენტებული ელცინი ხვდებოდა, რომ დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭება შეიძლება სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა და მთელი ენთუზიაზმით ასრულებდა მათ მოთხოვნებს.

ამ პერიოდში კომერციულ ორგანიზაციებს, კრიმინალურ დაჯგუფებებსა და ფედერალური ძალისმიერი სტრუქტურების კორუმპირებულ წარმომადგენლებს შორის მჭიდრო ფინანსური კავშირი ჩამოყალიბდა. რუსეთის ძალისმიერ სტრუქტურებში დაბალანაზღაურებადი მაღალი თანამდებობის პირები ადვილად თანხმდებოდნენ უკანონო გარიგებებს.

ფედერალური უშიშროების, პროკურატურის, მილიციის მაღალჩინოსნებით ზურგგამაგრებული ჩეჩენი და სხვა ჩრდილოკავკასიელი კომერსანტები სწრაფად ახერხებდნენ კონკურენტების გზიდან ჩამოცილებასა და საკუთარი ბიზნესინტერესების რეალიზაციას. კორუმპირებული, უსუსური, დაქსაქსული ფედერალური უშიშროებისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურებისათვის შესაბამისი სურვილის ან ხელმძღვანელობისაგან მიღებული სპეციალური დავალების შემთხვევაშიც კი ძალზე ძნელი იყო, გაეკონტროლებინათ, რომელი ფირმის უკან იდგნენ ჩეჩნები. მათ ხელს ახალი დემოკრატიული კანონმდებლობაც უშლიდათ, რომელმაც კომერციულ სტრუქტურებზე ძველი, საბჭოური სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი სრულიად მოშალა.

რუსეთის პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროების წარმომადგენლების მიერ კომერციული ფირმების დოკუმენტაციის, ფინანსური მდგომარეობის მასობრივად გადამოწმების დაწყებას კი შესაძლოა საკმაოდ დიდი სკანდალი გამოეწვია როგორც დასავლეთში, ასევე რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. „ყველა სიკეთესთან“ ერთად, მრავალრიცხოვანი ფინანსური თუ სხვა სახის შემოწმებები, კანონმორჩილი, პატიოსანი კომერციული სტრუქტურების პარალიზებასა და გაკოტრებას გამოიწვევდა. ყოველივე ამას კი შედეგად ისევ ფინანსური ინექციების შეჩერება და კრიზისი მოჰყვებოდა.

ზემოთ ხსენებული პრობლემების გამო რუსეთმა ვერაფერი დაუპირისპირა ჩეჩნურ, ისლამურ ეკონომიკურ აგრესიას. რუსეთის წინააღმდეგ ჯიჰადის წარმოებისათვის მზადების გარდა, ჩეჩნები ეკონომიკური ომისთვისაც ემზადებოდნენ. ამის დასტურად ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევის, მიერ შექმნილი უშიშროების სპეციალური სამსახურის, „ზაზას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის მონათხრობის გახსენებაც კმარა.

– „ზაზას“ შექმნა პრეზიდენტთან დაახლოებულ რამდენიმე პირს დაევალა. მათ შორის მეც ვიყავი. ამ სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია ბევრი ჩეჩენისთვისაც კი მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, – უთხრა ერთ-ერთ შეხვედრაზე უცნობს აჰმედმა.

რამდენად პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ჩეჩნეთის ისლამური რესპუბლიკის – იჩქერიის დაზვერვის სამსახური ისრაელის დაზვერვის სამსახურის, „მოსადის“ ანალოგიური სისტემის მიხედვით იყო შექმნილი. დაზვერვის სამსახურის საბრძოლო-ოპერატიული დანაყოფები და „ზაზა“ პირდაპირ პრეზიდენტს ემორჩილებოდნენ. ორივე სამსახურის შემადგენლობაში დივერსიულ-პროპაგანდისტული, ანალიტიკური ჯგუფი, ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველო, ევროპისა და ამერიკის შემსწავლელი დანაყოფები არსებობდა. დაზვერვის სამსახურს, ეკონომიკურისაგან განსხვავებით, ქალთა სპეციალური დივერსიული ჯგუფების მომზადების კურსები და ქალთა დივერსიული ჯგუფების შექმნაც ევალებოდა. ქალთა ჯგუფების შექმნა ალბათ დუდაევს ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ შთააგონა, მას სპეციალურად გაწვრთნილი ქალი მცველები ჰყავდა. პრეზიდენტი დუდაევი კადაფის უდიდეს პატივს სცემდა და თანამოაზრედ და ძმად მიიჩნევდა.

„ზაზას“ ერთ-ერთ მთავარ სამმართველოს კი ეკონომიკური დივერსიების ჯგუფი წარმოადგენდა. ჯგუფი ცნობილი და გავლენიანი ჩეჩენი ბიზნესმენების, ეკონომისტებისა და საბანკო საქმიანობის მცოდნე პირებისაგან შედგებოდა. მათ ნაწილს განათლება საუდის არაბეთში, თურქეთში, იორდანიაში, პაკისტანსა თუ სხვა ისლამურ ქვეყანაში ჰქონ-

და მიღებული. სხვები, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს, სსრკ-ის სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციაში თუ სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ. ჰქონდათ პირადი, აგრეთვე ეკონომიკური კავშირები რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებთან, რუსეთის ფედერაციაში მოღვაწე რუს და სხვა ჯურის ფინანსისტებთან თუ ბიზნესმენებთან.

„ზაზას“ ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, ჩეჩნეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, მოწინააღმდეგის რიგებში პოტენციური მოკავშირის მოძიება და გადმობირება, აგრეთვე ეკონომიკური დივერსიების მოწყობა გახლდათ. მოკავშირეების მოძიებისათვის რამდენიმე გზა იყო შერჩეული. პირველი – როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო თანამდებობის პირებზე და მათი ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებზე კომპრომატების შეგროვება, შემდეგ კი მათი შანტაჟი. ასეთი სახის ოპერაციები მსოფლიო სპეცსამსახურების მოქმედების ძველი, გამოცდილი და კარგად აპრობირებული მეთოდია.

მოკავშირეებისა და ინფორმატორების მოძიების არც მეორე მეთოდი წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ ინოვაციას. სასურველი შედეგი პიროვნების დაშინების, თავად მასზე, მისი ოჯახის წევრებზე ან ახლობლებზე ფიზიკური ზემოქმედების გზით მიიღწეოდა. რა თქმა უნდა, ფიზიკური ზემოქმედების ხერხები გარკვეულწილად „ისლამური ილეთებით“ იყო გამდიდრებული, ისეთებით, როგორიცაა თავისა და კიდურების მოკვეთა. „ზაზას“ ინტერესის ობიექტის ახლო ნათესავების გატაცება და სხვა.

მესამე – მოსყიდვა და საერთო ინტერესების მოძიება. ეს უკანასკნელი „ზაზას“ წარმომადგენლების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული და საყვარელი მეთოდი გახლდათ, რადგან ამ დროს თავად ოპერატიულ მუშაკს ანუ შემსრულებელს მეტი ფინანსური სარგებელი ხვდებოდა.

მესამე მეთოდი პოტენციურ მსხვერპლთან საერთო საქმის, ბიზნესის წამოწყებაში მდგომარეობდა, რის შემდეგაც მსხვერპლი სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ხდებოდა დამოკიდებული ჩეჩენი პარტნიორის ფინანსურ სახსრებზე ან მის კავშირებზე.

ჩეჩნებსა და მათ მოკავშირეებს ასეთი საერთო სახის ბიზნესი არაერთხელ წამოუწყიათ რუსეთის სხვადასხვა უწყების მაღალჩინოსნებთან და სამხედრო– სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებთანაც კი.

ერთხელ უცნობი ვლადიკავკაზში ჩეჩენი კომერსანტისა და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტთან დაახლოებული ერთ-ერთი ბიზნესმენის მოლაპარაკებას დაესწრო. ჩეჩენი კომერსან-

ტი დაზვერვის სამსახურის „ზაზას“ მაღალჩინოსანი ოფიცერი იყო, მისი გვარი ჩეჩნეთში საკმაოდ ცნობილ ტეიპს მიეკუთვნებოდა.

იმ დროისათვის, ვგულისხმობ ჩეჩნეთის პირველ ომს – 1994-96 წ.წ. გვაროვნულ-თემური კავშირები ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმებით დასახლებულ რაიონებში საკმაო გავლენას ახდენდა ხალხის ეთნო-ფსიქოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე. გვარის ინსტიტუტის პატივისცემა განსაკურებით ჩეჩნეთსა და ინგუშეთში არსებობდა. ტეიპში საერთო წინაპრის მყოლი გვარები ერთიანდებოდნენ და ისინი მრავალ თაობაში ერთმანეთის ნათესავებად ითვლებიან.

ჩეჩნეთში პირველი ომის შემდეგ შესული ახალი, უფრო სწორად, ჩეჩნებისთვის უკვე დავიწყებული რელიგიური მიმდინარეობა ე.წ. ვაჰაბიზმი ხალხის ტრადიციებსა და ადათებს დაუპირისპირდა. თუმცა ამაზე მერე გიამბობთ.

გავლენიანი ტეიპის წარმომადგენელი ჩეჩენი ბიზნესმენები მთელ კავკასიაში პატივისცემით სარგებლობდნენ, როგორც სიტყვის პატრონები და საქმის გამკეთებლები.

ოს ბიზნესმენს ჩეჩენი კომერსანტი ერთ-ერთ შეხვედრაზე ინგუშმა მეგობარმა გააცნო. როდესაც კავკასიაში საქმე ფულის კეთებას ეხება, რელიგიური და ეთნიკური პრობლემები დროებით მივიწყებას მიეცემა ხოლმე. მაგალითად რუსეთის სამხრეთ საზღვარზე საქართველოში შექმნილი მდგომარეობა გამოდგება.

ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს, ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიების მიუხედავად, ბიზნესკავშირები აქვთ. ისინი ერთობლივად აწარმოებენ კონტრაბანდასა თუ კანონიერ მეწარმეობას. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ეკონომიკურად სუსტი საქართველო ვერ ახერხებს კონფლიქტის ეპიცენტრებსა და ახლომდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების სამუშაო ადგილებითა და არსებობისათვის აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფას. მოსახლეობა იძულებულია, ღამით მტრებთან იომოს, დღისით კი მათთანვე ივაჭროს და ბიზნესი აწარმოოს.

დავუბრუნდეთ შეხვედრას, რომელიც ვლადიკავკაზში შედგა. ჩეჩენმა საკმაოდ მიმზიდველი ბიზნესწინადადება წარუდგინა მომავალ პარტნიორს.

– შემიძლია ძალიან იაფად მოგაწოდო ტყავისაგან დამზადებული ქურთუკები, ე.წ. „დუბლიონკები“. რუსეთში ის საკმაოდ ძვირად ფასობს. მე მოწოდებას უზრუნველვყოფ, შენ – რეალიზაციას. მოგება კი ძმურად გავიყოთ. ჩემგან არანაირი დაბრკოლება არ გექნება. რამდენ ქურთუკ-

საც მომთხოვ, იმდენს მიიღებ. თუ მუშაობა აეწყობა, სხვა საქონელსაც გიშოვი... – უთხრა ოს ბიზნესმენს აიუბმა.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა: ოსურ მხარეს ქურთუკები რუსეთის ტერიტორიაზე საბაჟოს გვერდის ავლით უნდა შეეტანა, ასეთი ქურთუკები პაკისტანში – რანდენიმე ათეული, რუსეთში კი რამდენიმე ასეული ამერიკული დოლარი ღირდა.

იმისათვის, რომ შემოტანილი საქონლის რეალიზაციის შემდეგ მიღებული თანხისათვის კონვერტაცია უცებ გაეკეთებინათ, რათა ბიზნესს მაღალი ბრუნვა მიეღო, შეთანხმდნენ, საერთო ბანკი დაეფუძნებინათ.

ასეთი ბანკი მართლაც შეიქმნა. ჩეჩნურ-ოსური მეგობრობის ბანკი საკმაოდ პოპულარული იყო ვლადიკავკაზში.

ბიზნესჯგუფმა რამდენიმე ხნის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად იმუშავა. ოსური, ასევე ჩეჩნური მხარე, სრულად აკმაყოფილებდნენ ერთმანეთისათვის მიცემულ პირობას. ოსი ბიზნესმენი მეტისმეტად კმაყოფილი ჩანდა. ცოტა ხანში ტვირთბრუნვამ საოცრად იმატა.

ერთ დღესაც, როდესაც ყველაფერი თითქოსდა საათივით იყო აწყობილი, აიუბმა თანამშრომლობაზე უარი თქვა.

ჩეჩნის საქმიდან გასვლა იმ დროს დაემთხვა, როდესაც ოს ბიზნესმენს საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა ნასესხები ტყავის ქურთუკების, პირველადი მოხმარების ნივთების, ავეჯის, ელექტროტექნიკის თურქეთში, პაკისტანსა თუ სხვა ისლამურ ქვეყანაში შესაძენად.

ოსი ბიზნესმენი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი ვერ ახერხებდა საქონლის ჩამოტანას და მის რეალიზაციას. მევალეები, მეწილეები კი პასუხს სთხოვდნენ და ემუქრებოდნენ. ოსმა ბიზნესმენმა შუამავლების პირით რამდენჯერმე შეუთვალა ჩეჩენ პარტნიორს, გაეგრძელებინა საქონლის მოწოდება, ის კი ჯიუტად უარზე იდგა. რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, აიუბმა შეხვედრა დაუთქვა ოს პარტნიორს, ვალერის.

შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ინგუშეთში შედგა. კერძო, ორსართულიან, ქვითა და ბეტონით ნაშენ სახლს გარს მაღალი, ცემენტით შელესილი გალავანი ერტყა. შავად შეღებილი ალაყაფი ჭრიალით გაიღო, როდესაც მას რამდენიმე ძვირადღირებული ჯიპი მიუახლოვდა. მანქანებიდან ოსური დელეგაციის წარმომადგენლები გადმოვიდნენ. ეზოში მყოფმა მასპინძლებმა, უფრო სწორად, აიუბის დაცვის წევრებმა კალაშნიკოვის მოკლელულიანი ავტომატები მოიმარჯვეს და სტუმრებს მიუშვირეს. ისინიც მეხნაკრავებივით ადგილზე გაშეშდნენ. ეტყობა, არ ელოდნენ ასეთ მიღებას.

– თქვენიანები ვართ, თქვენიანები, ძმებო! – ამოილუღლუღა ვალერიმ, – აიუბის სტუმრები. სასაუბროდ მოვედით, – თქვა სხვამ.

სიტყვა არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ მეორე სართულიდან შეძახილი გაისმა:

– აჰ... მოხვედით, გელოდით, – მასპინძელი აივანზე გადმოდგა. პრიალა, ძვირადღირებული კოსტიუმი ეცვა. თავზე – ბოხოხი და ფეხთ, რა თქმა უნდა, ჩუსტები.

– რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნათ გზაში?! ხალხი გავაფრთხილე. არ მგონია, ვინმეს შეეწუხებინეთ, – აიუბი აივნიდან კიბეზე დაეშვა. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ადგილზე გაშეშებულ სტუმრებს. შეატყო, რომ ისინი საკმაოდ განერვიულებული და შეშინებული იყვნენ და გადიდგულებულმა განაგრძო საუბარი.

– მაპატიე, ძმაო, ალბათ გესმის, რა დრო დაგვიდგა, ვერავის ენდობი, – შემდეგ დაცვის ბიჭებს ანიშნა, იარაღი დაუშვითო, ხოლო სტუმრებს კი ხელი დაუქნია, მეორე სართულზე ავიდეთო.

ოსი ბიზნესმენები და მისი პარტნიორები მეორე სართულისაკენ გაემართნენ. ამ დროს აიუბმა კვლავ დაცვისაკენ გაიხედა და ჩეჩნურად რაღაც უთხრა. იარაღიანმა ყმაწვილებმა შეაჩერეს კიბესთან მისული სტუმრები და ვალერის გარდა დელეგაციის სხვა წევრებს მოკრძალებულად სთხოვეს, ეზოში დარჩენილიყვნენ.

ოთახში ვალერი და აიუბი ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. აიუბმა დაბალი, შუშის მაგიდიდან პულტი აიღო და ტელევიზორის ხმას აუწია. საინფორმაციო იწყებოდა. მეტისმეტი ყურადღებით მიაჩერდა ტელევიზორს. ვალერისთვის არც შეუხედავს. ჩეჩნეთის ომის ამსახველი კადრების ცქერისა და ინფორმაციის მოსმენის შემდეგ გვარიანად შეიკურთხა ჯერ ჩეჩნურად, შემდეგ რუსულად და გაცეცხლებული მზერა ოსისაკენ შემოატრიალა. კვლავ ჩაუწია ტელევიზორს და თითქოს მაშინ შეამჩნია, რომ ოთახში ვიღაც კიდევ იყო. შემდეგ ისევ ტელევიზორს შეაცქერდა, ისეთი სახით უყურებდა ხმადაწეულ ტელევიზორს, თითქოს ტუჩების მოძრაობით ლაპარაკის წაკითხვას ლამობდა. ხმა არ ამოუღია რამდენიმე ხანი. შემდეგ პიჯაკი გაიხადა. იქვე, ტახტზე გადაფინა. გვერდი გვარიანად მოიფხანა და ვალერის თვალი თვალში გაუყარა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვალერი გაქვავებულივით იჯდა სავარძელში, ნახევარი საჯდომით, თითქოს წამოსახტომად ემზადებოდა. ალბათ უნდოდა კიდეც, ყელში სწვდომოდა პარტნიორს, თუ უკვე ყოფილ პარტნიორს, მაგრამ თითქოს მაშინვე ახსენდებოდა ოჯახი, ნათესავები, ავტომატიანი დაცვა, რომელიც ეზოში იდგა და პირდაპირ შეიძლება ითქვას, ოსებისადმი დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა, ისევე როგორც, ყველა ჩეჩენი და ინგუში.

ამ ფიქრებში იყო წასული ვალერი, როდესაც აიუბმა კვლავ მისკენ გამოიხედა, თვალები მოჭუტა, თითქოს ყურები უკან გადააწყო, ტუჩების კუთხეები ზემოთ ასწია, რამდენიმე ოქროს კბილი გამოაჩინა და თქვა:

– აბა, რა გინდა, რა ხდება, რა პრობლემა გაქვს?!

ჩეჩნის ასეთმა სახემ ვალერიზე ჯადოსნურად იმოქმედა. ოთახში ისეთი სიტუაცია იყო, თითქოს პროკურორი და დაკითხვაზე მყოფი დამნაშავე ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, ან ზონაზე ქურდთან მიიყვანეს ადამიანი, რომელმაც „ობშიაკის“ ფული მიითვისა, ან რაღაც ამდაგვარი.

ის-ის იყო ვალერის სიტყვის თქმა უნდა დაეწყო, აიუბმა ხელით ანიშნა, შეჩერდიო, კვლავ ტელევიზორის პულტი აიღო, ნტვ-ს საინფორმაციო იწყება და ვნახოთ, რა მდგომარეობაა ფრონტზეო, ჩაიბურდღუნა.

მაშინ კი მოაწვა ვალერის. ეს უკვე აბუჩად აგდებას ჰგავდა, თუმცა ვერაფერი თქვა. თვალები აუცრემლიანდა. ხელები მუხლებს ჩასჭიდა. შემდეგ თავი დახარა და ორივე ხელი თავზე შემოირტყა.

აიუბიც წამოიწია, მხარზე ხელი დაუპარტყუნა სტუმარს და უთხრა, კარგი, ჯანდაბას, მოყევი, საინფორმაციო კიდევ იქნება, რა ხდება შენს თავსო. როგორც ძვირადღირებულმა ფსიქოლოგმა, ანდა მაღალი კლასის გამომძიებელმა, აიუბმა კარგად შეაფასა, რომ სტუმარი უკვე მოტეხილი გახლდათ. ახლა ის მზად იყო სასაუბროდ, ყველაფერს იკადრებდა და ყველაფერზე მოაწერდა ხელს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ აიუბი მართალი იყო.

ვალერი აიუბს ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა. რა პრობლემები, რა თანმიმდევრობით შეექმნა მას, მის ოჯახსა თუ ნათესავებს და თუ საქონლის მოწოდება არ გაგრძელდება, შესაძლოა მის და მისი ახლობლების სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქროს.

მისი ტონი არ იყო მოთხოვნითი, ან მტკიცებითი. ის დახმარებას ითხოვდა. რაც მთავარია, იმ ადამიანისაგან, ვის გამოც ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა.

– ხალხი მოდის და ზოგი საქონელს, ზოგიც ფულს მთხოვს, მემუქრებიან ცოლ-შვილის ამოწყვეტით, შენ აგაფეთქებთო, შვილებს მოგპარავთ, ცოლს გაგიუპატიურებთ და კიდევ ათასი რამით მემუქრებიან. მებაჟეები და მესაზღვრეებიც წილს ითხოვენ, პროკურატურაც, ძალოვნებიც. კი იცი, ვისი ახლობელიც ვარ, მაგრამ ვალს გადახდა უნდა, ამ ამბავში ისიც ვერ დამეხმარება. ან ფული უნდა დავაბრუნო, მაგრამ უკვე გამოგიგზავნე, ან საქონელი უნდა ჩამოვიტანო. ადრე მაინც გეთქვა, რომ საქმიდან გადიოდი, ფულს არ ვისესხებდი. რა მოხდა?! რაიმე გაწყენინე? მგონი, ყველა პირობას ვასრულებდი. თუ რამე პრობლემაა, მითხარი და შევთანხმდებით, თორემ გულთმისანი ხომ არ ვარ, მივ-

ხვდე, რაშია საქმე? – საწყალი, მამა აბრამის ბატკნის თვალებით შეხედა ვალერიმ აიუბს.

– ვალერი, არ გეწყინოს, მაგრამ... – წვერზე მარჯვენა ხელი ჩამოისვა აიუბმა და საუბარი განაგრძო, – ჩემს ხალხს დღეს ძალიან უჭირს, – კვლავ წვერზე ჩამოისვა ამჯერად ორივე ხელი, – ჩეჩნეთი იბრძვის და ამ დროს ყველა მუსლიმის ვალია, ჯიჰადში თავისი წილი გაიღოს. ზოგი სისხლს იღებს, ზოგიც ფინანსებით ეხმარება. მოკლედ, ერთ კილოგრამ ტვირთსაც ვერ მიიღებ ისლამური ქვეყნებიდან, თუ იარაღს და საბრძოლო მასალას არ მაშოვნინებ. შემდეგ კი ჩეჩნეთში უნდა შემატანინო. დამიჯერე, ამ ამბავში უფრო მეტ ფულსაც იშოვი, ავტორიტეტიც გაგეზრდება და თან იმ საქონლის ამბავსაც მოგიგვარებ.

სხვა რა გზა ჰქონდა გაუბედურებულ ოს კომერსანტს. ვალერი დასთანხმდა აიუბის წინადადებას. მან ოსეთის პრეზიდენტთან საკუთარი ახლობლობა გამოიყენა და ჩეჩნეთში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოსეთიდან დიდი ოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალა შედიოდა. თან სულ რუსები აცილებდნენ და საკუთარი ფეხით ჩაჰქონდათ იარაღი მათივე თანამოძმეების მკვლელებთან. მანქანები ჩეჩნეთში შედიოდა. შემდეგ შეთანხმებულ ადგილას ჩერდებოდა. რუსი და ოსი სამხედროები და სპეცსამსახურის წარმომადგენლები ტოვებდნენ ამ ადგილს, ხოლო ჩეჩნები სრულიად უსაფრთხოდ ცლიდნენ მანქანებს. ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ვალერი მანქანაში, ვლადიკავკაზი-ნაზრანის ტრასაზე ჩაცხრილული იპოვეს, თუმცა მის მიერ გაკვალული იარაღის ტრანზიტი, მიუხედავად მკვლელობისა, არ შეჩერებულა. ის სხვა, უფრო მაღალი თანამდებობისა და გავლენის ადამიანებმა გადაიბარეს, რომლებსაც აღარ სჭირდებოდათ მოწმე-შუამავალი.

ჩეჩნეთის დაზვერვა ანალოგიურად მოქმედებდა დაღესტანშიც. იქ ბევრად უადვილდებოდათ, რადგან დაღესტანი მაინც ისლამური რესპუბლიკაა და სულ რაღაც ორი საუკუნის წინ, იმამ შამილის მეთაურობით, თავად ებრძოდა რუსეთს. ასე რომ, მთელი ომის განმავლობაში ჩეჩენ მოჯაჰედებს არ მოჰკლებიათ საბრძოლო მასალა და ამუნიცია, მიუხედავად იმისა, რომ გარე სამყაროს მათ კავკასიის მიუვალი ქედი და თავად რუსეთის ფედერაცია აშორებდა.

„ზაზას“ ეკონომიკური დივერსიების განხორციელების ჯგუფმა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე, საკმაოდ საინტერესო მეთოდიც დანერგა.

ჩეჩენი კომერსანტი რუსეთის ხელისუფლებაში პოლიტიკური ან პირადი კავშირების გამოყენებით, ანალოგიურად პირველი შემთხვევისა, უკავშირდებოდა რუსეთის ფედერაციაში მოღვაწე ბიზნესმენს. მასთან

დაახლოებისათვის იგი უხვად იყენებდა არაბული ქვეყნებიდან თუ სხვა კავკასიური ჯიჰადის მხარდამჭერებისაგან მოზიდულ ფინანსებს. ამის შემდეგ, უკვე დამეგობრებულ კომერსანტს საერთო, აბსოლუტურად კანონიერი ბიზნესის წამოწყებას სთავაზობდა და ამ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივ ბანკს აფუძნებდნენ.

საქონელი, რომელიც ჩეჩენ კომერსანტს რუსეთში შეჰქონდა, მის ხელში პრაქტიკულად უფასოდ ხვდებოდა. ის კავკასიური ჯიჰადისათვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარება გახლდათ. ყველა ისლამურ ქვეყანაში არსებობს ჯიჰადის გადასახადი, ე.წ. ზაქიათი, რომელიც საღვთო ომის გასაჩაღებლად და მხარდასაჭერად გროვდება და გამოიყენება. „ზაქიათი“ ნებისმიერი შემოსავლის ათ პროცენტს შეადგენს. ჭეშმარიტი მუსლიმები ამ გადასახადს მთელ მსოფლიოში პატიოსნად იხდიან, რადგან ჯიჰადის „წარმოებისათვის“ ხელშეწყობა სამოთხეში მოხვედრის ერთ-ერთი პირობა და შეიძლება ითქვას, გარანტიაცაა. ზოგ ისლამურ ქვეყანაში „ზაქიათს“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. იგი გაჭირვებულთა დახმარებისათვის გროვდება, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ ჯიჰადში მყოფ ადამიანებსაც უჭირთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

სწორედ ასეთი სახის საქონლით აივსო რუსეთის ბაზარი 90-იან წლებში. მისი გასაღებით არნახულ მოგებას ნახულობდა ყველა. გაყიდული საქონლიდან მიღებული რუბლები კონვერტირდებოდა და თანხა ისევ რუსეთის წინააღმდეგ ომს ხმარდებოდა. მსოფლიო ჯიჰადისტური მოძრაობა საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული და ურწმუნოთ ზიანს არა მხოლოდ ცოცხალი ძალის განადგურებით აყენებდა. ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებას, მოსახლეობის მათ მიერ შემოტანილ საქონელზე დამოკიდებულებას უზარმაზარი ზიანი შეიძლება მიეყენებინა საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასული რუსეთისათვის.

ამის შესახებ მსჯელობა კი თავადაც შეგიძლიათ, რუსეთში იყო ქალაქები, რაიონები, ოლქები, რომლებსაც სწორედ ის ბანკები ემსახურებოდნენ, რომელთა დაფუძნებაში დიდი წვლილი სწორედ „ზაქიათის“ გამოყენების შედეგად გამრავლებულ კაპიტალს მიუძღოდა.

ასე რომ, თავისდა უნებურად, ისლამურ სამყაროსთან ერთად, სწორედ რუსეთი იყო ის ქვეყანა, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის ნგრევის პროცესში. ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების თითქმის ყველა ეშელონში კორუფცია მძვინვარებდა. ეს კი დამღუპველად მოქმედებდა ქვეყნის და მისი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობაზე. მანამდე, სანამ ელცინის რომელიმე ბრძანებულება ან თავდაცვის მინისტრის განკარგულება ადრესატამდე მივიდო-

და, იგი ჩეჩნეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ მოვლადი უდუგოვს მაგიდაზე ჰქონდა. ჩეჩნებმა წინასწარ იცოდნენ, თუ რა ოპერაციას გეგმავდნენ რუსები სახვალიოდ.

წინასწარი დაზვერვითი ინფორმაციის დროულად მოპოვების გამო რეგულარულ პარტიზანულ დაჯგუფებებში მსხვერპლის ოდენობა პრაქტიკულად ნულამდე იყო დაყვანილი. ჩეჩნებს უპირატესი მანევრის უდიდესი საშუალება და რაც მთავარია, დრო ჰქონდათ.

მახაჩყალაში უმარმა მანქანა ერთ-ერთი, მაღალსართულიანი კორპუსის სადარბაზოსთან შეაჩერა. მანქანიდან გადმოვიდნენ. უცნობმა თავისი პატარა სამგზავრო ჩანთა მხარზე შემოიგდო და მძღოლს სადარბაზოში შეჰყვა. ორივე ჩუმად აუყვა კიბეებს. რამდენიმე სართული აირბინეს. რკინის კართან შეჩერდნენ. უმარმა კარზე დააკაკუნა. კარის მიღმა ბავშვის ყვირილი გაისმა, ისევ სტუმრები, სტუმრებიო. კარები თავშალიანმა ქალბატონმა გააღო, რომელმაც პირდაპირ თვალებში შეხედა მოსულს. მან ქალბატონს რამდენიმე წინადადება უთხრა ავარულად. შემდეგ მოუტრიალდა უცნობს, გადაულაპარაკა, რომ აქ ორი-სამი დღე მოუწევდა დარჩენა, შემდეგ მას ხასავიურტში გაამგზავრებდნენ, იქიდან კი ჩეჩნეთში მოხვდებოდა, მაგრამ ეს უკვე უმარს აღარ ეხებოდა და ანიშნა, შედიო.

დაბალჭერიანი, ხრუშჩოვის დროინდელი კორპუსის ბინის კარი მეტად ვიწრო იყო. ჯერ კიდევ სადარბაზოში შემოსვლისას იგრძნო უცნობმა თევზის სუნი, რომლითაც მთელი სადარბაზო იყო გაჟღენთილი. როდესაც ოჯახის დიასახლისმა კარი გააღო, სუნი გამძაფრდა, ხოლო ბინაში შესვლისას თავი სტამბულის თევზის ბაზარში ეგონა.

მახაჩყალაში ყველაფერს თევზის სუნი აქვს. კასპიის ზღვის სანაპიროზე გაშენებული ქალაქის მცხოვრებლების კვების რაციონი, საქონლისა და ცხვრის ხორცთან ერთად, თართის ხორციოთაა გაჯერებული. ბრაკონიერები უხვად იჭერენ წითელ წიგნში შეტანილ თევზთა მეფეს. შავი ხიზილალა კონტრაბანდისტული ხერხით გააქვთ საზღვარგარეთ, ხოლო ხორცს საკვებად იყენებენ.

იმ პერიოდში დაღესტნის ავარულ ტერიტორიაზე თართის (ასეტრინის) ხორცი საქონლის ხორცზე რამდენჯერმე იაფი ღირდა. ასე რომ, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახსაც კი შეეძლო თავისი თავი და სტუმრები გაენებივრებინა თართის ხორცისაგან დამზადებული უგემრიელესი დელიკატესებით. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი კრძალავს უქერცლო თევზის საკვებად გამოყენებას, მასზე უარს ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები და მეტად მორწმუნე მუსლიმები თუ ამბობდნენ.

ავარული ოჯახი, სადაც უცნობი მოხვდა, ოთხი სულისაგან შედგე-

ბოდა, მეუღლეები და ორი შვილი. ეს ოჯახიც, ასე ვთქვათ, სასტუმრო ბიზნესით იყო დაკავებული.

განსხვავებით საზღვრისპირა დერბენტისგან, მახაჩყალაში უცნობს სთხოვეს, სახლიდან არ გასულიყო. მახაჩყალა დაღესტნის დედაქალაქია და მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანი სტრუქტურები აქაც მეტად კორუმპირებული არიან, თავის დაზღვევა მაინც სჯობდა. სამი დღის მაგივრად ოჯახში ოთხი დღე მოუწია გაჩერება. ოთხი დღის განმავლობაში ოჯახის დიასახლისმა თართისგან დამზადებული იმდენი სახის წვნიანი, შემწვარ-მოხრაკული, შებოლილი, დამარილებული თუ სალათა გააკეთა და გაასინჯა უცნობს, რომ პირდაპირ შეიძლება ითქვას, უკვე მომაბეზრებელიც კი გახდა ეს უგემრიელესი დელიკატესი. პური რომ პურია, მახაჩყალაში მასაც კი თევზის სუნი ჰქონდა.

ბოლო დღეს უცნობმა მოკრძალებულად სთხოვა მასპინძლებს, ნულარ შეწუხდებით და ნულარ დაიხარჯებით, უბრალო ომლეტსაც მშვენივრად მივირთმევდიო. მართლაც, შეუწვეს ტაფამწვარი, პირველი ლუკმის პირში ჩადებისთანავე კვლავ თევზის გემო ეცა, შესაძლოა ამის მიზეზი ტაფაზე მუდმივად თევზის მომზადება იყო ან ის, რომ ამ ტერიტორიაზე ქათმებს თევზის ფქვილით კვებავდნენ.

მოკლედ, მახაჩყალაში თევზს თუ მოგართმევენ, უარი არ თქვათ, რადგან სხვა ყველაფერსაც თევზის გემო აქვს. სჯობს თევზი მიირთვათ, ვიდრე თევზის გემოიანი ქათამი ან სხვა რამ ისევ თევზის არომატით.

ამ ოთხი დღის განმავლობაში, როცა უცნობს ავარულ ოჯახში მოუწია დარჩენა, გართობის ერთადერთი საშუალება მასპინძლების პატარა ვაჟი მუჰამედი, შემოკლებით მაგაშკა გახლდათ. ის ალბათ 5-6 წლის იქნებოდა. მაგაშკა ძალიან საყვარელი ბავშვი იყო. თავის ქალის აშკარად გამოხატული რაქიტი დე ვიტამინის ნაკლებობაზე მეტყველებდა. ბავშვს თავი იმდენად დეფორმირებული ჰქონდა, რომ როდესაც სასეირნოდ, ან საბავშვო ბაღში გაჰყავდათ, ორ ქუდს ახურავდნენ, ერთს – შუბლზე, მეორეს – კეფის მხარეს, თავის ქალის უზარმაზარ, ამოზნექილ ნაწილზე. მიუხედავად ფიზიკური ნაკლისა, მაგაშკა გონებრივად სრულიად ჯანსაღი და ადეკვატური იყო; მეტად მხიარულიც, მოძრავიც, თუმცა სხარტს ვერ იტყოდით. მისი ფიზიკური ნაკლი სისხარტეში ხელს უშლიდა. უზარმაზარი თავი შორიდან ორი თავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასეირნოდ გაჰყავდათ და ორ ქუდს ახურავდნენ.

რადგან მშობლები ძირითადად სტუმრების მიღებით იყვნენ დაკავებულნი, მაგაშკას მოვლა მის უფროს დას ევალებოდა. და კი ასე 16-17 წლის იყო. ამ ასაკის გოგოებს მახაჩყალაში და ალბათ არა მარტო აქ,

ძმის მოვლის გარდა, სხვა ინტერესებიც ჰქონდათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან ბრაზდებოდა, როდესაც დედა ან მამა მუჰამედის გასეირნებას ან ბაღში გაყვანას სთხოვდნენ. ჩუმად ჩაილაპარაკებდა, მეც ხომ მაქვს საქმეები, ჩემი პირადი ცხოვრება. ჩაიკეტებოდა ოთახში, რათა მაკიაჟი გაეკეთებინა და გამოპრანჭულიყო, თუმცა უარი არცერთხელ უთქვამს. ოთახიდან გამოსვლის შემდეგ მაგაშკას ჩაცმას იწყებდა. ბიჭი კი, როგორც ყველა პატარა, ეურჩებოდა. ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, ხან გაქცევას ცდილობდა, ხან იქვე, სამთვლიან ველოსიპედზე ჯდებოდა, ანდა უბრალოდ ხტუნაობდა. ხტუნაობდა ალბათ არასწორი გამონათქვამია, უნდოდა ეხტუნავა, მაგრამ არ გამოსდიოდა, რადგან მართლა ძალიან დიდი თავი ჰქონდა.

უცნობს ამის შემხედვარე ეღიმებოდა. არა, ბოროტად არა, უბრალოდ ეღიმებოდა, როდესაც ფიზიკური ნაკლის მქონე სიცოცხლით აღსავსე პატარა არსებას უყურებდა. მაგაშკა ჯერ ალბათ ვერც კი ხვდებოდა, რამდენად განსხვავდებოდა სხვებისაგან. თუმცა შესაძლოა ამ ფიზიკურ განსხვავებას მისი მთელი ცხოვრება შეეცვალა.

მშობლებისა და ალბათ სტუმრის რიდით, ანდა დაძმური სიყვარულის გამო, დაიკო ვერ უბრაზდებოდა მუჰამედს. მხოლოდ ესაუბრებოდა. ცდილობდა, აეხსნა, რომ სასეირნოდ უნდა გასულიყვნენ. მაგრამ პატარა დაუოკებელი იყო. მაშინ რამდენიმე წამით დაიკო თავს ანებებდა ძმას. ისიც ცდილობდა, ან გაქცეულიყო მთელი სისწრაფით, ან ველოსიპედს შემოხტომოდა და დაეღწია თავი მისთვის არასასურველი პროცედურისთვის. მაშინ დაიკო ქამარზე, ან შარვლის დამჭერ რეზინებზე წაავლებდა ხელს, მაგაშკას მძიმე თავი გადასძლევდა, ან ჩაიმუხლებდა, ან ველოსიპედის რულზე დაუვარდებოდა ხოლმე. აწევა კი ძალიან უჭირდა. მაშინ დაიკო აიყვანდა და ჩააცმევდა ქურთუკს. ამის შემხედვარე უცნობს ისევ ეცინებოდა.

სხვა, განსხვავებული არაფერი მომხდარა. ტელევიზორი მუდმივად ჩართული იყო და აქაც საინფორმაციო არხზე. ძირითადად НТВ და რუსეთის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებებს უსმენდნენ. უცნობისთვის გასაგები იყო, რატომაც, ოჯახის ფინანსური მდგომარეობა მთლიანად ომის მიმდინარეობაზე იყო დამოკიდებული, ალბათ ისევე, როგორც დაღესტნის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილისა.

ასე გაგრძელდა ოთხი დღე და სამი ღამე. მეოთხე დილას კარზე დაკაკუნეს. მაგაშკამ ახლაც ყვირილი წამოიწყო, სტუმრები, სტუმრებიო, ველოსიპედს შემოახტა და კარისაკენ გაემართა, დამ კვლავ დაიჭირა ქამრით. ბიჭს თავი კვლავ წინ გადაუვარდა, მასპინძელი და სტუმარი კვლავ ტელევიზორს უცქერდნენ, დიასახლისი ისევ თევზს ამზადებდა. ამჯერად

ოჯახის უფროსი ზანტად წამოდგა და კარი გააღო. კართან მაღალი, გამხდარი, მოკლე წვერებიანი, მოკლე პალტოში გამოწყობილი, ბეწვის ქუდიანი მამაკაცი იდგა. მასპინძელმა ის შემოიპატიჟა, თუმცა მან იუარა და თქვა, რომ ძალიან ეჩქარებოდა. კიდევ რაღაც თქვეს და მამაკაცი კიბეზე დაეშვა. მასპინძელი ოთახში შემოვიდა და უცნობს უთხრა, რომ ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე სიტუაცია იძაბებოდა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო ხასავ-იურტში, იქიდან კი რამდენიმე საათში ჩეჩნეთში გაამგზავრებდნენ. უცნობმა არც აცია და არც აცხელა, უცებ დაავლო ხელი ზურგჩანთას, ქურთუკი შემოიცვა, მაგაშკას ხელი გადაუსვა უზარმაზარ თავზე, მასპინძლებს გამოემშვიდობა და კიბეზე ჩაირბინა.

სადარბაზოსთან გაზ-24 ვოლგა იდგა, ვოლგასთან კი – მაღალი წვერებიანი მამაკაცი, რომელიც სახლში იყო ამოსული. ერთმანეთს მიესალმნენ. ორივე მანქანაში ჩასხდა და ხასავ-იურტისაკენ გაემგზავრნენ.

ქალაქის გამოსასვლელში ჯერ მილიციის პოსტი დახვდათ. მანქანა შეაჩერეს. მძღოლმა რაღაც საბუთი აჩვენა. მილიციელმა უნდობლად შემოიხედა ფანჯარაში. უცნობს შეხედა. შემდეგ კვლავ საბუთს ჩახედა, ხელი ჩაიქნია და უკან გავიდა. მანქანას ხელი დაუქნია, წადითო, რაცია ამოიღო და რაღაც გადასცა.

მილიციის პოსტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში უკვე ფედერალური ჯარებისა და უშიშროების სამსახურის ბლოკ-პოსტი დახვდათ. აქ ჯავშანტექნიკაც იდგა, ერთი ტანკი და რამდენიმე ქვეითთა ჯავშანმანქანა. ერთ-ერთზე ზემოდან შემომსხდარი ჯარისკაცები აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდნენ. მანქანასთან უკვე რამდენიმე ადამიანი მოვიდა, ორი ფორმის გარეშე, ორიც – სამხედრო ფორმაში. ერთი სამხედრო მანქანის წინ დადგა, მეორე – უკან. ორივემ ავტომატები მოიმარჯვა. უფორმოები წინა კარებთან მივიდნენ, ერთი – მძღოლის, მეორე – მგზავრის მხარეს. მძღოლმა აქაც რაღაც საბუთი ამოიღო. ეს საბუთი უკვე სხვა იყო. წინასაგან განსხვავებული, მწვანე ტყავის ყდაში ჩასმული. აჩვენა შემმოწმებელს და უთხრა, ნადირის სტუმარი მიმყავსო. უფორმოები მანქანას მოსცილდნენ, სამხედროებიც გადავიდნენ გზის სავალი ნაწილიდან. ერთ-ერთმა ნიშანი მისცა, რომ დაძრულიყვნენ და გაზ-24-მა ნელი სვლით დატოვა ბლოკ-პოსტის ტერიტორია.

დაახლოებით საათ-ნახევარში დაფარეს მახაჩყალა-ხასავ-იურტს შორის გაფენილი გზა, 90 კმ მანძილი. გზაში არ უსაუბრიათ. მანქანაში რაღაცნაირი, დაძაბული სიტუაცია სუფევდა. ამის მიზეზი შეიძლება რესპუბლიკის საზღვარზე გართულებული სიტუაცია ყოფილიყო. პერიოდულად მოჯაჰედების გააქტიურების ან რუსეთის სამხედრო მმართვე-

ლობაში ცვლილებების შემდეგ ჩეჩნეთში შესვლა რთულდებოდა, თუმცა ჯიჰადისტებს ამ შემთხვევისთვისაც ჰქონდათ მომზადებული სათადარიგო ვარიანტები.

ხასავ-იურტში რუსეთის მუსლიმთა კავშირის ოფისთან მივიდნენ. მწვანედ შეღებილი ჭიშკარი გაიღო და მანქანა ეზოში შევიდა. გადმოვიდნენ, რამდენიმე საფეხური აიარეს და ოფისში შევიდნენ. მაშინ მოეშვა მძღოლი, ამის შემხედვარე უცნობმაც ამოისუნთქა.

ოფისი რუსეთის მუსლიმანთა კავშირის თავმჯდომარეს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ნადირშაჰ ხაჩალაევს ეკუთვნოდა. ეროვნებით ლაკი ნადირშაჰი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა დაღესტნის სამივე ნაწილში. მას გადაადგილების პრობლემა არ ჰქონდა არც ერთი მიმართულებით და უცნობს, როგორც შეიხ ალი-აჰმედის მეგობარს, პატივი დასდეს, რომ ნადირშაჰს ან მასთან დაახლოებულ პირს შეეყვანა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე.

ნადირშაჰ ხაჩალაევი თავად კარგად იცნობდა ალი-აჰმედს, მის ძმისშვილს მუჰამედს და რამდენჯერმე ბენ-იუსუფსაც კი შეხვედრია. ის რუსეთის ხელისუფლებაშიც უდიდესი პატივით სარგებლობა, რადგან არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ტყვეთა გაცვლის მოლაპარაკებებში. მრავალი მძევალი, მოჯაჰედებთან ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცი თუ ოფიცერი მისი დამსახურებით გაუთავისუფლებიათ. არაერთი მოჯაჰედი დაუხსნია ფედერალური ძალისმიერი სტრუქტურების ხელიდანაც. ხაჩალაევი ერთგვარი გაჭირვების ტალკვესი იყო ორივე დაპირისპირებული მხარისათვის. თავის ავტორიტეტს და კავშირებს საკმაოდ კარგად იყენებდა და ძვირადღირებული თართისა და შავი ხიზილალის უცხოეთში გატანის, რეალიზაციის ბიზნესის მთავარი ორგანიზატორი და „მაყურებელი“ რუსეთის მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ.

ოფისში უცნობს თავშლიანმა, გრძელკაბიანმა გოგონამ ჩაი და ნატეხი შაქარი მოართვა. აქ, ბაქოში, ჩეჩნეთის წარმომადგენლობისგან განსხვავებით, სრული ისლამური დრესკოდი მოქმედებდა. გოგონას ხელის მტევნებამდე ჰქონდა კაბის მკლავები ჩამოწეული. თავშალი მთლიანად უფარავდა კისერსა და თმას. კაბა – კოჭებამდე, მხოლოდ დახურული ფეხსაცმლის წვერები მოჩანდა. ნამდვილად არ ღირდა ამ ქალისათვის შეხედვა. ეს უპატივცემულობად და შეურაცხყოფად იქნებოდა მიჩნეული.

ოთახის კედლები ღია მწვანედ იყო შეღებილი. ისლამური დროშები და ყურანიდან ამობეჭდილი სურები ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში ჩასმული და კედელზე დამაგრებული. ძალიან ცხელოდა. რადიატორები

მაგრად ხურდა. რუსეთის ამ ნაწილის ტერიტორიაზე ცენტრალური გათბობის სისტემა კვლავ მუშაობდა.

ათამდე მამაკაცი ისხდა. ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ოქროს კბილები, ბეწვის ქუდები, ზოგს ოდნავ მოკლე ან ოდნავ გრძელი პალტოები, ან ტყავის ქურთუკები ეცვა. სიცხის მიუხედავად, არავინ იხდიდა პალტოებსა თუ ქურთუკებს. უბრალოდ შეხსნილი ჰქონდათ ღილები თუ ელვა შესაკრავები. აქ, სხვა ოფისებისაგან განსხვავებით, ფეხთ არავის ჰქონდა გახდილი. ეს ადგილი ჰუმანიტარული ორგანიზაციის ოფისს კი არა, როგორადაც ის დარეგისტრირებული იყო, არამედ გასამხედროებული ნაწილის შტაბს უფრო წააგავდა. ზოგი სტუმარი ჩეჩნურად, ზოგიც ავარულად, ზოგი ლაკურად საუბრობდა. მაგრამ ყველა ურევდა საუბარში რუსულ სიტყვებს. მაგიდაზე ბევრი ჩაის ჭიქა იდო, ზოგი ცარიელი, ზოგიც სავსე. ჩაის ხარბად ეტანებოდა ყველა. ნატეხ შაქარს რომ კვნეტდნენ, ისეთი ხმა იყო, თითქოს კოცონში მშრალი შეშა შეუკეთეს და ტკაცუნობსო. ხანდახან ხმამაღლა გადაიხარხარებდნენ.

ზოგი ფულის სათხოვნელად იყო მოსული, ზოგი რაღაც ბიზნესთან დაკავშირებული საქმის გადასაწყვეტად. ზოგს ეტყობოდა, რომ არაფერი საქმე ჰქონდა და უბრალოდ, დროის გასაყვანად და ცნობისმოყვარეობის მოსაკლავად იყო მოსული.

ხაჩალაევი ამ ტერიტორიაზე უდავოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მას ერთდროულად ჰქონდა შეთავსებული სამხედრო, კრიმინალური და რელიგიური ლიდერის პოზიცია. აქედან გამომდინარე, მასთან დაახლოება და უბრალოდ შეხვედრაც კი ერთგვარი წინსვლის გარანტია იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ისიც არ თაკილობდა და ყველას ხვდებოდა ხოლმე. ხშირად ჩადიოდა სოფლებში, მოსახლეობას პრობლემების მოგვარებას ჰპირდებოდა და ძირითად შემთხვევაში უგვარებდა კიდეც. ასე რომ, მისი ავტორიტეტი ჰაერიდან არ იყო მოტანილი. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნადირშაჰს ერთმანეთთან დაპირისპირებული გვარებიც კი შეურიგებია და სერიოზულ კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის შექმნილი პრობლემაც გაურჩევია და მოუგვარებია.

– არა, ჯოჰარი სულელია, ნადირშაჰისთვის უნდა დაეჯერებინა. ძალიან ამბიციურია. დაღუპა რესპუბლიკა, – წამოიწყო საუბარი ერთ-ერთმა სტუმარმა. ეტყობოდა, ხაზი უნდოდა გაესვა, რომ კარგად იცნობდა ლაკთა და სხვა დაღესტნელთა სულიერ ლიდერს.

– ჰო, რა, ცოტა უნდა მომაგრებულიყო და მერე... – ბანი მისცა მეორე მამაკაცმა. ცოტა რომ მოეთმინა, მთელი კავკასია ფეხზე დადგებოდა, აი, ისე, როგორც იმამ შამილის დროს. და საერთოდ გავყრი-

დით კაფირებს ჩვენი მიწიდან. – თქვა ეს და კედელზე გაკრულ შარიათის დროშას ახედა. წვერზე ხელი ჩამოისვა და „ბისმილაიჰუ“ წარმოთქვა.

– არაა ეგრე, – აჰყვა მესამე, ეროვნებით ავარელი. ჯოჰარი ჩეჩენია. მაგათ თავიანთი გაგება აქვთ. ეჩქარებოდა. პირველობა უნდოდა და თან დასავლეთთან აქვს კავშირები. მუსლიმებს კი, მუსლიმის გარდა, გვერდით არავინ დაუდგება. ეს ვერ გააგებინა ნადირშაჰმა.

ავარელის მიერ ჯოჰარ დუდაევის აუგად მოხსენიება ჩეჩენ სტუმრებს არ ესიამოვნათ. კიდეც დაიწყეს იმამ შამილის ისტორიის გახსენება, თუ როგორ ჩაბარდა ის ტყვედ რუსეთის იმპერიას. მაშინ, როდესაც უფეხო, უხელო და ცალთვალა ჩეჩენი, იმამის ნაიბი, ბენოელი ბაისანგური ემუდარებოდა მას, არ ჩაედინა ეს უღირსი საქციელი. შემდეგ იმის გახსენებაც უნდოდათ, რომ ცხენზე ბრძოლის დროს დაბმულმა ბაისანგრმა გაარღვია გარშემორტყმულ ჯარისკაცთა ალყა და როგორ გადავიდა ისლამის წმინდა მახვილი „შარიათი“ ჩეჩნეთში და როგორ გააგრძელა რწმენისათვის ბრძოლა ყველასაგან მიტოვებულმა მუსლიმმა ერმა. პატარა პაუზა დაიჭირეს და სრული სერიოზულობით მოემზადნენ კამათის ახალი რაუნდის დასაწყებად. ანალოგიური საუბარი და კამათი ბევრჯერ ყოფილა ჩეჩნებსა და დაღესტნელებს შორის. საბოლოოდ ის სერიოზულ პოლიტიკურ დისკუსიაში იზრდებოდა, ახალგაზრდები ბოლოსკენ ერთმანეთს ეჭიდებოდნენ და ამ სახით ცდილობდნენ კამათში გამარჯვებულის გამოვლენას, შედარებით ხანშიშესულები კი რელიგიაზე საუბარზე გადადიოდნენ და რელიგიურ ბატალიებში ცდილობდნენ მოწინააღმდეგის დამარცხებას.

ახლაც, თითქმის აქამდე მივიდა. ის იყო, პოლიტიკური დისკუსია უნდა დაწყებულიყო, უცნობმა კი ჩაის რამდენიმე ყლუპის დალევა და ერთი-ორი ნატეხი შაქრის მიყოლება მოასწრო, რომ ოფისში ჩოჩქოლი ატყდა. შეკრებილთა ნაწილი ფეხზე წამოდგა, ნაწილი ისევ სკამებზე ისხდა, მაგრამ ხელები მკერდთან ერთმანეთს გადააჭდეს. ასეთ ჟესტს თანამედროვე ფსიქოლოგია თავდაცვის ჟესტად მოიხსენიებს. ვისგან უნდა დაეცვათ თავი შეკრებილებს?! ამ ოფისში ხაჩალაევის ღია თუ ფარული დასტურის გარეშე ბუზიც კი ვერ შემოფრინდებოდა.

უცნობს ქუჩიდან ძრავის ღრიალის, მანქანების დამუხრუჭების, შემდეგ კი შემოსასვლელი კარის მიჯახუნების ხმა შემოესმა.

– მოდის, მოდის, მოემზადეთ, უნდა გავიდეთ. გადაულაპარაკეს ერთმანეთს შეკრებილებმა.

– ვინ მოდის და სად უნდა გავიდეთ?! – მიამიტად იკითხა უცნობმა. მისი კითხვა აინუნშიც კი არავინ ჩააგდო. ეტყობა, არ სურდათ უცხოს-

თან საუბარში ჩართვა. საერთოდ ეს თვისება ყველა ჩრდილოკავკასიელისათვის დამახასიათებელია. სანამ კარგად არ შეგისწავლიან, მანამდე შეიძლება ძაღლადაც არ ჩაგაგდონ.

ოთახში შემოსასვლელ კარს ვიღაცამ წიხლი მიარტყა და რამდენიმე კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო ფორმაში ჩაცმული ტიპი შემოვარდა. მათ დაბალი, ოქროსკბილებიანი, მოკლედ შეკრეჭილულვაშიანი და შედარებით გრძელწვერიანი, გამხდარი მამაკაცი შემოჰყვათ. მასაც ოთახში მყოფებივით სიასამურის ბეწვის ქუდი ეხურა. საშუალო სიგრძის ძვირფასი მასალისაგან შეკერილი პალტო და წვეტიანი, უთასმო ფეხსაცმელი ეცვა.

ყველა ფეხზე წამოხტა. მათთან ერთად უცნობიც. ყველა თითქმის ერთდროულად მიესალმა შემოსულს.

– სალამალეიქუმ, – მან სალამი მოკლედ დაუბრუნა დამხვდურთ. ჩია კაცს კიდევ რამდენიმე შეიარაღებული პირი შემოჰყვა. დაცვამ ყველა აქეთ-იქით გასწია, თითქმის კედელთან მიაყენა.

სიასამურის ქუდიანი უცნობი მძღოლისაკენ გაემართა და რაღაც ჰკითხა. მან კი უცნობისაკენ მიანიშნა მზერით. უცნობი უკვე მიხვდა, რომ ეს მამაკაცი ალბათ თავად ნადირშაჰ ხაჩალაევი უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, სხვა ვერ გაბედავდა ასეთ თავხედურ, ერთი შეხედვით, თავზეხელაღებულ მოქმედებას. ნადირშაჰი მისკენ დაიძრა. უცნობს არც უცდია წინ წასვლა და რომ ეცადა, ვერც მოახერხებდა, დაცვის ბიჭები ისე კეტავდნენ პერიმეტრს.

ნადირშაჰი მას მიუახლოვდა.

– სალამალეიქუმ ვარაჰმატულა ტალაი ვაბარიქათუ, – უთხრა და კავკასიურ-ისლამური ტრადიციისამებრ მიესალმა. მხარზე მხრით შეეხო. ამის შემდეგ ანიშნა, აქეთ მობრძანდიო და ორივე იქვე მდგარ ტაბლასთან ჩამოსხდა.

სტუმრები გაოგნდნენ. ვერ მიხვდნენ, თუ რით დაიმსახურა უცნობმა მათი კერპის ასეთი პატივისცემა, მაგრამ ხაჩალაევი მათთვის არაფრის ახსნას არ აპირებდა.

– როგორ იმგზავრე? ცოტა გართულდა საზღვარზე მდგომარეობა. ჩემთან ერთად გადახვალ. ერთი-ორი წუთი დავისვენოთ და გავიდეთ. ალი-აჰმედი და მუჰამედი ჩემი ძალიან ახლო ნაცნობები და პარტნიორები არიან. მათი მეგობარი კი ჩემი სტუმარია. ვიცი, რომ გეჩქარება, თორემ დაგტოვებდი რამდენიმე დღით. ლაკებმა კარგი სტუმრის კარგად მიღება ვიცით. თუმცა, ალბათ უკვე დატკბი აქაურების სტუმარმასპინძლობით.

– ყველაფერი კარგადაა. უპასუხა უცნობმა. არ ვიცოდი, თუ ალი-აჰმედსა და მუჰამედს იცნობდი.

– მე ბენ-იუსუფსაც ვიცნობ. ამაყად მიუგო ხაჩალაევმა. თუ ნახავ, უთხარი, რომ ნადირშაჰს მასთან საქმე აქვს. უკვე გადავეცი, მაგრამ ხომ იცი, მის მოძებნას „მოუხელთებელი ჯოს“ მოძებნა სჯობს.

„მოუხელთებელი ჯო“ ჩეჩნეთში და მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მეტსახელი იყო. ომის დასრულების შემდეგ ამ სახელით ჯოჰარ დუდაევის სიძეს, სალმან რადუევსაც მოიხსენიებდნენ. სალმანი თავში სნაიპერის მიერ რთული ჭრილობის მიყენებისა და გერმანიაში მკურნალობის შემდეგ არაადეკვატურად იქცეოდა. ამით მისი, როგორც სამხედრო მეთაურის, ფასი დაეცა. აღარავინ, არც გენშტაბიდან, არც ჟურნალისტებიდან, ინტერესდებოდა მისი პერსონით და ამიტომაც შეერქვა „მოუხელთებელი ჯო“. ადამიანი, რომელიც არავის არაფერში აღარ სჭირდებოდა. ჩეჩნები მომღიმარი სახით ამბობენ: მოუხელთებელია – ვის რაში სჭირდებაო.

ოთახში მყოფები გაოგნებულები უყურებდნენ უცნობს. ალბათ, ერთი მხრივ, შურით სკდებოდნენ, თუ რატომ აქცევდა ასეთ დიდ ყურადღებას ხაჩალაევი ვიღაც, მათთვის უცნობ პიროვნებას და, მეორე მხრივ, კვდებოდნენ, ისე აინტერესებდათ, გაეგოთ, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ის.

ნადირშაჰმა ჩაი დალია. წვერზე ხელი ჩამოისვა, მოკლე ლოცვა წაიკითხა და წამოდგომა დაიწყო. ამ დროს ყველა უკვე ფეხზე იდგა. დაცვის ერთი ნაწილი მანქანებში ჩასხდა, ხოლო მეორე – ხალხს მიანიშნებდა, თუ ვინ, სად უნდა ჩამსხდარიყო. უცნობი და ნადირშაჰი ერთ-ერთ ჯიპში, უკან ჩასხდნენ. დაცვის წევრმა წინა კარის ფანჯარა ჩაწია. მოკლე ავტომატის ლულა ფანჯრიდან გადმოყო. დაიქნია ხელი, შეჰყვირა, წავედით, წავედით, გვეჩქარებაო.

მანქანები დაიძრა. ერთმანეთს უკან ამოუდგნენ. ორი მანქანა ნადირშაჰის მანქანას პატრონობდა. წინა ჯიპი – ოდნავ მარჯვნივ, უკანა თითქმის ტრასის გამყოფი ხაზის შუაში მიჰყვებოდა მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის მანქანას. კოლონა ჩეჩნეთის მიმართულებით წავიდა. ყველა მანქანას წინა, მარჯვენა კუთხეში რუსეთის მუსლიმთა კავშირის მწვანე დროშა ჰქონდა აფრიალებული. ყველა მათგანი დაჯავშნული იყო. სახელმწიფო ნომრებიც მწვანე ფონზე იყო ამოტვიფრული. ხაჩალაევს, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, დიპლომატიური პასპორტი და იმუნიტეტი ჰქონდა. შესაძლოა მწვანე დიპლომატიური ნომრები ამის გამო ჰქონდა, შესაძლოა უბრალოდ საკუთარ მრწამსს უსვამდა ხაზს.

მის მანქანებს დაღესტანში, ჩეჩნეთსა და აზერბაიჯანში ყველა ცნობდა. მასთან პრობლემის შექმნა არავის უნდოდა. ის ერთგვარი გარანტი იყო

იმისი, რომ დაღესტანში ჩეჩენიზაციის ანდა ფუნდამენტალიზაციის პროცესი არ დაიწყებოდა. იმ დროს სომხეთთან ომში ჩართულ აზერბაიჯანელებს კი ნამდვილად არ სჭირდებოდათ მეორე ფრონტის გახსნა ზურგში.

ერთხელ აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და ნადირშაჰ ხაჩალაევის ჯგუფის წარმომადგენლებს შორის გაუგებრობა მოხდა. ზუსტი მიზეზი არვის ახსოვდა, უბრალოდ, ორივე მხარეს უნდოდა, ეჩვენებინა ერთმანეთისათვის, ვინ წარმოადგენდა პატრონს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში. შესაძლოა, თავიდან კუნთები ალიევის ხალხმა შეათამაშა, შესაძლოა – ხაჩალაევის, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 80-მდე ჯიპმა და რამდენიმე სატვირთო მანქანამ რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარი გაარღვია. გზად კიდევ ჩრდილო-აზერბაიჯანის ლეკი მოსახლეობა დაემატათ და კბილებამდე შეიარაღებული ჯგუფი ბაქოში შევარდა. პრეზიდენტის სასახლეს ალყა შემოარტყა. რომ არა ჩეჩენი შუამავლების ჩარევა, შესაძლოა საქმე სერიოზულ სისხლის ღვრამდეც მისულიყო.

რამდენიმედღიანი მოლაპარაკებების შემდეგ ხაჩალაევის შეიარაღებულმა რაზმმა აზერბაიჯანი დატოვა და ამის შემდეგ მას, მის ბიზნესს, თუ წარმომადგენლებს ქვეყანაში პრობლემა არ შეჰქმნიათ.

ჩეჩნეთ-დაღესტნის ადმინისტრაციულ საზღვართან მანქანები შეჩერდა. მგზავრების ნაწილი მანქანიდან გადმოვიდა და საპასპორტო კონტროლთან მოეწყო. ნადირშაჰის მანქანა შორიახლოს შეჩერდა. უცნობი მანქანიდან გადმოსვლას აპირებდა, მაგრამ ნადირშაჰმა შეაჩერა.

– ესენი საპასპორტო აღრიცხვას სხვა მიზეზით გადიან. ყოველთვის ჩემთან ერთად კი ვერ იმგზავრებენ. არ უნდათ, სამომავლოდ პრობლემები შეიქმნან. შენ იყავი. არავინ შეგაწუხებს. ახლობლის მამის პანაშვიდზე მივალთ და შემდეგ ნოვოგროზნოში, ალი ასაევის ძმასთან დაგტოვებ. ის გიმასპინძლებს და დაგაკვალიანებს მომავალზე.

უცნობის თანამგზავრებმა საპასპორტო რეგისტრაცია უცბად გაიარეს და კოლონა ნოვოგროზნოსაკენ დაიძრა, ისინი უკვე ჩეჩნეთში იყვნენ.

დაღესტნის, ხასავ-იურტის რაიონი და ჩეჩნეთის ბუნება ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მოტიტვლებული ხეები, ბორცვები, ტყეები, აქა-იქ წვიმის წყლით სავსე გუბეები თუ პატარ-პატარა წყალსაცავები. ბევრი კაკლის ხე. საკმაოდ ციოდა. ჰავა კონტინენტური, მშრალი.

15-20 წუთში კოლონა ნოვოგროზნოში შევიდა. გზად რამდენიმე დამწვარ ჯავშანტრანსპორტიორს თუ განადგურებული სამხედრო ტექნიკის გზიდან გადათრეულ ნარჩენს მოჰკრა თვალი. მძიმე ტანკით გადაჭყლეტილი რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა იქვე, კუსტარულ ბენზინგასამართ

სადგურთან იყო დახვავებული. დასახლებული პუნქტის განაპირას, წითელი აგურით ნაშენ, წითელი, ხელოვნური კრამიტით გადახურულ სახლთან უცნობმა მანქანები და ხალხმრავლობა შენიშნა. სწორედ ამ მიმართულებით წავიდა კოლონა. მანქანები გაჩერდა. მგზავრები გადმოვიდნენ და დაიწყო კავკასიური ტრადიციისამებრ მისალმება.

ცერემონია საკმაოდ დამღლელი აღმოჩნდა. თითქმის ყველას, რამდენიმე ასეულ ადამიანს მიესალმა ხაჩალაევი. უცნობსაც მასთან ერთად მოუწია ყველაფრის გამეორება. ერთ-ერთს, მაღალ ტყავის ქურთუკიანს მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე განსაკუთრებული პატივით მიესალმა. ეს აზერბაიჯანში ჩეჩნეთის წარმომადგენლის, ალი ასაევის უფროსი ძმა გახლდათ. ძმისაგან განსხვავებით, ალის უბრალოდ ეცვა. ძვირად ალბათ მხოლოდ მისი ბეწვის ქუდი ფასობდა. მასაც ოქროს კბილები ჰქონდა ჩაწიკწიკებული. მას შემდეგ, რაც ნადირშაჰმა სტუმრის შესახებ რამდენიმე სიტყვა უთხრა, მაღალი, ახოვანი მამაკაცი მიუახლოვდა უცნობს, გადაეხვია და უთხრა, რომ სამძიმარზე შესვლის შემდეგ ის გაუწევდა მასპინძლობას. უცნობმა თავი დაუქნია. ხაჩალაევისაკენ შეტრიალდა, ისლამურ-კავკასიური ტრადიციისამებრ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, წარმატებები უსურვეს და ალი ასაევის ძმასთან ერთად სამძიმარზე შევიდა.

მიცვალებული უკვე რამდენიმე დღის დაკრძალული გახლდათ. ისლამური ტრადიციის თანახმად, გარდაცვლილი ან დაღუპული იმავე დღეს უნდა დაიკრძალოს, თუმცა ოჯახი სამძიმარს რამდენიმე კვირა, 42 დღემდე იღებს. იმ შემთხვევაში, თუ დაღუპული შაჰიდი იყო, ყველაფერი მართლაც 42 დღე შეიძლება გაგრძელდეს. ნათესავები, თანასოფლელები, მეგობრები, უბრალო ნაცნობები და რაც მთავარია, თანამებრძოლები არ იშურებენ დროს, რათა პატივი მიაგონ დაღუპულსა და მის ოჯახს. მოგეხსენებათ, ომის დროს სამძიმარზე მისვლა ყველაზე მეტად თანამებრძოლებს უჭირთ. ამიტომ ვერავინ ძრახავდა მათ დაგვიანებისათვის. უცნობი გრძნობდა, რომ ჰაერშიც კი დაძაბულობა იყო. კავკასიაში დაწყებულმა ჯიჰადმა ყველაფერზე იმოქმედა. ბუნება, ჰაერი ადამიანები ძალიან შეცვალა. მოსახლეობაში უნდობლობამ, დაღლილობამ და თვითგადარჩენის სინდრომმა გაიღვიძა.

ალი ასაევის ძმასთან სახლში მისულმა ჩაის სმის დროს მასპინძელს ჰკითხა, რა შეიცვალა ჯიჰადის დაწყების შემდეგ და მანაც უპასუხა:

– ხალხი შეიცვალა, ხალხი. ბუნებაც შეიცვალა. დაწამლულია ყველაფერი. რუსები საწამლავს და ქიმიკატებს ყრიან. წამლავენ ტყეებს. ერმოლოვმა უბრალოდ გადაწვა ტყე და ესენი კიდევ გვწამლავენ. ყველაფერი სხვაგვარია. ყველაფერს ეშველება, მაგრამ ხალხი იცვლება. ესაა

ყველაზე ცუდი. მაგრამ ეს დროებით. ალბათ. აგერ უკვე რამდენიმე საათი ჩეჩნეთში ხარ, სადმე ძაღლის ყეფა თუ მოგესმა?! – გაიღიმა.

– სხვათა შორის, არა. – მიუგო უცნობმა. ერთ გაქუცულ ძაღლს მოვკარი თვალი საზღვართან, ბენზინგასამართ სადგურთან. ისიც ჩუმად იყო ატუზული ვაგონთან. ხმას არ იღებდა.

– ეგრეა, – მიუგო მასპინძელმა. ყურანში წერია, ძაღლს რომ შეეხები, მიწით 6-ჯერ უნდა დაიბანო ხელიო. ჰოდა, დაწყვიტეს ძაღლები. მურა იმიტომ გადარჩა, რომ საზღვარზეა და რუსები აჭმევენ, ასმევენ და იცავენ. მაგრამ ეგეც არ ყეფს. რომ დაყეფოს, ვინ უპასუხებს?! ირგვლივ რამდენიმე კვადრატულ კილომეტრზე ძაღლის ჭაჭანებაც არაა. ჰოდა გაჩუმდა, მგონი, დამუნჯდა კიდეც.

– ხალხს აღარ სჯერა ერთმანეთის. მოჯაჰედები მოღალატეებს ეძებენ და სჯიან, ფედერალები – მოჯაჰედების მხარდამჭერებს. უბრალო ხალხი იჭყლიტება, თორემ არც მოჯაჰედებს აკლიათ რამე და არც ფედერალებს.

– ბაქოში რატომ არ მიდიხარ? შენი ძმა იქ დიდ თანამდებობაზეა. ფულიც ბევრი აქვს და გავლენაც. არ მგონია, გაგჭირვებოდა გადასვლა.

– აქაა ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი. ხალხს დახმარება სჭირდება, მეც თუ წავედი, ვინღა დარჩება. ვინ უპატრონებს სოფელს, ნათესავებს, ბავშვებს, ქალებს. არა, აქ მირჩევნია. ალი თავის საქმეს აკეთებს, მე – ჩემსას. კარგი, ახლა ლოცვის დროა, შენ დაისვენე. დილის ლოცვის შემდეგ ვედენოში გაგიშვებ. იქ უკვე მოჯაჰედები მოგხედავენ. ვედენოში ნამდვილი ჩეჩნეთი და ჯიჰადია. ბენ-იუსუფს თუ ნახავ, გადაეცი, დროზე აღასრულოს ალაჰის ნება და დროზე გაათავისუფლოს ისლამური მიწა კაფირებისა და მუნაფიკებისაგან, თორემ დაიღალა ხალხი. მუშაობა და სიმშვიდე უნდათ. ასე თუ გაგრძელდა, ცარიელი მოწამლული მიწა დარჩება აქ მხოლოდ.

მაშინ უცნობს ჩეჩნეთში მუსლიმების ძაღლებთან დამოკიდებულების შესახებ მხოლოდ გაგონილი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ლეკვი ჩაიყვანა და ერთ-ერთ ოჯახში, ბებერ მოლასთან დატოვა, რათა მის, შვილიშვილი, პატარა გოგონა, სახელად სამირა გართობილიყო. შემდეგ უთხრეს, რომ გოგონას მამინაცვალმა უწმინდური ცხოველი მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ მოლამ სთხოვა, არ ჩაედინა ეს სისასტიკე.

ბუთხუზამ უცნობთან ერთად დიდი გზა განვლო ჩეჩნეთამდე. ძალიან საყვარელი ლეკვი იყო. უცნობს საქმეშიც ეხმარებოდა. ის მესაზღვრეებსა და მებაჟეებს თამაშს უწყებდა და მათ მანქანისა და მძღოლის შემოწმების სურვილი უქრებოდათ.

გროზნოში მოლას ეზოში თავს კარგად გრძნობდა მანამდე, სანამ

მის სიძეს ღრენა არ დაუწყო და შემდეგ კარგა გვარიანად დაკბინა. ეტ-ყობა, ძაღლმა იგრძნო, რა სულის პატრონიც იყო მომხვდური. მამედი ერთადერთი იყო, ვისაც ბუთხუზა თურმე თავიდანვე უღრენდა. არ მოს-წონებია მამედი. მის ეზოში შემოსვლასთან ერთად ძაღლი ყეფას იწყებ-და. არ კბენდა, უბრალოდ უღენდა, თითქოს გრძნობდა, რომ მამაკაცი რაღაც ბნელი სულით იყო შეპყრობილი. მანაც ერთხელ წიხლის ჩარტყმა დააპირა და სწორედ მაშინ უკბინა ბუთხუზამ.

მამედი გაცნობის დღიდანვე ამრეზით უყურებდა უცნობს. არც მისი ნაჩუქარი ძაღლის ლეკვი ეპიტნავებოდა. შეიძლება ეჭვიანობ-და, რადგან არამუსლიმი უცნობი ჩეჩნეთის ხელისუფლებასა თუ მაღა-ლი რანგისა და სტატუსის მქონე მოჯაჰედებში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო შეიჯავრა ბუთხუზაც და როდესაც საშუალება მიეცა, უცნობის მიერ ჩამოყვანილი ლეკვი ავტო-მატით ჩაცხრილა. მოკლა, რათა ამით ოჯახში საკუთარი უპირატესო-ბა დაემტკიცებინა.

შამილი

დაპირებისამებრ, დილას მასპინძელმა უცნობი გააღვიძა და უთხრა, რომ გამგზავრების დრო იყო. ადგილობრივი დროით დილის შვიდი საა-თი იქნებოდა. უცნობი უცებ წამოხტა ლოგინიდან. ტანსაცმელში ეძინა. ბოლო პერიოდში მუდმივ დაძაბულობასა და ლოდინის რეჟიმში ცხოვ-რებამ ტანსაცმლის გახდა-ჩაცმაში დროის ხარჯვის სურვილი დაუკარგა. ერთადერთი, ფეხსაცმელებს გაიძრობდა ხოლმე და იქვე, ლოგინთან მიყ-რიდა. როგორც კი ბალიშზე დადებდა თავს, ითიშებოდა, თუმცა პატარა ჩამიჩუმზე მყის ეღვიძებოდა. ამჯერადაც ასე მოხდა. მასპინძლის ფეხის ნაბიჯები სიზმარში ჩაესმა და უცბად წამოხტა. ხელი ჩაავლო ზურგჩან-თას, რომელიც ბაქოდან წამოიღო და არც გაუხსნია მთელი მგზავრო-ბის პერიოდში. აღარც ახსოვდა, რა ედო შიგნით. შესაძლოა რამდენიმე კოლოფი სიგარეტი, წყლის ბოთლი, სუფთა საცვლები და წინდები, მაგ-რამ არაფერი მეტად მნიშვნელოვანი, რასაც ადამიანი ვერ შეელეოდა და სხვაგან ვერ იშოვიდა.

თითქოს რაღაც უკვე ჩამოყალიბებული წესისამებრ ქურთუკზე შე-მოიგდო და გარეთ გამოვიდა. ჯიბიდან წითელი მალბოროს კოლოფი ამოიღო, ის-ის იყო ასანთისთვის უნდა გაეკრა და დილის გვარიანი გემ-რიელი ნაფაზი დაერტყა, რომ გაახსენდა, აქ არავინ ეწეოდა. აქ კი არა, თითქმის არსად, ჩეჩნეთში და დაღესტნისა და აზერბაიჯანის ისლამელი

ფუნდამენტალისტებით დასახლებულ ნაწილებში. ნდომით შეხედა სიგარეტის ღერს და სანამ ისევ კოლოფში დააბრუნებდა, ხარბად ჩაისუნთქა თამბაქოს სურნელი. ჯანდაბა ამის თავს, მერე მოვწევ. ალბათ იქნება აქ ვინმე ჩემნაირი, ურწმუნო, ეშმაკეული. მართლა ყველა სამოთხის ბილეთით ხომ არაა დაბადებულიო, გაიფიქრა. სიგარეტის მოწევას თითქმის ვერსად ახერხებდა, გარდა იმ მომენტისა, როდესაც სადმე, გზაში საჭმელად ჩერდებოდნენ. ჯიჰადისტები და მათი მხარდამჭერები არ ეწეოდნენ. სახლებსა და ეზოებში სიგარეტს არავინ ეწეოდა. ამიტომ პრაქტიკულად დაავიწყდა კიდეც ეს მავნე ჩვევა, რომელიც ხანდახან მაინც ახსენებდა თავს.

ჩაის დალევისას მასპინძელმა მეგზური გააცნო და უთხრა, რომ ის ჩაიყვანდა ვედენოში, ჯიჰადისტების ცენტრში, საიდანაც ახალი თავგადასავალი ელოდა. გზაში ტემპერატურის ცვლილება საგრძნობი გახდა. მეტად აცივდა. რამდენიმეხნიანი მგზავრობის შემდეგ, წინ ჩეჩნეთის მთიანი რეგიონის, ვედენოს, თვალწარმტაცი ბუნება გადაიშალა. გზაში სამთავრობო ჯარებისა და ადგილობრივი მილიციის ერთობლივი არაერთი ბლოკპოსტი შეხვდათ, თუმცა ზოგი ნაცნობობით, ზოგი ქრთამით ზოგიც კი რამდენიმეხნიანი მოლაპარაკებების შემდეგ დატოვეს. რამდენჯერმე მგზავრები მანქანიდან გადმოიყვანეს, გაჩხრიკეს. მანქანის კაპოტისა და საბარგულის ახდა მოითხოვეს. როდესაც აღმოჩნდებოდა, რომ არც იარაღი და არც ვინმე ძებნილი ჯიჰადისტი ან კრიმინალი მანქანაში არ იყო, ათავისუფლებდნენ. რომ არა ამდენი მილიციელი და სხვა შეიარაღებული, ნამდვილად იტყოდით, რომ ამ ადგილას კარგი ზამთრის კურორტის გაშენება არ იქნებოდა ურიგო. თოვლით დაპენტილი ტყეები და მთები, მეტი რა უნდა ზამთრის სპორტის მოყვარულსა თუ უბრალოდ დამსვენებელს.

ახლაც, ისევე როგორც ადრე, პირველი ომის დროს, თითქმის ყველა ბლოკპოსტთან ერთი ან რამდენიმე უცხოელი ჟურნალისტი, წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის წარმომადგენლები იყვნენ. შესაძლოა, ამიტომ ცდილობდნენ 1994-96 წლებში რუსები მეტ-ნაკლებად წესიერად მოქცეულიყვნენ დღის საათებში. ღამე კი ტრასებზე მოძრაობა როგორც მაშინ, ასევე ახლა, ნამდვილად არ იყო სახარბიელო. მხოლოდ მცირე განსხვავებით, ამჯერად რუსები აღარ იყვნენ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. ჯიჰადისტები, ათასი ჯურის ყაჩაღები, ან საშოვარზე გამოსული საჯარისო ფორმირებებისა და ადგილობრივი მილიციის ნაწილები ტურების ხროვასავით ეტაკებოდნენ გამოჩენილ ავტომანქანებს და თუ პატრონი და მგზავრები ცოცხლები მაინც გადარჩებოდნენ, ნამდვილად უნდა შეეწირათ მადლობა უზენაესისათვის.

ადრეც და ხასავიურტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც ბევრი ადამიანი დაკარგულა სწორედ ღამით მგზავრობის დროს. როგორც საოკუპაციო რეჟიმის, ასევე ჯიჰადისტთა მხარდამჭერი თუ უბრალოდ მშვიდობიანი მოქალაქე და ისინი ბევრ შემთხვევაში საერთოდ ველარ უპოვიათ.

სუფთა ჰაერმა თითქოს ახალი ენერგიით აავსო. მთებისაკენ მიმავალი გაუთავებელი სერპანტინი სულაც არ იყო მომაბეზრებელი ჩეჩნეთის დათოვლილი მთიანეთის ულამაზესი პეიზაჟის თვალიერებით გართული ადამიანისათვის.

გზად ქვის უსახური, არანაირი მხატვრული ღირებულების მქონე ქანდაკება გამოჩნდა. მძღოლმა სიხარულითა და სიამაყით აცნობა, რომ ეს იმამ შამილის ძეგლი გახლდათ და ისინი უკვე ვედენოს რაიონში იმყოფებოდნენ.

ხელოვნების ამ ღირსშესანიშნავ ნიმუშს ადგილობრივი ისლამელი ფუნდამენტალისტების მხრიდან არაერთხელ დაემუქრა განადგურების საფრთხე. მოგეხსენებათ, ისლამი კრძალავს კერპთაყვანისმცემლობას და ადამიანის ქანდაკება, აგრეთვე გამოსახულება კერპად ითვლება და უნდა განადგურდეს, თუმცა რუსებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმამ შამილის ძეგლის არსებობა ვედენოში, რადგან მიუხედავად მასთან 25-წლიანი დაპირისპირებისა, შამილი რუსებს ტყვედ ჩაბარდა და მისი ქანდაკების არსებობა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მანქანის უძლეველობის ნიშანი იყო. პირველი ომის შემდეგ წარმოჩენილმა მრავალმა პრობლემამ ამ და სხვა ქანდაკებებისა, თუ მონუმენტების განადგურების საკითხი დროებით უკანა პლანზე გადაიტანა.

საერთოდ, ჩეჩნეთში ძეგლები იშვიათად თუ მოხვდება ადამიანს თვალში. ყველაზე დასამახსოვრებელი გროზნოს ცენტრში მდგარი სამი რევოლუციონერის ქანდაკება იყო, რომლებსაც ჩეჩნეთის გასაბჭოებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით.

საბჭოთა ჩეჩნეთის ისლამურ რესპუბლიკად ტრანსფორმაციის პროცესის შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ ერთ დროს სათაყვანებელ მონუმენტს – სამი სულელის ქანდაკება, ხოლო ადგილს, სადაც ისაა აღმართული, სამი სულელის მოედანი უწოდა. დროის ქარბორბალამ ამ ისტორიულ მონუმენტსა და მოედანს ფუნქცია შეუცვალა ისევე, როგორც კომუნისტების მმართველობის პერიოდში; მოედანზე ახლაც სახალხო თავყრილობები იმართებოდა. ოღონდ ამჟამად, ძველი დროისაგან განსხვავებით, როდესაც შეკრებილნი საბჭოურ დღესასწაულებს ზეიმობდნენ, სახალხო მსვლელობებს აწყობდნენ, ან რაიმე

კონცერტით ტკბებოდნენ, ახლა ტყვედ აყვანილი რუსი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით, აგრეთვე, მოტაცებული ადამიანებით, მონებით ვაჭრობდნენ.

მოედანზე არსებულ განათების ბოძებზე მრავლად ნახავდით შემდეგი სახის განცხადებებს: ვყიდი „საქონელს“, ოფიცერს, ბევრს მუშაობს. გაკრული იყო განცხადებები მოტაცებულების დაბრუნების შესახებაც. ძირითადად ანონიმური იყო, მაგრამ როდესაც დაინტერესებული ადამიანი ბოძს მიუახლოვდებოდა, მაშინვე გვერდში ამოუდგებოდა ერთი ან რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მისთვის საჭირო საქონლის მიღებაში დახმარებას აღუთქვამდნენ.

მოედანზე იდგნენ მაკლერებიც, რომლებიც სხვისი საქონლისა და მონების ყიდვა-გაყიდვით ირჩენდნენ თავს. კარგი მაკლერის ყაირათიანი შრომა ძვირად ფასობდა. მას შეთანხმებული თანხიდან საკმაოდ მაღალი პროცენტი ერგებოდა. მაკლერები საწყალ ტყვე ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, გატაცებულებს რეკლამასაც უკეთებდნენ.

– არაა ძვირი, ამას ძალიან გავლენიანი ნათესავები ჰყავს, ბიზნესმენები არიან.

– ეს დედისერთაა, უკვე ველაპარაკე მის ოჯახს, ყველაფერს გააკეთებენ შვილის ტყვეობიდან გამოსასყიდად... – იქვე ამატებდნენ, პატრონს ფული ეჩქარება, ამის ოჯახი კი მთლიანად ვერ იხდის. ნაწილ-ნაწილ გვპირდებიან. არ აწყობს და ამიტომ ყიდის.

– ესენი კი მაგრად მუშაობენ, სამი სახლი ააშენეს, საქონელსაც კარგად უვლიან.

მოკლედ, ვაჭრობა სარფიანად მიდიოდა იმ დრომდე, სანამ ან სამართალდამცავები, ან შემდგომში პრეზიდენტის გვარდიის ნაწილები არ დაიფრენდნენ ხოლმე შეკრებილებს. თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი ისევ იმ დროისათვის მისაღებ „ცხოვრებისეულ რუტინას“ უბრუნდებოდა.

მეორე ფუნქცია, რომელიც სამი სულელის მოედანს მიენიჭა, დაახლოებით იგივე გახლდათ, რაც მეჩვიდმეტე საუკუნის პარიზში გრევის მოედანს ჰქონდა, სადაც სასეიროდ ეშაფოტები იყო აღმართული. სწორედ ასეთი სახალხო დასჯა იმართებოდა აქაც. ერისა და ისლამის მოღალატეები, ცოლქმრული ფიცის დამრღვევი ცოლები, ქურდები, ყაჩაღები ისლამური შარიათის წესებით ისჯებოდნენ და რაც მთავარია, ეს ყველაფერი ადგილობრივი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ყველაზე სასტიკი დასჯა, რომელიც ეთერში გადაიცა და ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებების საშინელი წყრო-

მა და პროტესტი გამოიწვია და რომლის შეჩერებაც იმ დროს უკვე ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმაც ვერ შეძლო, ქმრის ღალატში ბრალდებული ჩეჩენი ცოლისა და მისი აზერბაიჯანელი საყვარლის სახალხო დასჯა გახლდათ.

ამ ველურ, ლინჩის წესით გასამართლების აღსრულებას უცნობიც დაესწრო. დასჯას წინ რამდენიმედღიანი სატელევიზიო გარჩევებიც უძღოდა. ტელევიზორში გამომსვლელი მუსლიმი თეოლოგები, მოლები, საზოგადოებისათვის ცნობილი პირები, შარიათის სასამართლოს წარმომადგენლები, დედამთილები საკუთარ კომპეტენტურ აზრს აცნობდნენ ხალხს. ყველა მხარს უჭერდა სიკვდილით დასჯას, უბრალოდ ფორმაზე თუ მიდიოდა კამათი. ამ გარჩევების შემდეგ სასამართლომ დასჯის დღეც დაადგინა. მაშინ ზაფხული იყო და წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების დღე ახლოვდებოდა. ეტყობა, ჩეჩნეთის ლიდერებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს საზოგადოებრივი აზრის გარდატეხა და სიკვდილით დასჯის შეჩერება, იმდენი მაინც ქნეს, რომ დასჯა დაბადების დღის აღნიშვნამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩატარებულიყო, რათა წინასწარმეტყველის დაბადების დღეს ეს ამბავი უკვე მივიწყებოდა მოსახლეობას.

შარიათის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლების მანქანა პირდაპირ მოედანზე შემოიჭრა. მას რამდენიმე „ტოიოტას“ მარკის თეთრი, ღია საბარგულიანი ჯიპი მოჰყვებოდა, რომელშიც შავ ფორმაში ჩაცმული ნიღბიანი მებრძოლები ისხდნენ. ყველა მათგანი შეიარაღებული იყო. იქვე კამერიანი ჟურნალისტი ტრიალებდა, რომელიც დასჯის ზუსტი ადგილის დადგენას ცდილობდა, რათა საუკეთესო ადგილი აერჩიათ ამ ამაზრზენი პროცედურის პირდაპირ ეთერში გადასაცემად, თუ დასაფიქსირებლად.

სამი სულელის მოედანი გადაჭედილი იყო ხალხით. ყველას აინტერესებდა სახალხო დასჯის ყურება. ძირითადად დასჯის მეთოდებს არჩევდნენ. იხსენებდნენ იმას, თუ რომელი მეთოდით სჯიდნენ მოღალატე ცოლებსა და მათ საყვარლებს ადრე, ან სხვა ისლამურ ქვეყნებში. შეკრებილთა შორის ერთიც კი არ იყო ისეთი, რომელსაც რაიმე შეცოდების ან სინანულის ნატამალი გასჩენოდა დაკავებულთა მიმართ. ისინი ერთმანეთთან დასჯის სასტიკი მეთოდების ცოდნის გაზიარებით იყვნენ დაკავებულნი. უფრო მეტად ხანში შესული ქალები აქტიურობდნენ. მათი აზრით, ბრალდებული ქალბატონი ჯერ ქალებისათვის უნდა გადაეცათ საცემად და ჩასაქოლად და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა აღესრულებინა შარიათის გვარდიას სასამართლოს გადაწყვეტილება. ბევრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. თვლიდ-

ნენ, რომ მეუღლის ნათესავებს ჰქონდათ სრული უფლება ნაწილ-ნაწილ დაეკუწათ ბოზი რძალი.

მამაკაცზე საუბარი არ იყო. მისი დასჯა რომ აუცილებელია, ეს ისედაც ცხადი იყო. მაგრამ მეთოდზე აქაც ვერ თანხმდებოდნენ. ერთი ნაწილი მის დაკოდვას ითხოვდა, მეორე – სარცხვენელისა და კიდურების, ცხვირის, ენის მოჭრას; მოკლედ, ყველა ნაწილის, რომლითაც შეეხო და შეაცდინა ჩეჩენი ქალი.

სეირის ყურებისათვის გამზადებულ ბრბოს ყოველი შემთხვევისათვის ქვებიც ჰქონდა მომარაგებული.

ჟურნალისტებმა კამერები მონუმენტის კედელთან ახლოს გამართეს. ხალხიც ამ ადგილს მიუახლოვდა. ცხადი იყო, რომ ბრალდებულებს კედელთან მიაყენებდნენ. როდესაც შარიათის გვარდიის წარმომადგენლებმა ქალი და მამაკაცი მანქანიდან გადმოათრიეს, ბრბოს ხავილი აღმოხდა. მათ ყვირილი და ღრიანცელი ატეხეს. ყიჟინაც დასცეს, შემდეგ ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩანთიდან ქვის ნამტვრევი ამოიღო და ბრალდებულ ქალს ესროლა. ამის შემხედვარე სხვებმაც იგივე გააკეთეს. ბრალდებულთა საბედნიეროდ, თუ ასე შეიძლება ითქვას, რანდენიმე ქვა შარიათის გვარდიის წევრებს მოხვდათ. მათაც მიუღერეს ავტომატები და შეკრებილი ხალხის მიმართულებით ჰაერში ავტომატის რამდენიმე ჯერი მიუშვეს.

შეკრებილმა მამაკაცებმა ქალებს ხელი ჩაავლეს და რამდენიმე მეტრით უკან დასწიეს, დაახლოებით იმ მანძილზე, საიდანაც ქვები ვერც დაკავებულებსა და ვერც შარიათის გვარდიის წარმომადგენლებს ვერ მისწვდებოდა. გვარდიელებმა დაკავებულები კედელთან მიაყენეს. ათიოდე მეტრით დაშორდნენ მათ. იარაღი მიუშვირეს, არაბულად ლოცვა წაიკითხეს და სროლა ატეხეს. დაცხრილული ქალისა და მამაკაცის სხეულები მიწაზე ტომარასავით დაეცა. ხალხს გამარჯვების ყიჟინა აღმოხდა, თითქოს დიდ ბრძოლაში გაიმარჯვეს.

არასოდეს დაავიწყდება უცნობს ქალის შუშისმაგვარი ცრემლიანი, მაგრამ ამაყი თვალები, იმ ადამიანის თვალები, რომელიც სიკვდილს პირისპირ უყურებდა და გადარჩენის არანაირი შანსი არ ჰქონდა, რომელიც თითქოს შეკრებილ მასაში ეძებდა ერთ ადამიანობაშერჩენილს მაინც, მაგრამ ვაი, რომ მოედანზე ყველა სეირის საყურებლად იყო შეკრებილი.

სახლში დაბრუნებულ უცნობს უთხრეს, რომ თავად აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, ევროკავშირისა და თურქეთის მაშინდელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელმა, სთხოვა ასლან მასხადოვს, შეეჩერებინა სახალხო სადამსჯელო ოპერაცია, მაგრამ იგი ვერას გახდა. იმ დროისათვის ჩეჩნეთში მეტად მომძლავრებული ისლა-

მური ფუნდამეტალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავდა და მასხადოვმა ამჯობინა ორი, შესაძლო დამნაშავე ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, ხალხის გულის მოგება, ვიდრე მოკავშირე ფუნდამენტალისტებთან დაპირისპირება, თუმცა, როგორც მომავალმა აჩვენა, მან ამით ვერც მათი ლოიალობა შეინარჩუნა, სახელიც გაიფუჭა დასავლეთში და ვერც სხვა, უფრო დიდი ომი აიცილა თავიდან, რომელშიც ჩეჩნეთი დამარცხდა.

როდესაც რაიონულ ცენტრ ვედენოში შევიდნენ, ჩეჩნურ გამომსახველობით ხელოვნებაზე ფიქრი, უსიამოვნო აზრები დავიწყებას მიეცა.

ვედენო მთიანი ჩეჩნეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დასახლებული პუნქტია. მე-17 საუკუნეში ეს დასახლებული პუნქტი იმამ შამილის დროინდელ ჩეჩნეთში რუსეთის იმპერიასთან წინააღმდეგობის ძირითადი ბასტიონი გახლდათ. იმამი სწორედ აქ მართავდა ცნობილი შარიათის სასამართლოს სხდომებს. მის ერთგულ მიურიდებს ვედენოდან მიჰქონდათ შამილის ბრძანებები ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამატის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში. თითქოს სიმბოლურიც იყო, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ჯიჰადის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ლიდერი შამილ ბასაევიც იმამ შამილის სახელს ატარებდა და წარმოშობით ვედენოდან იყო.

დასახლებული პუნქტი ახლაც დიდი ომის სამზადისში იყო. სხვადასხვა შეფერილობისა და წარმომავლობის ჩეჩნურ ყაიდაზე მოხდენილ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდნენ ქალაქის ცენტრში. მათ ჯგუფებში რამდენიმე ხნიერ მანდილოსანსაც მოჰკრავდით თვალს, რომლებსაც თავსაბურავები ეფარათ, სამოსელში კი მწვანე ფერი სჭარბობდა. პერიოდულად მანდილოსნები გულისწამღებად დასჭექდნენ მეომრულ სიმღერებს, რომელთა შინაარსი რამდენიმე სიტყვით გამოიხატებოდა: არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული. მანდილოსნების ასეთი ქცევა საკმაოდ აღმგზნებად მოქმედებდა ახალგაზრდა მოჯაჰედებზე, რომლებიც სიმღერას შეძახილებით პასუხობდნენ, ალაჰუ აკბარ, რაც არაბულად დიდება ღმერთს ნიშნავს.

ოდნავ მოშორებით, კაკლის ხის ძირში მოხუცი მამაკაცების ერთი ჯგუფი ჩეჩნური რელიგიური როკვით, ზიქრით, იყო დაკავებული. მამაკაცები ჩაცმულობით აშკარად განსხვავდებოდნენ ვედენოში მრავლად მყოფი ისლამელი ფუნდამენტალისტისაგან. შავი პერანგები, გალიფეს სტილის შარვლები და მაღალყელიანი სამხედრო ჩექმები ეცვათ, თავს კი დიდი ბოხოხი ნაბდის ქუდები უფარავდათ. თავიანთი გამომწვევი ქცევით მოხუცები მეტწილად იქვე მდგომი ახალგაზრდა ჩეჩენი და არაბი ფუნ-

დამენტალისტების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ. ალბათ, ეგონათ, რომ მათი ასეთი შემართება ახალგაზრდებს კვლავ დააბრუნებდა კავკასიური ტრადიციებისაკენ.

ცეკვა ზიქრი საკმაო პოპულარობით სარგებლობს ჩეჩნეთში. ყველა გვარს, ტეიპს, ცეკვის საკუთარი ნაირსახეობა აქვს. ზიქრი განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე ან რაიმე გამორჩეულ დღეს სრულდება. ის სათავეს ისლამური სუფიზმიდან იღებს, მისტიკოს სუფიებსა და ფუნდამენტალისტებს შორის კი უზარმაზარი განსხვავებაა. ჩეჩნები სუფიები არ იყვნენ, თუმცა ეს ტრადიცია მათ ჯერ კიდევ – ისლამის, მანამდე ქრისტიანობის შესვლამდე ჰქონდათ. ზოგი ამბობს, რომ ტრადიცია წარმართულია და შემდეგ სუფიური გავლენის ქვეშ იცვალა სახე და ჩამოყალიბდა. აგრეთვე, იმასაც ამბობდნენ, ტრადიცია თურქეთიდან ან შუამდინარეთიდან შემოვიდა, როდესაც მრავალი კავკასიელი მუსლიმი, სწორედ ამ გზით მიდიოდა წმინდა ქალაქში ჰაჯის აღსასრულებლად. გათანამედროვებული ჩეჩნები თავად ხუმრობდნენ ამ ტრადიციული ცეკვის ნაირსახეობაზე და მას ჩეჩნურ რეპს ეძახდნენ.

თუმცა ზიქრმა თავისი საქმე შეასრულა და ის ერის გამთლიანების სიმბოლოდ იქცა პირველი ომის დროს. პირველი ომის დაწყებამდე ერთი-ორი დღით ადრე გროზნოს ცენტრში ზიქრს რამდენიმე ათასი ადამიანი ერთად ასრულებდა. მაშინ ამ რიტუალის ამსახველმა კადრებმა მრავალი ქვეყანა მოიარა და შეძრა. მსოფლიო საზოგადოებისათვის ზიქრი ჩეჩნეთისა და ჩეჩნების ერთიანობის, სიმტკიცის, აგრეთვე მეომრული სულის გამომხატველი საშუალება გახდა. ცეკვას განსაკუთრებული როლი მეორე ომის დაწყებისას მიენიჭა. ახლა კი ადგილობრივი ისლამელი ფუნდამენტალისტები და არაბეთიდან ჩეჩნეთში მრავლად მივლინებული ემისრები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი ისლამის ყოველგვარ, მათი აზრით, წარმართულ დანამატებს. რაიონებში, სადაც ფუნდამენტალისტები ჭარბობდნენ, ზიქრის შესრულება აიკრძალა კიდეც.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც სწორედ ზიქრი გამხდარა ისლამელ ფუნდამენტალისტებს ე.წ. ვაჰაბისტებსა და ადგილობრივ თარიქათისტთა, (კავკასიური ისლამის მიმდინარეობა) შორის შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი. მოხუცები, რომლებიც წრეში ტრიალებდნენ, არაჩვეულებრივი ენერგიით გამოირჩეოდნენ. მათ შორის ფერხულში ჩაბმულ ორიოდე ახალგაზრდასაც შეამჩნევდით. ისინი უსასრულობისკენ იმზირებოდნენ და ღრმა რელიგიურ ტრანსში იყვნენ ჩაძირულნი. უმთავრესად ქერა და ცისფერთვალება ჩეჩნებს შორის საგრძნობლად გამოირჩეოდნენ სახის კანის მუქი ფერისა და შავი, ხუჭუჭა თმა-წვერის მქონე

არაბი მოჯაჰედები. ვედენოში მიმდინარე მოვლენების მომსწრე არაბებს, ირონიულ ღიმილთან ერთად, სინანულსაც შეამჩნევდით, რადგან კავკასიაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცამეტი საუკუნის ჭეშმარიტმა რელიგიამ, ისლამმა, მათდა სამწუხაროდ, საკმაო ტრანსფორმაცია, სახეცვლილება განიცადა და მათი აზრით, წინასწარმეტყველი მუჰამედის სწავლებასთან ძალზე დაშორებულ, რაღაც, სექტანტურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა.

ადგილობრივ წარმართულ ტრადიციებს შერწყმული ისლამი ნამდვილად არ წარმოადგენდა ისლამის არაბთათვის ნაცნობ და მისაღებ ფორმას. როდესაც ზემოთ ხსენებულ წარმოდგენას ჩაუარეს, უცნობისა და მისი მეგზურის ავტომანქანას უკვე კბილებამდე შეიარაღებული ხალხით სავსე ორი ჯიპი გამოჰყვა. ესკორტი მეტ პომპეზურობას სძენდა მათ ვიზიტს, რომლის მიზანი თურმე ჩეჩნეთ-დაღესტნის გაერთიანებულ კონგრესზე კავკასიის ახალარჩეულ იმამთან, შამილ ბასაევთან შეხვედრა გახლდათ. მისი სახლი არაფრით გამოირჩეოდა ვედენოს ამ რაიონში წამოჭიმული სხვა სახლებისაგან. ქუჩა, რომელზეც სახლი იყო წამოჭიმული, ორივე მხრიდან ბლოკპოსტით იყო გადახერგილი. შამილზე არაერთი თავდასხმა მომხდარა და მისი დაცვა შემთხვევითობებისაგან დაზღვევის მიზნით თავდაცვისა და უსაფრთხოების ყველა ზომას მიმართავდა. შამილს მრავალი მტერი ჰყავდა როგორც რუსეთის ხელისუფლებაში, სპეცსამსახურებსა და კრიმინალურ სამყაროში, ასევე ჩეჩნეთში. მისი ბრძანებით ბევრი ადგილობრივი დასაჯეს სიკვდილით და ამის გამო ბევრი მოსისხლე მტერი გაიჩინა. მოსისხლე მტრობა კი, კავკასიური ადათის მიხედვით, სისხლის აღებამდე გრძელდება, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა და მხარეებმა ყურანზე არ დაიფიცეს დაპირისპირების შეწყვეტა.

მანქანა ბლოკპოსტის გარეთ გააჩერეს. მანქანიდან გადმოსულებს დაცვა მოუახლოვდა, იკითხეს, ვინ იყვნენ და აქ რა უნდოდათ. როდესაც უცნობის თანამგზავრმა ბენ-იუსუფის სახელი ახსენა, მათთან მოსული შეიარაღებული პირი მოტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით გაემართა ქუჩის ცენტრისაკენ, იქ მდგარ მოჯაჰედთა ჯგუფს გაესაუბრა და რამდენიმე წუთში ქუჩის შიდა მხარეს მანქანით მოვარდა. მანქანიდან გადმოვიდა და ბლოკპოსტთან მდგომ უცნობს ხელი დაუქნია, ისიც ჩეჩენ გამყოლთან ერთად ზანტად დაიძრა მანქანისაკენ. მანქანით სულ რამდენიმე ათეული მეტრი გაიარეს და შამილის რეზიდენციას მიუახლოვდნენ.

სახლი ქუჩის შუაში იდგა, ასე სულ 150 მეტრში ბეტონის დიდი ფილებიდან, მაგრამ დაცვის წევრმა თავისი და არა მარტო მისი კერპის, ბენ-იუსუფის ნაცნობს პატივი სცა და შამილის ჭიშკრამდე მიიყვანა მანქანით.

ერთსართულიანი სახლის ეზოში სტუმრებმა თვალი ბასაევის აფხაზ მეუღლეს მოჰკრეს. ადგილობრივთა გადმოცემით, მას ძალიან გაუჭირდა ჩეჩნური ენის შესწავლა. როდესაც მოსულები შეამჩნია, თვალი აარიდა და ჩეჩენი დიასახლისისათვის ჩვეული საოჯახო საქმიანობა გააგრძელა.

რუსული ავიაციის დაბომბვების შედეგად ბასაევის სახლი რამდენჯერმე დაინგრა. ერთხელ მძიმე ჭურვი სამზარეულოს დაეცა, რომელიც სახლის ჩრდილოეთის ფლიგელში იყო განთავსებული. საბედნიეროდ, ჭურვი არ აფეთქდა და არავინ დაღუპულა. იმ დროს, რა თქმა უნდა, სახლში ბასაევი არ იმყოფებოდა. აფეთქება მხოლოდ მისი ოჯახის წევრებს გაანადგურებდა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ბასაევის ოჯახის გადარჩენა ღვთიურ სასწაულს მიაწერა და ამან კიდევ უფრო გაზარდა ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამისადმი პატივისცემა და ნდობა.

შამილი სტუმრებს ეზოში დახვდა. მიესალმა და სახლში შეიპატიჟა.

ერთი შეხედვით, აღგზნებული ჩანდა. მისი აღტყინების მიზეზი ჩეჩნეთ-დაღესტანში განახლებული საბრძოლო მოქმედებები გახლდათ.

ამ საშუალო სიმაღლის, მელოტი ადამიანის სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა მთელ კავკასიას, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოსახლეობის დიდ ნაწილს. ის ტერორისტთა სიაში პირველ ადგილს იკავებდა და მართალი გითხრათ, ამაყობდა კიდეც ამით.

შუბლზე საკმაოდ დიდი და ღრმა იარა ჰქონდა. ჭრილობა აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლების დროს მიიღო. შამილ ბასაევი კავკასიაში უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე ყველა სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობდა. მისი ქმედებები ხშირად ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარებოდა, ყარაბაღის კონფლიქტში იგი აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა, აფხაზეთში მან და მისმა ლაშქარმა სეპარატისტების მხარე დაიკავეს.

ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ჯარის ნაწილების შესვლამდე პრეზიდენტ დუდაევისადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი. ომის დაწყების შემდეგ კი დუდაევის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამხედრო მეთაური გახდა და სამხრეთის მიმართულების მთავარსარდლობა ჩაიბარა.

მავანი იმასაც ამბობდა, რომ ბასაევს სამხედრო მომზადება რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მოსამზადებელ ბანაკებში ჰქონდა გავლილი, მაგრამ ეს ფაქტი შამილის ავტორიტეტს ადგილობრივ მოსახლეობაში და მებრძოლებში კი არ აკნინებდა, არამედ პირიქით, ამაღლებდა კიდეც.

ჩეჩნეთში ყოველთვის პატივისცემით სარგებლობდნენ სამხედრო

მომზადება გავლილი ადამიანები. აკი თავად ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი, ჯოჰარ დუდაევიც – სსრკ-ის სტრატეგიული ავიაციის გადამდგარი გენერალი, მეორე პრეზიდენტი, ასლან მასხადოვი კი საბჭოთა არტილერიის ჯარების გენერალი იყო.

არც ისე მაღალი შამილი განსაკუთრებული ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა. ამბობდნენ, რომ მას შეეძლო თითო ხელში თითო ტყვიამფრქვევით ებრძოლა, რაც ბევრ შესახედად მასზე უფრო ძლიერ მებრძოლს არ ძალუძდა. შამილის რაზმში ყოფნას ბევრი მოჯაჰედი ლამობდა. რადგან ყოველ მებრძოლს უფრთხილდებოდა, საბრძოლო ოპერაციასა და დივერსიულ აქტს, სხვა მეთაურებისაგან განსხვავებით, ყველა წვრილმანი დეტალის გათვალისწინებით გეგმავდა, რათა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი ყოფილიყო მოჯაჰედთა რიგებში. ყველას კარგად ახსოვს მის მიერ ჩატარებული ოპერაცია ბუდიონოვსკში, აგრეთვე, ჯოჰარ დუდაევის სიძის, სალმან რადუევის რეიდი პერვომაისკში. ამ ორი ოპერაციისას მოჯაჰედთა შორის მსხვერპლი ერთი ათთან იყო, თუმცა ვერ გეტყვით, რომ შამილს ნაკლები ჯარი დაუპირისპირდა.

ბასაევი პირდაპირი, შეიძლება ზოგჯერ უხეში ლექსიკით გამოირჩეოდა. ამას მისი ვედენური აქცენტიც უწყობდა ხელს, რაც ჩეჩნურ დიალექტებში ყველაზე უფრო მწვავედ ხვდება ყურს. არანაირ ავტორიტეტს არ ცნობდა, გარდა წინასწარმეტყველი მუჰამედისა, უზენაესისა და მისი სწავლებისა. ამიტომ ჰქონდა პრობლემა როგორც დუდაევთან, ასევე მასხადოვთან. იგი თავისი რაზმისთვის დაფინანსებას თავად შოულობდა. ძირითადად, თურქეთში, აგრეთვე არაბი შეიხებისაგან, განსხვავებით რუსლან (ხამზატ) გილაევისგან, რომელიც პრეზიდენტის სპეცდანიშნულების რაზმს „ბორზს“ ხელმძღვანელობდა.

პირველი ომის დროს შამილი ვერ იტანდა არაბებს და ე.წ. ვაჰაბიტებს, მაგრამ შემდეგ ფინანსურმა კრიზისმა და ჰატაბთან მეგობრობამ, აგრეთვე პოლიტიკურმა ალღომ აიძულა, პოზიციები შეეცვალა. მან გრძელი წვერი მოუშვა, ისლამური ტანსაცმელი ჩაიცვა და როგორც შეეფერებოდა ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამს, ტიპურ ამირად ჩამოყალიბდა. ჩეჩნები, რომლებიც შამილის მიმართ სიმპათიით არ იყვნენ განწყობილნი, მაგრამ ბასაევების ტეიპის ისტორიას კარგად იცნობდნენ, ამბობდნენ, თითქოს ბასაევი წარმოშობით ჩეჩენი კი არა, ავარელი გახლდათ. ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების ზოგიერთი წარმომადგენელი ბასაევის ისტორიულად ოსურ წარმოშობას უსვამდა ხაზს. ამის დასტურად რამდენიმე ოსი ბასაევის არსებობა მოჰყავდათ.

წარმოშობასთან არსებული გაურკვევლობა ჩეჩნეთში სერიოზულ

ხარვეზად მიიჩნეოდა. შესაძლოა სწორედ ამიტომაც 1997 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობამ სუფთა ჩეჩნური წარმოშობის ასლან მასხადოვს დაუჭირა მხარი, თუმცა მრავალი ექსპერტის მოსაზრებისაგან განსხვავებით, შამილმა საკმაოდ ბევრი ხმა მიიღო და მშენებლობის დარგში ვიცე-პრემიერის თანამდებობა დაიკავა მასხადოვის მთავრობაში. მთავრობაში დიდხანს ვერ გაჩერდა, როგორც ზევით მოგახსენეთ, არც ერთი ხელისუფლება მას არ სწყალობდა და დაფინანსებას უჩერებდა მის შეიარაღებულ ფორმირებას. ამიტომ ბასაევი სხვა განაწყენებული მეთაურების მიერ შექმნილ ისლამურ შურას შეუერთდა, რომელმაც ხელმძღვანელად ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი აირჩია. შურას შემადგენლობაში ბასაევი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. მას ყველაფერი ჰქონდა – ავტორიტეტი, კავშირები არაბულ სამყაროსთან, საიდანაც ფინანსები დამოუკიდებლად შეეძლო მოეზიდა და რაც მთავრია, ე.წ. სახელმწიფო სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლობა და მოქმედების თავისუფლება, რომელსაც ასე ელტვოდა ბრიგადის გენერალი და ახლა უკვე ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი. გადადგომამდე კი სახელმწიფო თანამდებობა მაინც კარგად გამოიყენა. ბევრი სამთავრობო და ადმინისტრაციული შენობა ჩეჩნეთის დიდ ქალაქებში აშენება-რესტავრაციისთანავე დანაღმა. რუსების განმეორებითი შემოსვლის და ჩეჩნეთის ოკუპაციის შემთხვევაში, კოლაბორაციონისტებსა და თავად ოკუპანტებს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ, რადგან შამილი შენობების აფეთქებას დაიწყებდა. ეს კი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა მარიონეტულ რეჟიმს.

უცნობი შამილის ხალიჩებით მოფენილ სახლში, ტყავის სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა. დიასახლისმა ტრადიცია არ დაარღვია და ჩაი და ტკბილეულობა მოართვა. რამდენიმე წამი ერთმანეთს უყურებდნენ და ის იყო საუბარი უნდა წამოეწყოთ, ოთახში დაცვის უფროსი შემოვიდა, ჩეჩნურად გადაულაპარაკა შამილს, რომ არაბი სტუმრები ეწვივნენ. უცნობს ცოტა გაუხარდა კიდეც, რადგან რუსეთსა და რეგიონში ნომერ პირველ ტერორისტთან საუბრის წამოწყება ნამდვილად არაა ადვილი საქმე და თან მაშინ, როდესაც მას შესაძლოა რაიმე მოლოდინი აქვს შეხვედრისაგან.

არაბები ოთახში შემოვიდნენ. შამილი და უცნობი ფეხზე წამოდგნენ, ახლა უკვე ორივემ დაივიწყა კავკასიური ტრადიციები და ისლამური წესის მიხედვით საკმაოდ გრძელი მისალმება წარმოთქვეს.

-სალამალეიქუმ ვარაჰმატულაი ტალაი ვაბარიქათუ, – მიმართა არაბ სტუმრებს იმამმა. უცნობმაც თავი დაუქნია მათ.

-ალეიქუმ ასალათუ ასალამ ვაბარიქათუ, – უპასუხეს მათ და მოპა-

ტიჟების გარეშე, უცერემონიოდ ჩასხდნენ სავარძლებში. შამილმა მხოლოდ ამის შემდეგ მოასწრო ხელის სავარძლის მიმართულებით გაშლა, თითქოს აჩვენებდა, დაბრძანდითო. შემდეგ უცნობისაკენ გამოიხედა და მას ანიშნა, შენც დაჯექიო. არაბებს არ ესიამოვნათ უცხო პირის მოლაპარაკებაზე დასწრება, მაგრამ რადგან მასპინძელმა, იმამმა და ისლამის გმირმა საჭიროდ ჩათვალა ამ პიროვნების მნიშვნელობა მოლაპარაკებისათვის, აღარ გააპროტესტეს მისი გადაწყვეტილება, თუმცა დაძაბულებმა, მოჭუტული თვალებით და დაკრეჭილი კბილებით გამოხედეს უცნობს.

– ბენ-იუსუფის ახლობელია. საქმე აქვს ჩემთან. თქვენ გამო საუბარი შევწყვიტეთ, – მიახალა იმამმა არაბებს, რომელთა შემოჭრა მისი საუბრის აგრესიული ტონიდან გამომდინარე ალბათ არ ეპიტნავა.

– აა, გასაგებია, ბენ-იუსუფი ისლამის მგელია. – თქვა ერთ-ერთმა შემოსულმა დამტვრეული რუსულით.

– ეს ადამიანი სამხრეთის გზის გაჭრაში უნდა დაგვეხმაროს და კიდევ იარაღის შეძენაში. – გაამძაფრა შამილმა.

უცნობმა გულში კი იფიქრა, ნეტა რას ლაპარაკობს კავკასიის იმამი, რა იარაღი, რა სამხრეთის გზის გაჭრა, ნეტა მე რაში უნდა დავეხმარო მათო, მაგრამ არ შეიმჩია და არაბებს ოდნავ მომღიმარმა გახედა, რათა თავისი ფასი ეჩვენებინა.

– ოო, ეს კარგი საქმეა, – ჩაილაპარაკა მეორემ.

– მაგრამ ალაჰის შეწევნის გარეშე ვერც გზა და ვერც იარაღი გიშველის, – დაამატა მესამემ.

ამ სიტყვების გაგონებისას შამილს თვალები აენთო. სახეზე წითელმა ფერმა გადაუარა, შემდეგ გაფითრდა. ხელები სავარძლის მოსასვენებელს მოუჭირა, ეტყობოდა, რომ შესაძლოა აფეთქებულიყო, მაგრამ რაღაც მომენტში მებრძოლი ისევ პოლიტიკოსმა შეცვალა, უცნობს გამოხედა, თვალი ოდნავ ჩაუპაჭუნა და თქვა, რა თქმა უნდა, ინშალა, ბისმილაიჰუ ირაჰუმანი ირაჰიმ (ღმერთმა ქნას, ღმერთისათვის, მოწყალესათვისა და მწყალობლისათვის).

არაბებს აინტერესებდათ მომავალი გეგმები, აპირებდა თუ არა ისლამური შურა რუსეთის წინააღმდეგ ჯიჰადის გაგრძელებას, რა შედეგებს ელოდა გავლენიანი მეთაური, რამდენი ფული, მოჯაჰედი იყო საჭირო ამისათვის; გამოიწვევდა თუ არა ეს ისლამის გავრცობას და განდიდებას ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში, მოკლედ ყველაფერი.

– შამილ, რამდენად სერიოზულია ის, რასაც ჩეჩნეთსა და დაღესტანში აპირებთ?! შეძლებთ კი მოსახლეობის აყოლიებას?! – წამოიწყეს საუბარი არაბებმა.

– თქვენ რომ იცოდეთ, მორწმუნე მუსლიმებით სავსე რამდენი ავტობუსი მიემართება ყოველწლიურად მექაში ჰაჯის აღსასრულებლად, ამ შეკითხვას არ დასვამდით. ეჭვი არ შეგეპარებოდათ კავკასიელი მუსლიმების მართლმორწმუნეობაში, – უპასუხა ბასაევმა არაბებს.

– მებრძოლ რაზმებს უმთავრესად დაღესტნელებით დავაკომპლექტებთ, ჩეჩნები მხოლოდ დამრტყმელი ძალა იქნებიან. შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში, რუსეთის შუაგულში მცხოვრები მილიონობით მუსლიმი შემოგვიერთდება და ომის ცეცხლს იმ ურწმუნოების მიწაზე გადავიტანთ. ეს იქნება ნამდვილი ჯიჰადი, ჯიჰადი, რომელიც შუა რუსეთში დაიწყება და ამისათვის ყველა შესაძლებლობა და რესურსი გვაქვს, გარდა ფინანსებისა, – თქვა მან.

– ავიაციას რას უზამ? – იკითხა ერთ-ერთმა არაბმა ემისარმა.

– ავიაცია პრობლემაა, მაგრამ თუ ალაჰის ნება იქნება და ცეცხლი რუსეთში გადავიტანეთ, ბომბონ საკუთარი ქალაქები, ეს ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. თან ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემთხვევაში მასხადოვსაც მოუწევს ომში ჩართვა, თორემ ბოლო დროს რაღაც ძალიან დაუმეგობრდა რუსებს. წარამარა მაგათი წარმომადგენლები დაეთრევიან აქ, ხან რუსები, ხან ევროპელები. ერთი სული აქვთ, ისლამური ქვეყანა დემოკრატიის ბურჯად აქციონ, – ჩვეულად მკვახედ მიუგო არაბებს ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამმა.

– შამილ, არ ხარ მართალი, ჰალიდი (ამ ისლამური სახელით მოიხსენიებოდა ასლან მასხადოვი ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ) ისე იქცევა, როგორც ჭეშმარიტი მართლმორწმუნე. კაფერებს თავგზას უბნევს მოლაპარაკებებით, ამაში ცუდი არაფერია. არც შენი კავშირებია დიდად მოსაწონი იმ დაწყევლილი ერის წარმომადგენლებთან, ბორის აბრამოვიჩს ვგულისხმობ – რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილის, ბერეზოვსკის, სახელი არაბმა დამარცვლით და გამოკვეთილი ზიზღით წარმოთქვა.

შამილს არ ესიამოვნა საუბრის ასეთი მიმართულებით განვითარება.

– ბორის აბრამოვიჩთან ურთიერთობა ჩემი პირადი საქმეა და ეს თქვენ არ გეხებათ. გირჩევნიათ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების შეძენაში დამეხმაროთ. მე ჩერნომირდინთანაც ვურთიერთობ და მერე რა?! თქვენგან განსხვავებით, ბერეზოვსკი თავის სიტყვას ყოველთვის დროულად ასრულებს. თუ ამ ოპერაციის შედეგად... – რამდენიმე წამით შეყოვნდა იმამი, თითქოს ჩაფიქრდა, ეთქვა თუ არა სტუმრებისათვის ყველაფერი, რაც იცოდა. შემდეგ კი განაგრძო, – ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის შემოვლით გზას, ბაქო-მახაჩყალა-ნოვოროსიისკის

ნავთობსადენს დავაზიანებ, რუსეთს საკმაოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარტყმას მივაყენებ და ეს თქვენთვისაც კარგია. ეგ კაფირები ნავთობის ფასს აკონტროლებენ. ახლა ნავთობსადენი მახაჩყალაზე გადის და მისი მშენებლობა დღეს-ხვალ დამთავრდება, ამ ნავთობსადენის ამუშავება ჯიჰადის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

იმ შემთხვევაში, თუ ნავთობსადენი რუსეთზე არ გაივლის, ჩვენს მისიას შესრულებულად ჩავთვლი. ამ საქმით ბევრია დაინტერესებული. დამფინანსებლების მოძებნა არ გამჭირვებია, – მიუგო შამილმა არაბებს. აგრძნობინა, რომ საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ შამილს არაბები, მუსლიმანი ფუნდამენტალისტები, ანუ მისი უმთავრესი მოკავშირეები ესაუბრებოდნენ, აშკარად ეტყობოდა, რომ მის ხელთ არსებული ყველა კარტის ბოლომდე გაშლა არ უნდოდა.

იმ დროს ბევრი ვერ ხვდებოდა, რა პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა დაღესტანში წამოწყებულ ჯიჰადს. თუმცა შემდეგში, როდესაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აშენდა, ყველაფერი ცხადი გახდა.

არაბი ჯიჰადისტები მიხვდნენ, რომ აქ საქმე სუფთა ისლამურ წინააღმდეგობასთან არ ჰქონდათ.

– პოლიტიკური თამაშებია, – წარმოთქვა ერთმა. ხელები გაასავსავეს, ერთმანეთს გადაულაპარაკეს: ძნელად ასახსნელი და დასარწმუნებელი ხალხია კაფის ქვეყნის წარმომადგენლები. ამის შემდეგ უკვე სამხედრო თემებზე გააგრძელეს საუბარი.

– რამდენი მეთაური აპირებს შემოუერთდეს ჯიჰადს?! ამის ცოდნა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან რამდენი იმედიც არ უნდა გქონდეს დაღესტნელების, ისინი ბრძოლაში გამოუცდელები არიან. ორი წელი ომი იყო და მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი შემოუერთდა ჯიჰადს დაღესტნიდან. გარყვნეს, გაათახსირეს ეგენი რუსებმა.

– იცით, რას გეტყვით, გროზნოს შტურმი რამდენიმე ასეულმა კაცმა დავიწყეთ, შემდეგ კი სხვებიც შემოგვიერთდნენ, ასე მოხდება აქაც. ჩვენ დავიწყებთ და სხვები შემოგვიერთდებიან. აბა, გამარჯვების დიდებას მარტო მე ხომ არ დამიტოვებენ?! – სიტყვა მოუჭრა არაბებს ბასაევმა და კმაყოფილი დაბალ ტყავის სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა.

სიტუაცია აშკარად იძაბებოდა, ეტყობოდა, რომ შამილი დათმობას არ აპირებდა. ვითარება მაშინ განიმუხტა, როდესაც ბრგე, ხმელ-ხმელი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შავბერეტიანი მცველი შემოვიდა და შამილს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

– კარგ დროს მოვიდა, თორემ...– ჩაიბურდღუნა იმამმა. შემდეგ სტუმრებს ჰატაბის დაბრუნების შესახებ ამცნო. არაბებს თვალები გაუბრწყინდათ და აჟრიამულდნენ.

ჰატაბი ამერიკული „ბოევიკის“ ეკრანიდან გადმოსული არაბი ტერორისტის ნამდვილი პროტოტიპი გახლდათ. მუქკანიან სახეზე მასიური ცხვირი და ნეგროიდული რასისათვის დამახასიათებელი დიდი ტუჩები მოგხვდებოდათ თვალში. გრძელი და ხუჭუჭა თმა თასმით ჰქონდა აკრული. შავი, გრძელი, ხვეული წვერი მკერდამდე სცემდა. ულვაშები მაკრატლით კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი. მისალმებისას ბაგეებიდან თეთრი მარგალიტებისდარი კბილები გამოუჩნდა. უზარმაზარი ხელები, მოკლე ფეხები, მასიური კორპუსი და რაც მთავარია, არაპროპორციულად დიდი თავი ჰატაბს ნამდვილი სიკვდილის მანქანის შეხედულებას აძლევდა. შეხედულებას კი არა, ნამდვილად ასე იყო. სამერ სალეხ ას-სუვეილემს ნამდვილი, საკუთარი სახელით არავინ იცნობდა. სამაგიეროდ, ყველამ იცოდა მისი საბრძოლო გმირობების შესახებ ავღანეთში, ტაჯიკეთში, აფხაზეთსა თუ ჩეჩნეთში.

არაერთი რუსი სამხედრო, თუ ჩეჩენი მოღალატე საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს. სხვა არაბი მებრძოლებისგან, ფიზიკური აღნაგობის გარდა, საბრძოლო აღჭურვილობითაც გამოარჩევდით. ისევე როგორც მე-7 საუკუნეში, წინასწარმეტყველი მუჰამედის მებრძოლები, ამირ იბნ-ჰატაბი შარიათის მახვილს იყენებდა. ის ბრძოლაში როგორც ვეფხვი, ისე შევარდებოდა ხოლმე და მახვილით კაფავდა მოწინააღმდეგეს. სხვადასხვა მონაცემით, საკუთარი ხელით რამდენიმე ასეული მოწინააღმდეგე ჰყავდა განადგურებული. რამდენიმე ცნობილი ოპერაცია დაგეგმა, ბევრის დაგეგმვასა და განხორციელებაში მიუღია მონაწილეობა. ჰატაბი ძალიან გავლენიანი მოჯაჰედი გახლდათ. მას პატივს ყველგან სცემდნენ, როგორც კავკასიაში, ასევე მთელი მსოფლიოს ჯიჰადისტურ წრეებში.

ოთახში შეკრებილთაგან განსაკუთრებულად მხურვალედ იორდანიელი მოჯაჰედი მიესალმა შამილ ბასაევს. მისი ღრმა პატივისცემა იმაზე მეტყველებდა, რომ არაბი ამირი კავკასიის იმამს თავის მეთაურად მიიჩნევდა, თუმცა საბრძოლო გამოცდილებითა თუ გადახდილი ომების რაოდენობით კი არ ჩამორჩებოდა, არამედ აღემატებოდა კიდეც.

ჰატაბმა არაბები აინუნშიც კი არ ჩააგდო, შამილი გვედრით გაიყვანა და რამდენიმე ხნის განმავლობაში ესაუბრა. ამ საუბრიდან უცნობმა მხოლოდ ერთ სიტყვას მოჰკრა ყური. ეს მისთვის უკვე კარგად ნაცნობი სახელი, ბენ-იუსუფი იყო. ამის შემდეგ არაბი ამირი სტუმრებს დაემშვიდობა, უკვე უნდა გასულიყო ოთახიდან, რომ შამილმა შეაჩერა.

– ამირ, ეს კაცი ბენ-იუსუფის ახლობელია, წაიყვანე, ჩვენი მოსამზადებელი ბაზები აჩვენე, რომ არ ეგონოს, აქ მხოლოდ წყალს ვნაყავთ. ამათი გადამკიდე ვერაფერზე ვისაუბრეთ. არა უშავს. რომ დაბრუნდებით, შემდეგ შევხვდებით. იმედია, ალაჰი არ აპირებს ჯერ ჩვენს წაყვანას. კიდევ ბევრი ურწმუნო გვყავს იბლისის ცეცხლში ჩასაწვავი.

ჰატაბმა მას კვერი დაუკრა და უცნობს ანიშნა, წამომყევიო. ისიც ულაპარაკოდ წამოდგა. იმაზე მეტი გაიგო, ვიდრე ელოდა ერთი შეხვედრისაგან. თან სამხედრო-დივერსიულ-რელიგიური მოსამზადებელი ბაზის დათვალიერება და შესაძლებლობის შემთხვევაში ცოდნის მიღებაც მის თვალსაწიერს მხოლოდ გაზრდიდა, ხოლო ცხოვრებას უფრო საინტერესოს გახდიდა.

შამილს დაემშვიდობა. მადლობა გადაუხადა დახარჯული დროისათვის და ჰატაბს გაჰყვა. სახლიდან უცებ გამოვიდნენ. ჰატაბი მანქანაში ჩახტა. უცნობიც მას მიჰყვა. გარეთ გამოსულმა არაბმა შეამჩნია, რომ მის მეგზურს იარაღი არ ჰქონდა. შამილის ერთ-ერთი დაცვის წევრს შესძახა, მოკლე, კონდახმოკეცილი AK-74 გამოართვა და მას მისცა.

– აქ უიარაღოდ ქალებიც კი არ დადიან, – თქვა დამტვრეული რუსულით, ხმამაღლა გადაიხარხარა საკუთარ ხუმრობაზე და მძღოლს ანიშნა, დავიძარითო.

უცნობმა ავტომატი შეამოწმა. მცველი ჩაწია, გადატენა. შემდეგ ისევ მცველზე დააყენა და გვერდზე ჩამოიკიდა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ზურგჩანთა შამილთან დარჩა. არ უნერვიულია, რადგან ზურგჩანთა უფრო ტურისტის, ვიდრე ტერორისტის, ან მებრძოლის იერს სძენდა. ახლა კი შეიარაღებულს, გაუპარსავს, მოკლე ქურთუკში, ჰატაბთან მანქანაში ნამდვილი მოჯაჰედის გამომეტყველება ჰქონდა.

მანქანაში რამდენიმე შავი ბერეტი ეგდო. ერთ-ერთი დაიხურა, შემდეგ მძღოლის სარკეში ჩაიხედა. საკუთარი თავის არ შეშინებია, მაგრამ ასეთი ვინმე ადრე რომ შეხვედროდა ქუჩაში ან სადმე უცხო სიტუაციაში, თან შეიარაღებული, ნამდვილად არ გაუწევდა გული, მასთან რაიმე პრობლემა შექმნოდა. მაშინ რომ სცოდნოდა, რომ უბრალო ზურგჩანთა შესაძლოა შემდგომში მისთვის სერიოზული პრობლემის გამომწვევი მიზეზი გამხდარიყო, ნამდვილად დაბრუნდებოდა წამოსაღებად. უბრალოდ მართლა ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი უმნიშვნელო დეტალი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისათვის საკმარისი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.

„უიარაღოდ ქალებიც არ დადიან“– ჰატაბის ეს სიტყვები სიმართლესთან ახლოს იყო. მართალია, ქალების ნაწილი, რომელიც ჯიჰადს შეუერთდა, უიარაღოდ არ დადიოდა, მაგრამ მათ გარდა ჩრდილო კავკა-

სიაში რამდენიმე მილიონი გოგონა თუ ქალი სრულიად დაუცველი და უძლური იყო ისლამური ფუნდამენტალიზმის წეს-წყობილების წინაშე, რომელშიც მამაკაცი, ხელშეუვალად მართალია ყველაფერში და ყოველთვის.

ამაში უცნობი თავადაც დარწმუნდება მომავალში.

ერთხელ, როდესაც სამირასთან ერთად ეზოში სეირნობდა, უფრო სწორად, ღობის გასწორებაში უნდა დახმარებოდა, როდესაც ღობეს მიუახლოვდნენ, გოგონა წინ გაიჭრა, ბეტონის 40-55-სანტიმეტრიან ცოკოლზე ახტა და ბოძიდან გადმოღუნული ბადის შესწორება დაიწყო. როგორც ყოველთვის, ახლაც ტანზე შემოტკეცილი შარვალი და ტოპიკი ეცვა. ცოკოლის სიგანე მცირე იყო, სამირა შებარბაცდა, მაგრამ უცნობმა მიასწრო და ხელით შეაკავა. უხერხული სიტუაცია შეიქმნა. უცნობს ერთი ხელი – სამირას წელზე, მეორე კი ბარძაყზე ედო. ეს მათი პირველი შეხება იყო. არა, სპეციალურად ნამდვილად არ გაუკეთებია, შემთხვევით მოხდა, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ რომელიმეს არ ესიამოვნა. გოგონამ მოიხედა, სქელი ნაჭრის ხელთათმანი გაიძრო, თმა გაისწორა, ღრმად ჩაისუნთქა. უცნობმა შეატყო, რომ ცოკოლზე მდგარს ფეხები ოდნავ აუკანკალდა. მაშინ უფრო ახლოს მივიდა, თითქოს უფრო მყარად უნდოდა დაჭერა და კისერზე ეამბორა. სამირა დაიბნა. გაიღიმა, თითქოს რაღაც ნაპერწკალმა, თუ ენერგიამ გაიარა მათ შორის. ნელა ჩამოვიდა შემაღლებიდან. არა, ხელის გაშვებინება არც უცდია, პირიქით, თითქოს უფრო ახლოს უნდოდა ჩახუტება, მოფერება. უცნობმა თითქოს ცეკვისას პარტნიორი ოდნავ იქით, ახლოს მდგარი დიდი ხის ქვეშ შეიყვანა, გოგონა დამყოლად მიჰყვებოდა, ამჯერად თმა თავად გადაუწია და ყურზე ოდნავ შეეხო ტუჩებით. სამირა დადნა, მოდუნდა, თვალები დახუჭა. რომ არა უცნობი, შეიძლება წაქცეულიყო კიდეც. მაშინ უცნობმა გოგონას მაგრად მოუჭირა ბარძაყზე ხელი, რომელიც ნელა ზევით ააცურა, მეორე ხელით მის მკერდს შეეხო, სამირამ თავი უკან გადასწია და...

ამ დროს დეიდას შეძახილმა გამოაფხიზლა ორივე. თითქოს ელდანაკრავები გახტნენ ერთმანეთისაგან. უცნობი ღობეს ეტაკა. სამირა დაიხარა და რაღაცის ძებნას შეუდგა. ისევ ჩაიცვა ხელთათმანი. რამდენიმე ბღუჯა ტოტი აიღო მიწიდან და იქვე, ტომარაში დაიწყო ჩაყრა.

სამირას ერთ-ერთი დეიდა ჩქარი ნაბიჯით მათკენ გამოეშურა. რამდენჯერმე კიდევ უფრო ხმამაღლა შესძახა და გოგონას ჩეჩნურად რაღაც უთხრა. იმ დროისათვის უცნობს უკვე ესმოდა ჩეჩნური. თან ჩეჩნები, ისევე როგორც სხვა ჩრდილოკავკასიელები საუბრისას საკმაოდ უხვად იყენებენ რუსულიდან შემოტანილ სიტყვებს.

დროზე, წამოდი, გამოიცვალე, მამაშენი მოვიდა, ეუბნებოდა დეი-

და სამირას. გოგონას სახეზე აშკარად უკმაყოფილება შეეტყო. დაიძაბა. ასეთი სამირა უცნობს ჯერ არ ენახა. გაუკვირდა კიდეც, რატომ უნდა სწყენოდა ახალგაზრდას მშობლის ნახვა.

გოგონამ თითქოს იგრძნო კიდეც ეს და უთხრა:

– ეს მამაჩემი არაა. დედას მეორე ქმარია. მამინაცვალია. ძალიან ცუდი კაცია.

ჩეჩნეთში ქალის მეორედ გათხოვება ფანტასტიკის სფეროა. გარდაცვლილი ან დაღუპულქმრიანი ქალების გათხოვების მცდელობა ბოზობასთან იგივდება, ხოლო ქმარს გაშორებული ქალის გათხოვება კი საერთოდ უბედურებაა, თუმცა ამაზე უკვე გითხარით.

ძალზე იშვიათად შეიძლება ნახოთ ისეთი წყვილი, რომელშიც ქალი განათხოვარია და თან პირველი ქმრისაგან შვილი ჰყავს, ეს შესაძლოა ერთადერთი შემთხვევა იყო მთელ რესპუბლიკაში. სწორედ ამიტომ სამირას დეიდები და ბაბუა სიძეს დიდ პატივს სცემდნენ. ყოველმხრივ ცდილობდნენ, მისთვის საუკეთესო პირობები შეექმნათ და როგორც აღმოჩნდა, ბევრ ისეთ რამეზე ხუჭავდნენ თვალს, რომლის გამოც, შესაძლოა შარიათის სასამართლოს მამინაცვლის დასაჭურისების გადაწყვეტილებაც გამოეტანა.

სამირა ჩქარი ნაბიჯით გაემართა დეიდისაკენ, რომელმაც მას ხელი ჩაჰკიდა და სახლში შეიყვანა. უცნობს არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, ეზოს შუაგულისაკენ წამოსულიყო და სავარძელში მოკალათებულიყო.

რამდენიმე ხანში ჭიშკარი გააღეს და დიდი ამერიკული მანქანით, „ლინკოლნით“ ეზოში ვიღაც შემოგრიალდა. მანქანიდან გადმოსვლა უჭირდა. ეტყობა, ინვალიდი იყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფეხი ახალგაზრდობაში ავტოავარიაში დაკარგა, თუმცა ამის აფიშირება არ სურდა.

ჩეჩნეთში იმ დროისათვის ძალიან ბევრი ხელფეხდაკარგული ადამიანი იყო და კითხვაზე, შენც ომში იყავი და იქ დაინვალიდდიო, ზეცაში ახედვით პასუხობდა. მათთვის, ვინც მამედს არ იცნობდა და მისი ახალგაზრდობის ისტორია არ იცოდა, ის ინვალიდი მებრძოლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოღუშული, უზარმაზარი გაერთიანებული წარბებით, გამხდარი მამედი უცნობს ძალიან უსიმპათიოდ მოეჩვენა. შესაძლოა, სამირას სიტყვებმაც იმოქმედა, რომ ის ცუდი ადამიანი იყო, კიდეც სცადა რაიმე დადებითის მოძებნა ამ პირქუშ პიროვნებაში, მაგრამ ვერაფერი მოძებნა და მასზე ფიქრს შეეშვა.

რამდენიმე დღე, სანამ მამედი სტუმრობდა, სამირა ოთახიდან არ გამოდიოდა. ერთ ღამესაც, როდესაც უცნობმა ვეღარ მოითმინა და ეზოს ბოლოსაკენ დააპირა გასვლა სიგარეტის მოსაწევად, სამირას ლანდი და-

ინახა, რომელიც კატას ეფერებოდა და ძალიან ჩუმად ქვითინებდა. უცნობის დანახვაზე შეიშმუშნა, ფეხზე წამოდგა და სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯით დაიძრა. უცნობიც გაეკიდა და სადღაც, სამზარეულოსთან გადაუჭრა გზა. ხელები ჩაავლო და მკერდთან მოიზიდა.

– რა ხდება, სამირა, ხომ მშვიდობაა?! ბაბუა ხომ კარგადაა... რატომ ტირი? – უთხრა მან და გოგონას ცრემლიან თვალებში ჩახედა.

გოგონა აშკარად ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა. არც უყურებდა. თითქოს შეცვალეს, ან კაცთა მოდგმა შეაძულეს. მაგრამ უცნობი არ ეშვებოდა, რა ხდება, რატომ ხარ ასე? რამდენჯერმე გაუმეორა შეკითხვა.

– ხელს მკიდებს, საზიზღარია, ღორი, – ჩაილუღლუღა სამირამ და თვალებში შეხედა მას.

– ვინ გკიდებს? – ჩაეკითხა უცნობი, რომელიც ნამდვილად არ ელოდა გოგონასაგან ასეთ პასუხს.

– ის, დედაჩემის ქმარი, – უპასუხა გოგონამ. მაშინ უცნობმა სასწრაფოდ გაუშვა ხელი სამირას.

– დამელოდე, – შესძახა, – ახლა დაწყევლის თავის გაჩენის დღეს!

ხმამაღლა შეიკურთხა. თავის ოთახში შევარდა. ავტომატი აიღო, მჭიდი გაუკეთა, გადატენა, გარეთ გამოვარდა, რათა მამედისათვის პასუხი ეზღვევინებინა. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ შესაძლოა არც მოეკლა მოძალადე და უბრალოდ ეწამებინა. იმ დროისათვის წამების ათასი მეთოდი ჰქონდა შესწავლილი. დიდი სიამოვნებით გამოცდიდა თითოეულ მათგანს ამ საზიზღარ ადამიანზე.

– გამოეთრიე გარეთ, შე დამპალო, – შესძახა. მამედის ოთახის ფანჯარასთან მივიდა, ავტომატის ლულა შიგნით შეყო, მაგრამ ოთახში არავინ აღმოჩნდა. შემდეგ ისევ ეზოსკენ გამოიხედა. მანქანა ეზოში იდგა, მაგრამ მამედი გაუჩინარებულიყო. უკანა კარიდან გასულა და გაპარულა.

უცნობი სამირასკენ მოტრიალდა. მივიდა, მოეფერა და კარგად გამოჰკითხა, თუ რა მოხდა. აღმოჩნდა, რომ მამინაცვალი ხშირად მოდიოდა სამირას სანახავად. პატარაობისას საჩუქრები მოჰქონდა, კალთაში ისვამდა. ეფერებოდა. მაშინ პატარა გოგონა ვერ ხვდებოდა, რომ ეს მამაშვილური მოფერება არ იყო.

როდესაც წამოიზარდა და მამაკაცმა იგივე გაიმეორა, ხელიდან დაუსხლტა. ოთახში ჩაიკეტა. დედას ყველაფერი უამბო, მან კი შვილი საკუთარ დებს მიაბარა. აბა, სხვა რა უნდა ექნა? არც ერთი სასამართლო, თუ ძალისმიერი სტრუქტურა მათ არ გაამართლებდა. მეორე ქმართან გაყრა კი საკუთარი ოჯახის შეურაცხყოფა იქნებოდა.

მაშინ კი გაახსენდა უცნობს, რომ მამინაცვალი უცნაურად უყურებდა მას და სამირას შეხვედრის პირველ დღეს. როგორც კი უცნობი სამირას გაესაუბრებოდა, იღუშებოდა, იძაბებოდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა.

სტუმრის რანგი და კავკასიური სტუმარმასპინძლობის წესები მას არ აძლევდა საშუალებას, რაიმე პრობლემა შეექმნა უცნობისათვის, მაგრამ მის ამაზრზენ, ბოროტი ზრახვებით აღვსილ გულში თურმე შურისძიების ბნელი გეგმა მზადდებოდა. არ აპირებდა თავისი საკუთრების სხვისთვის დათმობას. მით უმეტეს, ვიღაც გადამთიელისთვის.

მაგრამ მაშინ, როდესაც, უცნობი ჰატაბთან ერთად მანქანაში იჯდა და ომობანას მოთამაშე პატარა ბავშვივით იბღინძებოდა, მანქანები სწრაფი სვლით სეჟენ-იურტის რაიონისაკენ მიემართებოდნენ. ამ რაიონში, თავად დასახლებულ პუნქტებთან, სეჟენ-იურტთან და ავტურთან, ტყეში, არაბს ტერორისტებისა და დივერსანტების მოსამზადებელი რამდენიმე ბანაკი ჰქონდა გამართული. ვედენოდან სეჟენ-იურტამდე მანქანით დაახლოებით ერთსაათიანი გზაა. მანქანაში ყურანის აუდიო ვერსია იყო ჩართული. ჰატაბი და მძღოლი სურებს იმეორებდნენ, ყოველი სურის მოსმენის შემდეგ ამენს ამბობდნენ.

მიუხედავად მიხვეულ-მოხვეული მთიანი გზებისა, მძღოლი ცდილობდა, სიჩქარე არ დაეგდო. დაზვერვის ცნობით, რუსებმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დივერსიული ჯგუფი შემოუშვეს, რომელსაც მეთაურების განადგურება ევალებოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დივერსიული ჯგუფის წევრი სნაიპერის მსხვერპლი გახდა, ჯოჰარ დუდაევის სიძე, სალმან რადუევი, რომელსაც უმძიმესი ჭრილობა მიაყენა თავში სნაიპერმა. ისიც საკუთარი მანქანით დისლოკაციის ერთი ადგილიდან მეორეზე მთაში გადაადგილდებოდა, როდესაც გაისროლეს და მას ტყვიამ თავის ქალაში კეფიდან სახის ნაწილამდე გამჭოლად გაუარა. სალმანი სასწრაფო წესით გაიყვანეს რესპუბლიკიდან, ამბობენ, რომ თურქეთში თუ გერმანიაში უმკურნალეს, თუმცა სახის აღდგენა მთლიანად ვერ მოახერხეს. მოჯაჰედმა ტვინის დიდი ნახევარსფეროს დიდი ნაწილი დაკარგა. სალმანს სახის აღსადგენად რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია დასჭირდა და შედეგად აპრეხილი ცხვირი შერჩა, ხოლო ტვინის დიდი ნახევარსფეროს ნაწილის დაკარგვის გამო ცოტა გონებასუსტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მებრძოლთა ერთმა ნაწილმა ხუმრობით ჩეჩნეთის ომის გმირს „მოუხელთებელ ჯოსთან“ ერთად ჯექსონიც კი შეარქვეს. ოპერაციის შემდეგ რაღაცით მართლაც წააგავდა ამერიკული პოპის მეფეს – მაიკლ ჯექსონს.

მალე სეჟენ-იურტის რაიონში შევიდნენ. აქ მძღოლი მოეშვა და ჰატაბიც

ნაკლებს ლოცულობდა. ცხადი იყო, რომ მოსამზადებელ ბანაკს უახლოვდებოდნენ, რომელიც დასახლებულ პუნქტ ავტურთან იყო განლაგებული.

ტყეში ალბათ მოჯაჰედების პატარ-პატარა დაზვერვითი ჯგუფები იყო და ამიტომ აქ რუს დივერსანტებს არსებობის შემთხვევაში მალე აღმოაჩენდნენ. მძღოლი, რომელიც ადრე სამხრეთის შტაბის ხელმძღვანელს ემსახურებოდა, ერთ-ერთი დივერსიული ჯგუფის განადგურების ისტორიასაც მოჰყვა.

– ერთხელ ინფორმაცია მოვიდა, რომ დივერსანტები გადმოსხეს. უფროსმა დაგვავალა, აღმოგვეჩინა და ერთი მაინც წამოგვეყვანა ცოცხალი. ოპერაციაზე ოცეული გავედით. მაშინ ჩვენთან ერთი ახალი ბიჭი იყო. ძალიან უყვარდა ნაღმმტყორცნი. ხელი დაავლო და წამოიღო. კი ვუთხარი, რად გინდა ამ ტყეში ჯავშანტექნიკა არ იქნება-მეთქი, მაგრამ მაინც წამოიღო. რამდენიმე საათი ვეძებდით. უცებ ტყეში ჩურჩული მოგვესმა. ჩუმად მივეპარეთ და შევამჩნიეთ 5 მებრძოლისაგან შემდგარი ჯგუფი. ის იყო უნდა მივპარვოდი, რომ ერთი მათგანი მაინც აგვეყვანა ტყვედ, რომ შემდეგში დაგვეკითხა მათი გეგმების შესახებ, ამ ახალგაზრდამ ნაღმტყორცნი ესროლა და ჭურვი შეკრებილებს შიგ შუაში ჩაუგდო. ყველა დახოცა. მაინც მივედით, ვეძებდით, იქნებ ვინმე გადარჩა. ფოთლებისა და ტოტების გროვაში სისხლი შევამჩნიე, გადავშალე, გოგონას სახე დავინახე, ამოყვანა დავაპირე, ხელი მოვკიდე და ხელში თავი შემრჩა. ძალიან ლამაზი თავი ჰქონდა. – თქვა და ხმამაღლა გადაიხარხარა. ჰატაბს არც მოუსმენია ამბავისთვის, მაგრამ ისიც აჰყვა სიცილში. უცნობს მეტი რა ჩარა ჰქონდა, მანაც ჩაიცინა, თუმცა იფიქრა, რომ ამ არსებებს ადამიანურობის აღარაფერი ჰქონდათ შერჩენილი.

ავტურთან დივერსანტთა მოსამზადებელ ცენტრს მიუახლოვდნენ. შესასვლელთან შეიარაღებული დაცვა იდგა, რომელმაც მაშინვე იცნო ჰატაბის მანქანა და კარი გააღო. მანქანა შიგნით შევიდა და იქვე, ახლომახლო მდგარ შენობასთან გაჩერდა. „კავკასია“ – ასე ერქვა უცნობის ახალ ნავსაყუდელს, სადაც ძირითადად ახალგაზრდა მოჯაჰედები რელიგიურ და სამხედრო-დივერსიულ მომზადებას გადიოდნენ. აქ არა მარტო ჩეჩნები, დაღესტნელები, ინგუშები, არამედ მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ახალგაზრდები ემზადებოდნენ.

ავღანეთში, პაკისტანსა თუ ღაზას სექტორში არსებული ბაზებისაგან განსხვავებით, რომლებიც უფრო მეტად რელიგიურ-ფუნდამეტალისტური განათლების გავრცობითაა სპეციალიზებული, აქ სამხედრო დივერსიულ მომზადებას ექცეოდა მეტი ყურადღება, შაჰიდობისაკენ (თვითმკვლელობისაკენ) მიდრეკილებს კი შემდეგ უცხოეთში აგზავნიდ-

ნენ სრული რელიგიური კურსის გასავლელად, რათა ახალგაზრდა მზად ყოფილიყო, თავი შეეწირა ისლამის განდიდებისათვის.

მანქანიდან გადმოსულმა ჰატაბმა რამდენიმე ბრძანება გასცა. ამის შემდეგ უცნობთან ჰატაბთან ერთად, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ბაზის ინსტრუქტორი მოვიდა და ბარაკებისკენ წაიყვანა.

ცენტრი მეტად წააგავდა საბჭოთა კავშირის დროინდელ პიონერთა ბანაკს. აქ რამდენიმე ათეული პატარა ხისა და თანამედროვე მასალებით უგემოვნოდ აშენებული შენობა იდგა, რომლებიც ალბათ კურსანტთა საცხოვრებლად გამოიყენებოდა. არავითარი ტირი ან სასროლო ტერიტორია ცალკე გამოყოფილი არ იყო. ამისათვის ირგვლივ მდებარე ტყეები გამოიყენებოდა.

მოჯაჰედები დილას, ადრე იღვიძებდნენ, ლოცულობდნენ. შემდეგ იარაღის, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მოპყრობისა და ელექტრონიკის შესწავლის კურსები იწყებოდა. აგრეთვე მოწინააღმდეგის დაკითხვის ხელოვნება, გადაადგილება რუკითა და რუკის გარეშე. ორიენტირება სხვადასხვა ვითარებაში და სხვა ბევრი რამ ისწავლებოდა. აქვე ანაწილებდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვის რა ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ზოგი სნაიპერი იყო, ზოგი მეტყვიამფრქვევე თუ ყუმბარმტყორცნელი, ზოგიც მზვერავი და ასე შემდეგ. გამოცდილი სპეციალისტების ნავარჯიშევი თვალი უცბად ადგენდა ახალგაზრდის ნიჭსა თუ მიდრეკილებას.

მსურველი იმდენად ბევრი იყო, რომ ყველას არც იღებდნენ, რა თქმა უნდა, ომისაგან გაუბედურებულ ქვეყანაში ყველას უნდოდა უფასო ჭამა-სმა და ჩასაცმელი, ხოლო იარაღს თუ გამოჰკრავდა ხელს, მით უკეთესი იქნებოდა.

კურსი ექვსთვიანი გახლდათ, სამი თვე სამხედრო-დივერსიული მომზადება, სამი თვე კი – ისლამის საფუძვლების შესწავლა. უცნობმა კურსი კიდევ უფრო შემჭიდროებულ დროში გაიარა. იარაღთან და ასაფეთქებელ მასალებთან ელემენტარული ურთიერთობა ისწავლა, უფრო მეტად კი დაკითხვის კურსებით იყო დაინტერესებული.

დაკითხვის კურსები წამების ათასგვარი მეთოდებისაგან შედგებოდა. უბრალო ცემა-ტყეპა გამდიდრებული იყო სხვადასხვა კონტინენტსა თუ ქვეყანაში არსებული ხერხებითა და მეთოდებით. მთავარი მაინც იმის დადგენა იყო, რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა დასაკითხი ადამიანი და ამის მიხედვით ირჩეოდა წამების მეთოდი. უბრალო ჯარისკაცის დაკითხვა თავიდანვე ფუჭი დროის კარგვა იყო. მათზე მწამებელი, როგორც ამბობდნენ, მხოლოდ ხურდებოდა. აი, ოფიცერი ან მზვერავი, დივერსანტი სულ სხვა საქმეა. ამ შემთხვევაში ინფორმაციის ამორ-

თმევის მთელი ხელოვნება უნდა გცოდნოდა. მაგრამ ყველა გაკვეთილს მასწავლებელი შემდეგნაირად ასრულებდა: არასდროს მიანიჭოთ იმაზე მეტი ტკივილი ობიექტს, ვიდრე მოთმენაა შესაძლებელი, თორემ მაშინ აღარაფერს აღარ აქვს აზრიო. და ეს მართალიც იყო. უცნობს სადღაც წაუკითხავს, შესაძლოა ვინმე მოუყვა კიდეც ფაშისტი მეცნიერების მიერ კონცლაგერში ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ, რომლის მიზანი იყო ასატანი ტკივილის ზღვრის დადგენა. მეტად სასტიკი ექსპერიმენტის დეტალების აღწერას არ შევუდგები, მაგრამ ფინალში საშინელი, არაადამიანური წამების შემდეგ ადამიანი სიცილს იწყებდა. გამოუვალ მგომარეობაში სიცილი თავდაცვის ერთ-ერთი მექანიზმია. სიცილის დროს გამომუშავებული ენდორფინები და სხვა ჰორმონები ტკივილსაც აყუჩებს და მოსალოდნელ სიკვდილზე საშინელ ფიქრებსაც აქარვებს ხოლმე.

ალბათ შეგიმჩნევიათ, პანაშვიდებზე ან გასვენებაში რამდენს წასკდომია ისტერიული სიცილი თითქმის არაფრის გამო. ეს ორგანიზმის თავდაცვის ერთგვარი საშუალებაა გამოუვალ, მეტად სტრესულ მდგომარეობაში.

ამ დროს უცნობმა ჯერ არ იცოდა, რომ თავად შეიქნებოდა ასეთი დაკითხვის ოსტატების მსხვერპლი, რომ სამირას მამინაცვალი არ აპირებდა მისთვის შეურაცხყოფის პატიებასა და გოგონას დათმობას. მას უკვე დაწყებული ჰქონდა საკუთარი გეგმის განხორციელება.

სამირას ოჯახში ცხოვრებისას არაერთი ისტორია ჰქონდა გაგებული მამინაცვლის დედის, ბაბა ლალას შესახებ. როგორი ძალაუფლების მოყვარული ქალი იყო ეს მოხუცი, როგორ თრგუნავდა და მონასავით ექცეოდა სამირას დედას, რომელიც გარეგნობით უმშვენიერესი ქალბატონი გახლდათ. სამირას ალბათ დედის გენები გამოჰყვა. ზუხრა სადმე ევროპულ ქვეყანაში ან კიდევ ნებისმიერ, ცოტა მეტად ცივილიზებულ ქვეყანაში რომ დაბადებულიყო, არც ერთი სამოდელო სახლი და ჟურნალი არ ეტყოდა უარს თანამშრომლობაზე, მაგრამ ის, სამწუხაროდ, ჩეჩნეთში გაჩნდა; მეორედ გათხოვილ ზუხრაზე ოჯახში უმცროსი რძალიც კი ძალადობდა, მეთაურობდა, ბრძანებლობდა, რაც ასევე მიუღებელი და შეუძლებელია კავკასიური ადათ-წესების მიხედვით.

სამირას მამინაცვალს რომც მოეთმინა და გადაეყლაპა შეურაცხყოფა, ბაბა ლალა მისი საყვარელი შვილის ცოლის ოჯახიდან გამოძურწვას ვერ მოითმენდა. ასეთი შეურაცხყოფა მის ისედაც საწყალ, განათხოვარი ცოლის პატრონ შვილს ჩეჩნეთის საზოგადოების, ნათესავებისა და ახლობლების თვალში მთლად აკნინებდა. და რაც მთავარია, ვის გამო უნდა გამოქცეულიყო სახლიდან მამედი?! ვიღაცის?! ამ ამბის გაგების შემდეგ ზუხრას ალბათ შავი დღე აყარეს, მაგრამ მას მოთმენის გარდა სხვა

გზა არ ჰქონდა. ერთადერთი, რითიც შეიძლება შექმნოდა პრობლემა უცნობს, ჩეჩნეთში მისი უცხო ქვეყნის აგენტად გამოცხადება იყო. სწორედ ამ გეგმის განხორციელებას შეუდგა სამირას მამინაცვალი.

მხოლოდ შემდეგ გაახსენდება უცნობს შამილთან დარჩენილი ჩანთის ამბავი. კიდევ ის, რომ ერთხელ ჩეჩნეთის პრეზიდენტზე, მასხადოვზე განხორციელებული ტერაქტის წინა დღეს ჩავიდა ამ ქვეყანაში. აგრეთვე ის, რომ ავტურის ბაზაზე ნამყოფი იყო და ამ ბაზაზე მომზადებული ტერორისტები დაესხნენ თავს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესაც. იცნობდა ჩეჩნეთის სამხედრო წინააღმდეგობის თითქმის ყველა ლიდერსა და მეთაურს; აგრეთვე მუსლიმ დამფინანსებლებს თუ ჯიჰადისტთა სხვა ლიდერებს; შეხვედრილა კავკასიაში მოქმედი სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს. იმ დროისათვის უკვე კარგი ნაცნობობა და კავშირი ჰქონდა იარაღისა და მოჯაჰედების ტრანზიტით დაკავებულ ხალხთან და თავადაც არაერთხელ გაუკეთებია ეს.

ამასთან ერთად ნამყოფი იყო ევროპის ქვეყნებში. კარგად შეფუთვის შემთხვევაში, კარგი შავი პიარის აგორებით თავისუფლად დაარწმუნებდი მავანს, რომ ის რომელიმე სპეცსამსახურთან თანამშრომლობდა.

მაგრამ იმ დროს უცნობი ამაზე არ ფიქრობდა. ჰატაბის საბრძოლო-დივერსიული მომზადების კურსის გავლის შედეგად ის პრაქტიკულ ცოდნას დაეუფლა და საჭიროების შემთხვევაში თვითონაც შეეძლო მცირე დივერსიული ჯგუფის ჩამოყალიბება.

ავტურიდან, კურსის დამთავრების შემდეგ უცნობი გროზნოში გაემგზავრა. არაბი მეკავშირის ცნობით, ბენ-იუსუფი შესაძლოა ჩეჩნეთის დედაქალაქში ჩამოსულიყო, რათა მოჯაჰედებისათვის ამერიკული წარმოების პორტატიული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა – სტინგერების გადაცემაზე გაემართა მოლაპარაკება.

გროზნო

1998 წელს კავკასიის ორ ქალაქში რამდენიმე თვის განსხვავებით ორი ტერორისტული აქტი განხორციელდა: ერთი – საქართველოში, თბილისში, პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმა და მეორე – ჩეჩნეთში, გროზნოს მისადგომებთან პრეზიდენტ მასხადოვის კოლონაზე. ორივე ტერაქტი განსხვავებული მეთოდით შესრულდა, თუმცა გაწაფულ თვალს ორივე მათგანში შეეძლო ერთი და იგივე სკოლაგავლილი ხელი აღმოეჩინა.

პირველ შემთხვევაში, თბილისში ტერაქტი, როგორც ზევით მოგახ-

სენეთ, დივერსანტთა ჯგუფმა განახორციელა, რომელმაც მომზადება ავტურში, ჰატაბის სასწავლო ცენტრში გაიარა.

ყუმბარმტყორცნებით, ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით შეიარაღებული ჯგუფი პრეზიდენტის კოლონას ჩაუსაფრდა და ცეცხლი რამდენიმე მიმართულებიდან გაუხსნა. ჯგუფის წევრებმა სტრატეგიული შეცდომები დაუშვეს და ამის გამო მათ ვერ მიაღწიეს მიზანს, რაც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განადგურება იყო.

პირველი შეცდომა ჯვარედინი ცეცხლის გახსნა იყო, აგრეთვე ის, რომ ყუმბარმტყორცნი ძალიან ახლოდან გაისროლეს პრეზიდენტის დაჯავშნული მე-500 მოდელის მერსედესის მიმართულებით. ჭურვმა ფრთების გაშლა და სიჩქარის აკრეფა ვერ მოახერხა. ამის გამო მანქანას ძლიერი ზიანი არ მიადგა. ხელყუმბარები ვადაგასული იყო და რამდენიმე არ აფეთქდა. ტერორისტებმა ალბათ ავტურის მოსამზადებელ ბაზაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი გამოტოვეს და ამიტომ საბოლოოდ ვერ მოახერხეს გეგმის მიხედვით დასახული მიზნის მიღწევა.

ჩეჩნეთში ტერორისტული აქტი კი ფუგასური ტიპის ასაფეთქებლით მოხდა. გროზნოში პრეზიდენტის გადაადგილების ერთ-ერთ მარშრუტზე დამონტაჟდა ასაფეთქებელი და კორტეჟის გავლის დროს გააააქტიურეს. მასხადოვი შემთხვევით გადარჩა, რადგან დაცვის წევრებმა პრეზიდენტი მის დაჯავშნულ შევროლეში არ ჩასვეს. მასხადოვი კოლონის ბოლოს, დაცვისათვის განკუთვნილ საბჭოთა წარმოების მანქანა ჟიგულ 06-ში იმყოფებოდა. ბრალდებული კი საქართველოში დაბადებული, საქართველოს მოქალაქე, იმ დროისათვის უკვე ისლამელ ფუნდამენტალისტთა რიგებში მყოფი, ავტურის ბაზაზე მომზადებული ქისტი, გვარად მარგოშვილი აღმოჩნდა. ის ტერაქტიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

ორივე ტერაქტის დროს უცნობი თბილისსა და გროზნოში იმყოფებოდა. თბილისში ის ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის ტურპალ-ალი ატგირიევის თხოვნით ჩავიდა, რათა მოლაპარაკებებს გაძღოლოდა ადგილობრივ ძალისმიერ სტრუქტურებთან იარაღის შეძენაზე და მოჯაჰედების ტრანზიტის შესახებ კავკასიის მთების გადავლით, აგრეთვე, როგორც შამილ ბასაევმა თქვა, მას სამხრეთისკენ გზის გაჭრის პრობლემა უნდა მოეგვარებინა.

ატგირიევი მასხადოვთან მეტად დაახლოებული ახალგაზრდა ვიცე-პრემიერი გახლდათ. ის მონაწილეობდა კავკასიაში მიმდინარე პირველ ჯიჰადში. მრავალი ბრძოლა ჰქონდა გამოვლილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, პატარა ხინჯად მოჰყვებოდა ის ფაქტი, რომ პერვომაისკში, სალმან რადუევის რეიდის დროს, როდესაც ყველა მოჯაჰედმა მოიხსნა ნიღაბი, რათა ეჩვენებინათ რუსებისათვის, რომ მათ არ ეშინოდათ სახის

გამოჩენის, ატგირიევმა ეს არ გააკეთა. მეორე ომის დროს ის რუსების დაკავებულ მეთაურთა რიგებში მოხვდა. საინტერესო იყო მისი სასამართლო პროცესიც, სადაც რუსი პროკურორი მას ტერორისტად, მკვლელად მოიხსენიებდა, ხოლო საპასუხო გამოსვლაში ატგირიევმა თქვა, რომ ის კიდევ გროზნოს ნავთობის წარმოების შემსწავლელი ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი იყო და სთხოვა მოსამართლეს, გაეთვალისწინებინა ინსტიტუტიდან წამოღებული წარჩინების ფურცელი და დახასიათება.

მასხადოვის მარჯვენა ხელი უცნობის დახმარებითა და მისი კავშირებით აზერბაიჯანის დედაქალაქიდან თბილისშიც ჩამოვიდა. ჰქონდა შეხვედრები მთავრობისა და ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. სწორედ მაშინ მოილაპარაკეს, რომ შესაძლებელია საქართველოს ხელისუფლებამ, იარაღის მიწოდებისათვის ჩეჩნეთისათვის გზა გახსნას, იმ შემთხვევაში, თუ ჩეჩნური მხარე თავის თავზე აიღებს საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიელთა, ფუნდამენტალისტთა და ჩეჩენ მებრძოლთა წამოსვლის შეჩერებას. აფხაზეთში შესაძლო სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში კი რუსების საწინააღმდეგოდ გაილაშქრებენ.

მაგრამ ორმა ტერაქტმა, რომლებიც თბილისსა და გროზნოში მოხდა, მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანა. ნდობის ბეწვის ხიდი, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ ძნელი, მრავალხნიანი მოლაპარაკებების, მრავალი ორმხრივი დათმობების შედეგად გაიდო, კვლავ ჩანგრევის პირას იყო.

ამ დროს კი ჩეჩნეთს ძალიან ესაჭიროებოდა სამხრეთის გზა და იარაღი. ყველა ხვდებოდა, რომ ახალი ომი გარდაუვალი იყო. ერთი მხრივ, კბილებამდე შეიარაღებული ფუნდამენტალისტები, ისლამური შურა, დაქირავებული მებრძოლები, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთი, რომელიც არ აპირებდა ჩრდილო კავკასიურ რესპუბლიკაზე კონტროლის ხელიდან გაშვებას.

როგორც გითხარით, უცნობი გროზნოში მასხადოვზე ტერაქტის განხორციელების წინა დღეს მოხვდა. ის ჩეჩნეთში საქართველოდან, ვლადიკავკაზის გავლით ჩავიდა. ეს მარშრუტი იმიტომ აირჩია, რომ ძალიან ეჩქარებოდა. აზერბაიჯანიდან მგზავრობას ორჯერ მეტი დრო და სახსრები სჭირდებოდა, თუმცა ვლადიკავკაზის გზას თან მეტი პრობლემა ახლდა. ჩიტი ბდღვნად ღირდა. რადგან უცნობს უთხრეს, რომ ბენ-იუსუფმა წარმატებული მოლაპარაკებები გამართა იმ დროისათვის არცთუ ცნობილ მსოფლიო ჯიჰადის ერთ-ერთ ლიდერთან, ოსამა ბინ ლადენთან, სამხრეთის გზის მშენებლობის დაფინასების საშუალება გაჩნდა და ამ უკანასკნელმა მაღალკვალიფიციური მშენებლებიც მოიძია.

ისე ეჩქარებოდა, რომ რუსეთის საზღვარს მიახლოებულს გაახსენდა, რომ პასპორტი სასტუმროში დარჩა. მოუწია ჩრდილო ოსეთის ძა-

ლისმიერ სტრუქტურებში ნაცნობთან დაკავშირება და მისი დახმარებით უპასპორტოდ შესვლა რუსეთის ტერიტორიაზე.

როდესაც ოსი მეგობარი საზღვართან შეხვდა და უცნობმა პასპორტის შესახებ უამბო, მან არაფრით დაიჯერა ისტორია. რამდენჯერმე უთხრა, ალბათ გინდა შემამოწმო, შევძლებ თუ არა შენს გადაყვანასო. მანამდე სანამ არ დაეთანხმა, ოსი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. კარგი ბიჭი იყო. უცნობის დახმარებით საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობდა ჩეჩნეთის ოფიციალურ ხელისუფლებასთან. ჩეჩნეთსა და ოსეთში ძებნილი რამდენიმე პირიც კი დააკავეს ერთად, როდესაც ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტ ატგირიევს მკურნალობა დასჭირდა, უსიტყვოდ დათანხმდა, რომ ვლადიკავკაზში, საუკეთესო საავადმყოფოში მოათავსებდა დაცვისა და უსაფრთხოების სრული გარანტიით.

მოგეხსენებათ, ომში ყოფნა ადამიანის ჯანმრთელობას საკმაოდ ვნებს. მუდმივად სიცივეში, სანგრებში, სველ მიწაზე წოლამ ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტის ჯანმრთელობაც შეარყია. მამაკაცური დაავადება, რომელიც მას დაემართა, ძალიან აწამებდა. ომი დამთავრებული იყო, საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და ახლა შთამომავლობაზეც უნდა ეფიქრა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ახერხებდა...

ჩრდილო ოსეთი უცნობმა უპრობლემოდ გაიარა, მაგრამ ჯოჯოხეთი ინგუშეთში დაიწყო. ინგუშეთში დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო, რაც აზერბაიჯანში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მილიციის პოსტები, რომლებიც აჩერებდნენ გამვლელ-გამომვლელ მანქანებს და ფულს ითხოვდნენ. მანქანა ძალიან თუ მოეწონებოდათ, შეიძლება მგზავრები ჩამოესხათ კიდეც და საერთოდ ფეხით გაეშვათ, ან იქვე ამოთხრილ ორმოში ჩაეყარათ და შემდეგ გამოსასყიდი მოეთხოვათ.

ჰოდა, უცნობის მანქანა სწორედ ასეთ ტეკზე გააჩერა ერთ-ერთმა მილიციელმა. აქ მიღებული წესისამებრ, ის მანქანიდან გადმოვიდა, მანქანის საბუთები აჩვენა პოლიციელს, რომელმაც ზედაც არ შეხედა ქაღალდებს, ის იყო ჯიბიდან ფული უნდა ამოეღო, რომ კანონის დამცველმა მოკლედ უთხრა:

– ძალიან კარგი მანქანა გყავს. გეტყობა, შეძლებული ხარ და თანაც აქედან არ ხარ, ჰოდა, აგერ უკან ორმოა გათხრილი, წადი, შენი ფეხით ჩახტი.

უცნობმა თავიდან იფიქრა, რომ უკბილოდ ეხუმრობოდნენ.

– აგერ თანხა და წავედიო, უთხრა, მაგრამ ღიპიანი მილიციელი ჯიუტად იმეორებდა, ეს მანქანა მჭირდება, წადი, ორმოში ჩახტიო.

უცნობის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. უნდოდა, თან აეხსნა,

ვინ იყო, სად მიდიოდა და რატომ; ამავდროულად, ფიქრობდა, ერთი მაგრად ჩაეცხო გასიებული უზრდელი მილიციელისთვის, მაგრამ იქვე ახსენდებოდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ტეკზე მარტო ერთი მილიციელი არ იდგა და არავინ გაარჩევდა მტყუან-მართალს. სავარაუდოდ, იქვე ჩაცხრილავდნენ.

მაშინ ჩათვალა, რომ შესაძლებელი იყო მცირე დოზის სიმართლის მიწოდება და უთხრა, რომ ჩეჩნეთის მთავრობაში მიდის რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე. მილიციელმა მარტივად უპასუხა, ერთ ადგილას მკიდია ჩეჩნეთის მთავრობაო. გაოგნებულმა უცნობა აქეთ-იქით გაიხედა, შეათვალიერა, იყო თუ არა გაქცევის შანსი, მაგრამ იქვე მდგარი ჯავშანტრანსპორტიორის მოღერებულმა ლულამ გადააფიქრებინა. საგონებელში ჩავარდა. არ იცოდა, რა ეთქვა გულმოსული მილიციელისთვის. უცებ გაახსენდა, რომ მანქანაში შამილ ბასაევთან გადაღებული სურათი ედო. იფიქრა, ვაჩვენებ, იქნებ, ამან მაინც გაჭრასო.

მილიციელს უთხრა, კარგი, მეტი რა ჩარაა, რაღაცას ავიღებ მანქანიდან, გაჩვენებ და მერე ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდაო. თქვა და მანქანისაკენ წავიდა. მისდა საბედნიეროდ, სურათი მანქანაში ჰქონდა. მობრუნებულმა მილიციელს მიაჩეჩა და უთხრა, რა ვიცი, იქნებ გადაიფიქრო, რომ იცოდე, ამ კაცის მეგობარი ვარ, ამასთან მივდივარ და იცის, რა გზითაც მივდივარო.

ბასაევისა და უცნობის ერთად გადაღებული ფოტოს ნახვამ ელდა ჰკრა მილიციელს. იარაღი ძირს დაუშვა, უცნობს გადაეხვია; თითქოს ცოტა ხნის წინ მოტაცებასა და გამოსასყიდის მოთხოვნას არ აპირებდა.

– წამო, ახლა ცხვარი უნდა დაგიკლა, ერთი კარგად ვიქეიფოთო, უთხრა.

აქ კი გაგულისდა უცნობი, ერთი-ორი წუთის წინ მოტაცებას აპირებდიო და მიაყოლა, წინ შენიანებს ჩემი მანქანის ნომერი გადაეცი, ჩეჩნეთამდე შენნაირმა დებილმა არ გამაჩეროს, თორემ ნახავთ თქვენს დღესო.

მანქანაში დაბრუნდა, დაქოქა და გზა გააგრძელა.

ჩეჩნეთამდე მართლაც არავის შეუწუხებია. ასე რომ, შამილი მარტო ჩეჩნეთ-დაღესტანში არ სარგებლობდა პატივისცემით. მასთან ერთად გადაღებული ფოტოც კი დიპლომატიური იმუნიტეტივით მოქმედებდა მთელ ჩრდილო კავკასიაში.

ჩეჩნეთში შესულმა მანქანა საზღვართან გააჩერა. აქ მას პრეზიდენტის დაცვის წევრები უნდა დახვედროდნენ, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ისინი დაღესტნის მიმართულებით წასულან საზღვარზე და იქ ელოდებოდნენ სტუმარს. იქვე, შორიახლოს, ერთი წვერებიანი ახალ-

გაზრდა იდგა. სთხოვა, თუ გროზნოსკენ მიდიხარ, მეც დაგემგზავრები, მოკლე, უსაფრთხო გზები ვიციო. უცნობს ძალიან ეჩქარებოდა და აღარ დაუწყო ლოდინი დაცვის წევრებს. თან ახალგაზრდა ეჭვს არ ბადებდა, არც იარაღი ჰქონდა, სხვა ჩეჩნებისაგან განსხვავებით. ჩაისვა მანქანაში და გზას გაუყვა. საღამო ხანი იყო. მეგზური ხშირად ახვევინებდა აქეთ-იქით ცენტრალური ტრასიდან. თავიდან უცნობს ეჭვი არ შეჰპარვია მის განზრახვაში, მაგრამ როდესაც შეამჩნია, რომ დამგზავრებული უკვე ჩეჩნეთის დედაქალაქის საპირისპირო მხარეს სთხოვდა გახვევას, მიხვდა, რომ აშკარად ბნელი აზრები აწუხებდა, ინგუში მილიციელის არ იყოს. მანქანა ხალხმრავალ ადგილას შეაჩერა, კარი გააღო და წიხლით გადააგდო მანქანიდან. კარი უცებ დახურა და ისე გააგრძელა გზა.

გროზნოში „მინუტკას“ მოედანზე მივიდა. ამ მოედანზე სატელეფონო სადგური იყო გახსნილი. ჩამოსულებსა და ადგილობრივებს, ვისაც მობილური ტელეფონი არ გააჩნდა, აქედან უწევდათ დარეკვა. შევიდა სადგურის შენობაში. ოპერატორთან ტელეფონზე საუბრის საფასური გადაიხადა და პრეზიდენტის დაცვის წევრებს დაურეკა. შეატყობინა, რომ უკვე გროზნოში, „მინუტკას“ მოედანზე, სალაპარაკოში იყო.

აქაც მოადგა ერთი ახალგაზრდა, რომელმაც ამჯერად ღამის გასათევად ბინა შესთავაზა, უთხრა, გეტყობა ჩამოსული ხარ და იაფად გაშოვნინებ ბინასო. უცნობმა უპასუხა, რომ მეგობრებს ელოდებოდა და ღამის გასათევიც ჰქონდა. მაშინ ახალგაზრდამ სიგარეტის მოსაწევად გასვლა შესთავაზა. ერთი კი იფიქრა, რომ გაჰყვებოდა, მაგრამ ამ დროს ოთხი იარაღიანი, სამხედრო ფორმაში ჩაცმული მამაკაცი შემოვიდა. უცნობს მიესალმნენ, შემდეგ ამ ახალგაზრდას შეხედეს, იცნეს, მისცვივდნენ და პირდაპირ ცემა დაუწყეს. სულ წიხლები და კონდახები ურტყეს მანამდე, სანამ თავ-ყბა არ გაუერთიანეს. იქ მყოფ ხალხსა და თავად ტელეფონის ოპერატორ გოგონებს ხმა არ ამოუღიათ. ალბათ უკვე მიჩვეულნი იყვნენ ასეთი სახის სისასტიკეს.

როგორც შემდეგ დაცვის ბიჭებმა უთხრეს, ეს ახალგაზრდა ადამიანთა გატაცების ბიზნესში აქტიურად იყო ჩართული. მას ასე მიჰყავდა სალაპარაკოში მოსულები და შემდეგ სტუმრებს იტაცებდნენ შემდგომში გამოსასყიდის იმედად.

დაცვამ გროზნოში ჩასული უცნობი პრეზიდენტის ზაფხულის რეზიდენციაში წაიყვანა. მეორე დღეს მასხადოვს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ფათერაკებიანი ღამის მგზავრობის შემდეგ დილას ვერ გაიღვიძა. ასე, 12 საათისათვის ადგა, ხელ-პირი დაიბანა, შეხვედრისთვის მოემზადა. ნომრიდან გამოვიდა. გრძელი, ვიწრო დერეფნით სასადილო ოთახის-

კენ გაემართა. სასახლეში არავინ იყო. შემდეგ პირველ სართულზე ჩავიდა, სადაც ტელევიზორი იყო ჩართული და მხოლოდ ორი მცველი და მზარეული გოგონები დახვდნენ. გოგონები ტიროდნენ და ხმამაღლა მოსთქვამდნენ. არ უკითხავს, რა მოხდა, უტაქტობად რომ არ ჩათვლოდა.

ტელევიზორთან, მაგიდაზე ჩაიდანი იდგა. უცნობმა ჩაი დაისხა დალევას აპირებდა, რომ უცებ ერთმა გოგომ მიმართა:

– გაიგე?! მკვლელები, ცხოველები. ასლანის მოკვლა უნდოდათ. უცნობი უცბად ვერ მიხვდა, თუ რაზე საუბრობდა გოგონა.

– რა მოხდა, ვინ ასლანის? რა მკვლელობა? – შეეკითხა.

– დილას ასლანი ააფეთქეს. მგონი, გადარჩა, მაგრამ არავინ პასუხობს. ზუსტად არც ვიცით. ეს რა დაგვემართა!. რა ჯანდაბა უნდა ვქნათ ახლა! ისევ ომი დაიწყება, – მიუგო გოგონამ.

-შამილი და ჰატაბი იზამდნენ, ეგ საზიზღრები. მაგათ უნდათ ომი და სისხლის ღვრა. ხალხს არ ეკითხებიან არაფერს.

უცნობმა უცბად გადახარშა სიტუაცია. თუ ასლანი ააფეთქეს და დაიღუპა, ეს უკვე ომის დაწყებას ნიშნავდა. შედარებით რბილი მასხადოვი ცდილობდა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილებას, მაგრამ ბასაევისა და ჰატაბის ხელში ჩეჩნეთს არავინ დატოვებდა. ამასთან ერთად რუსების შემოსვლაზე ადრე შიდაჩეჩნური დაპირისპირება დაიწყებოდა ე.წ. ვაჰაბისტებსა და სეკულარული სახელმწიფოს მომხრეთა შორის. რომც არ დაწყებულიყო ასეთი დაპირისპირება, რუსეთის დაზვერვა ძალას და ღონეს არ დაიშურებდა ასეთი რამის პროვოცირებისათვის. შემდეგ კი, რა თქმა უნდა, ჰასავ-იურტის ხელშეკრულების გაუქმება და ახალი ოკუპაციის მცდელობა იქნებოდა. ეს კი უკვე ომის დაწყებას ნიშნავდა.

– არ მგონია, ჰატაბსა და ბასაევს ეგეთი რამ ექნათ, – ჩაილაპარაკა თავისთვის უცნობმა, მაგრამ გოგონებთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. მათ უკვე გადაწყვიტეს ყველაფერი.

საღამოს სასახლეში ტურპალ-ალი ატგირიევი და ჩეჩნეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი მოვიდნენ. ახალგაზრდა ვიცე-პრემიერი დაღლილი იყო. სასადილოში შევიდა. ამ დროს უცნობიც გამოვიდა ნომრიდან და მიესალმა მას. ატგირიევს გაუხარდა მისი ნახვა, ბოდიში მოუხადა, რომ ადრე ვერ მოვიდა. უთხრა, რომ პრეზიდენტს თავს დაესხნენ, ის გადარჩა და ეჭვი შამილსა და ჰატაბზე აქვთ, მაგრამ ისინი მოსვლას აპირებენ საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

– რა ვქნა?! როგორ მოვიქცე? როგორ გინდა, გაიგო, მათი გაკეთებულია თუ არა. ყველაფერი მათზე მიუთითებს, მაგრამ დაბრალებაც არ შეიძლება. შამილი ჩვენიანია, ჰატაბიც. ბევრი სისხლი გვაქვს

ერთად დაღვრილი. იმათ კი არ ჰგავს, ახლა რომ აისხეს იარაღი და გავაჰაბისტდნენ.

მაშინ უცნობმა შემდეგი გეგმა შესათავაზა:

– როდესაც მოვლენ, დაცვამ სთხოვოს, იარაღი ქვემოთ, შემოსასვლელში დატოვონ. ეს პრეზიდენტის ინსტიტუტისა და მასხადოვის მიმართ ერთგვარი პატივისცემის გამოხატულება იქნება. თუ შეასრულეს მოთხოვნა, არაა მაგათი გაკეთებული და სხვებში უნდა ეძებო დამნაშავე. თუ არა და დამკვეთებსაც აღმოაჩენ, ფსიქოლოგიაა ეს ფსიქოლოგია. – თქვა უცნობმა.

– არ მგონია, დატოვონ იარაღი, ჩეჩენი საკუთარ იარაღს არავის მისცემს. მე ასე მოვიქცეოდი. უპასუხა ატგირიევმა.

– შენ ნიღაბი არ მოიხსენი პერვომაისკში, როდესაც ყველა მებრძოლმა მოიხსნა. ასე რომ, წინასწარ ნუ გადაწყვეტ, ვინ რას გააკეთებს, – უპასუხა უცნობმა.

ატგირიევმა გენშტაბის უფროსი მოიხმო. უბრძანა სასახლის დაცვის გაძლიერება და შტაბის თათბირის მოწვევა, რომელსაც უცნობიც დაესწრო. შტაბის სხდომაზე შექმნილი მდგომარეობა განიხილეს. საქმე ის იყო, რომ გროზნოს თითქმის ერთ მესამედს ფუნდამენტალისტები აკონტროლებდნენ. ეს კი ხელისუფლების უსუსურობაზე მიუთითებდა. თუ ასე გაგრძელდებოდა, შესაძლო იყო კონტროლის სრული დაკარგვა და მაშინ მასხადოვს მოკლავდნენ თუ არა, დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ ექნებოდა.

უცნობის აზრით, აუცილებელი იყო, ღამე იერიში მიეტანათ ფუნდამენტალისტების პოზიციაზე და დასაწყისისათვის თუნდაც მხოლოდ გროზნოზე კონტროლი აღედგინათ. თან ამ შემთხვევაში გამოჩნდებოდა, რომელი ჩეჩენი მეთაური დაუჭერდა მხარს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და რომელი განუდგებოდა მას. სამხედრო სპეცოპერაცია ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდის ფუნქციასაც შეასრულებდა.

ატგირიევს მოეწონა უცნობის აზრი. როდესაც შტაბის სხდომა დასრულდა, უკიდურესად ერთგულებს დავალება მისცა, მეორე საღამოს შეტევისათვის მომზადებულიყვნენ.

იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. გროზნოში კანტიკუნტად ისმოდა სროლის ხმა, მაგრამ ეს არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან რესპუბლიკაში, სადაც 150 ათასამდე ოფიციალური და ერთი ამდენი არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ბრუნავდა, სროლა ღამეც და დღის განმავლობაშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მეორე დილას ტურპალმა უცნობს დაუძახა. ჩაი ერთად დალიეს. არ უსაუბრიათ. შამილისა და ჰატაბის მოსვლას ელოდნენ.

რამდენიმე ხანში მცველი ამოვარდა და მეთაურს მოახსენა, რომ ბასა-

ევისა და ჰატაბის მანქანამ პირველი კორდონი გადმოლახა და სასახლისაკენ მოემართებოდნენ. ტურპალმა რამდენიმე ბრძანება გასცა და მისაღებ ოთახში შევიდა, უცნობი კი აივანზე გავიდა. აინტერესებდა, ზემოდან შეეხედა, თუ როგორ განვითარდებოდა სიტუაცია. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. ყველა დაძაბული იყო. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, დაიწყებოდა თუ არა ჩრდილო კავკასიის ისლამურ რესპუბლიკაში სამოქალაქო ომი.

შამილმა და ჰატაბმა მანქანა სასახლიდან ოციოდე მეტრში გააჩერეს. ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის „ჰამერის“ კარი გაიღო და ოთხი ადამიანი გადმოვიდა. ოთხივე შეიარაღებული. ჰატაბს ქამარში თავისი შარიათის მახვილი ჰქონდა გარჭობილი. ჩქარი სვლით გამოემართნენ კარისაკენ. აქეთ-იქით იცქირებოდნენ, ეტყობა, აინტერესებდათ, სნაიპერები სად იყნენ განლაგებულნი, თუმცა სნაიპერები არც იყვნენ საჭირო, მათი განადგურებისთვის საჭიროზე მეტი მებრძოლი იყო შეკრებილი პრეზიდენტის სასახლეში, ძირითადად, ალეროის ტეიპიდან, რომელსაც მასხადოვი და ატგირიევი წარმოადგენდნენ.

შამილმა აივანზე უცნობი შეამჩნია, ჰატაბს რაღაც გადაულაპარაკა. შემდეგ ერთად გამოიხედეს. უცნობმა პატივისცემის ნიშნად თავი დაუქნია, ისინიც ანალოგიურად მოიქცნენ და სასახლეში შევიდნენ.

ტურპალის, შამილისა და ჰატაბის შეხვედრა თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. შეხვედრიდან ვიცე-პრემიერი აღტყინებული, გაოფლილი გამოვიდა.

– ორივემ ჩააბარა იარაღი. ჰატამბა შარიათის მახვილიც კი მისცა დაცვას. არაა მაგათი გაკეთებული. თან ყურანზე დაიფიცეს. შორიდან რომ შეგამჩნიეს, ვერ გიცნეს და უცხოელი სპეციალისტი ჰგონებიხარ, მათი განადგურების ოპერაციის დასაგეგმად ჩამოყვანილი, მაგრამ რომ დაგინახეს, მოეშვნენ. მითხრეს, ვიცნობთ ამ ბიჭს, ჩვენიანიაო.

შეხვედრის შემდეგ ბასაევი და ჰატაბი ვედენოში გაემგზავრენ. ატგირიევმა კიდევ ერთხელ მოიწვია გენერალური შტაბის თათბირი, რომელსაც პრეზიდენტი შეუერთდა დისტანციურად. მასხადოვმა, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა, დაადასტურა, რომ იგი ეთანხმება გენერალური შტაბის მიერ გროზნოს ფუნდამენტალისტებისაგან გათავისუფლების ოპერაციას, თუმცა მოუწოდა საკუთარ მომხრეებს, მსხვერპლი თავიდან აეცილებინათ, განსაკუთრებით მშვიდობიან მოსახლეობაში. უცნობი ამ თათბირს არ დასწრებია, თუმცა დასრულების შემდეგ ტურპალ-ალიმ უთხრა, რომ საღამოს ყველაფერი მოხდებოდა.

იმ საღამოს ჩეჩნეთის სამთავრობო სტრუქტურებმა იერიში მიიტანეს ვაჰაბისტების პოზიციებზე გროზნოში. ტურპალი ამჯერადაც ენდო უცნო-

ბის რჩევას და ოპერაცია შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდა. რამდენიმე-საათიანი ბრძოლების შემდეგ ფუნდამენტალისტებმა პოზიციები დათმეს და ვედენოს, სეჟენ-იურტისა და შატოის მიმართულებით გადაინაცვლეს. არც ერთი ცნობილი გენერალი და მეთაური არ ჩაება ამ ბრძოლაში, თუმცა ყველამ მოუწოდა მასხადოვის ხელისუფლებას, სამოქალაქო დაპირისპირე-ბა აერიდებინა და რუსეთთან მოსალოდნელი ომისთვის მომზადებულიყო.

საინფორმაციო თვალსაზრისით მთავარი მოქმედი პირი კი ახლაც, როგორც ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, ჩეჩნეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის მინისტრი მოვლადი უდუგოვი გახლდათ. პირველი ომის დროს ჩეჩნური საინფორმაციო მანქანა, მისი ხელმძღვანელობით, არაფერს იშურებდა, რომ ჩეჩნებისა და ჩეჩნეთის ახალშექმნილი ისლა-მური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის დადებითი იმიჯი შეექმნა. ახლა ის ფუნდამენალისტების მხარეს იყო.

1994-96 წლებში კარგად დაგეგმილი პიარკამპანიის დასავლურ, თურქულ და არაბულ პოლიტიკურ წრეებში კავშირების შედეგად, საქ-მე ხუთიანზე შეასრულა.

დასავლეთისათვის ჩეჩნეთი იყო პატარა ქვეყანა, რომელიც დასაბა-მიდან დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ქვეყანა, რომელიც ორას ორ-მოცდაათი წელი ვერ დააჩოქა რუსეთის იმპერიამ. ჩეჩნები იყვნენ ვაჟკაცი, მეომარი ხალხი, რომელიც აგრძელებს იმამ შამილისა და შეიხ მანსურის ტრადიციას და არავის დაემონება. ჩეჩნები კავკასიურ, ჰუმანურ ტრადი-ციებზე აღზრდილი ხალხია. მათ უფროსთა რიდი და ქალებისადმი განსა-კუთრებული პატივისცემა ახასიათებთ. ვაჟკაცი მთიელები უზომო სტუ-მართმოყვარეობითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩევიან, თუმცა მტერს, რომელიც მათ სამშობლოს აპარტახებს, მედგრად უდგანან წინ და ანადგუ-რებენ. აფასებენ ვაჟკაცობას, თუნდაც მტრისას და სწამთ ერთი ღმერთის.

თურქეთისათვის და არაბული ქვეყნებისათვის ამ ამბის ცოტა სა-ხეშეცვლილი ვერსია ვრცელდებოდა, რომ მუსლიმი ჩეჩნები ვერ შეეგუ-ენ ჭეშმარიტი რწმენის კაფირებისა და მუნაფიკებისაგან შეურაცხყოფას. მათ საღვთო ომი გამოუცხადეს ხალხს, რომელიც მათ აღმსარებლობის უფლებას არ აძლევდა და სალოცავებს ანადგურებდა.

ურწმუნოებმა ესეც არ იკმარეს და ახლა ჩეჩნეთის გაქრისტიანება მოისურვეს, შედეგად კი ჯიჰადის გაგრძელება მიიღეს, რომელიც 250 წე-ლი არც შეჩერებულა. აი, ასე გააცნო პატარა ჩეჩნეთი და ჩეჩნები მსოფ-ლიო საზოგადოებას უდუგოვმა. ის ახლა უკვე მასხადოვის წინააღმდეგ მუშაობდა. არჩევნების დროს მის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა პარტია „ისლამურმა ერმა“ პრეზიდენტობის კანდიდატადაც წარადგინა საკუთა-

რი თავმჯდომარე, თუმცა მოვლადიმ ფიასკო განიცადა. მასაც წარმოშობის პრობლემა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ცოლი მოიყვანა, რათა ხაზი გაესვა საკუთარი რწმენისათვის, ყველას კარგად ახსოვდა, რომ უდუგოვი მხოლოდ დედით იყო ჩეჩენი. მისი მოწინააღმდეგენი იმასაც ამბობდნენ, რომ მამა მთიელი ებრაელი ჰყავდა.

მსოფლიო აღფრთოვანებული იყო მათი ვაჟკაცობის საარაკო ამბებით, იმით, თუ როგორ ახერხებდა მცირერიცხოვანი ერი რუსეთის უზარმაზარი არმიის შემოტევებისთვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევას.

შექმნილი სიტუაციის გამო, უცნობმა ატგირიევთან საფუძვლიანი საუბარი ვერც მოახერხა და მოკლედ აუხსნა სიტუაცია, რომ შეიხ ალიაჰმედის ძმამ, ბენ-იუსუფმა ჩეჩნეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გროზნო-ითუმ-ყალე-თბილისის გზის აშენებისათვის სპონსორი, ძალიან მდიდარი არაბი, იშოვა და თუ რამდენიმე ხნის განმავლობაში რესპუბლიკაში სიმშვიდე თუ არა, სტაბილურობა მაინც იქნებოდა, ჩეჩნეთი საქართველოს საშუალებითა და რუსეთის გვერდის ავლით ცივილიზებულ სამყაროსთან შეძლებდა დაკავშირებას.

ატგირიევს სიხარულისაგან თვალები შუბლზე აუვიდა. სთხოვა, რომ გროზნოდან წავლა არ ეჩქარა და აუცილებლად შეხვედროდა პრეზიდენტს.

რამდენიმე ხანში, როდესაც სიტუაცია მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა, შეხვედრა შედგა. პრეზიდენტის სასახლესთან უცნობი მასხადოვის ერთ-ერთ მრჩეველთან ერთად მივიდა. კაბინეტში შესვლის წინ დაცვამ ზედაპირულად გაჩხრიკა. უცნობს მრჩევლისათვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტს საჩუქარი ჩამოუტანა, რომლის გადაცემაც უნდოდა. ბერეტას სისტემის პისტოლეტი ემ-92 კომბატი, მოზრდილი კომპენსატორით, წელში, პიჯაკის შიგნით ჰქონდა გარჭობილი. 25-ვაზნიანი სათადარიგო გატენილი მჭიდი და რამდენიმე კოლოფი ლუგერის 9 მილიმეტრიანი ვაზნის ყუთი ჯიბეში ედო. პრეზიდენტთან შესვლის წინ დაცვამ ზედაპირულად გაჩხრიკა, ისე, რომ იარაღი არც შეუმჩნევია.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კი, როდესაც სტუმარი და მასპინძელი ფეხზე წამოდგნენ დასამშვიდობებლად, პრეზიდენტს მიმართა: ახლა კი, ასლან ალიევიჩ, თქვენთვის ერთი ხელოვნების ნიმუში მაქვს საჩუქრად. მასხადოვს სახეზე გაკვირვება შეეტყო, არ ელოდა, ჩეჩნეთ-საქართველოს გზის პროექტის გარდა, სხვა საჩუქარს.

უცნობმა ხელი სხარტად წაიღო წელს უკან, იარაღი ამოიღო, სტანდარტული მჭიდი მოხსნა და ორივე ერთად პრეზიდენტს გადასცა.

ასლან ალიევიჩის გაოგნებული სახე უნდა გენახათ, როდესაც მის წინ მდგომმა ეს მოქმედება შეასრულა. თავიდან ვერც მიხვდა, რომ ხელში ნამ-

დვილი ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა. შემდეგ, როდესაც უცნობმა ჯიბეებიდან 25-ვაზნიანი მჭიდი და ვაზნების ყუთები ამოალაგა, შემოსასვლელში, კართან მდგომ დაცვის წევრს გახედა, თვალები დაუბრიალა და უთხრა, განთავისუფლებული ხარო. უცნობისაკენ გამოიხედა. გაუღიმა, გადაეხვია, გულითადი მადლობა გადაუხადა ყველაფრისათვის და დაემშვიდობა.

კარგა ხნის განმავლობაში, თავად ატარებდა ნაჩუქარ იარაღს. შემდეგ ის თავის შვილს, ანზორს უსახსოვრა. ახლა ამ იარაღის ბედი არავისთვისაა ცნობილი.

ამის შემდეგ ბევრმა მეთაურმა სთხოვა იარაღის ჩატანა ჩეჩნეთში უცნობს. ტურპალ ატგირიევი, მისი მეუღლე, მასხადოვის დაცვის წევრები მისი ნაჩუქარი იარაღებით ამაყობდნენ.

შამილ ბასაევმა კი საერთოდ უცხოური პისტოლეტების მაღაზიის გახსნა დააპირა და რომ არა მეორე ჯიჰადი, ჩეჩნეთი ამერიკული ტექსასის მსგავსად „ბერეტებით“, „კოლტებით“, „დან ვესონებითა“ და „უდაბნოს არწივებით“ შეიარაღებული ხალხით აივსებოდა.

გაირკვა, რომ ბენ-იუსუფი იგვიანებდა. როგორც აღმოჩნდა, მისი ჩეჩნეთში ვიზიტი გადაიდო და უცნობი ბაქოში გაემგზავრა, სადაც ერთ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრას დაესწრო.

ანტიიმპერიული ფრონტი

გამთენიისას ბაქოში შევიდნენ. მანქანები ქალაქში თითქმის არ მოძრაობდნენ.

აზერბაიჯანის დედაქალაქი იღვიძებდა. ქალაქის შესასვლელთან საგზაო პოლიციის გამშვები პუნქტი იყო განლაგებული. ნახევრად მძინარე პოლიციელებს იმის თავიც კი არ ჰქონდათ, რომ რომელიმე მანქანისათვის ხელჯოხი დაექნიათ გასაჩერებლად და დილის ჩაისათვის რამდენიმე მანათი (ადგილობრივი ფულის ერთეული) გამოემუშავებინათ. ერთადერთი, რასაც ბაქოში არასოდეს სძინავს, ქარია. იმის გამო, რომ ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, მუდმივად ქარი ქრის, ზამთარში – საკმაოდ სუსხიანი, ზაფხულში კი – ცხელი.

მზე ამოიწვერა. პირველი სხივების ავანგარდი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთა ბნელეთს. ბუნებამ თითქოს სინათლის მხარე დაიჭირაო, ქარმა მეტი ძალით დაუბერა და სწრაფად განდევნა დილის ნისლი ჯერ კიდევ მძინარე ქალაქის ქუჩებიდან.

უცებ ყველაფერი შეიცვალა. ქუჩაში ყველა და ყველაფერი ამოძრავდა, აფორიაქდა. ვიწრო ქუჩებიდან სხვადასხვა ფერის მოძრავი შუქი

გამოჩნდა. ამას დაერთო პოლიციის მანქანების ყურისწამღები სირენების ხმაც. საჰაერო თავდასხმის დროს ატეხილი განგაში გეგონებოდათ.

ცოტა ხანში კი თითქოს ყველაფერი მოძრავი მიწამ ჩაყლაპაო, ქალაქში კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცნობის ავტომობილს მოჩვენებასავით აედევნა პოლიციის ორი მანქანა. მათ გზა ჩაუხერგეს და იძულებული გახადეს, ვიწრო ქუჩაზე შეეხვია. აზერბაიჯანელი პოლიციელები მკვირცხლად გადმოხტნენ მანქანებიდან. უცნობს და მის მძღოლს გადმოსვლაც არ აცადეს, ისე ააფარეს სახეზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

აზერბაიჯანელი პოლიციელი, მამედოვი, ეტიკეტის სრული დაცვით წარუდგა მგზავრებს. არც უცნობი და მისი მძღოლი დაბნეულან, საგანგებოდ ასეთი შემთხვევისათვის მომზადებული მაღალი პოლიტიკური რანგისა და მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები დააძრეს ჯიბეებიდან. პოლიციელმა ეჭვის თვალით შეათვალიერა მგზავრები და მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდა საბუთებით. გამოართვა ისინი და სთხოვა, მანქანით უკან გაჰყოლოდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბაქოს პოლიციის მთავარი სამმართველოს სამძებრო განყოფილებაში ამოჰყვეს თავი. როგორც გაირკვა, დაკავების მიზეზი სამთავრობო ტრასაზე უდროო გამოჩენა გახლდათ. ამ დროს, თურმე, აზერბაიჯანის დედაქალაქის ცენტრალურ ტრასაზე ამ ქვეყნის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი მგზავრობდა ხოლმე. სწორედ ამით აიხსნებოდა ისიც, რომ ქუჩები მანქანებისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცარიელებული იყო.

ამ ამბავმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის საჰაერო მოგზაურობების დროს მისი თვითმფრინავის მარშრუტზე შემთხვევით აღმოჩენილი სხვა სამგზავრო თვითმფრინავების სავალალო ბედი გაახსენა უცნობს. ასეთი გზააბნეული ან შეცდომით ცის არასწორ კვადრატში მოხვედრილი საფრენი აპარატები უმალვე საბჭოეთის საჰაერო თავდაცვის ძალების მსხვერპლნი შეიქნებოდნენ ხოლმე.

პოლიციელებმა გაარკვიეს რა ვინაობა, მაშინ ისლამური ჰუმანიტარული ორგანიზაციის სახელით მგზავრობდა უცნობი, საუბარი კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, პირველ რიგში კი ჩეჩნეთის ომზე ჩამოაგდეს. ცხადია, პოლიციელ მამედოვსაც არ დავიწყებია აზერბაიჯანული სტუმარმასპინძლობის წესი და მგზავრებს რამდენიმე ფინჯანი ჩაის დალევა აქაც მოუხდათ.

პოლიციელებმა საკმაოდ ზრდილობიანად აუხსნეს ბაქოში მოძრაობის ძირითადი წესები და თავაზიანად მიასწავლეს ყველა მისამართი, რომლებიც სტუმრებს აინტერესებდათ. პატივით გამოაცილეს პოლიცი-

ის შენობიდან და სთხოვეს, სხვა დროს, დილის ამ მონაკვეთში თავი შეეკავებინათ ცენტრალურ ტრასაზე მოძრაობისაგან, რათა კვლავ არ გახვეულიყვნენ გაუგებრობაში.

საღამოს ერთ-ერთი ისლამური ორგანიზაციისა თუ ჯგუფის ოფისში შეიკრიბნენ. ამ შეხვედრას თითქმის მთელი მსოფლიოდან საგანგებოდ მივლინებული ისლამის მიმდევარი ექსტრემისტები ესწრებოდნენ. იყვნენ ავღანელი თალიბები, მათი მხარდამჭერი პაკისტანელი ფუნდამენტალისტები, ირანელები, იორდანიელები, საუდის არაბეთის მდიდარი შეიხების წარმომადგენლები, აზერბაიჯანსა და დაღესტანში მცხოვრებ ლეკთა, ავარელთა, ლაკთა თუ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ლიდერები, აგრეთვე უკრაინელი, ბალტიისპირელი ნაციონალისტები და პოლონეთის წარმომადგენლები.

შეხვედრას რამდენიმე, ერთობ საინტერესო, დასავლეთ ევროპულ ენებზე მოსაუბრე პირიც ესწრებოდა, რომლებიც საუბარში ძალიან იშვიათად ერეოდნენ. ერთ-ერთი მათგანი ფრანგი გახლდათ. უცნობმა თავიდანვე შეატყო, რომ საკმაოდ კარგად ერკვეოდა ისლამსა და მსოფლიო თუ რეგიონული მასშტაბის გეოპოლიტიკაში.

ფრანგს განსაკუთრებით დაღესტნისა და შუა აზიის რესპუბლიკებში შექმნილი სიტუაცია და მიმდინარე პროცესები აინტერესებდა. საშუალო სიმაღლის, თავგადაპარსული, ჩაფსკვნილი კაცი საკმაოდ სხარტი მიხრა-მოხრით გამოირჩეოდა. კარგად ფლობდა რუსულს. შემდგომში საუბრიდან გამოჩნდა, რომ სამხედრო განათლებაც ჰქონდა მიღებული.

ალბათ მუსლიმი იყო, შესაძლოა – რამდენიმე თაობის ემიგრანტი, რადგან ლოცვის დაწყებისას სხვებთან ერთად მიემართებოდა ნამაზის აღსავლენად. უცნობს უთხრა, რომ დიპლომატი იყო. დაღესტნის ისლამურ რესპუბლიკად ჩამოყალიბებას უჭერდა მხარს, ისეთ ქვეყნად, სადაც აღარ იქნებოდა ეროვნული და ეთნიკური განსხვავება და ყველა მცხოვრები ისლამის მწვანე დროშის ქვეშ გაერთიანდებოდა.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა ცხვირაპრეხილმა ლეკმა, სახელად ასულმა გახსნა. მას, თავისი ტომელებისაგან განსხვავებით, მედიდური და ამაყი გამომეტყველება ჰქონდა. მწვანე ლენტშემოვლებული თეთრი ბოხოხი, რომელიც თავზე ეხურა, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ასულს ჰაჯი რამდენჯერმე ჰქონდა შესრულებული. ჟღალი წვერი უფრო სემიტურ იერს სძენდა, ვიდრე კავკასიურს, ის თავად აღნიშნავდა ხოლმე ამას საუბრისას, ხაზს უსვამდა რა ადამიანის შექმნის ბიბლიურ, უფრო სწორად, ისლამის წმინდა წიგნში, ყურანში, აღწერილ ვერსიას.

ამ დროისათვის მექისკენ მრავალი მართლმორწმუნე დაღესტნელი

მიემართებოდა, მაგრამ ასული მათგან იმით გამოირჩეოდა, რომ ყველაზე ახალგაზრდა დაადგა ისლამის სასულიერო სწავლების გზას. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, მას სრულიადაც არ ეხამუშებოდა ასეთი მიმართვა. ასული საკმაო პატივისცემით სარგებლობდა საზღვრის ორივე მხარეს, აზერბაიჯანისა და დაღესტნის ლეკურ მოსახლეობაში. ზოგიერთს ის ახლადმოვლენილ ისლამელ წმინდანადაც კი მიაჩნდა.

ასული საკმაოდ მძაფრ და მჩქეფარე პოლიტიკურ ცხოვრებასაც ეწეოდა. მან ლეკთა ეროვნული მოძრაობა „სადვალი“ ააღორძინა, რაც მათ ენაზე სახლს ნიშნავს.

„სადვალის“ მიზანი, როგორც ლეკთა დაქსაქსული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე საზღვრის ორივე მხარეს, რუსეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ლეკური მოსახლეობის გაერთიანება და დიდი ლეკეთის შექმნა იყო. ოღონდ ასული სამშობლოსათვის დამოუკიდებლობის მოპოვებას არჩევნების ან რეფერენდუმის გზით არ აპირებდა. იგი ფიქრობდა და საუბრისას ყოველთვის იმეორებდა, რომ დემოკრატია ებრაელთა მოგონილია, რათა თავგზა აუბნიოს და გარყვნას პატიოსანი მართლმორწმუნენი. დამოუკიდებელი ლეკეთის ისლამური რესპუბლიკა თავად უზენაესის განგებით და მისი ხელშეწყობით უნდა შექმნილიყო. ამ მისიის აღსასრულებლად ასულს გადაწყვეტილი ჰქონდა, საკმაოდ მჭიდრო კავშირი დაემყარებინა ჩეჩენ მეთაურებთან, რომლებიც იმ დროისათვის აზერბაიჯანში იმყოფებოდნენ და მათი ფინანსებისა თუ ფიზიკური ძალის დახმარებით, მიეღწია მიზნისათვის.

მთავარი მიზანი კი დამოუკიდებელი ლეკეთის ისლამური რესპუბლიკის კავკასიის ისლამურ რესპუბლიკათა კავშირის საპატიო წევრად გახდომა გახლდათ.

– ნამდვილად გადავარჩენ ჩემს ერს!– უთხრა მან უცნობს.

– ჩვენ, ლეკები საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ერი ვართ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ცეცხლი, რომელიც კავკასიაში რუსებმა გააჩაღეს, მათსავე სამშობლოში გადავიტანოთ. საუდებში რამდენიმე ევროპელ მუსლიმანს შევხვდი, რომლებმაც მითხრეს, რომ კავკასიის რუსებისაგან გათავისუფლების ერთადერთი საშუალება ისლამია, მებრძოლი ისლამი. ისლამი ის კი არაა, რასაც აქ, აზერბაიჯანში ხედავ. ესენი ცხვრებივით არიან. უყურებენ თავიანთ გადაყრუებულ აქსაკალს და ვაჭრობის მეტი არაფერს აკეთებენ. მებრძოლი ისლამი ჯიჰადია. ისლამი, რომელსაც პასუხი შეუძლია გასცეს ყველა ურწმუნოსა და შაითანის შვილ ტურას. ახლა რუსეთის წინააღმდეგ მთელი მსოფლიო გაილაშქრებს. ჩვენი მისია კი კავკასიის მათი კლანჭებიდან გამოგლეჯა

და გამუსლიმებაა. სხვანაირად რუსებს ვერ მოვიცილებთ. ძალზე ბევრი გამოჩენილი ადამიანი იღებს და მიიღებს ისლამს მომავალშიც. ახლა ისლამის განდიდების დრო მოდის. ხოლო ვინც ხელს შეგვიშლის, უნდა გავანადგუროთ! – დასძინა ასულმა საუბრის ბოლოს.

იმამი ასული არაერთხელ დახმარებია ჩეჩენ და სხვა ჯურისა და ჯილაგის მოჯაჰედებს რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის ორივე მიმართულების უსაფრთხოდ გადალახვაში. იგი მიდიოდა „ოქროს ხიდთან“, რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, ხელებს ზეცისაკენ აღაპყრობდა და შემდეგი სიტყვებით გაემართებოდა მოპირდაპირე მხარეს: „შაითანი მოვიდა ჩვენს მიწაზე, შაითანი უნდა განვდევნოთ ჩვენი მიწიდან, მომყევით, მორწმუნენო, რათა ვილოცოთ და ის, ვინც ხელს შეგვიშლის, ცეცხლში დავწვათ“. ამის შემდეგ რამდენიმე მებრძოლ სურას წაიმღერებდა ყურანიდან და რუსეთის მიმართულებით მიდიოდა.

საზღვრის გადალახვის ასეთი მეთოდი ამართლებდა, რადგან უცნობს არ გაუგონია არც ერთი შემთხვევის შესახებ, როდესაც ასული და მისი მიმდევრები აზერბაიჯანელ ან რუს მესაზღვრეებს გაეჩერებინათ და მათთვის პასპორტები ან რაიმე სხვა საბუთი მოეთხოვათ. იმამ ასულს მიმდევრები დერბენტამდე უსაფრთხოდ ჩაჰყავდა, საიდანაც ისინი ნადირშაჰ ხაჩალაევის, ან სხვა გამყოლების დახმარებით ჩეჩნეთში გადადიოდნენ.

ერთადერთი, რაც იმამ ასულს, მისივე თქმით, აკლდა, ეს ფული იყო. „დოლარი ტყუილად კი არაა მწვანე, ის მუსლიმების ხელში უნდა იყოს“, ხუმრობდა ხოლმე ახალგაზრდა იმამი. დიახ, მწვანე დოლარი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაძენად მართლაც საჭირო იყო, თუმცა შეხვედრის შემდეგ ლეკმა ეს პრობლემაც გადაჭრა.

იმამი ასულ კარიმოვი ჩეჩნების მეგობრად, რუსების მოწინააღმდეგედ ითვლებოდა და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა ადგილობრივ თუ სხვა რადიკალურ-ისლამური დაჯგუფების ლიდერებში. მას იმდენად ენდობოდნენ, რომ ერთ-ერთმა მეტად გავლენიანმა ჩეჩენმა რამდენიმე ასეული ათასი დოლარი გადასცა აზერბაიჯანისა და დაღესტნის საზღვარზე არეულობების მოსაწყობად, რათა ჩეჩნეთს ცოტა ამოესუნთქა.

ასულმა ამ ფულით დაცვა დაიქირავა. მან ბაქოში, სხვა მუსლიმი ექსტრემისტების მსგავსად, იარაღი შეიძინა და როგორც აღმოჩნდა, თანხაც არამიზნობრივად დახარჯა. მან მართლაც შეიძინა ასაფეთქებელი მასალა, დეტონატორები, მაგრამ აფეთქება აზერბაიჯან-რუსეთის საზღვარზე კი არა, ბაქოში მოხდა.

აფეთქებამ მსხვერპლი გამოიწვია.

ამ დროისათვის ბაქო მთელი მსოფლიოს სპეცსამსახურების ყურად-

ღების ცენტრში იყო. არეულობა აზერბაიჯანში არავის აწყობდა, სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგი სტაბილურობას აზერბაიჯანში ნავთობსადენის აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტის უსაფრთხოებისათვის ითხოვდა (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იგულისხმება). ზოგიც ჩეჩნების გამოსაზამთრებელ პლაცდარმში სიმშვიდით იყო დაინტერესებული. ამიტომ აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა დასავლელი და აღმოსავლელი მოკავშირეების დახმარებით საკმაოდ სწრაფად გახსნეს ტერორისტული აქტი და მისი თანმდევი ყველა უარყოფითი პროცესი თავიდან აიცილეს.

ლეკთა „განმათავისუფლებელმა“ იმამმა ასულმა კი თავი ვირის აბანოში ამოჰყო, საიდანაც შემდგომ არაერთი წერილი მისწერა უცნობს დახმარებისა და ბრძოლის გაგრძელების მოთხოვნით.

შეხვედრის სხვა მონაწილეთაგან უკრაინელი მოხუცი გამოირჩეოდა. ის მოხუცი, რომელიც უცნობმა ბაქოში, სასტუმროში გაიცნო. ბაქოდან ერთ უკრაინის პარლამენტის წევრთან ერთად, გროზნოში წასულა. რუსეთში როდესაც გადასულან, დერბენტში, ერთ-ერთ კაფეში ყავას მიირთმევდნენ და სიგარეტს აბოლებდნენ. მასთან უცხო ადამიანი მისულა და სახელით მიუმართავს, პან ანატოლი, უდიდეს პატივს გცემთო. მოხუცს და მის მეგზურს შეშინებიათ, ამოგვიცნესო, ახლა ფსბ-ში ამოგვაყოფინებენ თავსო. წამომხტარან მაგიდიდან ისე, რომ ყავის ფულიც კი არ გადაუხდიათ. პირველსავე ტაქსიში ჩამხტარან და საზღვრისაკენ დაძრულან.

მოხუცი ყვებოდა, თუ როგორ აედევნა რუსეთის ფსბ-ს აგენტებით სავსე რამდენიმე მანქანა, გაძეძგილი შეიარაღებული ხალხით, როგორ დაუსხლტნენ ხელიდან მდევარს ის და მისი თანამგზავრი, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა.

პან ანატოლი ერთსა და იმავე ტანსაცმლით რამდენიმე წელი დადიოდა, კავკასიის ამ რაიონში მას მართლა ყველა იცნობდა. ჰოდა, მართლაც შემთხვევითი ადამიანი გამოესაუბრა კაფეში. საწყალი პატივს სცემდა უკრაინელ მოხუცს და რა ექნა. მისთვის დიდი პატივი იყო პან ანატოლისთან გასაუბრება. შემდეგ, ალბათ, რამდენიმე ხანი ეყოფოდა საამაყოდ, რომ უკრაინელს გაესაუბრა. ხოლო მდევრებს რაც შეეხებათ, ისინი კაფეს მეპატრონე და მისი შვილები იყვნენ, რომლებსაც უბრალოდ სტუმრებისათვის ფულის გამორთმევა უნდოდათ.

სიმართლე აქ არავის აინტერესებდა. შეხვედრის დამსწრეები პან ანატოლის ვერსიას ენდნენ. გადარჩენა მიულოცეს, ხოლო მან ამაყი გამომეტყველებით დაიწყო საუბარი.

იგი ახალგაზრდასავით შესაშური ენერგიულობით გამოირჩეოდა. გარეგნობით ძველსლავური თქმულების გმირს მოგაგონებდათ. კვლავ

ძველმოდური შარვალ-პერანგი, სამხედრო ფარაჯა და ფეხზე ბოტასები ეცვა. რუსულად საინტერესო აქცენტით საუბრობდა, ამას სპეციალურად აკეთებდა, რომ არავის ჰგონებოდა რუსი.

– მოსკალები (ასე მოიხსენიებდა რუსებს) ყველა ჩვენგანის მტრები არიან. ჩემთვის რომ დაეჯერებინათ ამერიკელებს და ეს ამბავი კავკასიაში ავღანეთის ომის დროს დაწყებულიყო, შუაში გავხლეჩდით ამ ორთავიანი მახინჯი არწივის თუ ქათმების მოდგმას. მაგრამ არა... არ ისურვეს. მაშინ არც საქართველოს, არც აზერბაიჯანს, არც უკრაინას პრობლემები არ შეექმნებოდა. და საერთოდ, მსოფლიო უკეთესი იქნებოდა ამათ გარეშე. მაგ რუსებს მაშინ უნდა ჩასცე მახვილი, როცა უჭირთ, და თან ყველამ ერთად, თორემ ცალ-ცალკე ყველას გაგვანადგურებენ. ომი რუსეთის ტერიტორიაზე უნდა გადავიტანოთ. სხვა შემთხვევაში არაფერი გამოვა!

– პან ანატოლი, – მიმართა მოხუცს ბალტიისპირელმა ნაციონალისტმა, – გეთანხმებით. ასპროცენტიანია, მაგრამ მაგათმაც ხომ იციან ეგ?! ყველგან შემოცვივდებიან, უკრაინაშიც და ჩვენთანაც. კავკასიაში უკვე დგანან. მაგათ საკუთარი ხალხი ფეხზე ჰკიდიათ. მთავარია, იმპერია შეინარჩუნონ. დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვა. დასავლეთს კი ეს მოჯაჰედები გულზე არ ეხატება.

– უკრაინაში ვერ შემოვლენ, ეს შეუძლებელია, – წამოიყვირა პან ანატოლიმ, მოჯაჰედებს რაც შეეხებათ, არ ხარ მართალი. ესენი უბრალო კუნთები არიან, ამათ უკან კი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები დგანან. ისინი მოელაპარაკებიან დასავლეთში ხალხს. ისე, ერთი რამე იცოდე, შენს გასაკეთებელს არავინ გააკეთებს. ასე იყო ავღანეთში, თავიდან მოჯაჰედებს არავინ ეხმარებოდა. ბოლოს რეიგანსაც კი შეხვდნენ, თეთრ სახლში. ვეუბნებოდი ჯოჰარს და ახლაც ვეუბნები ყველას, თუ აპირებთ ომს საკუთარ ტერიტორიაზე, ბებიათქვენისას შეჭამთ. დივერსიები და ტერორისტული აქტები მტრის ზურგში – აი, რა დაამარცხებს რუსებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, ჩვენი ხალხი ჩეჩნეთის ფრონტიდან მოვხსნათ და სადმე, უფრო საინტერესო დავალების შესასრულებლად გადავისროლოთ. იქ რამდენიმე ასეული მოხალისე მეომარი დარჩება, რათა რუსებმა არ იფიქრონ, რომ ყველამ მიატოვა ეს უბედური.

– მართალი ბრძანდებით, ბრძოლის გასაგრძელებლად გეგმა უნდა შევიმუშაოთ, – ჩაერთო საუბარში პოლონელი სტუმარი.

პოლონელ სტუმარს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ავღანელმა სტუმარმა ხელი ოდნავ ასწია. ყველამ მისკენ გაიხედა. კოსტიუმი ეცვა, თუმცა თავზე ავღანური ქუდი ეხურა. ხელში კრიალოსანს ატრიალებდა. ძალიან ყურადღებით უსმენდა მანამდე გამოსულებს.

– ბისმილაი, – გამოსცრა კბილებში. ნებისმიერი მორწმუნე მუსლიმი ალაჰის დიდებით იწყებდა საუბარს.

– რუსები ჩვენს ქვეყანაში ისლამის მტრებს ეხმარებიან. მოხუცს ჰგონია, რომ ამერიკა ჩვენ გვეხმარება, მაგრამ ასე არაა. უბრალოდ სურთ, მსოფლიოს აჩვენონ, თითქოს ისლამი ისევე ემორჩილება ებრაელებს, როგორც სხვები. თალიბანის გამარჯვება ალაჰის ნებით მოხდა. ასევე იქნება ჩეჩნეთში, შამაშიც და ყველგან, სადაც ჯიჰადი გაგრძელდება. ჩვენი საერთო მტრები ისრაელი და ებრაელები არიან. ისინი მართავენ რუსეთსაც და ამერიკასაც. რომ არა ებრაელები, მთელი მსოფლიო ისლამს მიიღებდა, მაგრამ მადლობა უზენაესს, მალე ყველაფერი შეიცვლება. ასობით ათასი მუსლიმი ჩაებმება ჯიჰადში და ისლამის მტრები სამაგალითოდ დაისჯებიან!

– რისიც გინდათ, იმისი გჯეროდეთ, ვინ ვის მართავს და რატომ იმარჯვებთ, თქვენ ის თქვით, რითაც დაეხმარებით ჩეჩნეთს, – მიაძახა მოხუცმა უკრაინელმა თალიბების წარმომადგენელს.

– ჩვენი დახმარება იმაზე მეტია და კიდევ მეტი იქნება, ვიდრე ყველა აქ მყოფს და შენ წარმოგიდგენია, მოხუცო, – დამტვრეული რუსულით გამოსცრა კბილებში ეროვნებით პუშტუნმა თალიბმა.

– ბირთვული ქობინები და მათი ტრანსპორტირების ისეთივე საშუალება რომ გვქონოდა, როგორც უკრაინას, მაშინ მსოფლიოში ყველა ომი უკვე დამთავრებული იქნებოდა, – სრული სერიოზულობით გააგრძელა თანამებრძოლის აზრი შეხვედრაზე მყოფმა თალიბთა მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ავღანეთში პრობლემა აღარ გვაქვს, მასუდი პანჯერის ხეობაშია გამოკეტილი. უზბეკეთისა და ტაჯიკეთის პრორუსული რეჟიმები დღე-დღეზე დაეცემა. ის კი არა, კაფერული რეჟიმებიც კი აპირებენ ჩვენს ცნობას, ამიტომ ამდენი იარაღი აღარ გვჭირდება და ჩეჩენ ძმებს უსასყიდლოდაც კი მივაწვდით. უსამას ორგანიზებულ ბაზებზე კი უკვე საკმაო რაოდენობის ინსტრუქტორები მუშაობენ. ასე რომ, ჩეჩნეთში არც მებრძოლთა პრობლემა იქნება. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებიც ბლომად გვაქვს. კავკასიელ ძმებს გადავცემთ, რათა ისინი მტრის თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს გაუსწორდნენ. ხმელეთზე კი მოჯაჰედს წინ ვერვინ აღუდგება. იქნებ ეჭვი გეპარებათ ამაში?! – ირონიულად იკითხა ავღანელმა მოჯაჰედმა.

შეხვედრაზე მყოფმა თურქებმა და არაბებმა აღნიშნეს, რომ ისინი გააგრძელებენ ჩეჩნებისათვის ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას. ზეწოლას განახორციელებენ საკუთარ ხელისუფლებებზე, რომ მათ აიძულონ რუსები, მოლაპარაკებები დაიწყონ ჯიჰადისტებთან, რასაც შედეგად კავკასიიდან ჯარების გაყვანა მოჰყვება.

– კარგია, კარგი! – ხელები მოიფშვნიტა ანატოლი ლუპინოსმა.

– შევთანხმდით, ჩეჩნებს ომი რუსეთის ტერიტორიაზე გადააქვთ, ამას მე მოვაგვარებ. დაველაპარაკები შამილს. თალიბები სტინგერებს მისცემენ და ცოცხალი ძალით დაეხმარებიან. არაბები ფულით მოამარაგებენ, თურქები კი სამკურნალოდ მიიღებენ დაჭრილებს. ჩვენ მხარს ვუჭერს მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, – დაამთავრა გამოსვლა პან ანტოლიმ, თან თვალი ჩაუკრა უცნობს..

კარგია, კარგი. სწორედ ეს მინდოდა, – მხოლოდ უცნობის გასაგონად ჩაილაპარაკა პან-ანატოლიმ. ისე, რომ იცოდე, ცხოვრებაში ორი ინტერესი მაქვს, ერთი, რაც შეიძლება მეტი რუსი გავამწარო და მეორე, კონსტანტინოპოლში, აია სოფიას ტაძარზე კვლავ ჯვარი აღვმართო და ყველაფერი აქეთ მიდის. რაც მეტი დაწყდება ორივე მხრიდან, უკეთესია. ჯანდაბა ამათ თავს. მთავარია უკრაინა გაძლიერდეს.

შეხვედრიდან რამდენიმე საათში ბუდიონოვსკის ცნობილი ტერაქტი მოხდა. ოპერაცია მიზნად ისახავდა მშვიდობიანი მოსახლეობის შანტაჟის ხარჯზე რუსეთის სახელმწიფოს იძულებას, დროებით შეეჩერებინა შტურმი და ზეწოლა ჩეჩენ მებრძოლებზე, რომლებიც ამ დროისათვის შატოის, ითუმ-ყალესა და ვედენოს ტყეებში იყვნენ გახიზნული და მიმოფანტული.

ბასაევი და მისი რაზმი სტავროპოლის რაიონის ქალაქ ბუდიონოვსკში შეიჭრნენ, ადგილობრივი საავადმყოფო დაიკავეს და მძევლად მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე აიყვანეს. ტერორისტულმა აქტმა 190-მდე ადამიანი შეიწირა. რუსეთის პრემიერი ჩერნომირდინი დასთანხმდა ბასაევის მოთხოვნას, რის შედეგადაც მოჯაჰედებმა დატოვეს ქალაქი.

უცნობი ბუდიონოვსკიდან დაბრუნებულ შამილს ვედენოში რამდენიმე ხნის შემდეგ შეხვდა. ის, ავადმყოფობის მიუხედავად, ძალიან კარგ ხასიათზე იყო.

– ასეთი კურდღლები არასდროს მინახავს, ალფა მიტევდა, თითქმის აიღეს კიდეც საავადმყოფო... მაგრამ მერე უკან დავახევინეთ. თავს იმართლებდნენ, მძევლებს დახოცავდაო. მძევლებს კი დავხოცავდი, მაგრამ მაგათ როდიდან ადარდებთ ადამიანის სიცოცხლე. ჩერნომირდინმა უბრძანა. სადმე გინახავს, პრემიერ-მინისტრი ტერორისტებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდეს?! ასეთი იდიოტები, ეს რუსები რომ არიან, არსად შემხვედრია, საკუთარ თავს ეომებიან, – თქვა და გაიღიმა. მეტი არაფერი უთქვამს.

ვედენოდან უცნობი გროზნოში გაემართა. იქიდან ბაქოში და თბილისში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც პრეზიდენტის მრჩეველსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს უნდა შეხვედროდა, იარაღისა და მოჯაჰედების ტრანზიტთან დაკავშირებული პრობლემები გადაეჭრა. მოჯა-

ჰედები მთაში იყვნენ გახიზნულები. უკან დახევასთან ერთად, იარაღისა და საბრძოლო მასალების სამალავების დიდი ნაწილი რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა. საჭირო იყო დამატებითი შეიარაღებისა და ამუნიციის შეძენა, ამისათვის კი – მოსაზღვრე ქვეყნების ხელისუფლებებთან მოლაპარაკების გამართვა.

გროზნოში ის ერთ სახლში დააბინავეს. სახლის პატრონი მოხუცი მოლა გახლდათ. ამ სახლში ნახა პირველად უცნობმა სამირა, 14-15 წლის გოგონა, რომელმაც მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა.

სამირა

იარაღი, რომელიც ადგილობრივი სპეცსამსახურის წარმომადგენლების დახმარებით შეიძინეს და ჩეჩნეთის მოსაზღვრე მთიან სოფელში შეინახეს, ჩეჩნეთში გადატანას ელოდა. თითქმის ყველაფერი გამზადებული იყო, ქვეყნის სასაზღვრო ჯარის ვერტმფრენის პილოტი ხელმძღვანელობის ბრძანებას ელოდა, რათა 20– წუთიანი, მეტად სარისკო გადაფრენა შეესრულებინა. ფრენის საფასური, 6000 დოლარი უკვე აღებული ჰქონდა, მაგრამ ბრძანება იგვიანებდა.

უცნობი ცდილობდა, დაედგინა გაჭიანურების მიზეზი, მაგრამ ამაოდ. ვინ არ შეაწუხა, მაგრამ პასუხი ყველასაგან ერთი იყო – ცოტაც მოიცადე, ცოტაც მოიცადე.

მოცდა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ადგილზე ჩასულიყო, თავისი თვალით ენახა იარაღიც და ადილობრივ გამყოლებს მოლაპარაკებოდა, რათა მთის ბილიკებით, ცხენებით გადაეტანათ საქონელი ჩეჩნეთში. სამალავი სოფელში, რამდენიმე სახლში იყო განაწილებული. ამ და მიმდებარე სოფლის მოსახლეობა გარკვეული იმუნიტეტით სარგებლობდა ადგილობრივ ხელისუფლებში. იქ საკუთარი კანონები მოქმედებდა, უფრო შარიათის, ვიდრე ამ სახელმწიფოსი. ძალიან ბევრ მცხოვრებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ადგილობრივი ძალისმიერი სტრუქტურის წარმომადგენლებთან და აგრეთვე, ჩეჩნეთშიც. ამის გამო ისინი ბევრ უკანონობაზე ხუჭავდნენ თვალს.

ამ სოფლის მცხოვრები ერთ-ერთი ახალგაზრდა უცნობმა ბაქოში გაიცნო. შემდეგ რამდენჯერმე გროზნოშიც შეხვდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მოუყვა სამირას მამინაცვლის საქციელის შესახებ. ახალგაზრდა აღშფოთდა, თქვა, რომ ასეთი ადამიანი საცოცხლებელი არაა, თუმცა, სხვაგან, თურმე სამირას მამინაცვალიც გაიცნო, როგორც ამ ჯიშის ადამიანებს სჩვევიათ, მას უამბო უცნობის მონათხრობი და რა თქმა უნდა,

როგორც მუსლიმის, მამინაცვლის სიმართლე დაიჯერა. მაინც ერთი ჯიშისა იყვნენ და სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო.

მაშინ უცნობმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის ისევ აგრძელებდა მოლაპარაკებებს ადგილობრივი ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებთან და ერთ დღეს დაუკავშირდა სამალავის პატრონს, რომ გროზნოს მოთხოვნის თანახმად, რამდენიმე დღეში იარაღის ინსპექტირების ჩასატარებლად ჩავიდოდა. აგრეთვე სთხოვა მას, რომ იქნებ წინასწარი მოლაპარაკებები გაემართა გამყოლებთან, რათა იარაღი ჩეჩნეთში ცხენებით გადაეტანათ.

რამდენიმე დღეში, როდესაც ვერტმფრენით გადაფრენის იმედი გადაეწურა, მანქანით სოფლისაკენ გაემართა. უცნობს რამდენიმე მანქანა ჰყავდა, სხვადასხვა მიზნისათვის. სასტუმროდან გამოსულმა შეამჩნია, რომ ერთს ორი საბურავი ჰქონდა დაშვებული, მაშინ მეორე, ორხიდიან მანქანაში ჩაჯდა, დაქოქვა დაიწყო და მანქანა არაფრით იქოქებოდა, მაშინ გადაწყვიტა მსუბუქი ავტომანქანით წასვლა, მაგრამ შეამჩნია, რომ ავტომანქანას უკანა მხარეს სახელმწიფო ნომერი არ ჰქონდა. ეს კი საგზაო ინსპექციისათვის საკმარისი მიზეზი იყო, წარამარა გაეჩერებინათ მანქანა და მგზავრის გამოკითხვა დაეწყოთ და თუკი რაიმე არ მოეწონებოდათ, გაეჩხრიკათ კიდეც ის და ავტომობილი. ამიტომ იარაღი არ წაიღო, ანდა რად უნდოდა, მეგობრებთან მიდიოდა.

გზად მართლაც რამდენჯერმე გააჩერეს, მაგრამ აქაც, როგორც აზერბაიჯანში, ფულადი ჯარიმის ადგილზე გადახდის მერე შემდეგ ტეკამდე უპრობლემოდ მიდიოდა. რამდენიმესაათიანი მგზავრობის შემდეგ სოფელს მიუახლოვდა. მისდა გასაკვირად, სოფლის შესასვლელთან სამხედრო საგუშაგო აშლილი დახვდა. საერთოდ ამ სოფელთან ყოველთვის იდგნენ სამხედროები, რომ საეჭვო პიროვნებები შეეჩერებინათ, ნარკოტიკებისა და იარაღის ბრუნვა არ დაეშვათ, რაც, ყველამ იცოდა, რომ სოფელში უხვად მოიძებნებოდა.

სოფელში ნელა შევიდა. გზად არავინ შეხვედრია, თუმცა სხვა დროს შარაგზაზე ან ბირჟაზე ვინმე მაინც ხვდებოდა ხოლმე.

ნაცნობ სახლთან მივიდა და კარზე დააკაკუნა. კარი ქალმა გააღო, შეშინებული, გამოუძინებელი თვალები ჰქონდა. უცნობს ხელით ანიშნა, შემოდიო და მანაც ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე გადააბიჯა ეზოში. კარი ჯერ დახურული არ იყო, რომ ყოველი კუთხიდან კუნთმაგარი, სამხედრო ფორმაში ჩაცმული, შეიარაღებული ხალხი გადმოხტა. უცნობი მიხვდა, რომ ჩეჩნები იყვნენ. მისალმებას აპირებდა, მაგრამ ვინ აცადა, კეფაში ისე გვარიანად უთავაზეს მუშტი, რომ წინ გადავარდა. არც

დაცემა აცადეს, ახლა წინიდან, შემდეგ გვერდებიდან შესდგნენ, მუშტები და წიხლები კოკისპირული წვიმასავით დააყარეს.

ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა, მოწმენდა არც უცდია, რადგან აზრი არ ჰქონდა. იმდენი მოხვდა, რომ ტკივილს ვეღარ გრძნობდა. ორმა ბრგე მოჯაჰედმა იღლიებში ხელი გაუყარა და კიბეებით მეორე სართულზე დაუწყეს ათრევა. წინააღმდეგობის გაწევას არც აზრი ჰქონდა და მართალი გითხრათ, არც თავი ჰქონდა უკვე. დასჯა კიბეებზეც გრძელდებოდა.

მოკლედ, ამ რამდენიმე წუთში უცნობს იმდენი მოხვდა, რამდენიც, როგორც იტყვიან, რუსის დოლს არ მოხვედრია. სახლში შეათრიეს, ხელები და ფეხები შეუკრეს, თითქოს გაქცევას შეძლებდა; იქვე მდგარ ტახტზე მიაგდეს და ცემის მეორე ეტაპზე გადავიდნენ. თუ შემოსვლისას და კიბეზე ყველა ერთად ურტყამდა და ცოტა ერთმანეთს ხელსაც უშლიდნენ, ახლა სათითაოდ უახლოვდებოდნენ, კარგად უმიზნებდნენ სასურველ ადგილას და ისე აყენებდნენ დარტყმას. სარკეში არავინ ჩაახედა, მაგრამ გრძნობდა, რომ სახე, თვალები, ცხვირ-პირი ისეთი დასიებული ჰქონდა, რომ ალბათ არც ერთი ნაოჭი აღარ ეტყობოდა.

რამდენიმე წუთი შესვენება გამოაცხადეს, შემდეგ თავის არეში დაუწყეს ცემა.

ერთ-ერთმა უცნობის გასაგონად რუსულად შესძახა, ვერ გავთიშე ეს ღორი, და როგორც სპორტსმენი, ბოქსიორი ჩამოკიდულ ტომარას, ისე მიახტა და რამდენიმე ხანი გაუჩერებლად ურტყამდა. მაინც ვერ გათიშა.

უცნობი ალბათ ფიქრობდა კიდეც, ახლა გათიშვა ჯობსო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სხეული გონებას არ ემორჩილებოდა და ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა დარტყმებს.

ცოტა ხანში კვლავ შესვენება გამოაცხადეს. უცნობთან ორი შეიარაღებული მცველი დატოვეს და დანარჩენები ოთახიდან გავიდნენ. ნაცემმა რამდენიმე ხანი აზრზე მოსვლას მოანდომა. როგორც კი ცოტა გამოიხედა თვალებში, მაშინვე დაიწყო ფიქრი, თუ რა შეემთხვა. პირველი შედეგები რამდენიმე წამში უკვე თავში ჰქონდა.

„ჩეჩნები არიან, ვარ სოფელში, სადაც იარაღი ინახება, ალბათ იარაღის წასართმევად არიან მოსულები. მაგრამ ძალიან ვაჟკაცები უნდა იყვნენ, თუ იციან, ვინ ვარ და რა კავშირები მაქვს. მაგრამ შეიძლება რომ არ იცოდნენ და უბრალოდ გამოსაზამთრებლად იყვნენ ჩამოსულები? მაშინ აქ არ დამხვდებოდნენ. სახლის პატრონი მიცნობს. ვერ გაბედავდნენ. აბა, რა ხდება?! უბრალოდ ბანდიტები არიან?! აქაურებს არ ჰგვანან. შესაძლოა, ოჯახი მძევლად ჰყავთ აყვანილი. მაგრამ რატომ?

შეიძლება რუსებზე მუშაობენ და უბრალოდ უნდათ, საქმე ჩაშალონ და მეც გამომიყვანონ თამაშიდან“.

ფიქრი ვინ აცადა, კვლავ შემოლაგდნენ. ამჯერად იმდენი აღარ ურტყეს, აზრიც არ ჰქონდა, თავზე და ტანზე „ცოცხალი“ ადგილი აღარ დარჩენოდა.

გაახსენდა ჰატაბის ბაზაზე დაკითხვის ინსტრუქტორის სიტყვები, ყოველი ლექციის დასასრულს რომ ამბობდა: „ისე არ უნდა აწამო ადამიანი, რომ ტკივილს ვეღარ გრძნობდეს“. ამ დროს ტკივილს თავის არეში მართლა ვერ გრძნობდა, მაგრამ დროებით. ჯერ ყველაფერი წინ ჰქონდა. ორგანიზმი შოკის მდგომარეობაში იყო და სისხლში მომატებული ადრენალინის გამო სისხლძარღვები შევიწროვდა. სისხლდენა შეჩერდა. იარები უბჟუოდა, მაგრამ რაღაცნაირად გაყუჩებული ჰქონდა. თვალი არ უჭრიდა, მაგრამ არც არაფერი იყო სანახავი. პატარა ოთახში 7-8 სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანი ჩეჩნურ-რუსულად ლაპარაკობდა, იცინოდა და თავისი ვაჟკაცობით ტკბებოდა.

ძირითადად უცნობისთვის მიყენებულ დარტყმებს განიხილავდნენ. ლაპარაკში ხმას აუწიეს. მაშინ მიხვდა უცნობი, რომ ცემის ახალი ეტაპი იწყებოდა, გაიფიქრა ეს, ხელების სახეზე აფარება დაიწყო, მაგრამ ერთ-ერთმა სამხედრომ ჩექმიანი ფეხი სახეში სთხლიშა.

– ნუ იფარებ ხელებს, თორემ უკან გაგიკრავ შე ძაღლოო,– მიაძახა. სხვა რა გზა ჰქონდა. ხელები ჩამოუშვა და ასე ელოდა მუშტებისა და წიხლების ახალ ტალღას.

მუშტები ეგონა, თორემ ახლა ავტომატის კონდახზე მიდგა ჯერი. რამდენჯერმე უბრალოდ მოუქნიეს, კარგად რომ დაენახათ, რა მიმართულებით გადაწევდა თავს უცნობი და მხოლოდ ამის შემდეგ გვარიანად უთავაზეს ცხვირში კონდახი. ჭახანის ხმა გაისმა. ცხვირიდან სისხლი თქეშით წამოვიდა. ახლა ხელის აფარების საშუალება მისცეს და ნაჭერიც მიუგდეს, თან გააფრთხილეს, ავეჯი არ დასვარო შენი სისხლით, თორემ უარეს დღეში ჩაგაგდებთო.

კვლავ შეისვენეს.

რამდენიმე ხანში ერთ-ერთმა თქვა, ახლა მზად ხარ, მეთაური გაგესაუბრებაო. ოთახიდან გავიდა. უცნობი კვლავ ჩაფიქრდა, ვერ ხვდებოდა, რაში იყო საქმე. ასეთი რამ ჩეჩნეთში არ დამართნია, თუმცა ფიქრის თავი აღარ ჰქონდა და ბედს მიენდო.

ცოტა ხანში ოთახის კარი გაიღო. ოთახში ერთი, მეტად დაკუნთული, ჟღალწვერიანი მოჯაჰედი შემოვიდა. უკან ვიღაც ედგა, ვინც იკითხა, ხელები შეკრული აქვს? მზადაა? უცნობს ხმა და აქცენტი ეცნო, მაგრამ

მის მდგომარეობაში მყოფს აღარ ჰქონდა ფიქრის და იმის გამოკვლევის თავი, თუ ვისი ორგანიზებული იყო ყველაფერი და თან რა აზრი ჰქონდა? რამდენიმე წამში ყოველივე ისედაც გაირკვეოდა.

ორი მოცვივდა. ხელები ისევ ზურგს უკან გაუქაჩეს და ახლა უკვე მაგრად შეუკრეს.

– მზადაა, – უპასუხა შემოსულმა და გვერდით გაიწია.

უცნობმა ოდნავ ასწია თავი, კარისაკენ გაიხედა და...

რაღას უნდა გაეოცებინა, მაგრამ მართლაც გაოგნდა. მის წინ ამაყად მოცქერალი სამირას მამინაცვალი აღიმართა. ამას ნამდვილად არ ელოდა. მამედი ახალ ამერიკულ რეინჯერსში იყო გამოწკეპილი. ოფიცრის ახალი სამხედრო ჩექმები ეცვა. თავზე ბერეტი ეხურა, რომელზეც ჩეჩნეთის ანტიტერორისტული ცენტრის ემბლემა იყო გამოსახული.

ნელა შემოვიდა. ახლოს რომ მოვიდა, უცნობს თვალებში შეხედა და უთხრა, არ მელოდი? მე ვარ, მე. შენ ყველაფრისათვის აგებ პასუხს, რაც გაგიკეთებიაო და პროთეზიანი ფეხი ჩაარტყა სახეში.

თუ სხვა დროს უცნობი ცდილობდა მაინც მოეგერიებინა ან აერიდებინა დარტყმა, ამჯერად ეს არ გააკეთა. ალბათ, ამით მამედისათვის იმის დამტკიცება სურდა, რომ მისი არ ეშინოდა და არფრად აგდებდა მის მუქარას.

მართლაც ასე იყო. მამედის გამოჩენამ პირიქით, უფრო გააძლიერა უცნობი, რადგან ახლა გასაგები იყო ყველაფერი. აქ მიზეზი უბრალოდ ეჭვიანობა და შეურაცხყოფა იყო და სხვა ყველაფერი მხოლოდ შეთითხნილი ამბავი იქნებოდა.

მამედს სკამი მოართვეს, კინოების მსგავსად, მან ის ზურგით შემოატრიალა და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა უცნობის პირისპირ. ხელები საზურგეზე შემოიწყო და თავისი ჭკუით დაკითხვას შეუდგა.

ამ მომენტიდან უცნობს მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა, კარგად გაეხსენებინა ყველა დეტალში დაკითხვის მეთოდები, რომლებიც მან ჰატაბის ბაზაზე შეისწავლა. კარგად ახსოვდა, რომ დაკითხვა მხოლოდ ცემა-ტყეპისგან არ შედგებოდა. წესით, ცოტა ხანში ცივი იარაღის გამოყენების დრო უნდა დამდგარიყო. სულიერად მოემზადა ტკივილის ასატანად. თუ აქამდე ცდილობდა, უბრალოდ მსხვერპლის როლში ყოფილიყო, მამედის გამოჩენამ მას გეგმები შეაცვლევინა. ახლა უბრალო მსხვერპლობა აღარ უნდოდა. სამირას მამინაცვლის წინაშე ქედის მოხრას არ აპირებდა.

იცოდა, რომ მამედი მისი დაკავების ნამდვილ მიზეზს ვერავის გაუმხელდა. მებრძოლებიც ალბათ დაქირავებულნი იყვნენ. შესაძლოა რომელიმე მეთაურის თანხმობით, მაგრამ არა დავალებით მოხვდნენ მამედის რაზმში.

ასეც აღმოჩნდა, მამედმა თავად უთხრა, რომ ანტიტერორისტული ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დედამისის ნათესავი აღმოჩნდა. ამ დროიდან ის ჩეჩნეთის კონტრდაზვერვის ოფიცრად დანიშნეს და შემოგზავნილი აგენტების გამოვლენა დაევალა.

აგენტებთან დაკავშირებული ისტერია ჩეჩნეთში მეორე ომის წინ დაიწყო. უცნობს კარგად ახსოვდა, ამ დროისათვის ძალიან ბევრი ადამიანი გაიტაცეს რესპუბლიკაში. თავიდან ყველაფერი რუსეთის ფსბ-ს აგენტების აღმოჩენით, გატაცებით და დასჯით დაიწყო.

ოკუპაციის პერიოდში მოჯაჰედთა სპეცსამსახურები ინფორმაციას აგროვებდნენ რუსებთან თანამშრომლობაში შემჩნეული ადამიანების შესახებ.

პირველი ომის დასრულების შემდეგ, როგორც იტყვიან, ჩამოუარეს მათ და თანამშრომლობაში განსაკუთრებით აქტიურად ჩართულები გაიტაცეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს. მათი ცხედრები მათსავე სოფელში საქვეყნოდ გამოფინეს. ასეთი ფაქტების უმრავლესობა გუდერმესში, არღუნში და მის შემოგარენში ხდებოდა. ეს ქალაქები ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი დუდაევისადმი.

რუსეთთან თანამშრომლობაში შემჩნეულების აღმოჩენასა და დევნას ფსბ-ს აგენტების განადგურების ოპერაცია მოჰყვა. ჩამოშლილი საგამოძიებო სტრუქტურებისათვის ძნელი იყო ნამდვილი აგენტების ცრუ დასმენებით ბრალდებულებისაგან განსხვავება. გარისკვის უფლებას თავს არ აძლევდნენ და ყველას ერთი ხელით უსწორდებოდნენ. იმდენი ადამიანი იყო დასაკითხ-დასასჯელი, რომ შესაბამისი სამსახურები საქმეს ვეღარ აუდიოდნენ.

ამ მოვლენამაც თავისი განვითარება ჰპოვა. მოტაცება იმდენად პოპულარული გახდა, რომ ჩეჩნეთის უსაფრთხოების სამსახური დღისით, მზისით იტაცებდა ადამიანებს, რომლებიც ოპოზიციასთან ან რუსეთთან კავშირში იყვნენ შემჩნეული, ან აბრალებდნენ ასეთ რამეს. გახშირებულმა მოტაცებებმა კიდევ ერთი სახის ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი, რასაც ადამიანებით ვაჭრობა, მოტაცება გამოსასყიდის მიზნით ერქვა. ახლა უკვე გაურკვეველი დაჯგუფებები ბიზნესმენებს დაერივნენ. მათ ჯერ გზებიდან, შემდეგ სახლებიდან იტაცებდნენ და გამოსასყიდს ითხოვდნენ. ამ მოვლენის გეოგრაფიული არეალიც ნელ-ნელა ფართოვდებოდა: ინგუშეთი, დაღესტანი, საქართველო, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები და ასევე რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის მოსაზღვრე რაიონები გატაცებულების ნათესავების გოდებას მიჰქონდა. მას შემდეგ, რაც აგენტების, ფულიანების რიცხვმა იკლო, უბრალო ხალხზე

გადავიდნენ, რათა გამტაცებლების უზარმაზარი ინფრასტრუქტურა შეენახათ. ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა ე.წ. ფასიანი ციხეები, რომელთა ფუნქციაც გატაცებულების შენახვა იყო გამოსასყიდის გადახდამდე. ამ ციხეებს დაცვა და მთელი ინფრასტრუქტურა ჰქონდათ. ბევრის პატრონს საკმაოდ კარგი კავშირები აღმოაჩნდა მეთაურებთან, ბევრი კი თავად ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა და მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცა.

უცნობს წამებისას, შესვენებაზე ერთი ამბავიც გაახსენდა, რომელიც პრეზიდენტ მასხადოვის დაცვის ერთ-ერთმა წევრმა უამბო. ომის დროს ის საკუთარ ქალაქში ჩუმად დაბრუნებულა, რათა თავისი ნათესავები მოენახულებინა. მეზობლებს შეუმჩნევიათ, რომლებიც იმ დროს აჯანყებულთა მიმართ დიდი სიმპათიით არ გამოირჩეოდნენ და ეს ამბავი გაუხმაურებიათ. უმარი დაუჭერიათ, სარკინიგზო დეპოში მიუყვანიათ და მაგრად უცემიათ. ერთი შეცდომა დაუშვეს, არ მომკლესო, ამბობდა ის. როდესაც ცოცხალ-მკვდარი იქვე მიაგდეს, თან დაუყოლებიათ, დანარჩენებს გადაეცი, ასეთივე ბედი ელითო.

– 32 კაცი მცემდა. ყველა დავიმახსოვრე, რას არ მირტყამდნენ – ლომებს, ნიჩბებს, ფიწლებს. ორი კვირა სისხლს ვშარდავდი, მაგრამ როდესაც რუსები გავიდნენ, სამაგიერო გადავუხადე. ორი დღით გავეთავისუფლე სამსახურიდან. ქალაქში დავბრუნდი. ყველა გამოვათრიე და დეპოში ხაზზე განვალაგე. სათითაოდ ვცემე, მემუდარებოდნენ, არ დაგვხოცოო. შევპირდი, არა-მეთქი. პირობა შევასრულე, მე არც მომიკლავს. რელსზე დავადებინე თავი ყველა მათგანს, ელმავალი გავუშვი და თავები დავაჭერი. აბა, რა ეგონათ მაგათ, შევარჩენდი?! – ამაყობდა თავისი საქციელით უმარი.

მაშინ უცნობმა აღარ ჰკითხა, პრეზიდენტმა თუ იცის ეს ამბავიო, რადგან უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. მკვდრებს ვერავინ გააცოცხლებდა. არც ის უკითხავს, შემდეგ რა ბედი ეწიათ მიცვალებულებს, ან მათი ოჯახის წევრებს. თუმცა, სავარაუდოდ, ისინი დატოვებდნენ რესპუბლიკას, რათა ანალოგიური ბედი არ სწვეოდათ.

– შენ აგენტი ხარ! – წამოიძახა მამედმა, – მე შენ გაგშიფრე. შენი ფუნქცია ჩეჩნების ერთმანეთთან დაპირისპირება და სამოქალაქო ომის დაწყება იყო. ამიტომ დაეთრეოდი ყველასთან. კარგად ვიცი, ვის რა ელაპარაკე. ჩვენ უძლიერესი კონტრდაზვერვა გვყავს. დამთავრებულია, აღიარე და უცებ მოგკლავთ, თუ არა, თავ-ბედს გაწყევლინებთ, – თქვა და გვერდზე მდგომებს გადახედა, ხომ მაგრად ვთქვიო. მათაც თავის მოძრაობით დაუდასტურეს, რომ მაგარი გამოსვლა ჰქონდა.

უცნობს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვინ აცადა. ისევ ცემა და-

უწყეს. ღამემდე ასე გრძელდებოდა. ცვლილება მხოლოდ იმაში იყო, თუ რით სცემდნენ – ხელებით, ფეხებით თუ კონდახებით.

საღამოს ხელები და ფეხები ერთმანეთზე გადაუბეს. მეორე ოთახში შეათრიეს და შუა ბოძზე მიაბეს, თითქოს ასეთი ნაცემი ადამიანი გაქცევას შეძლებდა. თავიდან, პერმანენტული ცემისას ნერვული დაბოლოებები დაბუჟებული ჰქონდა და ტკივილი იმდენად არ აწუხებდა, მაგრამ დილისაკენ საშინელი გრძნობა დაეუფლა. განძრევა უჭირდა. სხეულის რომელიმე ნაწილის გამოძრავება იმდენ ძალისხმევას ითხოვდა, სჯობდა გაუნძრევლად გდებულიყო.

დილას მცველებმა იღლიაში ხელი ამოსდეს და ეზოში ჩაიყვანეს. უცნობმა იფიქრა, ეს სიცოცხლის ბოლო წამებიაო და თვალი შეავლო ადგილობრივ ბუნებას, მაგრამ არა, ჯერ მის მოკვლას არ აპირებდნენ. ეზოში მოწყობილ ტუალეტთან მიიყვანეს. ხელები შეუხსნეს და გააფრთხილეს, გაქცევა არ ეცადა.

ოთახში როდესაც ბრუნდებოდა, შეამჩნია, რომ მამედი პირველ სართულზე შევიდა. როდესაც ზევით აიყვანეს და იატაკზე დააგდეს, ყური იატაკს დაადო, თითქოს თავის აწევა არ შეეძლო, სინამდვილეში კი აინტერესებდა, ვის და რაზე ესაუბრებოდა სამირას მამინაცვალი ოთახში. სართულებს შორის ბეტონის გადახურვა ხმას ახშობდა, მაგრამ უცნობმა გაიგო, რომ საუბარი რუსულად მიდიოდა. ცხადი იყო, რომ პირველ სართულზე მარტო ჩეჩნები არ იყვნენ.

უცნობს სახლის პატრონის ბედიც აინტერესებდა. შესაძლოა, ის პირველ სართულზე ჰყავდათ გამომწყვდეული, ან უკვე მოკლეს. მაგრამ ცოტა ხანში დაცვასთან ერთად მისი ნაცნობი შემოვიდა და საუზმე შემოიტანა, სკუმბრიას რამდენიმე თავი, ერთი ნაჭერი პური, ალბათ იმიტომ, რომ საწამებელი ობიექტი არ დასუსტებულიყო და უფრო მეტი ზიანი მიეყენებინათ მისთვის.

ნაცნობი ახლოს მოვიდა, დაიხარა და ჩაიჩურჩულა, ცუდადაა საქმე, მოკვლას გიპირებენო, უცნობმა მასპინძელს თვალი ჩაუკრა, დააპირა, ეკითხა, რა ხდება ჩემს თავსო, მაგრამ მცველმა შეუღრინა და ისიც გაჩუმდა. მისი ნაცნობი მცველისკენ ზურგით შეტრიალდა და ხელით ანიშნა, კიდევ შემოვალო.

ჭამის თავი და სურვილი ნაღდად არ ჰქონდა. თავს ძალა დაატანა და ერთი-ორი ლუკმა პური გადაყლაპა. დაღეჭვას ვერ ახერხებდა, რადგან ტუჩები და ლოყები დახეთქილი ჰქონდა. წყალი დალია და ისევ მიეგდო კუთხეში.

ცოტა ხანში მამედი შემოვიდა, აღმატებული სახით უყურებდა კუთ-

ხეში მიგდებულ უცნობს. მისდა გასაკვირად, საცემრად არ იყო განწყობილი, ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი და თავად მოჰყვა ყველაფერს, რაც უცნობს აინტერესებდა.

საერთოდ, კავკასიელები ლაპარაკის სიყვარულით გამოირჩევიან. ძალიან უყვართ ბაქიბუქობა და ბევრჯერ ისეთ რამეებს ჰყვებიან, რაც წესით მოსაყოლი არაა. შემდეგ ავიწყდებათ ხოლმე საკუთარი მონათხრობი. ასე იყო ჩეჩნეთშიც. თავად ჰყვებოდნენ საკუთარი ვაჟკაცობის საარაკო ამბებს, შემდეგ ავიწყდებოდათ და როდესაც ვინმე გაახსენებდა ხოლმე, მაშინვე ფსბ-ს აგენტად შერაცხავდნენ, თან ამტკიცებდნენ, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა ესა თუ ის ამბავიო.

– ყველაფერი ვიცი შენზე, – დაიწყო მამედმა, – ეს იარაღიც აქ იმისათვისაა შეგროვებული, რომ ჩეჩნებს ერთმანეთი დაახოცინო. აბა, ჩვენ რა, იარაღი გვაკლია?! შენ მოსადის აგენტი ხარ, ებრაელებზე მუშაობ და შენი აღმოჩენისათვის მე გენერლობასაც მომცემენ.

იქვე მოჰყვა, რომ წარმოშობით ჭინ-ხოდან იყო, რომ ეს ტეიპი ადრე, გაქრისტიანებამდე საქართველოში ცხოვრობდა. როდესაც მეოთხე საუკუნეში ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს, ჭინ-ხოები კვლავ წარმართებად დარჩნენ და წარმართულ რიტუალებს ასრულებდნენ. ამის გამო, მათ ჭინკები შეარქვეს და მთებში არეკეს. მთიანეთის გაქრისტიანების შემდეგ კავკასიონი გადალახეს და ჩეჩნეთში დაფუძნდნენ. ჭინკიდან აიღეს თავიანთი ტეიპის სახელიც და ჭინ-ხო ეწოდათ. ამაყობდა, რომ მის ტეიპში თითქმის ყველა თაობაში პარანორმალური შესაძლებლობებით დაჯილდოებული ადამიანები ჩნდებოდნენ. თქვა, რომ ისიც ასეთი იყო და სწორედ გუმანით მიხვდა, რომ უცნობი მოსადის აგენტი იყო. შემდეგ კი მტკიცებულებები შეკრიბა და ხელმძღვანელობას წარუდგინა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დაკავების, დაკითხვისა და განადგურების შესახებ.

უცნობს არაფერი უთქვამს. აზრი არ ჰქონდა, ერთადერთი, რაც ამოილულღლუღა, რა მოსადი, რის მოსადიო.

მამედს არ შეიძლება სცოდნოდა არც თურქეთში, ანკარაში მუჰამედის გაცნობის ისტორია, არც ალი-აჰმედთან შეხვედრის რეალური მიზეზი, არც ის, თუ საიდან დაიწყო ყოველივე.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც კავკასიაში მე-20 საუკუნის მიწურულს პირველად გამოცხადდა ჯიჰადი.

აფხაზეთში შეიარაღებული მოჯაჰედების ნაწილი ჩავიდა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა. მსოფლიოს მაშინ გამორჩა ჯიჰადისტთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების ფაქტი. რამდენიმე ათასი მეომარი აფხაზეთში ჩრდილო კავკასიიდან ჩავიდა, რუსეთის ტერიტო-

რიის გავლით. რუსეთის ხელისუფლების ფარული თანხმობით, ხელშეწყობით სხვა, არაისლამური ქვეყნის ტერიტორიაზე გამოაცხადეს ჯიჰადი. ისინი აფხაზური შეიარაღებული ფორმირებების რიცხვს მიაკუთვნეს, თუმცა ჩეჩნურ ბატალიონებად მოიხსენიებოდნენ. იმ დროისათვის მათ ნაკლებად ცნობილი შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდა. ჩრდილო კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის დროშის ქვეშ გაერთიანებული მოჯაჰედები რუსეთისა და დასავლეთისთვის წარმოადგენენ საფრთხეს, თუმცა მაშინ ეს ამბავი ყველას გამოეპარა.

ჩეჩნეთს უკვე ჰქონდა დამოუკიდებლობა გამოცხადებული, თუმცა სამხედრო დაპირისპირება ჯერ არ იყო დაწყებული. შესაძლოა, ვინმე ჭკვიანმა ანალიტიკოსმა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ან თავდაცვის სამინისტროში ნაწილობრივ გაიაზრა კიდეც ჯიჰადისტებისაგან მომდინარე საფრთხე და ამჯობინა მათი ნაწილის რუსეთის ტერიტორიიდან გაშვება, რათა სხვაგან ეომათ ისევე, როგორც დიდი ხნის შემდეგ, უკვე 21-ე საუკუნეში რუსეთის ხელისუფლება კვლავ უწყობდა ხელს მოჯაჰედების გადაადგილებას, ამჯერად სირიასა და ერაყში.

პირველად მოჯაჰედების მასობრივი გადაადგილების მცდელობა უსამა ბინ ლადენს ჰქონდა. სადამ ჰუსეინის ქუვეითში შეჭრის შემდეგ მან მიმართა ამერიკის ხელისუფლებას, რომ მზად იყო, ასეულ ათასი ჯიჰადისტისაგან შემდგარი არმია გადაესროლა სპარსეთის ყურეში, რათა ურწმუნო სადამისაგან დაეცვა ისლამური ქუვეთის მიწა.

ამერიკელებმა და სპარსეთის ყურის ქვეყნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, იგნორირება გაუკეთეს ისლამური ჯიჰადის ლიდერს. განრისხებულმა უსამამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თავისი აწ უკვე ყოფილი პარტნიორები და მათი გზები საბოლოოდ მაშინ გაიყო.

21-ე საუკუნეში არაბული გაზაფხულის დაწყებამ და ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის ჩრდილოეთში ავტორიტარული რეჟიმების დამხობამ ჯიჰადისტთა ახალი მიგრაცია გამოიწვია. თავიდან მთელი მსოფლიოდან ჯიჰადისტები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში მიემართებოდნენ. მათ სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებასაც მიაღწიეს და ერთიანი ისლამური სახელმწიფო – ხალიფატი შექმნეს.

ისევე, როგორც მეოცე საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში, აქაც სასტიკი, მრავალი არაჰუმანური და არაადამიანური ქმედება ჩაიდინეს: არაადამიანური მოპყრობა, მთელი სოფლების განადგურება, მსოფლიოს ხელოვნების შედევრების განადგურება და კიდევ ვინ მოთვლის...

მოკლედ, სისასტიკე და ტერორი ჯიჰადისტთა ერთგვარი სავიზიტო ბარათი იყო.

უცნობი აფხაზეთის საბრძოლო მოქმედებების დაწყების დროს საქართველოში იმყოფებოდა. მრავალმა ათასმა ადამიანმა დატოვა აფხაზეთი ომის დაწყების პერიოდში. ისინი საშინელ ისტორიებს ჰყვებოდნენ.

ერთ-ერთი ოჯახი გაგრაში დასასვენებლად იმყოფებოდა, როდესაც აფხაზურ-ჩეჩნურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა პირველი კონტრშეტევა განახორციელეს, ძლივს გამოასწრეს. ისინი ზღვის სანაპიროზე იმყოფებოდნენ. პატარა შვილი ზღვაში ბანაობდა. ამ დროს გაოფლილი მასპინძელი გამოვარდა და უთხრა, სასწრაფოდ გადასულიყვნენ სოხუმში, რადგან წუთი წუთზე გაგრაში საბრძოლო მოქმედებები დაიწყებოდა. მათ გამოასწრეს, მაგრამ იყვნენ ისეთები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ქალაქის დატოვება. ანალოგიური მდგომარეობა იყო მთელ აფხაზეთში.

საბოლოოდ ასობით ათასი ეთნიკურად ქართველი გამოაძევეს ამ ტერიტორიიდან და ის ჯიჰადისტთა ერთგვარ თავშესაფრად გადაიქცა. ახლა უკვე შეიარაღებული, ბრძოლაში გამოცდილი მოჯაჰედები ისევ ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, სადაც რამდენიმე ხანში რუსეთს გამოუცხადეს ჯიჰადი.

სწორედ ამ საკითხის შესწავლით იყო დაინტერესებული უცნობი, რატომ არავინ მიაქცია ყურადღება მსოფლიოში მოჯაჰედების ასეთ უკონტროლო გადაადგილებას, როგორ ახერხებდნენ ისინი სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიების უპრობლემოდ გადალახვასა და სასურველ ადგილამდე ჩაღწევას. მან ამ პროცესში გარკვეული საფრთხე დაინახა. ერთია, როდესაც რამდენიმე ასეული, თუნდაც ათასი მოჯაჰედი მოსაზღვრე ქვეყანაში გადავა, მაგრამ ეს აჩვენებდა, რომ არსებობს შესაძლებლობა, ასეთი რამე უფრო დიდი მასშტაბით განმეორდეს.

მასალების მოძიების პროცესში მრავალი საინტერესო ადამიანი გაიცნო და ერთ-ერთ შეხვედრაზე მას შესთავაზეს, თავად გამოეკვლია მოვლენა. ასე დაუკავშირდა იმ საინტერესო პიროვნებას, რომელსაც შემდეგ პარიზში, სასტუმროში შეხვდა და რომელმაც ბენ-იუსუფის, ისლამური ჯიჰადის ერთ-ერთი ლიდერის გაცნობა ურჩია.

დანარჩენები მისგან გაიცნო. ეს ინტერნაციონალური ჯგუფი კერძო, კარგად კონსპირირებულ ანალიტიკურ სამსახურს წარმოადგენდა. სხვადასხვა ქვეყნის ყოფილი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ოფიცრები გეოპოლიტიკური პროგნოზირებით იყვნენ დაკავებული. მათ დამკვეთთა შორის ტრანსნაციონალური კორპორაციები, ბანკები, ნავთობის მომპოვებელი კომპანიები და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ იყო. შესაძლოა სპეცსამსახურებთანაც თანამშრომლობდნენ, რა თქმა უნდა, ანაზღაურების საფასურად. ალბათ, მათ რესურსებსაც იყენებდნენ.

სსრკ-ის დაშლამ, ამ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური საცეცების

შესუსტებამ, სხვადასხვა რეგიონში ბიზნესის განვითარების ახალი საშუალება გააჩინა. ამის გამო, პოტენციური ინვესტორები ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი, შორს მიმავალი გეგმების შესადგენად იყენებდნენ ანალოგიური სტრუქტურების ანალიზსა და შესაძლებლობებს. მათთვის ყოველი დეტალი მნიშვნელოვანი იყო, რათა ზუსტად გაეთვალათ რისკები და შესაძლებელი მოგება, მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა საინტერესო რეგიონის ან ქვეყნის ხელისუფლებასთან დაკავშირება და მოლაპარაკებების რთული პროცესი, თუმცა ამ შემთხვევაშიც, ასეთი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. საკუთარი კონტაქტების, აგენტებისა თუ გავლენის გამოყენებით ეხმარებოდნენ ინვესტორს, მათთვის საუკეთესო პირობებით გაეფორმებინათ კონტრაქტი.

რამდენიმე, მეტად ძლიერი ტრანსნაციონალური კორპორაცია დაინტერესებული იყო რუსეთში, კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში ახალი ინვესტიციების განხორციელებით. ამისთვის მათ ჩვენთვის უკვე ცნობილ ოთხეულს მიმართეს, რათა მათ შეესწავლათ ჩამოთვლილი რეგიონები. ორგანიზაციას ოთხი დამფუძნებელი ჰყავდა: სამი მამაკაცი და ერთი ქალბატონი. ამერიკელი, ბრიტანელი, რუსი მამაკაცი და ებრაელი ქალბატონი რამდენიმე ხნის წინ ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს მუშაობდნენ.

1991 წლის 27 დეკემბერს, სსრკ-ის დაშლის დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ახალ წლის ზეიმისათვის მზადებაში იყო, ხოლო ძლიერნი ამა ქვეყნისა ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის გეგმის ჩამოყალიბებით იყვნენ გართული, ერთ-ერთ დახურულ კლუბში რამდენიმე მეტად გავლენიანი, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ადამიანი შეიკრიბა. მათი შემხედვარე უმალ მიხვდებოდი, ვინ რომელ ქვეყანას წარმოადგენდა. ისინი საკუთარი სამშობლოს ტრადიციისამებრ იყვნენ ჩაცმულ-დახურული. მათი მიხრა-მოხრაც ამაზე მეტყველებდა.

სტუმრების საყრდენ-ვესტიბიულარული სისტემა იმასაც ცხადყოფდა, რომ ყველა მათგანს სამხედრო მომზადება ჰქონდა გავლილი, ამას მათი საკმაოდ მკაცრი, გამოზომილი ნაბიჯიც ადასტურებდა.

ერთი მათგანი ტროსტსაც იყენებდა. ხელჯოხს მოხდენილად ხმარობდა ეს კი თითქოს კიდევ მეტად უსვამდა ხაზს ამ პიროვნების მიზნების სერიოზულობას. შეხვედრას, წესით და რიგით, მნიშვნელოვანი შედეგი უნდა მოჰყოლოდა, რადგან დიდი ფულის შოვნას უკავშირდებოდა.

აეროპორტში ყველა სტუმარი საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდა. სტუმრად ამ ქალაქში თავს არც ერთი გრძნობდა. უფრო მეტიც, ისინი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ შინ დაბრუნებულ მეგზურებს

უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სტუმრებს. ისე იქცეოდნენ, თითქოს ყველა კუთხე-კუნჭულს კარგად იცნობდნენ.

სხვადასხვა დროს ჩამოფრინდნენ. თითოეულს აეროპორტში გაძლიერებული დაცვით დახვდნენ და პირდაპირ კლუბისაკენ წაიყვანეს, სადაც შეხვედრა უნდა შემდგარიყო.

ამბობდნენ, რომ კლუბის ქვეშ მდებარე ბუნკერს მაშინაც კი არაფერი დაემუქრებოდა, თუ მსოფლიო ბირთვულ ომში ჩაებმებოდა.

ინგლისელი თავის დროზე დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურში მუშაობდა. ოთხმოცს მიღწეულ მოხუცს 60-65 წელზე მეტს მისი შეხედულებისადმი ყველაზე უფრო სკეპტიკურად განწყობილი ადამიანიც კი ვერ მისცემდა. ახოვანი, ხმელ-ხმელი, ღია ფერის მსუბუქი შალის ინგლისური სტილის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი მოკლე ფარფლებიან კორპის თავსაბურავს ატარებდა, სწორედ ისეთს, მის ქვეყანაში მაღალი საზოგადოების წევრებში რომაა მიღებული. იცოდა, რომ ბიზნესის დაწყება არ არის ადვილი საქმე, შესაძლოა რამდენიმე დღე დასჭირვებოდათ შეთანხმების მისაღწევად, ამიტომ მრავალფეროვანი გარდერობი წამოიღო.

შეხვედრებზე ის შედარებით მუქ, სწორ თარგზე გამოჭრილ კოსტიუმში მიდიოდა, დანარჩენ დროს კი გოლფის სათამაშო სამოსის მსგავს ტანსაცმელს ატარებდა. მოკლე ბრიჯები და ღია ფერის პერანგი მას კიდევ უფრო აახალგაზრდავებდა. გრძელ ცხვირზე ოქროს სათვალე ეკეთა. ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებულ გრინვიჩის მერიდიანზე მომართულ საათს ყოველთვის თან ატარებდა.

კანადური წითელი ხისაგან დამზადებული ტროსტი ხან მარჯვენა ხელში ეჭირა, ხანაც – მარცხენაში, იმისდა მიხედვით, დაღმართზე მიდიოდა თუ აღმართზე. მისი ოდნავ ღიმილიანი გამომეტყველება იმაზე მიუთითებდა, რომ პროფესორი, როგორც მას მისი თანმხლები მოსამსახურე და მეგობრები მიმართავდნენ, სავსე იყო ახალი იდეებით. იგი მზად იყო, ნებისმიერ დისკუსიაში გამარჯვებული გამოსულიყო, თუნდაც იმ პოზიციის მხარდაჭერა დასჭირვებოდა, რომელსაც არ ეთანხმებოდა, მაგრამ მისი ქვეყნის ინტერესებს ოდნავ მაინც წაადგებოდა.

მოსამსახურე თუ მეგობარი ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა. მისგან არავის არაფერი გაუგია, გარდა ორი სიტყვისა – დიახ, პროფესორო! ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა, რომ ეს თავგადაპარსული, უკმეხი გამომეტყველების სახენაიარევი „ყმაწვილი“ – ასე მიმართავდა მას პროფესორი, მისი გულისათვის შეუძლებელს შეძლებდა. მოსამსახურე, მეგობარი და ამავდროულად მცველი, პროფესორის ერთადერთი ოჯახის წევრი გახლდათ. ქვეყნის სამსახურმა მოხუც მზვერავს არ მისცა საშუა-

ლება, ოჯახი შეექმნა. თურმე ბრიტანეთის სამეფოს დაზვერვის სკოლიდან „ყმაწვილი“ რუსეთში გააგზავნეს, სადაც ტყვედ ჩავარდა. პროფესორის პირადი კონტაქტებისა და მოლაპარაკების ნიჭმა იხსნა ის უეჭველი სიკვდილისაგან. ამ ამბის შემდეგ „ყმაწვილი“ პროფესორს მადლიერების ნიშნად გვერდიდან არ სცილდებოდა. გამოხსნის მოლაპარაკებებს პროფესორი რუს კოლეგასთან აწარმოებდა. ახლა ისიც კლუბისაკენ მოემართებოდა. მისი წინაპრები მეფის რუსეთის დროს სამეფო სახლის „ოხრანკაში“ მაღალ თანამდებობას იკავებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური გადატრიალების შემდეგ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ ოჯახს ყოველგვარი პრივილეგია ჩამოართვა, გააციმბირა, მათ ამის შემდეგაც მაინც სამშობლოში დარჩენა ამჯობინეს. ფაშისტებთან ომისას მამამისი დაზვერვაში დააბრუნეს და როგორც ამბობენ, კვიცი გვარზე ხტისო, შვილიც მამის კვალს გაჰყვა.

საშუალო სიმაღლის, ოდნავ მელოტი, ქერა, გამხდარი მამაკაცი ულვაშსა და წვერს ატარებდა. უკვე პენსიაზე გასული ყოფილი მზვერავი შეხვედრაზე საბჭოთა სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი მოვიდა. კლუბში შესვლისთანავე სასმელი მოითხოვა. ჯიბეში რამდენიმე კუბური სიგარა ედო. ამოიღო, კბილებით გაკვნიტა და გვარიანი ნაფაზი დაარტყა. ამაყობდა, რომ თავად კუბის ლიდერმა, კასტრომ გამოუგზავნა საუკეთესო საუკეთესოთა შორის. პროფესორს სამხედრო წესით მიესალმა. მან კი ხელი გაუწოდა. მისალმების შემდეგ იქვე, სავარძელში ჩასხდნენ. ერთმანეთს შეხედე, ალბათ წარსულს იხსენებდნენ, როდესაც მათი ქვეყნები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, მაგრამ ამ დაპირისპირებამ ახლა ახალ, მეტად მნიშვნელოვან ბიზნესს ჩაუყარა საფუძველი.

– საღამოს ტელეფონმა დარეკა და ყურმილი უმცროსმა ქალიშვილმა აიღო. ყურმილის მეორე მხარეს ქალმა სანდომიანი ხმით მომიკითხა. გოგო დედასთან გაიქცა და უთხრა, მამას ვიღაც ქალი ეძახის ტელეფონთანო. მაშინ კი ვინანე... რომ იცოდე, რა დღე მაყარა ჩემმა ცოლმა, სანამ გაარკვია, რომ ჩვენი გოგო რეკავდა.

„ჩვენი გოგო“ ებრაელი იყო. ის სამხედრო სავალდებულო სამსახურის შემდეგ ისრაელის დაზვერვაში, მოსადში მოღვაწეობდა. მაღალი, შავდალალებიანი, სემიტური რასისათვის დამახასიათებელი მიმზიდველი გარეგნობის ქალბატონი პირად ურთიერთობაში საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო. ასაკს არ მალავდა. პირიქით, ამაყობდა კიდეც, რომ თავის 45 წლის ასაკში ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. საქმიანი შეხვედრისათვის შესაფერისად იყო გამოწყობილი. ცისფერი კოსტიუმი და საშუალო სიმაღლის ქუსლებიანი ფეხსაცმელი ძალზე უხდებოდა. მუქი, მაგ-

რამ არაგამომწვევი ტუჩის საცხი შავ თმასა და კანის ღია ფერს უფრო მეტ მიმზიდველობას სძენდა. ნაკლებად იღიმებოდა, ალბათ, იმის გამო, რომ მამაკაცებს ქალური სისუსტე არ შეემჩნიათ.

ამერიკელი შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ კლუბში მისთვის გამოყოფილ ნომერში ყოფნასა და ახალი ამერიკული პრესის კითხვას ამჯობინებდა. მისი საყვარელი გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ გახლდათ, თუმცა უარს არც „ნიუ იორკ ტაიმსსა“ და „ჰერალდ ტრიბუნის“ გადაფურცვლაზე ამბობდა. ჟურნალებსაც არ ივიწყებდა. იღლიაში ყოველთვის ჰქონდა ამოდებული რაიმე საინტერესო ფინანსური ან ეკონომიკური ინფორმაციით დატვირთული გამოცემა.

ყოფილი მფრინავი, ყოფილი მზვერავი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რისხვა, ახლა მოქანავე სკამზე ჩუმად იჯდა. ართრიტი აწუხებდა, ექიმებსა და წამლებს არ ენდობოდა, ამბობდა, ბევრი მტერი მყავდა, ზოგიერთი მათგანი კიდევ ცოცხალიაო. ხანდახან, რომელიმე გაზეთში სტატიის კითხვისას, წამოიყვირებდა – რაებს წერენ, აზრზე არ არიან. ფეიკები, ფეიკები. ტყუილმა წაიღო პრესა. ამერიკული სიგარეტი მოსწონდა, მაგრამ ბრიტანელის მიერ შემოთავაზებულ საუკეთესო თურქულ თამბაქოზეც არ ამბობდა უარს. სპეციალურად ამერიკულ ბურბონსა და შოტლანდიურ ვისკის ანიჭებდა უპირატესობას. დაბალი, ჩასუქებული, ცოცხალი, აქეთ-იქით მორბენალი თვალები, ყველაფრისადმი საქმიანი და პირდაპირი დამოკიდებულება, ექსპრესიულობა ამერიკულ წარმოშობას უსვამდა ხაზს.

ახლა ოთხივე ერთ, მოლაპარაკების მაგიდასთან ისხდნენ. სახელმწიფო სამსახური ოთხივემ დატოვა, სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგის სამშობლომ დაზვერვის ბიუჯეტი შეამცირა, ზოგში ახალგაზრდა კადრები დააწინაურეს, ზოგიც კომპიუტერის მომსახურებას უფრო მეტად ენდობოდა. მოკლედ, გადაწყვიტეს საერთო ბიზნესის წამოწყება. კავშირები ყოფილი სამსახურის წყალობით ყველგან ჰქონდათ და არც კლიენტების მოძიება გაუჭირდებოდათ.

გადაწყვიტეს კერძო ანალიტიკური სამსახურის ჩამოყალიბება. მათთან თანამშრომლობა განიზრახა უცნობმაც. ერთი მხრივ, საინტერესო, მრავალფეროვანი, მატერიალურად გამართული ცხოვრება და მეორე მხრივ, შანსი მისთვის საინტერესო კითხვებზე თავად მოეძებნა პასუხები.

მაგრამ ამ ყველაფრის ახსნა-განმარტება მამედისათვის და მისი თანამზრახველებისათვის ნამდვილად შეუძლებელი იყო. ამიტომ უცნობმა ამჯობინა, ბედს მინდობოდა.

რამდენიმე ხანში კვლავ სახლის პატრონი შემოვიდა. მცველს რა-

ღაც გადაულაპარაკა. ფანჯარაში გადაიხედა, შემდეგ შუა ბოძთან დაბმულ უცნობთან მივიდა. შორიახლოს ჩამოჯდა და უთხრა: არაფერ შუაში ვარ. იარაღი წაიღეს. ესენი ორი კვირა აქ არიან, ვერ გითხარი, ოჯახს ამომიწყვეტდნენ. ორი კვირა ეზიდებოდნენ. ადგილობრივი უშიშროების ხალხიც მოჰყვათ. ახლაც აქ არიან, პირველ სართულზე. ერთად გეგმავენ, რა მოგიხერხონ. კარგად იციან, ვინ ხარ და რა კავშირები გაქვს. რადგან გუშინვე არ მოგკლეს, შეიძლება გადარჩე კიდეცო.

უცნობს ჩაეღიმა, ეს პირველი კარგი ცნობა იყო ორი დღის განმავლობაში. უშიშროების თანამშრომლების ყოფნა ერთგვარად ართულებდა სიტუაციას. გაახსენდა, რომ რამდენიმე შეხვედრაზე მათ გამოთქვეს სურვილი, ეთანამშრომლათ ჩეჩნებთან. ისიც გაახსენდა, რომ მასხადოვზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ჩეჩნეთის ხელისუფლებამ გადაწვეტილება მიიღო, არა მარტო გროზნოდან გაედევნათ ფუნდამენტალისტები, არამედ ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე აღედგინათ სახელმწიფოს კონტროლი. ამისათვის კი დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა სჭირდებოდათ.

უცნობმა, პრეზიდენტ მასხადოვის თხოვნით, წერილი გადასცა საქართველოს ხელისუფლებას, რომელშიც ის საკუთარი გვარდიისათვის თანამედროვე ცეცხლსასროლ იარაღსა და ამუნიციას ითხოვდა. მაშინ პასუხი უარყოფითი იყო, მაგრამ შესაძლოა ვინმეს სპეცსამსახურში იარაღით ვაჭრობის იდეა მოეწონა და გადაწყვიტა კიდეც ამ სარფიანი ბიზნესის წამოწყება.

უცნობი ასეთ დროს საჭირო აღარ იყო. ის სპეცსამსახურების იარაღის ტრანზიტთან კავშირის მოწმე გამოდიოდა. ეს ფაქტი კი მისი გადარჩენის შანსებს ნულს უტოლებდა.

სიტუაციის შეფასებას შეუდგა, ერთი მხრივ, კორუმპირებული სპეცები, მეორე მხრივ, შეურაცხყოფილი მამედი და კიდევ 10-12 დაქირავებული მებრძოლი, რომლებსაც ფულისა და მკვლელობის მეტი არაფერი აინტერესებდათ. ამ რგოლში ყველაზე სუსტ წერტილად დაქირავებულები მოეჩვენა. ასეთ საქმეში გახვეული დაქირავებულის გადმობირების თეორიული შანსი არსებობს, უშიშროების თანამშრომელი, რომელიც იარაღის ბიზნესშია გარეული, მოწმის დატოვებას ვერ გაბედავს. მამედისაგან რაიმე სიბრალულის ან კაცთმოყვარეობის გამოჩენის შანსი ნამდვილად არ არსებობდა.

უცნობი თავისთვის ფიქრობდა, გეგმებს აწყობდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ თავი დაეღწია ამ თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან. ახალგაზრდობაში იოგათი იყო დაკავებული და ახლა სუნთქვითი ვარჯიშების გაკეთებასაც კი ეცადა, რომ ტვინს მეტი ჟანგბადი მიეღო და უკეთესად, სხარტად ეფიქრა, მაგრამ დალეწილი ცხვირი ჰაერს არ ატარებდა და ამიტომ ეს აზრი მიაგდო.

პირველ ვერსიაზე შეჩერდა, სჯობს მცველებს გავესაუბრო და უფრო მეტი ფული შევთავაზო, იქნებ ამან იმოქმედოს და ჩუმად გამაპაროონო. ის იყო ძალა მოიკრიბა და საუბარი უნდა დაეწყო, ოთახში გავეშებული მამედი შემოვარდა. რამდენჯერმე მაგრად ჩაარტყა თავში. შემდეგ მიუტრიალდა მცველებს.

– ეს ახლა რას ფიქრობს, იცით, თქვენთვის ფულის შემოთავაზება უნდა, რომ მოგისყიდოთ და გააპაროთ. გეუბნებით, ებრაელთა აგენტია, სხვას თავში აზრად ასეთი რამ როგორ მოუვიდოდა. ამას ჰგონია, მოჯაჰედის მოსყიდვა შესაძლებელია, ვერ მოგართვეს – კიდევ რამდენიმე დაარტყა და ახლა სხვა შემოსულებს უბრძანა, საქმე გაეგრძელებინათ. ხომ გითხარი, ჭინ-ხოდან ვარ. ჩვენ აზრების კითხვა შეგვიძლია-მეთქი. არაფერი გამოგივა. ყველა შენი ნაფიქრი თავში მომდის, აი, ისე, თითქოს მე ვფიქრობ და ეგდე მანდ, საღამოს სიცოცხლეს გამოგასალმებ. შემდეგ მასთან ერთად შემოსულებს მიუტრიალდა და უბრძანა, კარგად დაამუშავეთ, ეტყობა, არ ეყო, ფიქრის თავი დარჩაო.

რამდენიმე წუთი ისევ სცემდნენ, მაგრამ მალე მობეზრდათ. აზრი არ ჰქონდა. უცნობს ყველაფერი ისევ გაუსივდა, დაუბუჟდა და ტკივილს ვეღარ გრძნობდა.

– ალბათ, ხმამაღლა ვლაპარაკობდი, გაიფიქრა უცნობმა. აბა, საიდან უნდა მიმხვდარიყო, რა მოვიფიქრე. ამას, მგონი, ნაღდად სჯერა, რომ აზრებს კითხულობს. საქმე იმაზე ცუდადაა, ვიდრე ვფიქრობდი. გიჟი ყოფილა – გაიფიქრა მან თან მცველებს გახედა, ალბათ აინტერესებდა, ახლაც ხომ არ ვბუტბუტებ, ამათ მამედს რომ მიუტანონ ენაო.

შემდეგ პირზე ხელი აიფარა და ახალი გეგმის მოფიქრებას შეუდგა.

ამჯერად მოიფიქრა და იმის თქმას აპირებდა, რომ მეტად ცნობილი იყო ჩეჩნეთსა და დაღესტანში. პირადად იცნობდა პრეზიდენტ მასხადოვს, ბასაევს, გილაევს, რადუევს, ატგირიევს და კიდევ ვინ მოთვლის, ვის. ალიაჰმედის ძმასთანაც აპირებდა შეხვედრას. როგორ ეხმარებოდა ჩეჩნეთსა და ჩეჩნებს, რომ ეს იარაღი სწორედ პრეზიდენტის გვარდიის კუთვნილება იყო...

ფიქრებში იყო წასული, რომ შეამჩნია, მოსაღამოვებულა. მამედი არ ჩანდა. აღარც ეზოში ისმოდა იარაღის ჟღარუნი. კვლავ სახლის პატრონი შემოვიდა და სამხარი შემოუტანა. ისევ ერთი ნაჭერი პური და წყალი.

მიახარა, გადაწყვიტეს, ხვალ მოგკლან, ახლა იარაღის ბოლო პარტიას აგზავნიან ცხენებით და შენთვის არ სცხელათო.

ღამემ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. უცნობს რა დააძინებდა, ხან გაქცევის გეგმებზე ფიქრობდა, ხან იმაზე, თუ რა უნდა ელაპარაკა, თუ დაკითხვას დაიწყებდნენ.

ამასობაში გათენდა.

მამედი კვლავ თანმხლებ პირებთან ერთად შემოვიდა. ამჯერადაც ზუსტად მოჰყვა ყველაფერს, რაზეც უცნობმა გუშინ იფიქრა. ისეთი დეტალები იცოდა, რომ ნამდვილად რაღაც ეშმაკური ნიჭით იყო დაჯილდოებული.

– შენისთანა აგენტები აღმოგვიჩენია?! ეს იარაღი იმიტომ გინდოდა, ჩაგეტანა, რომ ჩეჩნებს ერთმანეთი დაეხოცათ, ვიცი, ვისაც იცნობ, მაგრამ აქ ჩემს ხელში ხარ, ვერავინ გიშველის. იცოდე, შენ გამო ჩეჩენი ჩეჩენს არ დაუპირისპირდება. შენ ის ადამიანი ხარ, შამილთან სახლში ნაღმებით გამოტენილი ჩანთა რომ დატოვე. ჩემი ნათესავი რომ არა, კავკასიის იმამი ახლა მკვდარი იქნებოდაო, შეჰკივლა.

უცნობს გაახსენდა, რომ მართლაც დარჩა ზურგჩანთა შამილთან სახლში. ის დაცვის წევრებს გამოუტანიათ, რათა მისთვის გადაეცათ, თუმცა უცნობი ჰატაბთან ერთად უკვე გამგზავრებულიყო. ჩანთა მათთვის ისლამური უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელს გამოურთმევია, რომელსაც უკითხავს, თუ ვისი იყო ნივთი. როდესაც გაუგია, რომ არამუსლიმმა სტუმარმა დატოვა ოთახში, თავის გამოჩენის მიზნით თავის უფროსთან მიუტანია. ის კი მამედის დედის, ბაბა ლალას ნათესავი ყოფილა. ვიწრო ნათესაურ წრეში გადაწყდა, რომ თითქოს ჩანთაში ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო. ამ დღიდან მამედი ისლამური კონტრდაზვერვის ოფიცერი გამხდარა. ადამიანი, რომელმაც პირველმა ამოიცნო სიონისტთა მაღალი რანგის აგენტი ისალმურ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, არც შამილისათვის, არც პრეზიდენტ მასხადოვისათვის და სხვა მეთაურებისათვის არაფერი შეუტყობინებიათ, რადგან არავინ დაუჯერებდა, მაგრამ ნათესავებმა უცნობის დასჯის ოპერაციისათვის საკმარისი გამართლება მოიპოვეს.

უცნობს მამედის სიტყვებზე ჩაეციანა. კარგად ახსოვდა, რომ ჩანთაში რამდენიმე კოლოფი სიგარეტი და საცვლები იყო შენახული. ჩანთის ჩხრეკის სცენაც კი წარმოუდგა თვალწინ. როგორ იქექებოდა ბაბა ლალა, მისი ვაჟი და კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი ნათესავი გაცრეცილ ზურგჩანთაში და საცვლებში აფათურებდნენ ხელებს.

ამის შემხედვარე მამედი სულ გადაირია. ჩეჩნურად რაღაც შესძახა. შემდეგ უცნობთან მოვიდა, ორ თანამებრძოლს დაუძახა, ფეხი დაუჭირეთო, უთხრა. თვითონ სამხედრო, მაგრად გალესილი დანა იშიშვლა და მოიქნია, როდესაც დანა უცნობის ფეხს გაუსწორდა, ხელი გაუშვა და ისიც, როგორც კარაქში, ისე ჩაერჭო მძევლის ბარძაყის კუნთში.

ოდნავ დაიხარა, ამოიღო, გაწმინდა და უთხრა, საღამოს თავს მოგაჭრი ამ დანითო.

თავის მოჭრაზე ვინ ფიქრობდა, ახლა ფეხიდან სისხლდენის შეჩერება იყო მთავარი. თავი ჯერ მხრებზე იყო, სისხლს თუ არ შეაჩერებდა, შესაძლოა პრობლემები შეჰქმნოდა და თავის მოჭრამდე არც მისულიყო საქმე.

უცნობმა კბილებით პერანგის სახელო მოხია და რის ვაი-ვაგლახით გადაიხვია ჭრილობა.

ახლა უკვე სერიოზულად დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ შეიძლება მიმხვდარიყო მამედი, თუ რაზე ფიქრობდა ის.

ამავდროულად, თავის მოჭრის პროცედურის გახსენებაც მოუწია, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის. ერთხელ ერთ-ერთ სოფელში სტუმრობდა კაცთან, რომელიც ჩეჩნეთში ერთადერთი იყო, შარიათის სასამართლომ ალკოჰოლის მიღების ნება რომ დართო.

მართლაც საინტერესო იყო, თუ როგორ შეძლო ამ ადამიანმა იმის დამტკიცება სასამართლოსათვის, რომ მისთვის დალევა აუცილებელი იყო.

სახლში სუფრა იყო გაშლილი. სუფრაზე არაყი იდგა. ცოტა დალიეს. ცხვრის ხორცისაგან მომზადებულ ჩეჩნურ ეროვნულ საჭმელს, ჟიჟ-გალიშს მიირთმევდნენ. მოხარშული ხორცი, ნივრის შეჭამანდი და ხორბლის ფქვილისგან დამზადებული პატარა ბალიშები, რომლებიც ცხვრისვე ბულიონში იხარშება, მეტად გემრიელი და ცნობილი კერძია ჩეჩნეთ-დაღესტანში.

უცებ სუფრაზე შეიარაღებული პირი შემოვარდა და დაიძახა, სასამართლო იწყება, გავედითო.

უცნობს აინტერესებდა სასამართლოზე დასწრება და სხვებთან ერთად გარეთ გავიდა. მასპინძელმა თან ვიდეოკამერა და სამფეხა სადგამი წამოიღო.

ეზოში, ბოსელთან კამერა გამართა. რამდენიმე ათეულ შეკრებილს უთხრა, უკან დაწეულიყვნენ, რათა კადრი არ გაეფუჭებინათ. თან წამოღებულ არყის ბოთლს თავსახური მოხსნა და პირდაპირ ყელიდან დალია რამდენიმე, გვარიანად დიდი ყლუპი. შემდეგ კამერას მიუბრუნდა და გამოაცხადა, რომ მზად იყო.

რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა ბოსელის კარი გააღო და იქიდან ცემა-ტყეპით სამი, რუსეთის არმიის ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცი გამოათრია. კისერზე თოკშებმულები საქონელივით ოთხზე მოჰყავდათ. მათ ბრალად ჩეჩნეთის ერთ-ერთი სოფლის დარბევა-გაძარცვა ედებოდათ და ან შარიათის სასამართლომ, ან სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა.

თითქმის ნულზე გადაპარსულთავიანი, სამხედრო ფორმაში და ჩუსტებში ჩაცმული ერთ-ერთი შეკრებილთაგანი წინ გამოვიდა. მას ჰქონდა დავალებული განაჩენის სისრულეში მოყვანა. ქამრიდან რუსული წარ-

მოების სამხედრო დანა იშიშვლა. ერთ-ერთ დაკავებულს მიუახლოვდა, რომელიც წამოდგომას ლამობდა. მბრძანებლური ტონით შეუძახა, ოთხზე დადექიო. შეშინებულ ახალგაზრდას სიტყვაც არ შეუბრუნებია, ისე დადგა ოთხზე. ისეთი ნაცემი და ნაწამები იყო, ალბათ ვერც კი აზროვნებდა და ყველა ბრძანებას რობოტივით ასრულებდა.

ჯალათი უკან ამოუდგა. კიდევ უბრძანა, თავი ზევით ასწიე, შე ღოროო. მანაც მორჩილად მოიღერა კისერი. ჯალათმა არც აცია, არც აცხელა, ხმამაღლა არაბულად წარმოთქვა ბისმილაიჰუ, ეროჰუმანი ეროჰიმ, რაც არაბულად მწყალობელი და მოწყალე ღმერთისათვის ნიშნავს, ნელნელა დაუწყო ჯარისკაცს ხორხის გადაჭრა. ნახევრამდე რომ ჩაუჭრა ყელი, წიხლი ჰკრა და იქვე მიაგდო. საშინლად ხროტინებდა მომაკვდავი. ტკივილთან ერთად უჰაერობა კლავდა. ფილტვები ყველა ჩასუნთქვისას სისხლით ევსებოდა და საბოლოოდ, რამდენიმე წუთში გაიგუდა. ჯალათი ბოლომდე თავზე ედგა, თითქოს ეგონა, წამოდგებოდა მომაკვდავი. რამდენჯერმე ფეხიც მიარტყა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად მოკვდა.

მხოლოდ ამის შემდეგ მოუტრიალდა სხვას. ახლა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ამოიღო, მეორე მსხვერპლსაც უბრძანა, არ გაინძრეო. თითქოს არ ენახა, თუ რა ბედი ეწია მის ამხანაგსა თუ თანამებრძოლს. ოთხზე გაუნძრევლად ელოდა თავის ხვედრს. ამას იარაღი შუბლზე დაადო. ჯალათმა ჩახმახს თითი გამოჰკრა. მაკაროვის გლუვთავიანი, 9-მილიმეტრიანი ტყვია კეფიდან გამოვიდა და იქვე, მიწაში ჩაერჭო. თან თავის ქალის, თმისა და ტვინის ნაწილებიც წამოიყოლა. უბედურ მსხვერპლს ხელები და ფეხები მოეკეცა და მიწაზე დაეცა. უცებ მოკვდა.

მესამე დაკავებულზე ბევრი აღარ უწვალია. ის მუნჯად, ოთხზე მდგარი თვალებში უყურებდა მკვლელს. თითქოს ეუბნებოდა, შემიბრალეო, ამან უფრო მეტად გააღიზიანა ისედაც გაგიჟებული ჯალათი. იქვე მდგარ ჩეჩენ მებრძოლს ავტომატი გამოართვა, ოთხზე მდგომისაკენ ჯერი მიუშვა და იქვე ჩაცხრილა.

რამდენიმე წამი ბორგავდა მომაკვდავი. კუნთების კონვულსიები რომ გათავდა, ოპერატორმა კამერა აშალა, თქვა, მორჩა კინოო, კიდევ გადაჰკრა არაყი და ყველა სახლში შევიდა.

უცნობს ამ ამბის შემდეგ რამდენიმე დღე საჭმელი ყელში არ გადასდიოდა. ამათ კი ჩვეულებრივად, ვითომც არაფერი მომხდარა, ჭამა-სმა განაგრძეს. თან ერთმანეთს თავშესაქცევ ამბებსა და საკუთარი ვაჟკაცობის ისტორიებს უამბობდნენ. ერთადერთი, ვინც სავარძელში სიტყვისუთქმელად ჩაესვენა, არყის ბოთლთან ჩახუტებული ოპერატორი გახლდათ.

ახლა უცნობისათვის ყველაფერი გასაგები იყო. ამ ადამიანს მრავა-

ლი ასეთი მკვლელობა ჰქონდა გადაღებული და ამიტომაც, ალკოჰოლთან ისლამის მკაცრი დამოკიდებულების მიუხედავად, დალევის უფლებას ვერავინ ართმევდა.

თავის მოჭრის პროცედურასა და სიკვდილზე ფიქრს ისევ გაქცევის ან თავის დახსნის გეგმაზე მოგონება ამჯობინა, მაგრამ თითქოს ყურში ჩაესმა მამედის სიტყვები, რომ ის მის აზრებს კითხულობდა.

ტელეპატიაზე, მედიუმებზე, ჯადოქრებზე, ეშმაკისეულებსა თუ სხვა ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულების შესახებ მრავალი ისტორია წამოუტივტივდა თავში. თუ როგორ ახერხებდნენ ისინი სხვის გონებაში შესვლას, მათი აზრებისა თუ ნაფიქრის ამოკითხვას და სხვა. მაგრამ თავის დასაცავად, გარდა ასეთი ადამიანების ცეცხლში დაწვისა, რის შესაძლებლობაც ახლა არ ჰქონდა, ვერაფერი გაიხსენა.

მაშინ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა, შეემოწმებინა მამედის ექსტრასენსული ნიჭი და გადაწყვიტა, შარიათის სასამართლოში ჩივილზე ეფიქრა.

შესაძლოა უბრალოდ მამედი მის ადგილას აყენებდა თავს და ლოგიკური აზროვნებით მიდიოდა დასკვნამდე, თუ რა აზრები უტრიალებდა უცნობს თავში. მიუხედავად ამ რამდენიმე შემთხვევისა, მაინც არ სჯეროდა, რომ ეს უბედური ადამიანი ასეთი ნიჭით შეიძლება ყოფილიყო დაჯილდოებული.

ამას მაინც ხომ ვერ იფიქრებს ლოგიკურად. იცის, რომ არ ვარ მუსლიმი. შარიათის სასამართლოში, თან დღევანდელ ვითარებაში ჩემს ჩივილს აზრი არ აქვს. წინასწარ წაგებული საქმეა. ვნახოთ, ამასაც თუ ამოიკითხავს. ერთი ანეკდოტიც გაიხსენა, თავი რომ შეექცია და თან თემას ეხებოდა. მეზობლებს ცუდ ხასიათზე მყოფი სეროჟას გამხიარულება მოუნდათ. იქვე, შორიახლოს, ქუჩაში ხეზე მიუთითეს და უთხრეს, სეროჟ, ნახე, სპილო ადისო. სეროჟამ ყურადღება არ მიაქცია, მაშინ მეორე მეზობელმა იგივე გაუმეორა. არც ეს ჩააგდო აინუნში სეროჟამ. მესამემ რომ უთხრა, აი, სეროჟ, შეხედე, მესამე სპილოც ადისო, მოუტრიალდა და უთხრა, რა გამიტრაკეთ საქმე, ე.ი. ბუდე აქვთო.

ასე იყო მამედას ამბავიც. თუ მესამედაც ამოიცნობდა უცნობის ნაფიქრს, ე.ი. ანეკდოტის არ იყო,ს ბუდე იყო, ანუ ნამდვილად კითხულობდა მის აზრს და რაღაც ამის საწინააღმდეგო უნდა მოეფიქრებინა.

შემდეგ დღეს კვლავ მაგრად მიბეგვეს, ცემა უფრო პროფილაქტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე სადამსჯელოს. მცველები სათითაოდ მოდიოდნენ და ეკითხებოდნენ, კიდევ სად იყო სოფელში გადამალული იარაღის საცავები, რათა ისიც გაეზიდათ.

სარფიანი საქმე იყო. მოსაზღვრე რესპუბლიკებსა და ჩეჩნეთში იარაღის ფასი ისე განსხვავდებოდა, როგორც ერთი და სამი. ტრანსპორ-

ტირების ხარჯებთან ერთად გადამზიდავი უზარმაზარ მოგებას ნახულობდა. ამის გამო იყო, რომ სპეცსამსახურების წარმომადგენლებსაც აენთოთ გულები და საქმის ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. ამასთან ერთად, კონკურენტის მოცილება მათ საქმეს წაადგებოდა.

უცნობი მიხვდა, რომ დაქირავებულებს უფრო მეტი მოგების ნახვა უნდოდათ და მათთან, მიუხედავად გაფრთხილებისა, პრივატული მოლაპარაკებების გამართვა დაიწყო. რამდენიმეს, მისი აზრით, ყველაზე უფრო გავლენიანს უთხრა, რომ ასეთი საცავები და მით უმეტეს, იარაღის შესაძენად ჩეჩნეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი ფულიც არსებობს და გათავისუფლების შემთხვევაში ისინი მას მიიღებდნენ.

ერთი-ორს, ამის გამგონეს, თვალები აუკიაფდა, თუმცა სხვებმა აზრზე მოიყვანეს და უთხრეს, რომ ალბათ მხოლოდ თვითგადარჩენისათვის მოგონილი ფანდი იყო. გადამოწმება არ დაუწყიათ, მეთაურს მოახსენეს, რომელიც ოთახში შემოვიდა. მამედმა მოღიმარი სახით შეხედა უცნობს.

– შარიათის სასამართლო გინდა? მიიღებ. გგონია, რამე გეშველება? ბენ-იუსუფიც კი ვერ გადაგარჩენს.

არაბის სახელის ხსენებისას დაცვის წევრები დაიზაფრნენ. აქამდე ეგონათ, რომ უცნობი მხოლოდ ტყუოდა, როდესაც მისსა და მისი ოჯახის წევრების სახელს ახსენებდა. ახლა თავად მათმა მეთაურმა დაადასტურა ნაცნობობის ფაქტი. ამან კი რადიკალურად შეცვალა სიტუაცია.

– დღეს ღამე ნაღდად გაგორდება შენი თავი. გაგათრევთ ტყეში და დაგკლავთ. კი იცი, როგორც ხდება ეს, – თქვა მამედმა, მაგრამ სხვა შეეპასუხა.

– არ შეიძლება ეგრე, სასამართლომ უნდა გაარჩიოს, მართლა აგენტია თუ არა. მე ამ საქმეში სხვაგვარად მონაწილეობას არ მივიღებო. სხვებიც აჰყვნენ. მამედის გუნდში განხეთქილების ნიშანი გაჩნდა, თუმცა ამ ყველაფერმა მხოლოდ გაანერვიულა მამედი. გავეშებით ეტაკა უცნობს. რამდენიმე ხანი უმოწყალოდ სცემა. შემდეგ დაიღალა, მოტრიალდა და ოთახიდან გავარდა.

დაცვის წევრები ახლა უკვე სხვაგვარად უყურებდნენ დაკავებულს. საუბარი ვიღაც უბრალო მეთაურსა და მოჯაჰედზე კი არ იყო, არამედ თავად ბენ-იუსუფზე, ადამიანზე, რომელმაც მთელი ცხოვრება ჯიჰადს შესწირა. ახალგაზრდობიდანვე ჩაება ურწმუნოებთან ბრძოლაში. მრავალი ჭრილობა, ტყვეობა, წამება და ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი და ამისათვის არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად იბრძოდა – ეგვიპტეში, სირიაში, ავღანეთსა თუ რუსეთში. მთავარი იყო, რაც შეიძლება მეტი ურწმუნო გაემგზავრებინა საიქიოს.

ბენ-იუსუფმა ოჯახი ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მიატოვა. ავღანელ მოჯაჰედებს შეუერთდა, რომლებიც ავღანეთში პირველები ეკვეთნენ რუსეთის ჯარებს. შემდეგ იყო მთებში გახიზნვა. რამდენიმეწლიანი ბრძოლა და სანუკვარი გამარჯვება. მაგრამ ამ გამარჯვებამ არ დააკმაყოფილა მოჯაჰედი. ის მსოფლიო ჯიჰადის ავანგარდში მოექცა.

ამბობდნენ, რომ კარგად იცნობდა უსამა ბინ ლადენსაც. ის კი არა, უსამა უზარმაზარ თანხას სთავაზობდა, რომ ომის შემდეგ დანგრეული და მიწასთან გასწორებული გროზნოს აღდგენას ჩასდგომოდა სათავეში, ოღონდ ერთი პირობით, გროზნოს მისი სახელი უნდა დარქმეოდა.

ბენ-იუსუფს სასტიკი უარი უთქვამს.

– ეს უდიდესი ცოდვაა, ჰარამია, არ შეიძლება სახელის განდიდება. ერთადერთი, ვისაც ძალუძს ადამიანი განადიდოს, ალაჰია, – უპასუხა მან ბინ ლადენს.

შემდეგ მოახერხა და დაარწმუნა ის, რომ თანხა ჩეჩნეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობაში დაებანდებინა. უსამა დათანხმდა მის რჩევას. მილიარდ-ნახევარი დოლარი მზად იყო გზისა და მისი თანმდევი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად. მართლაც დაიწყო მშენებლობა, მაგრამ მეორე ომის დაწყებამ პროექტი შეაჩერა.

შემდეგ უცნობი იხსენებდა, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე, ბენ-იუსუფთან სახლში სტუმრობისას, მან დილის ლოცვის შემდეგ საჭმელად მიიპატიჟა. ღარიბული სუფრა პირდაპირ იატაკზე გაეწყოთ. საჭმელი პლასტმასის გობში იყო, ხოლო თეფშებად ლამბაქებს იყენებდნენ. იატაკზე იმიტომ კი არ ისხდნენ, რომ რაიმე ისლამური ტრადიციის მიხედვით გაწყობილი ტრაპეზი იყო, არამედ იმიტომ, რომ ბენ-იუსუფს არც მაგიდა ჰქონდა და არც სკამები. ყოველგვარ ფუფუნების საგანს სრულიად ზედმეტად თვლიდა. ერთადერთი, რაშიც ფული არ ენანებოდა, ეს იარაღი იყო.

ათასგვარ იარაღთან ერთად, რომლებიც სულ თან დაჰქონდა, მისი საყვარელი იარაღი „სმიტ ვესონის“ 9-მილიმეტრიანი, მოკლელულიანი რევოლვერი გახლდათ. არაერთხელ უთქვამს, რომ ერთადერთი იარაღი, რომელსაც არასდროს უღალატია, სწორედ ეს რევოლვერი იყო.

მამედი საღამომდე არ გამოჩენილა, საღამოს ოთახში ერთ ადამიანთან ერთად შემოვიდა. თვალებდასიებულმა უცნობმა ყურადღება მიაქცია მამედის გვერდით მდგომის მიხრა-მოხრას. თითქოს გაახსენდა მისი მოძრაობები, მაგრამ ეცადა, ძალიან დაკვირვებით არ შეეხედა. მამედმა და ამ ადამიანმა რამდენიმე წუთი ისაუბრეს. შემდეგ სამირას მამინაცვალი კვლავ გავიდა ოთახიდან, მისი თანამოსაუბრე კი უცნობს მიუახლოვდა. მიესალმა და ხელით ანიშნა, როგორ ხარო. უცნობმა თავი დაუქნია

იმის ნიშნად, რომ ჯერ ცოცხალი იყო. ოდნავ გაიღიმა, ყოველ შემთხვევაში მას ასე სურდა, თუმცა დაჭიმული და დასიებული სახის კუნთების გადამკიდე, ალბათ უფრო დაიმანჭა.

მამედთან ერთად შემოსული იქვე ჩამოჯდა, უცნობს გამოხედა და საუბარი დაიწყო.

– გეტყობა, ვერ მიცანი. სალაჰადინი ვარ. მუჰამედთან ერთად ვიყავი. შენი დაკავების ამბავი გაიგო და გამომაგზავნა გასარკვევად, თუ რა ხდება. აგენტობას გაბრალებენ. აბა, ერთი კარგად მომიყევი, რა ხდება. შარიათის სასამართლოზე მოწმედ წარვდგები. ახლა სწორედ ამაზე ვესაუბრებოდი. აწი ხელს აღარ დაგაკარებენ. ვერც მოგკლავენ. ისე, ძალიან ნაძირალა ადამიანი ჩანს ეგ მამედი. სადაც გავიკითხე მაგის შესახებ, კაცი არ მინახავს, კარგი ეთქვას. ამ ბიჭებზე გულში ცუდი არ ჩაიდო, მებრძოლები არიან და რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებენ. არაფერი პიროვნული. თუ საჭირო იქნება, მაგ მამედას ცოცხლად გააძრობენ ტყავს. უბრალოდ ეს ამბობს, აქაურმა უშიშროებამ შენზე უთხრა, რომ აგენტი ხარ. მუჰამედს არ სჯერა ეს. არც მე, მართალი გითხრა, მაგრამ ამან ისე ააქოთა, ასახსნელია; რად გინდა, რომ ვინმეს ხინჯი დარჩეს გულში. ხომ იცი, ესენი სხვანაირი ხალხია. გულში ჩადება იციან. ამიტომ ყველაფერს გავარკვევთ და დამნაშავეც დაისჯება. ამას გპირდები არა ჩემი, არამედ მუჰამედის, ალი-აჰმედისა და ბენ-იუსუფის სახელით.

მაშინ უცნობმა ჰკითხა, საიდან დავიწყო მოყოლაო, მანაც უპასუხა, თავიდანო. უცნობმა თქვა, მართალი გითხრა, ახლა ყველაფრის გახსენების თავი არ მაქვსო, მაგრამ მაინც ეცადა გაეხსენებინა ყველაფერი და ანკარაში მომხდარი ამბიდან დაიწყო, როდესაც მუჰამედი გაიცნო. შემდეგ პარიზი, ბაქო, გადასვლა, გროზნო და ასე შემდეგ. შამილთან დატოვებული ჩანთის შესახებაც მოუყვა, რაზეც სალაჰადინს გულიანად გაეცინა.

– ვიცი ეგ ჩანთა, ჯერ კიდევ პარიზიდან მოგყვებოდაო, – უთხრა.

უცნობმა ბოლოს ისიც უამბო, რომ ამ სოფელში იარაღი ინახებოდა, რომელიც მოჯაჰედებისათვის იყო და რომ ადგილობრივი უშიშროების თანამშრომლებთან შეკრულმა მამედმა იარაღი წაიღო და გაყიდა.

სამირაზე არც ერთი სიტყვა არ დასცდენია, არც იყო საჭირო. სალაჰადინი მაინც ვერ მიხვდებოდა ვერაფერს და შესაძლოა, მაშინ საქმე სულ სხვა კალაპოტისკენ წასულიყო.

უცნობი უკვე კარგად იცნობდა მუსლიმებს და იცოდა, რომ გოგონას თემის წინ წამოწევა, არ შეიძლებოდა, ვერ გაიგებდნენ და ყველაფერს ერთურთის აუტანლობასა და დაპირისპირებას გადააბრალებდნენ. ამის შემდეგ ხელებიც შეიძლება დაებანათ. ეს კი ნამდვილად არ აძლევ-

და ხელს. ამავდროულად, შესაძლოა სამირასაც პრობლემები შეჰქმნოდა. წარმოიდგინა შარიათის სასამართლო, სულ მამაკაცები, ალბათ მამედის დედა ბაბა ლალა და მოზარდი სამირა. არა, გოგონას გარევა არაფრით არ შეიძლებოდა ამ საქმეში.

სალაჰადინი ცოტა ხანი კიდევ დარჩა უცნობთან. უთხრა, რომ ბენ-იუსუფი და კიდევ ერთი მეტად გავლენიანი ჯიჰადისტი აპირებდნენ ჩეჩნეთში ჩასვლას და თუ მანამდე ყველაფერი გაირკვეოდა, დიდი ალბათობით მათი შეხვედრა შედგებოდა.

ამის შემდეგ ადგა, მცველებს გადაულაპარაკა, ხელი არავინ შეახოთო და ოთახიდან გავიდა.

იმ საღამოს უცნობს ხელით მართლაც არავინ შეხებია. არც მამედი შემოსულა და შედარებით წყნარ ვითარებაში ჩაეძინა.

დილისკენ ძაღლის ყეფამ გააღვიძა. ეზოში რაღაც ჩოჩქოლი იყო ატეხილი. დარაჯები მეორე ოთხში იყვნენ გასულები და ფანჯარაში იყურებოდნენ. ის იყო უცნობს გათავისუფლების ახალი გეგმის მოფიქრების აზრმა გაუელვა, მაშინვე გაახსენდა მამედის არაჩვეულებრივი ნიჭის შესახებ. აზრები თავიდან განდევნა. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ნათქვამია და უცნობსაც გაახსენდა, რომ ადრე სადღაც წაუკითხავს, თუ რატომ ატარებენ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები ქუდებსა და ნიღბებს.

ავტორის აზრით, ამის მიზეზი ტვინის ვიბრაციის ჩახშობა და მოწინააღმდეგემდე აზრების არმისვლა გახლდათ. წიგნში აზრი მატერიალურ სუბსტანციად იყო მოხსენიებული და სპეცრაზმის წევრის აზრს შეიძლება გავლენა ჰქონოდა ბრძოლის დროს. მოწინააღმდეგე, მამედის მსგავსად, შესაძლოა სპონტანურად მიხვედრილიყო შემტევის წინასწარ ჩანაფიქრს.

იფიქრა, რომ ამ ხერხსაც სცდიდა. გაიხედ-გამოიხედა, თვალებით ქუდს ეძებდა. ვერსად დაინახა. მაშინ იქვე, ძირს მუთაქა შენიშნა, აიღო. თავზე შემოიფარა და გეგმის დალაგებას შეუდგა. გაშვების ერთადერთი შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო, თუ შეძლებდა მამედის დარწმუნებას, რომ ასეთი დიდი რაოდენობის თანხის იარაღის დაკარგვის გამო, მას ბენ-იუსუფი სიკვდილით დასჯიდა. და რომ ამ შემთხვევაში მამედი ორ კურდღელს დაიჭერდა. ერთი მხრივ, იარაღის გაყიდვით ფულს იშოვიდა და დაქირავებულებსაც გაისტუმრებდა, ხოლო მეორე კი ის, რომ ბენ იუსუფი მოკლავდა უცნობს და მამედის სურვილი მორალურადაც და ფიზიკურადაც გაენადგურებინა ის, ასრულდებოდა. ხოლო შარიათის სასამართლოს გამართვის შემთხვევაში კი არაბი მოჯაჰედი საკუთარ თავს დაიცავდა და ამასთან ერთად უცნობის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ბენ-იუსუფის გამო დიდი ალბათობით გაამართლებდნენ მას. ეს კი მამედი-

სათვის გამანადგურებელი დარტყმა იქნებოდა. უფულოდაც დარჩებოდა, რადგან იარაღსაც და ფულსაც უკან მოატანინებდნენ, აგრეთვე ადგილობრივ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასაც გაუხსენებდნენ და თუ თავი შერჩებოდა მხრებზე, ალაჰისათვის ასი ათასი მადლობა უნდა შეეწირა.

შემდეგ მუთაქა მოიცილა და გეგმა უკვე ასე დაალაგა. რა კარგია, რომ არ მათავისუფლებს, თორემ ბენ-იუსუფი და მისი ძმისშვილი ნაღდად ჩამაძაღლებდნენ იარაღის დაკარგვისთვისო. რა კარგია, ამდენს რომ ვერ ხვდება, თორემ რაღა მეშველებოდაო. ასე კიდევ აჰა, შანსი მაქვს, თავი გავიმართლოო.

გაფიქრება არ ჰქონდა დასრულებული, რომ კარი გაიღო და მამედი შემოვიდა. უცნობის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან მუთაქის გარეშე ნაფიქრი ვერსია უამბო და უთხრა, რომ გაათავისუფლებდა, რათა ბენ-იუსუფის ხელით ჩაძაღლებულიყო.

მთელი შინაგანი ძალების მობილიზება მოუხდა უცნობს, რომ ხმამაღლა ან გულში არ გადაეხარხარა.

მოტყუვდა მამედი. დიდი შანსი იყო, რომ ის საღამოსვე გაეთავისუფლებინათ.

თან, როგორც აღმოჩნდა, დილის ჩოჩქოლის მიზეზი მის რაზმში არსებული განხეთქილებაც იყო. რამდენიმე მებრძოლმა გადაწყვიტა, აღარ მიეღო მონაწილეობა ამ საეჭვო ოპერაციაში და ყოფილი მეთაური „ტკბილი“ სიტყვებითაც შეამკეს, სანამ სოფელს დატოვებდნენ. მამედი მიხვდა, რომ მის მიერ ბენ-იუსუფის სახელის ხსენებამ მოჯაჰედებში განხეთქილება გამოიწვია და თავადაც აღარ სურდა სოფელში დიდხანს დარჩენა. უცნობის ნააზრევმა კი მას შანსი მისცა, მისი ჭკუით, სიტუაციიდან მშრალი გამოსულიყო.

საღამომდე ოთახში კვლავ არავინ შემოსულა. რამდენჯერმე მხოლოდ დარაჯებმა შეცვალეს ერთმანეთი. უცნობს ამჯერადაც მშვიდად ეძინა. ღამე არც მუჯლუგუნებით, არც წიხლის ცემით გაუღვიძებიათ.

დილას, როდესაც თვალები გაახილა, იგრძნო, რომ ხელები აღარ ჰქონდა შეკრული, არც შუა ბოძზე იყო მიბმული. ოთახშიც არავინ იყო. ძლივს წამოდგა ფეხზე. ბარბაცით გავიდა მეორე ოთახში. ფანჯრამდე მივიდა და გადაიხედა. ეზოში ძაღლი დარბოდა. ეს უკვე კარგად ენიშნა. მოჯაჰედების ყოფნის დროს ძაღლი ეზოს ბოლოს, კუთხეში იყო დაბმული. ქალების ლაპარაკი შემოესმა. ამან მეტად გაამხნევა. ფანჯრის გაღებას ეცადა, რომ ეკითხა, რა ხდებოდა, დაეჯაჯგურა, მაგრამ ძალა იმდენად ჰქონდა გამოცლილი, რომ ვერ შეძლო.

ჯაჯგურზე და მინის ზრიალზე ოჯახის დიასახლისმა ამოიხედა,

ფანჯარასთან მდგარი უცნობი შენიშნა. კიბეზე ამოირბინა, ოთახში შემოვიდა და ეზოში ჩასვლაში დაეხმარა. ეზოში, იქვე მდგარ ხის სკამზე დაჯდა, დიასახლისმა უთხრა, რომ მოჯაჰედებმა სახლი გუშინ ღამე დატოვეს და რომ ის თავისუფალია.

ამ სიტყვების გაგონებაზე უცნობს თითქოს ახალი ძალა შთაბერესო, ის ფეხზე წამოდგა, აქეთ-იქით გაიხედა და ეზოში თავისი მანქანა დაინახა. ინსტინქტურად ხელი ჯიბეში ჩაიყო, თითქოს გასაღების ამოღება უნდოდა. დიასახლისი მიუხვდა მოძრაობაზე. სახლში შევიდა და მანქანის გასაღები გამოუტანა.

უცნობმა კარიბჭე გააღო და სამშვიდობოს გაემგზავრა.

ბენ-იუსუფი

მანქანას ძლივს მართავდა. მეტად უჭირდა დასიებულს და ნაცემს. მოზრდილ დასახლებულ პუნქტში პირველსავე შემხვედრ გამვლელთან შეაჩერა და ჰკითხა, თუ სად იყო საავადმყოფო. გამვლელი უცნობის დანახვისთანავე უკან გახტა. ეტყობა, შეეშინდა ისეთი სიფათი ჰქონდა. მონგრეული ცხვირი, სისხლიანი, დასახიჩრებული სახე და პერანგი, მაგრამ რამდენიმე წამში აზრზე მოვიდა. უცნობიც მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უთხრა, რომ გზაში საბურავი გაუსკდა და ტორპედოს ჩამოარტყა თავი. გამვლელმა მიასწავლა საავადმყოფო და უცნობიც იქით გაეშურა.

საავადმყოფოში რამდენიმე დღე დატოვეს. ჭრილობები მობანეს. სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება არ ჰქონდა მიყენებული, მხოლოდ ტვინის შერყევა, სისხლჩაქცევები და რამდენიმე ნახეთქი. პროფილაქტიკისათვის ანტიბიოტიკების კურსი დაუნიშნეს და უთხრეს, რომ მალე გაწერდნენ.

პალატაში იწვა და ჩავლილ ფათერაკებზე ფიქრობდა, როდესაც ვიღაცამ კარის სახელური ფრთხილად ჩამოსწია. უცნობი სწრაფად მოტრიალდა და ლოგინზე წამოჯდა. თვალი შეავლო საწოლთან მდებარე მაგიდას, რომელზეც რაიმე მძიმე ნივთს ეძებდა, რათა საჭიროების შემთხვევაში თავდაცვის საშუალებად გამოეყენებინა. ვერაფერი ნახა, მაშინ წამოდგომა დაიწყო, კარიც გაიღო და მისი კარგად ნაცნობი ოთხეული შემოვიდა. სამი მამაკაცი და ქალბატონი ექიმების ხალათებში იყვნენ გამოწყობილი. მიმოიხედეს და შემდეგ ერთმანეთს გადაულაპარაკეს, გაღვიძებია, ხედავ, როგორი ფხიზელი ძილი გაუხდაო.

მიუახლოვდნენ უცნობს, რუსი გადაეხვია, გადაკოცნა, ბრიტანელმა, ამერიკელმა და ქალბატონმა ხელი ჩამოართვეს.

– აბა, როგორ ხარ?! მოხვედი აზრზე?– დაიწყო საუბარი ბრიტანელმა.

– აზრზეა, აბა, რა. დიდი ამბავი, ერთი კვირა ურახუნებდნენ. არაფერი ეტყობა. აი, მე რომ დამიჭირეს ამათმა ვიეტნამში, – თქვა რუსმა და ამერიკელს წყრომით სავსე თვალებით შეხედა.

– არც თქვენ იყავით ჩვენზე ნაკლები, – არ ჩამორჩა ამერიკელი. მაკკეინს რა უქენით, გახსოვს, მოუჭრა სიტყვა რუსს.

– კარგით, გეყოფათ, ჩამოართვა სიტყვა მამაკაცებს ქალბატონმა. როგორ ხარ, მოგიშუშდა იარები? მთავარია, გადარჩი მაგ საქონლების ხელში, – გააგრძელა მან საუბარი.

მთავარია, გადარჩა, დაასკვნა ოთხივემ. უცნობის საპირისპირო ლოგინზე მოეწყვნენ და თვალებში დაუწყეს ყურება, თითქოს რაიმე მნიშვნელოვან სიტყვას ელოდნენ მისგან.

უცნობი მოეშავა და უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა. დეტალებში არ ჩაღრმავებულა, რადგან, ცოტა არ იყოს, ნაწყენი იყო სამუშაოს მიმცემებზე, რომლებსაც თითქოს ფეხებზე ეკიდათ მისი სიცოცხლე.

– ანუ, ჯერ ბენ-იუსუფს არ შეხვედრიხარ, მაგრამ ჩასვლას აპირებ, – ერთხმად თქვა ოთხივემ. ეგ სადაც ჩადის, კარგი ამბავი არ ხდება. რაღაც საშინელებას ამზადებენ. შესაძლოა, არც ღირს ფულის ჩადება. ეს გზის მშენებლობის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. გზა თუ აშენდა, მთელი ისლამური საქონელი მაგ გზით წავა ევროპაში.

– თანამგზავრებიდან გადაღებული ფოტოები ადასტურებენ, რომ გამალებულად მუშაობენ. ეტყობა ომის დაწყებამდე სურთ დამთავრება, – კვერი დაუკრა ბრიტანელს ამერიკელმა.

– ვერ მოასწრებენ, შესვლას აპირებენ.– თქვა რუსმა.

– შესვლას თუ მიწასთან გასწორებას? – იკითხა ქალბატონმა.

– ვისაც რა უნდა, ის დაარქვას, მაგრამ მაგათ არ გავახარებთ. – დაადასტურა რუსმა.

– მაგათი გახარება არც შეიძლება. ეგ ისეთი საფრთხეა, მთელ მსოფლიოს კიბოსავით მოედება. ჯერ კავკასია, შემდეგ – რუსეთ-თურქეთი, ახლო აღმოსავლეთი, ევროპა და ბოლოს ჩვენამდეც მოაღწევენ. არ ესმით არც ჩვენებს, არც პოლიტიკოსებს. ბიზნესსაც ხელს შეუშლის. უნდა შევაჩეროთ. – თქვა ამერიკელმა და პარტნიორებს გადახედა.

– ისე, კიდევ კარგი, აგენტი არ იყო, თორემ ეგრევე დაწვავდნენ. მაგარი გამოცდა ჩაუტარეს. ის იდიოტი მამედაც მაგრად გამოიყენეს. ახლა თვითონვე მოუგრეხენ კისერს, – მიმართა რუსმა შეკრებილებს.

– ეგრეა, – კვერი დაუკრა ყველამ.

უცნობს გაახსენდა, რომ ერთ-ერთი ვიზიტისას გზის მშენებლობის სამუშაოები დაათვალიერებინეს. მშენებლები მართლაც საოცარი სის-

წრაფით მუშაობდნენ. ჩეჩნეთ-საქართველოს გზის მშენებლობა ჩეჩნეთის მხარეს თითქმის დასრულებული იყო.

ასაფეთქებელი სამუშაოების მიმდინარეობისას საქართველოს საზღვართან აღმოჩენილმა ძველმა ჩეჩნურმა სამარხებმა ცოტა შეაჩერა მშენებლობის ტემპი. პრობლემა მაშინ შეიქმნა, როდესაც ისტორიულ სამარხებზე ქრისტიანული სიმბოლიკა აღმოჩნდა. ჩეჩნების გასაკვირად, ისტორიის რაღაც ეტაპზე ისინი ქრისტიანები ყოფილან. აქაც, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, უხუცესებსა და შარიათის სასამართლოს დაეკითხნენ ჭკუას. მათაც ერთხმად მიიღეს ამ სამარხების განადგურების გადაწყვეტილება. მიუხედავად ევროკავშირისა და მსოფლიოს ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოების არაერთი თხოვნისა, სამარხები ერთ დღეში გაანადგურეს.

ამ გზით ხშირად სარგებლობდნენ მეთაურები. მრავალი მათგანი საქართველოს ტერიტორიაზე, პირიქითა ხევსურეთში შემოდიოდა, რამდენიმე დღე ისვენებდნენ, ნადირობითა და თევზაობით იქცევდნენ თავს. თევზაობა განსაკუთრებით შამილ ბასაევს უყვარდა.

საქართველოს მხარეს გზის მშენებლობა ველარ მოხერხდა, თუმცა მანამდე ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის მინისტრი იმყოფებოდა ამ ქვეყანაში და საჰაერო გადაღებებიც შეასრულეს, მაგრამ ცოტა ხანში რუსეთის ფედერალურმა ავიაციამ იმგვარი იერიში მიიტანა ჩეჩნეთზე, რომ ქვას ქვაზე ადუღებდნენ და არც გზის, არც სხვა რამის აშენების თავი და სურვილი არავის გასჩენია.

– იმ გოგოს რას გადაეკიდე, – ჰკითხა უცნობს ერთ-ერთმა. სტოკჰოლმის სინდრომი გეტაკა თუ რა ჯანდაბა. ხომ ხედავ, მაგის გამო კინაღამ თავი წაგაგდებინეს.

ამ სიტყვებზე უცნობს ფერი ეცვალა. აქამდე თუ მხოლოდ უსმენდა ექიმის ფორმაში გამოწყობილ სტუმრებს, აქ ველარ მოითმინა და ერთი გვარიანად შეუღრინა. სამირა აღარ ახსენოთ, თორემ ჩვენი თანამშრომლობა დასრულდებაო, უთხრა.

შემდეგ წამოდგა, მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელა აიღო და ოთახიდან გავიდა.

სტუმრები გამოჰყვნენ. ურჩიეს, დაწყნარებულიყო. უთხრეს, რომ მისი გრძნობების ესმოდათ და სთხოვეს, ნათქვამი მხოლოდ უტაქტო, უკბილო ხუმრობად ჩაეთვალა. იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა, შეჰპირდნენ, აუცილებლად მოუძებნიდნენ გოგონას, რომელმაც, მათი ინფორმაციით, ჩეჩნეთი დედასთან ერთად დატოვა და სხვა ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად.

ცოტა ხანში უცნობი მომჯობინდა. უკვე აღარ აწუხებდა ტკივილი.

აქა-იქ სხეულზე კიდევ ეტყობოდა გადაყვითლებული სისხლჩაქცევის ლაქები, მაგრამ დრო ამასაც შემდეგ უმკურნალებს...

დაღესტნიდან კვლავ ჩეჩნეთში გაემგზავრა, ცნობების თანახმად, ბენ-იუსუფიც აქეთ მოემართებოდა. ბაქოში მუჰამედი მოინახულა. სწორედ მან უთხრა, რომ ამჯერად ნამდვილად შეხვდებოდა ბიძამისს.

თავად მუჰამედიც ჩეჩნეთში მიდიოდა და ერთად გადაწყვიტეს მგზავრობა. ბევრი ისაუბრეს მომხდარზე. მუჰამედმა უთხრა, რომ მას არასდროს შეჰპარვია ეჭვი უცნობში, თუმცა მანაც უნდა გაუგოს მოჯაჰედებს, ათასი გვარის შეგზავნილი აგენტითაა სავსე მათი რიცხვი და თან, ახლა, ახალი ომის დაწყების წინ, მათმა რიცხვმა რამდენადმე იმატა.

უცნობი თავისთვის ფიქრობდა, ომსა და ბრძოლაში დიდხანს ყოფნა აშკარად ცვლიდა ადამიანს. პარანოიის ნიშნები უკვე მუჰამედსაც შეჰპარვოდა. აგენტების ძიება და მათთვის თავისი მარცხის გადაბრალება ყველაზე ადვილი გამოსავალი იყო.

ამის შესახებ მან მუჰამედსაც უთხრა.

– თქვენ ახლა ყველგან აგენტებს ეძებთ, იჭერთ მათ და სჯით სახალხოდ. ამით მხოლოდ ერთ რამეს აღწევთ – საკუთარ მომხრეებსა და გულშემატკივრებს იმდურებთ. ადრე ევროპასა და ამერიკაში, რუსეთშიც ბევრი ხალხი, პოლიტიკოსი გიჭერდათ მხარს, ახლა კი ერთეულებილა დარჩნენ ასეთები. არ იქცევით სწორად. არა, ასეთი საქციელი მარცხის საწინდარია.

მაშინ მუჰამედმა მას სთხოვა, რამდენიმე ხნით კვლავ ვედენოს რაიონში წასულიყვნენ, სადაც სულ ახლახან დააკავეს რამდენიმე ათეული აგენტი, რათა თავის სიმართლეში დაერწმუნებინა უცნობი.

ვედენოში დაწყებული ფუსფუსი და საბრძოლო მზადება ახალი ომის დაწყებას მოასწავებდა. სხვადასხვა ეროვნების, ფერისა და რასის მებრძოლები უკვე მერამდენედ ამოწმებდნენ იარაღსა და საბრძოლო აღჭურვილობას.

შამილი, ჰატაბი და კიდევ სხვა მეთაურები საბრძოლო ოპერაციებს გულმოდგინედ გეგმავდნენ და დაღესტნის სამხედრო რუკებზე გადაჰქონდათ ნიშნულები. ვედენოს მოსახლეობისათვის უკვე ცნობილი იყო საქმის ნამდვილი ვითარება. ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამს, შამილ ბასაევს, დაღესტანში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ამ დროისათვის უცნობს უკვე კარგად ჰქონდა გათავისებული, რომ ჩეჩნეთში საიდუმლოს შენახვა დიდ პრობლემას წარმოადგენს. ყველაფერი, რაც სამხედრო შტაბებში წყდება და საბრძოლო მოქმედებებს შეეხება, უმალ ხდება ცნობილი ადგილობრივებისათვის. ეს ეროვნული თავისებურება ნამდვილად არ უშლიდა ხელს ჩეჩენ მებრძოლებს რუსეთთან პირველი ომის დროს, 1994-96 წწ. მეომრები სამხედრო დივერსიული ოპერაციის შე-

სახებ ნათესავებს აფრთხილებენ, ისინი, თავის მხრივ – სხვა ახლობლებს, თანასოფლელებსა და ტეიპის წევრებს. ზოგი ახალგაზრდა მებრძოლი, საკუთარი ვაჟკაცობის ხაზგასასმელად, წინასწარ ამცნობდა მეგობრებს არა მარტო მოსალოდნელი ოპერაციის დაწყების დროსა თუ ადგილს, არამედ შესაძლო მონაწილეთა რიცხვს და ჯარის შემადგენლობასა თუ სახეობას.

ჩეჩნეთის სამხედრო ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ეთნოსისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება არაერთხელ გამოუყენებიათ თავიანთ სასარგებლოდ და მრავალი არასწორი ინფორმაცია მიუწოდებიათ ჩეჩნეთში რუსების სამხედრო დაზვერვის აგენტებისათვის. კავკასიაში ჯიჰადის გაგრძელების თარიღი მოახლოებული იყო. ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში იარაღის მუდმივი ჟღარუნი მოსახლეობის საკმაო აღგზნება-აშლილობას უწყობდა ხელს. ახლა, პირველი ომისაგან განსხვავებით, მოსახლეობაში ნაკლებად იგრძნობოდა საბრძოლო სული. რამდენიმეწლიანმა საომარმა მოქმედებებმა ჩეჩნურ უტეხ სულს თავისი დაღი დაასვა. უხუცესებმა გამაფრთხილებელი საუბრები წამოიწყეს ახალგაზრდებთან. ისინი ცდილობდნენ, ჯიჰადისტებისათვის ახალი კამპანიის უარყოფითი მხარეები აეხსნათ. უხუცესთა აზრით, დაღესტანში ომის წამოწყება კარგს არაფერს მოუტანდა ომით გადაღლილ და გაწამებულ მშვიდობიან მოსახლეობას.

აგიტაციას მეტად ფრთხილად ეწეოდნენ, რადგან ამ დროისათვის ბასაევს რამდენიმე კოლაბორაციონისტი მოხუცი სახალხოდ უკვე ჰყავდა დასჯილი.

ერთ დილას შამილი უცხოელ სტუმრებს სიურპრიზს შეჰპირდა. მუჰამედი და უცნობი ამ დროს ჩავიდნენ ვედენოში. რამდენიმე ჯიპით მახლობლად მდებარე ტყის მასივისაკენ გაემგზავრნენ. დანიშნულების ადგილას მივიდნენ და მანქანებიდან გადმოვიდნენ.

მინდორზე მრავლად იყვნენ შეკრებილი შეიარაღებული მებრძოლები და უბრალო ხალხი. მათ სიახლოვეს ოცამდე ზურგზე ხელებგაკრული მამაკაცი გორაობდა. თავები დახრილი ჰქონდათ. ზოგიერთ მათგანს სახეზე აშკარა ფიზიკური ძალადობის კვალი ეტყობოდა. უცნობს მაშინვე გაახსენდა რამდენიმე ხნის წინ თავს გადამხდარი ამბავი და უბედურებს სიბრალულით გახედა.

ჩასისხლიანებული თვალები, დასახიჩრებული სხეული და სახეები მართლაც სიბრალულს იწვევდა. მათი მზერა უფრო საშინელ მომავალს წინასწარმეტყველებდა. ტყვეთა მრავლისმთქმელი გამოხედვის შემყურე, მაშინვე მიხვდებოდით, რომ ეს ადამიანები განგებამაც და კაცობრიობამაც გაწირა და იშვიათად, თითქოს ღვთიური სასწაულის მოლოდინში,

ცას ახედავდნენ, შემდეგ ისევ რეალობაში ბრუნდებოდნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ და კვლავ ჩაქინდრავდნენ თავს.

განაჩენს ელოდნენ. ისევე, როგორც დამარცხებული გლადიატორების სიცოცხლეს, მათ ბედსაც ერთი კაცი და მისი შემყურე ბრბო განაგებდნენ.

რამდენიმე დღით ადრე ადგილობრივმა ტელევიზიამ ვედენოს მოსახლეობასა და საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს საზეიმოდ მოახსენა, რომ ჯიჰადისტთა არმია დღითიდღე უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა.

– ყოველდღე გვემატება რამდენიმე ასეული მოჯაჰედი. ისინი ჯიჰადს რუსეთის ისლამური ტერიტორიებიდან უერთდებიან. უზენაესის ნებით რუსეთის მუსლიმი მოსახლეობა შეუდგება ჰაზავათს და სრულიად რუსეთს გავამუსლიმანებთ, – ახარა დიქტორმა მაყურებელს.

მართლაც, თუ აქამდე ლაშქარი ჩრდილო კავკასიელებით, ახლო აღმოსავლეთიდან თუ არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული, ახლა კავკასიურ ჯიჰადს რუსეთის ცენტრში არსებული რესპუბლიკის, თათრეთის, აგრეთვე შუა აზიის ქვეყნების წარმომადგენლებიც უერთდებოდნენ. ჩეჩნეთში შუააზიური რესპუბლიკები რუსეთის პოლიტიკურ დანამატად მიიჩნეოდა. ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან და ყაზახეთიდან ჩეჩნეთში ჩამოსულ მოჯაჰედებსაც რუსეთის ისლამურ მოძრაობასთან აიგივებდნენ.

მებრძოლების შემომატება მეტად საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. ეს ფაქტი ყველამ იმის წინაპირობად მიიღო, რომ მალე ჯიჰადი მთელ რუსეთს მოედებოდა. ომი ჩეჩნეთსა და დაღესტანში ლოკალური, რეგიონული კონფლიქტიდან საერთო ევრაზიულ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა. დაახლოებით იმგვარში, როგორც შემდგომ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში ისლამური სახელმწიფოს, ხალიფატის შექმნის დროს.

რამდენიმე დღეში სიტუაცია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამატის ხელმძღვანელობისათვის არასასიამოვნოდ შეიცვალა. დაღესტანში შეჭრილმა ჯგუფებმა მარცხი მარცხზე იწვნიეს. საჭირო გახდა ოპერაციის წარუმატებლობის მიზეზების გამოკვლევა და დამნაშავეთა მოძიება. სპეციალურმა სტრუქტურამ, რომელიც იმამატის კონტრდაზვერვის ფუნქციას ასრულებდა, მოხალისეების სანდოობის შემოწმება დაიწყო.

თავიდანვე განწირული, წარუმატებელი ოპერაციის ჩავარდნის მოღალატეებისათვის გადაბრალება იმამატის ხელმძღვანელობას დამკვეთების წინაშე თავის არგუმენტირებულად გამართლების შანსს უტოვებდა. ზოგიერთმა მოხალისემ ვერ შეძლო ერთგვარი სახის შემოწმება-ინტერვიუს დამაჯერებლად გავლა. გამოკითხვა, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ მკაცრ დაკითხვაში გადაიზარდა, რომელიც საერთაშორისო ნორ-

მების სრული უგულებელყოფით მიმდინარეობდა ისე, როგორც ამას ჰატაბის მოსამზადებელ ბანაკებში ასწავლიდნენ. შეკითხვის დასმამდე უბედურ მოხალისეებს სასტიკად სცემეს.

დაკავებულთა წამებისას გამოიყენეს როგორც ხელ-ფეხი, ასევე ყველა ფორმისა და დატვირთვის ბლაგვი საგანი თუ ხელჯოხი, ავტომატის კონდახები, ხიშტები და დანები. მრავალმა უბედურმა ვერ გაუძლო ასეთი ფორმის ფიზიკურ ზემოქმედებას და დანაშაული აღიარა, თუმცა ბევრს საფუძვლიანად არც კი ესმოდა, რას სდებდნენ ბრალად. ყველაფერი დაახლოებით შუა საუკუნეებში კუდიანებზე ნადირობის პროცედურის მსგავსად წარიმართა. როდესაც კუდიანობაში ეჭვმიტანილს ხელებზე და ფეხებზე წისქვილის დოლაბს ან მძიმე ნივთს გამოაბამდნენ და ხიდიდან მდინარეში გადააგდებდნენ. თუ ქალი კუდიანი არ იყო, მაშინ არ ამოტივტივდებოდა და დაიხრჩობოდა, ხოლო თუ ამოტივტივდებოდა, შემდეგ ცეცხლზე წვავდნენ, როგორც ეშმაკის მოციქულს.

ერთგვარ ისლამურ სცილასა და ხარიბდას შორის მოქცეული უბედურების დიდმა ნაწილმა სწორედ ამის გამო აღიარა დანაშაული და მორჩილად ელოდნენ თავიანთ „წილხვედრს“.

დაკავებულთა მეორე, მცირე ნაწილი, მიუხედავად ცემისა და წამებისა, ჯიუტად ამტკიცებდა უდანაშაულობას. ისინი დიდი ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ და ყველა დარტყმას მუსლიმანთათვის წმინდა შეძახილებით პასუხობდნენ, თუმცა მათ მდინარეში ჩაძირულ ქალთა ბედი ელოდათ.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ, ფუნდამენტალისტებში სინდისის ქენჯნა გაეღვიძებინათ და ამბობდნენ, არ ვართ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, მაგრამ ოღონდ აღარ გვაწამოთ და რასაც გინდათ, იმას ვაღიარებთო.

ყველა ეს უბედურება იმ ისლამელი პროპაგანდისტების გამო ხდებოდა, რომლებიც რუსეთის მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიაზე უხვად იყვნენ მიმობნეულნი და ახალგაზრდების მოზიდვითა და რეკრუტირებით იყვნენ დაკავებული. ისლამის გამავრცელებლები ახალგაზრდებს უახლესი ისლამური ლიტერატურით ამარაგებდნენ.

შესაბამისი ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარებისა და ტკბილი სიტყვისა და შემდეგ მსოფლიო ჯიჰადთან შეერთების სანაცვლოდ, მაღალ ანაზღაურებასაც სთავაზობდნენ. შაჰიდებად გახდომის შემთხვევაში კი მათი ოჯახების სამუდამო უზრუნველყოფას ჰპირდებოდნენ.

ანალოგიური, უკვე კარგად აპრობირებული მეთოდით მოქმედებდნენ ისლამური ჰალიფატის წარმომადგენლები უკვე შემდეგ, ევროპაში, ამერიკასა და მსოფლოს თითქმის ყველა ნაწილში. მათ რამდენიმე

ათეული ათასი უცხოელი მოჯაჰედის მობილიზაცია შეძლეს სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე.

რუსეთის რეგიონებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაცია ისლამელ ფუნდამენტალისტებს აგიტაციისა და მოქმედებისათვის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა. ღარიბ რაიონებსა და ქალაქებში იხსნებოდა სკოლები და სასწავლებლები. ახალგაზრდები სრულიად უსასყიდლოდ ეუფლებოდნენ ცოდნას ასეთ დაწესებულებებში. ისლამის საფუძვლების შესწავლასთან ერთად, სტუდენტებს მსოფლიო ჯიჰადთან შეერთებისაკენ მოუწოდებდნენ.

ბევრი ახალგაზრდა ფუნდამენტალისტთა აგიტაციას წამოეგო კიდეც. ხელგაკრული დაკავებული ახალგაზრდა მამაკაცები ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, ვედენოში, იოლი ფულის საშოვნელად იყვნენ ჩამოსული, თუმცა მათ განგებამ სულ სხვა ხვედრი მოუმზადა. იმამატის კონტრდაზვერვის წარმომადგენლებმა ყველა ეჭვმიტანილის საჩვენებელი დასჯა გადაწყვიტეს და ხელმძღვანელობა მომხდარის კურსში ჩააყენეს. თან ამ ფაქტის პროპაგანდისტულ მანევრად გადაქცევა განიზრახეს. დაკავებულებთან, უბრალო მაყურებლების გარდა, ვიდეოკამერით აღჭურვილი რამდენიმე პირიც მიიყვანეს.

ტუსაღებს სათითაოდ ჩამოართვეს ჩვენება, სადაც ისინი აღიარებდნენ საერთაშორისო ისლამურ მოძრაობაში რუსეთისა და სიონისტების უშიშროების მიერ სპეციალურად მომზადებულ აგენტობას. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ დაკავებულთაგან პოლკოვნიკზე დაბალი წოდება არავის ჰქონდა მინიჭებული. ტყვეებს გარს შარიათის გვარდიის მებრძოლთა რამდენიმე რიგიანი დაცვის კორდონი შემორტყმოდა. მწვანე ფორმებში გამოწყობილ ზორბა, ღონიერ მამაკაცებს სახეზე ყაბალახის მსგავსი ისლამური პირსახვევი ჰქონდათ აფარებული. ხელში კალაშნიკოვის ავტომატები ეჭირათ. რამდენიმე მათგანს ხელის ყუმბარმტყორცნი და ტყვიამფრქვევი ჩაებღუჯა. მცველები ხანდახან იარაღს ზეცას მიუშვერდნენ, გამყინავად შეჰკივლებდნენ და უმისამართო სროლას იწყებდნენ.

შარიათელთა საქციელი მინდორზე შეკრებილ ხალხზე ზემოქმედებისათვის უფრო იყო განკუთვნილი, ვიდრე ტყვეთა დასაშინებლად, რადგან ამ დროისათვის საწყალ დაკავებულებს გადარჩენის ყველანაირი იმედი გადაწურული ჰქონდათ და მხოლოდ ბედს იყვნენ მინდობილნი. უწვერულვაშო ახალგაზრდები შეშინებული უყურებდნენ მათ ირგვლივ შეკრებილ ხალხს. რამდენიმე მათგანი ცდილობდა, რამენაირად მიექცია ყურადღება და გული მოელბო ბრბოსათვის. დაკავებულები ხან ამოიკვნესებდნენ, ზოგიც გმინავდა, მათთან მიახლოებას ვერავინ ბედავდა. არავის უნდოდა, ომის წინ მას და მის ოჯახს მოღალატის ან აგენტის იარლიყი მისწებებოდა.

სროლით გამოწვეული გამაყრუებელი ხმაური და შეძახილები ნებისმიერი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს კვლავ ერთიანი ისლამური გონის ნაწილად აქცევდა.

– ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ რწმენის მოღალატეები! – გაჰყვიროდა შეკრებილი ხალხი.

– ასეთებმა არ უნდა იცხოვრონ! ნახეთ, ნახეთ დედლებივით ტირიან. ეგრე უნდათ მაგათ, უზენაესი არავის პატიობს ცოდვებს! – გაიძახოდნენ სხვები.

უცნობს კვლავ საკუთარი ტყვეობა გაახსენდა და უნებურად დამსწრეთა შორის მამედის და მისი თანამზრახველების ძებნას შეუდგა, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ სამირას მამინაცვალი მეტად მხდალი ადამიანი იყო და ის არც ერთ შემთხვევაში არ ჩავიდოდა იქ, სადაც საფრთხე მოელოდა. ვერ გაწირავდა დედამისს სატირლად. ეს გაიფიქრა და ცოტა მოეშვა გულს, თუმცა უბედური ახალგაზრდების ბედი მეტად აწუხებდა.

ვედენოში იყვნენ ისეთებიც, ვინც არ ეთანხმებოდა დასჯის სახალხო თავშესაქცევად გადაქცევის გადაწყვეტილებას. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრს მხოლოდ ვიწრო ნათესაურ ან ახლობელთა წრეში გამოთქვამდა. არავის სურდა, დაკავებულთა ადგილას აღმოჩენილიყო.

შარიათის აღმასრულებელთა წინააღმდეგ ღიად გამოთქმული ყოველი სიტყვა სიცოცხლისათვის დიდ რისკს შეიცავდა. შეკრებილთაგან რომელიმეს რომც აღძვროდა სიბრალული, ჩაფიქრებულიყო კიდეც, იქნებ რაიმეთი დახმარებოდა უბედურ პატიმრებს, შეიარაღებულ მოჯაჰედთა და მასის აგრესიულობა მაშინვე უხშობდა წამიერად გამოვლენილ ადამიანურ სისუსტეს. ერთიანი ისლამური გონით შეპყრობილ მოსახლეობაში ნებისმიერი განსხვავებული აზრის ან ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, მწვანეფორმიანი ჯალათები მზად იყვნენ, ხელი ეტაცათ მისთვის და დაკავებულთა გვერდით მიესვათ. საკუთარ რიგებში ახალი მოღალატის აღმოჩენა საშუალებას იძლეოდა, რამდენიმე წუთით კიდევ გახანგრძლივებულიყო სიამოვნების განსაცდელად შეკრებილი მასის ცხოველური ნეტარება.

– თქვენ წინაშე სიონისტების აგენტები არიან გართხმული. რუსეთის იმპერიამ ისინი ჩვენი იმამისა და ამირების გასანადგურებლად შემოაგზავნა.

– დიდება უფალს, მათ ვერ შეძლეს ბინძური დავალების შესრულება!

– ღმერთი ჩვენკენაა და მისი დახმარებით აღმოვაჩინეთ ისინი. ჩვენი წესების თანახმად დავსჯით, რათა ყველამ იცოდეს, რა ელით ჯიჰადის მოღალატეებს! – დაიწყო განაჩენის კითხვა პირშებურულმა მოჯაჰედმა.

– სიკვდილი! სიკვდილი! ჩავქოლოთ! – იყვირა პირზე დუჟმომდგარმა შლაპიანმა მამაკაცმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ვედენოს მიმ-

დებარე სოფლის დაბომბვისას ჩამოვარდნილმა რუსულმა ჭურვმა ოჯახი ამოუწყვიტა.

შავი პოლიეთილენის პარკიდან საკმაოდ მოზრდილი, თითქოს სპეციალურად გათლილ-დამუშავებული წახნაგებიანი რიყის ქვა ამოიღო, ხელში შეათამაშა და ყველაზე ახლოს მჯდომ წელშიშველა, ჯოხით ცემით ზურგაჭრელებულ ახალგაზრდას მოუღერა. უბედურმა ჩასაქოლად განწირულმა მსხვერპლმა თვალი თვალში გაუყარა მას. შემდეგ მოიკუნტა, თვალები მოჭუტა.

– ნახეთ, ნახეთ, როგორ შემომხედა ამ შაითანმა, ამას ჰგონია, ვხუმრობ და უბრალოდ ვემუქრები! – წამოიძახა შლაპიანმა, ქვა მთელი ძალით მოიქნია და პატიმრისაკენ ისროლა. ახალგაზრდა შეეცადა, სახეზე ხელი აეფარებინა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ზურგს უკან ჰქონდა გაკრული. სახე დაემანჭა, უფრო მოიკუნტა, თავი მხრებში ჩარგო და სიკვდილის მოლოდინში თვალები დახუჭა.

შემზარავი ჭახანის ხმა გაისმა.

ქვამ დაკავებულს თავის ქალა კაკლის ნაჭუჭივით ჩაუტეხა. ახალგაზრდა ზურგზე დაეცა. ჩამტვრეული თავიდან ტვინნარევმა სისხლმა გამოჟონა. მსხვერპლმა სული განუტევა, თუმცა უსულო სხეული კიდევ რამდენიმე წუთი ფართხალებდა.

ნანახმა მეტად გაახელა ისედაც აღგზნებული ბრბო. ქვები, ჯოხები, სხვადასხვა სახის ბლაგვი საგნები ძირს გართხმული ტყვეების მიმართულებით გაფრინდა. ხელფეხგაკრული ახალგაზრდები ინსტინქტურად ერთმანეთისაკენ გაცოცდნენ, ისე აფოფხდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს მწერები იყვნენ, რომლებიც წყალდიდობაში მოხვედრისას მაღალ ადგილს ეძებენ, რომ აძვრნენ. ერთი მხრიდან – მათ გავეშებული, ქვებითა და ხელჯოხებით შეიარაღებული მასა, მეორე მხრიდან კი ხმლებითა და ავტომატებით შეიარაღებული შარიათის გვარდიის წარმომადგენლები ავიწროებდნენ. ხელებშეკრული, დახეულ, ბინძურ რუსულ სამხედრო შარვლებში ჩაცმული მსხვერპლნი მიწის ზედაპირზე მოხვედრილი წვიმის ჭიაღუებივით იკლაკნებოდნენ. რამდენიმე მათგანმა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ გასროლილმა ქვამ ან ხელჯოხმა მყის პირქვე დაამხო. საწყლები ტალახში მანამდე მიფორთხავდნენ, სანამ გვარდიის წარმომადგენელს არ შეეჩეხებოდნენ. მწვანე ფორმებში გამოწყობილი ჯალათები კი ჩქარობდნენ განაჩენის სისრულეში მოყვანას. ისინი ცდილობდნენ, ხმლის ერთი დაკვრით მოეკვეთათ თავი მსხვერპლისათვის. ჯერ წიხლსა ჰკრავდნენ, შემდეგ მუხლით მიწას გააკრავდნენ. ზოგს – თმაში, ზოგსაც თავში ავლებდნენ ხელს და უბედურს ხმალს ყელში უსვამდნენ.

ზოგს უმალ ასალმებდნენ სიცოცხლეს. მაშინ მოკვეთილ თავს ზევით ასწევდნენ და შეკრებილებს აჩვენებდნენ, აი, რა კარგად გამოგვივიდაო.

ამ სისასტიკისა და ცოდვის მინდორზე მრავლად ეყარნენ ყელგამოჭრილი მომაკვდავებიც. საწყლები, თითქოს უკანასკნელ იმედს ეპოტინებოდნენ. ცდილობდნენ, ყელზე ხელების მოჭერით შეეჩერებინათ სისხლდენა და რამდენიმე ხნით გაეხანგრძლივებინათ სიცოცხლე. იქვე, შორიახლოს მყოფი ჯალათი კი ამ კოშმარით შოკში ჩავარდნილ, გაქვავებულ სხვა გასამართლებულს ასალმებდა სიცოცხლეს.

ირგვლივ სისხლის საშინელი სუნი ტრიალებდა. მომაკვდავთა გამაოგნებელი ხავილი, ჯალათთა თუ გაველურებული მასის ყიჟინი რამდენიმე ხანი კიდევ გრძელდებოდა, მანამდე, სანამ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მამაკაცის ნასროლი ქვა შარიათის გვარდიის წარმომადგენელს მოხვდა. იგი მიხვდა, რომ სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა, ხალხისაკენ სახით მოტრიალდა და ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა. მას სხვა მოჯაჰედებიც აჰყვნენ. გახელებული მასა დაშოშმინდა. ქვები და ჯოხები დაყარა. ერთ-ერთი ფუნდამენტალისტი ჯერ კიდევ მბორგავი სხეულებისაკენ მიტრიალდა და ავტომატის ჯერი მიუშვა. სხვებმაც იგივე გააკეთეს.

დაახლოებით ნახევარი წუთის განმავლობაში ისროდნენ. ტყვიების წვიმა შეწყდა. იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ დასახიჩრებული, მომაკვდავი ახალგაზრდების სხეულები იყო თავმოყრილი, ადამიანის კანისა და ტანსაცმლის ნაფლეთების, ხორცის, სისხლისა და ძვლის ნამტვრევების გროვაღა მოჩანდა.

ერთ-ერთმა იარაღიანმა რაღაც შესძახა. სხვამ იქვე, ტყის განაპირას მდგარ ექსკავატორთან მიირბინა და მემანქანეს უბრძანა, დახოცილები დაემარხა. მემანქანემ უზარმაზარი ექსკავატორი დაძრა და პირდაპირ ცხედრებზე შეაყენა. უზარმაზარ ორმოს რამდენიმე ხანი თხრიდა. შემდეგ უსულო სხეულები ექსკავატორის კოვზით ერთად მოაქუჩა, ორმოში ჩაყარა და ზევიდან ამოღებული მიწა დააყარა. კოვზითვე მოასწორა, მანქანიდან გადმოვიდა. შარიათის გვარდიის ერთ-ერთ წევრს შესრულებული სამუშაოს გასამრჯელო გამოართვა და ექსკავატორი დასახლებული პუნქტისაკენ დაეშვა.

რუსეთისა და სიონისტების უშიშროების მაღალი ჩინის აგენტების გაუვნებელყოფა ისლამელთა კონტრდაზვერვის მნიშვნელობას ზრდიდა. ჯიჰადისტებში მოახლოებული საბრძოლო ოპერაციის წინ ეს სერიოზულ წარმატებად აღიქმებოდა. ასეთი აქციები იმამატის უძლეველობის მითის განმტკიცების, ადგილობრივი მოსახლეობისა და მოჯაჰედების საბრძოლო სულის ამაღლებისათვის, აგრეთვე მტრების მორალური გატეხვისათ-

ვის იყო საჭირო. დაკავებულთა უმეტესობა საბრძოლო დავალებად ჰატაბის, მასხადოვისა და ბასაევის ფიზიკურ განადგურებას ასახელებდა.

აღიარებები ჩეჩნეთის სატელევიზიო არხმა, „კავკასიამ“ გადასცა. არხს მასხადოვის მიერ ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გათავისუფლებული მოვლადი უდუგოვი ხელმძღვანელობდა. უდუგოვი და ისა უმაროვი ჩეჩნეთ-დაღესტნის კონგრესის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგები იყვნენ. პირველი ომისაგან განსხვავებით, სადაც უდუგოვის პროპაგანდა პატრიოტული ხასიათის გახლდათ, ახლა მისი შეგონებების მთავარ თემად ისლამური ჯიჰადი იქცა. ყოფილმა ვიცე-პრემიერმა იდეოლოგთა ჯგუფთან ერთად ისლამური ერის კონცეფცია შეიმუშავა.

ამით მან ეროვნული საკითხი ფაქტობრივად უკანა პლანზე გადასწია და პირველი ომისაგან განსხვავებით, რუსეთთან ახალ დაპირისპირებას რელიგიური ხასიათი მიანიჭა. ჩეჩნეთის მთავრობის შემადგენლობიდან მასხადოვის მიერ გათავისუფლებულ უდუგოვს მნიშვნელოვნად შეეზღუდა მოქმედების შესაძლებლობა და არეალი. პროპაგანდისტულ იარაღად მხოლოდ ადგილობრივი სატელევიზიო არხი „კავკასია“, გაზეთი „ისლამური ერი“ და რამდენიმე ინტერნეტსაიტი შემორჩა, რომელთაგანაც ძირითადი საინფორმაციო საშუალება მაინც ტელევიზია „კავკასია“ იყო.

უდუგოვმა თავის თავზე აიღო დაღესტანში დაწყებული ჯიჰადის სრული საინფორმაციო უზრუნველყოფა, მაგრამ პირველი ომისაგან განსხვავებით, ისლამურ ჯიჰადს საინფორმაციო მანქანას აღარ ჰყავდა სერიოზული მხარდამჭერები დასავლეთისა და რუსეთის მედიაში.

ანალოგიურად მოქმედებდა ჯიჰადისტების საინფორმაციო მანქანა ერაყსა და სირიაშიც ხალიფატის გამოცხადების შემდეგ. ასე რომ, როგორც მომავალმა აჩვენა, ჩეჩნეთში მეოცე საუკუნის მიწურულს დაწყებული ჯიჰადი გლობალური ისლამური წინააღმდეგობის მცირემასშტაბიანი რეპეტიცია გახლდათ.

მეოცე საუკუნის კავკასიურ ტერორიზმს რამდენიმე დამახასიათებელი ნიშან-თვისება აქვს. კავკასიელი ტერორისტების მოქმედება, გარკვეულწილად, კიდეც განსხვავდება და კიდეც წააგავს დროის ამ მონაკვეთში მსოფლიოში არსებული ტერორისტული ორგანიზაციების ხელწერას. განხორციელებული ტერორისტული აქტების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი სპეცსამსახურების მიერ გამოძიებულია. ტერაქტების ჩადენიდან რამდენიმე ხანში სამართალდამცავი ორგანოები ახერხებდნენ ტერაქტებში ეჭვმიტანილი პირების დაკავებას. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაშიც და პოლიტიკურ ისტებლიშმენტშიც გარკვეული ეჭვი მაინც რჩება შედეგის რეალურობისა და ობიექტურობის მიმართ. მიზეზი

კი ისაა, რომ სპეცსამსახურების ავტორიტეტი დაცემულია ადგილობრივ მოსახლეობაზე განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხშირი დარღვევებისა და ამ ორგანოებში არსებული კორუფციის მაღალი ხარისხის გამო.

რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც სპეცსამსახური უშუალოდ პრეზიდენტს ემორჩილება და სპეცსამსახურის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი პრეზიდენტის ავკარგიანობაზე, მის გონებრივ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული, კავკასიის რესპუბლიკებში პრეზიდენტის ჯანმრთელობა და გონებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია უშიშროების, თავდაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროების მდგომარეობაზე. საკმარისია, ვინმე დაინტერესდეს სპეცსამსახურის საქმიანობის შავბნელი მხარეებით ან მისი დაფინანსების წყაროებით, ქვეყანაში მაშინვე ხორციელდება ერთი ან რამდენიმე დივერსიულ-ძალადობრივი აქტი, რომელიც ან „მეტიჩარა გამომძიებლის“, ან ქვეყნის უმაღლესი პირების წინააღმდეგაა მიმართული და მავანს უმალ უქრება ინტერესი, ჩაიხედოს უშიშროების ფინანსებში. აგრეთვე თაროზე ხვდება საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ მოთხოვნაც.

კავკასიის რესპუბლიკებში სისტემის, პოლიტიკური კურსის, კონსტიტუციის, პრეზიდენტების, მთავრობებისა და პარლამენტების, საგარეო ორიენტაციის, მინისტრების ცვლილებების მიუხედავად, უცვლელი მხოლოდ სსრკ-ის სუკ-ის ყოფილი თანამშრომლები არიან. სწორედ ისინი შეადგენენ ადგილობრივი უშიშროების სამსახურების მთავარ ბირთვს. „ძველი“, გამოცდილი კადრები ერთგულად ემსახურებიან ყველა პოლიტიკურ სისტემას, პრეზიდენტსა თუ მთავრობას, უშუალოდ უშიშროების სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ ყველა საფრთხეს ადეკვატურად პასუხობენ. ძირითად საფრთხეს კი მათ ხელთ არსებული პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლების შესუსტება წარმოადგენს.

ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები დროდადრო ცდილობენ, ყოფილი სუკის თანამშრომლებს ლაგამი ამოსდონ, ხოლო საქმიანობა მეტად გააკონტროლონ, თუმცა ამაოდ.

სსრკ-ისა და მისი კავკასიური რესპუბლიკების – საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სუკის მოქმედება ჩანაფიქრში არსებული დანაშაულის აღკვეთის მიმართულების იდენტური გახლდათ. ნებისმიერი დისიდენტურად ან სხვაგვარად განწყობილი და მოაზროვნე ადამიანი, მაშინვე აღიქმებოდა საფრთხედ და მის ირგვლივ უშიშროების რამდენიმე აგენტის მობილიზება ხდებოდა.

სასწავლო-სამეცნიერო, ეკონომიკურ თუ ფინანსურ წრეებში, მა-

ღალ თუ დაბალ თანამდებობებზე უშიშროების სამსახურთან დაკავშირებული პირები ინიშნებოდნენ. საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ საბჭოთა და ადგილობრივი სუკი დისიდენტების ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებსაც კი აიძულებდა, მათთან ეთანამშრომლა. ერთი „ანტისახელმწიფოებრივი“ ფრაზა, მმართველი რეჟიმის კრიტიკა, უნებლიე გამონათქვამი ან რაიმე, ქცევის მიღებული წესებიდან უმნიშვნელო გადახვევა, რომ ადამიანს სერიოზული პრობლემა ექმნებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უშიშროება რუსეთში, ასევე სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში „თვითდაფინანსებაზე“ გადავიდა. ყოფილი მზვერავები და კონტრდაზვერვის ოფიცრები წარმატებულ ბიზნესმენებად იქცნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მათ ხელში აღმოჩნდა ფულის საკეთებლად ყველაზე აუცილებელი ორი ინსტრუმენტი – კავშირები და ინფორმაცია. ახალგამოჩეკილმა ბიზნესმენებმა წარმატებით აითვისეს რეგიონისათვის დამახასიათებელი ველური კაპიტალიზმისა და პრიმიტიული ბიზნესის წარმოების წეს-კანონები.

დასავლეთისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სპეცსამსახურები საბჭოური აგენტურული ქსელისა და ძველი, გამოცდილი, კარგად აპრობირებული მეთოდების მეშვეობით საკმაოდ კარგად აკონტროლებენ საკუთარი ქვეყნების მოსახლეობას. იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქ პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე ისეთი მოხდეს, რის კურსშიც არ იქნებიან უშიშროების წარმომადგენლები. თუმცა ახალმა რეალობამ, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და გახსნილმა საზღვრებმა ამ ქვეყნებში არსებული უსაფრთხოების არქიტექტურაშიც კი შეიტანა გარკვეული კორექტივები.

ვედენოში კი, სახალხო დასჯის შემდეგ, მაყურებლებმა ნელ-ნელა დაშლა დაიწყეს. ისინი ყაყანით ეშვებოდნენ სოფლისაკენ. გზად ერთმანეთს საკუთარ ემოციებს უზიარებდნენ და ქვის სროლის შედეგებს უყვებოდნენ. ყველაზე მეტიჩრები მინდორზე მანამდე დარჩნენ, სანამ უბედური, ნაწამები ახალგაზრდების დასახიჩრებული ცხედრები მიწის უკანასკნელმა ბელტმა არ დაფარა. დანარჩენები მეჩეთისაკენ დაიძრნენ, სადაც უკვე რელიგიური ლიდერები ამ სიველურის წმინდა წიგნში მოთხრობილი ამბების ახსნას შეეცდებოდნენ.

მუჰამედს და უცნობს ამ დროისათვის უკვე დატოვებული ჰქონდათ სასაკლაოს მიმდებარე ტერიტორია. ისინი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტისაკენ მიემართებოდნენ, ურუს-მარტანის რაიონში, სადაც ბენ-იუსუფი და ვინმე მაღალი კოჭლი არაბი ეგულებოდათ. მუჰამედმა იცოდა, რომ მაღალი არაბი ავღანეთიდან ჩამოვიდა და ჩეჩენი ძმებისათვის ათამდე

სტინგერი ჩამოიტანა, ხოლო ბენ-იუსუფის ჩამოსვლას მათი საბრძოლო სული უნდა აემაღლებინა.

ურუს-მარტანში მეომრების იმაზე მეტი კონცენტრაცია იყო, ვიდრე ვედენოსა თუ ჩეჩნეთ-დაღესტნის რომელიმე რაიონში. მებრძოლების დიდ ნაწილს აქეთ მოუწევდა გული, რადგან ფუნდამენტალისტების ძირითადი მმართველი ბირთვი ამ რაიონში იყო კონცენტრირებული. ამის გამო, ყველაზე დიდი ფული აქ ტრიალებდა და ყველაზე კარგად იხდიდნენ.

ბენ-იუსუფი საკმაოდ კარგ ხასიათზე დახვდათ. მაღალ არაბთან ერთად ჩამოსული ჯიჰადის ლეგენდა პაკისტანიდან მთელი შუა აზიის გავლით შევიდა კავკასიაში. ასეთ გუნებაზე იშვიათად თუ უნახავს ვინმეს. მისი კარგი განწყობის მიზეზი პაკისტანის პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფთან წარმატებული მოლაპარაკებები გახლდათ. იგი დათანხმდა მოთხოვნას პაკისტანის ტერიტორიაზე მოქმედი მოჯაჰედის ბაზების უსაფრთხოების შესახებ.

ბენ-იუსუფი ჯიჰადის მებრძოლთა მომზადების ცენტრებსაც უწევდა კურირებას და ამიტომ მათი უსაფრთხოება მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მოჯაჰედთა და შაჰიდთა მომზადებას, ყურანის სწავლების კურსების ორგანიზებას, საბრძოლო მომზადებას, საწვრთნელი ბაზების მომარაგებას იგი ხელმძღვანელობდა.

მუჰამედის ბიძა საკმაოდ გამოცდილი მეომარი გახლდათ. ვერ დაასახელებდით იარაღს, რომლის შესახებაც რამე არ იცოდა. სიმაღლით მუჰამედზე რამდენიმე სანტიმეტრით დაბალი იყო. გრძელი, ჭაღარაშერეული წვერი თითქმის მთელ სახეს უფარავდა. მუქი თვალები და წარბები, მზისაგან დახეთქილი ნაოჭებიანი სახე მეტ სიმკაცრეს სძენდა მის გამოხედვას. კუშტი გამომეტყველების მამაკაცი მზად იყო, ნებისმიერი ადამიანი, ქალი, მამაკაცი თუ ბავშვი, უმალ საიქიოს გაეგზავნა, თუკი ეს ისლამის განდიდებას დასჭირდებოდა. ცხენსა და აქლემზე ჯდომისაგან ოდნავ გაღუნულ ფეხებზე მყარად იდგა. მარჯვენა ხელი კი მუდმივად უბესთან დამაგრებულ „სმიტ ვესონთან“ შორიახლოს ეჭირა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლოცვას აღასრულებდა. სხვა, მისი ეროვნების ადამიანებისაგან ერთი რამით გამოირჩეოდა – ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. ამის მიზეზი ავღანეთის ომის დროს მიღებული კონტუზია გახლდათ. მისი სახელის ერთი ხსენებაც კი აკრთობდა და პატივისცემით მსჭვალავდა ავღანელ თუ სხვა ეროვნების მოჯაჰედებს.

მებრძოლებში მასზე მრავალი ლეგენდა დადიოდა. ამბობდნენ, თითქოს ბენ-იუსუფი ერთ-ერთი ბრძოლის დროს კიდეც მოკლეს, მაგრამ წინასწარმეტყველმა მუჰამედმა უშუამდგომლა და უზენაესმა ის მკვდრეთით აღადგინა, დედამიწაზე დააბრუნა, რათა ისლამის გავრცელებისათვის გაეგ-

რძელებინა ბრძოლა. ჩეჩნეთში ვიზიტისას, გარდა ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების ჩატანისა და მაღალი არაბის ჩაყვანისა, ბენ იუსუფს მოჯაჰედების მომზადების დონეც აინტერესებდა. რამდენიმე დღე ის ჯიჰადისტთა მოსამზადებელ ბაზებს უწევდა ინსპექტირებას. კმაყოფილი დარჩა მომზადების დონით და ჰატაბს მადლობაც უთხრა გაწეული სამუშაოსათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას ბენ-იუსუფი თვითმკვლელი ტერორისტების მომზადებას აქცევდა. მათთვის სხვადასხვა ქვეყანაში ცალკე ბანაკები იქმნებოდა, სადაც ისინი მხოლოდ რელიგიურ-ფსიქოლოგიურ მომზადებას გადიოდნენ. ბანაკებში რამდენიმე სახის კამიკაძეს წვრთნიდნენ. ერთნი ისინი იყვნენ, რომლებსაც არაფერი ევალებოდათ, გარდა იმისა, რომ განსაზღვრულ დროს ღილაკზე დაეჭირათ თითი და თავი აეფეთქებინათ. მათ მაგივრად ოპერაციას შტაბი გეგმავდა. მეორენი – რომლებმაც თავად უნდა დაგეგმონ მტრის განადგურების ოპერაცია; შეიძინონ საჭირო საბრძოლო მასალა თუ ტექნიკური აღჭურვილობა და მოიძიონ დამხმარბა. მათ მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ. იმამატის ხელმძღვანელობასთან ისინი მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლის რაოდენობას, ტერორისტული აქტის ადგილსა და რიცხვს ათანხმებენ.

ასეთი ტერორისტები „თხუნელა კამიკაძეების“ რიცხვს მიეკუთვნებიან. ისინი მოსამზადებელი ბანაკიდან გამოსვლის დღიდან ემზადებიან აღსასრულისათვის. მომზადების სპეციალური კურსების გავლისას გონების გამოფიტვა და ობიექტის გამოშტერება შეინიშნებოდა. ამ მიზნის მისაღწევად დრო იყო საჭირო, მაგრამ ისლამური სამყაროს წარმომადგენელი არაერთი მეცნიერი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ეს დრო რაც შეიძლება შემცირებულიყო. ცდები სხვადასხვა ქვეყანაში, უნივერსიტეტებში ტარდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა საბრძოლო სასწავლო ცენტრებში იმპლემენტაცია. გამოიყენებოდა როგორც თანამედროვე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდები, ასევე ჰიპნოზი და სხვადასხვა სახის ჰალუცინოგენური ნარკოტიკები. ძირითადად მაინც LSD, რადგან ამ ნარკოტიკულ საშუალებას და მის ანალოგებს ყველაზე კარგი შედეგი მოჰქონდათ. სამხედრო-დივერსიული ჯგუფების წარმომადგენლებს, როგორც წესი, არ ჰყავდათ ოჯახები, ახლობლები და საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალები იყვნენ.

ბენ-იუსუფის მიერ მოლაპარაკებების წარმართვის მეთოდზე უცნობს ადრეც ბევრი სმენია. როგორც ზევით გითხარით, ის ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ მისი შუშისმაგვარი თვალები და გამჭოლი მზერა ზოგიერთის მიერ ნათქვამ მთელ ტირადას უდრიდა. პაკისტანში ავღანეთიდან გადასულა. გადასვლა რთული არაა, მოჯაჰედებს მოსამზადებელი სამუშაოები წინასწარ ჰქონდათ ჩატარებული ჯერ კიდევ მაშინ,

როდესაც თალიბების რეჟიმი ამერიკის მოკავშირედ ითვლებოდა, ისინი მსოფლიო ჯიჰადისათვის ემზადებოდნენ.

იმ დროს ანტიჯიჰადისტური ალიანსის თვითმფრინავები გზებსა და ბილიკებს ბომბავდნენ. თალიბებს ოსამა ბინ ლადენის დახმარებით ამ დროისათვის უკვე მზად ჰქონდათ გვირაბისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების დიდი ქსელი, რომელიც პაკისტანის ტერიტორიიდან ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილს უკავშირდებოდა. სწორედ ამ გრძელი და მოკლე გვირაბების გავლით, ისე, რომ დღის სინათლე არც კი უნახავთ, დატოვეს ავღანეთი და პაკისტანში გადავიდნენ.

გენერალი მუშარაფი ამერიკელების მომხრედ ითვლებოდა, თუ მთლად არა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მისი ხელქვეითები ასე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ალ-ქაიდასთან. ტერორისტული ჯგუფები პაკისტანში, ისევე, როგორც სხვაგან, ისლამის გამავრცელებელი ორგანიზაციის სახელით მოქმედებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა პრობლემა მაინც შეექმნებოდათ, სუფთა სინდისით დაიფიცებდნენ ყურანზე, რომ არასოდეს დახმარებიან ტერორისტებს და წმინდა რელიგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ისლამის გამავრცელებელი ორგანიზაციების დახმარება ყველა ჭეშმარიტი მუსლიმანის ვალია და ამის გამო მათ და პაკისტანის ხელისუფლებას პასუხს ვერავინ მოსთხოვდა.

პაკისტანში მუშარაფთან შეხვედრა კონსპირაციულ სახლში შემდგარა, იქვე, ახლოს, სადაც შემდეგ ოსამა ბინ-ლადენი იმალებოდა. შეხვედრაზე ბენ-იუსუფს მხოლოდ ერთი სიტყვა უთქვამს:

-კორიდორი! – და თავისი შუშის თვალებით იქვე, კედელზე, ჩარჩოში ჩასმულ ოქროთი მოვარაყებულ ყურანის პირველ სურას ალ-ფატიჰას მისჩერებია.

პაკისტანის პრეზიდენტის თანაშემწე აბდალ-ალაჰი ბენ-იუსუფს ოთახში დახვედრია. უთქვამს, რომ პრეზიდენტს აგვიანდებოდა შეხვედრაზე.

– არა, კორიდორს ვერ მოგცემთ, ამერიკელების, რუსების თანამგზავრები, ჩინელები, ინდოელები და ათასი ჯურის შაითანები გვიყურებენ. ვინმემ რომ გაიგოს, რას ვაკეთებთ... პაკისტანს პრეზიდენტი აღარ ეყოლება, უფრო სწორად, ეყოლება, მაგრამ სხვა. ამას ვგულისხმობ.

– კორიდორი თუ არ იქნება, იქნება ჯიჰადი, – მკაცრი ტონით უთქვამს ბენ-იუსუფს. თვალები აუკვესებია. სავარძლიდან წამომდგარა, რომელშიც საკმაოდ მოუხერხებლად მჯდარა, მაგრამ ამ დროს კარი გაღებულა და თავად პრეზიდენტი მუშარაფი შემოსულა. ბენ-იუსუფი უკვე ფეხზე იდგა და ერთმანეთისაკენ გამართულან, დიდი ხნის უნახავი მე-

გობრებივით, მაგრამ ისლამური ტრადიციების სრული დაცვით მისალმებიან ერთმანეთს.

– სალამ ალეიქუმ ვარაჰმატულა ტალაი ვაბარიქათუ! – უთქვამს მუშარაფს.

– ალეიქუმ სალამ! – უპასუხია ბენ-იუსუფს და ნაწყენი თვალით შეუხედავს პაკისტანის არმიის ფორმაში გამოწკეპილი გენერლისათვის, ეს სულელი თანაშემწე რაებს ბოდიალობდა შენს მოსვლამდეო.

– აბდალ ალლაჰ ზედმეტი ხარ! – უბრძანებია პრეზიდენტს საკმაოდ მკაცრი, ფოლადნარევი ხმით და თავის წარმომადგენლისათვის კარისაკენ მიუთითებია.

აბდალ ალაჰი მორჩილად, ფრთხილი ნაბიჯით დაძრულა კარისაკენ, აქაოდა არავინ შევაწუხოო, მაგრამ კიდევ ერთი საყვედური დაუმსახურებია.

– დროზე გაეთრიე! – ამჯერად უკვე უღრიალია გენერალს.

ამ ჩია, ხმელ-ხმელი, მოკლეულვაშებიანი, ამაყი გამომეტყველების სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცის შეძახილს საბოლოოდ დაუთრგუნავს უბედური ვექილი და ისეთი სისწრაფით გავარდნილა ოთახიდან, რომ ღიმილიც კი გამოუწვევია.

– მაპატიე, რომ გალოდინე, – მიუმართავს სტუმრისათვის.

– ამერიკის პრეზიდენტს ვესაუბრებოდი, პაკისტანის სამხედრო ბაზებსა და საჰაერო სივრცეს ითხოვს. თქვენი ბაზებიც აინტერესებს. ვუთხარი, რომ ამის შესაძლებლობა არ გამაჩნია და ვერაფრით დავეხმარებოდი, – მუშარაფი შეყოვნდა, იცოდა, რომ მის მიერ წარმოთქმული შემდეგი წინადადება ბენ-იუსუფში ზიზღს გამოიწვევდა, ღრმად ჩაისუნთქა და გააგრძელა საუბარი.

– დამემუქრა, შემდეგ ფინანსური დახმარება შემომთავაზა, მაგრამ არ დავთანხმდი.

ბენ-იუსუფი თურმე ამ დროს ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და მხოლოდ კრიალოსნის ტრიალის ტემპის მიხედვით თუ იმსჯელებდი მისი ემოციების შესახებ.

– კორიდორი! – შეუწყვეტინებია საუბარი პრეზიდენტისათვის.

– რა თქმა უნდა, კორიდორი იქნება, ოღონდ თქვენმა მებრძოლებმა იარაღი ჩემს ხალხს ჩააბარონ საზღვრის გადმოლახვამდე და ისე იმოძრაონ პაკისტანის ტერიტორიაზე. ქვეყნის დატოვების შემდეგ ყველაფერს უკლებლივ დაუბრუნებენ.

– შევთანხმდით! – უთქვამს ბენ-იუსუფს, რომელსაც სახეზე აშკარა კმაყოფილება დასტყობია.

ანალოგიური მეთოდებით, შანტაჟით, არეულობის მოწყობის მცდელობით, პოლიტიკოსების, სპეცსამსახურების წარმომადგენლების მოსყიდვით, საერთო ინტერესების გამონახვით ისლამელი ჯიჰადისტები უკვე შემდეგი „არაბული გაზაფხულის“ დროს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნების მიმართულებით მრავალი, ათეულ ათასობით, მოჯაჰედის გადასროლას ახერხებდნენ.

ჩეჩნეთში, პაკისტანსა და ავღანეთში გამოცდილი, კარგად აპრობირებული მეთოდები ერთნაირად კარგად მუშაობდა კავკასიასა თუ თურქეთში, ევროპასა თუ აფრიკის ქვეყნებში.

მეტად საინტერესოა თავად მეთოდი, რომლითაც მოჯაჰედები უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან. წინასწარ დათქმულ ადგილზე მათ ადგილობრივი გამყოლი და სპეცსამსახურის წარმომადგენელი ხვდება. იარაღისა და საბრძოლო ამუნიციის გადაბარების შემდეგ გამყოლს ჯიჰადისტები უსაფრთხო ადგილამდე მიჰყავს. რანდენიმე დღის დასვენების შემდეგ კი სახელმწიფო სტრუქტურები უზრუნველყოფენ ტრანსპორტს, რომელშიც ჯიჰადის მიმდევრები ფულს იხდიან, შემდეგ კი, როგორც ტურისტები, მიჰყავთ საჭირო საზღვრამდე. ნეიტრალურ ტერიტორიაზე კვლავ უბრუნებენ საბრძოლო აღჭურვილობას. ერთმანეთს უსწორდებიან და მშვიდობიანად იშლებიან.

ხდება ხოლმე გაუგებრობაც. მაგალითად, ისეთი, როგორიც ჩეჩნეთის მოსაზღვრე საქართველოში. ლოპოტას ხეობაში ჯიჰადისტებმა უარი განაცხადეს იარაღის ჩაბარებაზე და შეტაკება მოხდა, თუმცა მანამდე და მას შემდეგ ასეთი ინციდენტი არ ყოფილა.

როდესაც ბენ-იუსუფი, მუჰამედი და უცნობი დანიშნულების ადგილზე მიიყვანა, მძღოლმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და ბენ-იუსუფს კარი გაუღო. მისი თანამგზავრები მანქანიდან უსიტყვოდ გადმოვიდნენ და სახლში შევიდნენ. წესისამებრ, ზღურბლთან ფეხზე გაიხადეს. შემდეგ დაბალ ტახტზე წამოსხდნენ. მოართვეს თბილი წყალი და ვარდისა და რომელიღაც ყვავილის ზეთი. ორმა პირბადეაფარებულმა გოგონამ ფეხები დაბანა და თან სურნელოვანი ზეთი აცხო მათ.

ტაბლაზე უხვად იდო მრავალი სახის ხილი, რომელსაც ისეთი არომატი ჰქონდა, თავი საქვეყნოდ ცნობილ კაიროს ბაზარში გეგონებოდა.

მართალია, უცნობს მადა აღეძრა, მაგრამ თავხედობას არ აპირებდა და, სანამ ბენ-იუსუფმა არ აიღო ერთი ფორთოხალი, ცოცხალი თავით პირი არაფერს დააკარა.

საკმაოდ ცხელოდა, მას კი კუშტი მეგზურის გადამკიდე წვეთი წყალი არ დაელია, რადგან გზად არსად შეჩერებულან. თან, ალბათ, ქვეც-

ნობიერად კიდეც ეჯიბრებოდა ბენ-იუსუფს, რომელსაც თურმე რამდენიმე დღე შეეძლო, არ დაეძინა, არ დაელია წყალი, მიუხედავად აუტანელი სიცხეებისა; აგრეთვე, რამდენიმე კვირის განმავლობაში არ მიეღო საკვები, თუკი ეს საქმეს სჭირდებოდა. ეს ჩვევები მან ავღანეთში ომის დროს გამოიმუშავა, ხანგრძლივი ტრავერსებისას უდაბნოსა და კლდეებში, საბრძოლო ვითარებაში, როდესაც თავზე რამდენიმე ათეული ვერტმფრენი ფრინავს, საჭმელსა და სასმელზე ფიქრი ნაკლებად აწუხებს ადამიანს. ხშირად უწევდა მოჯაჰედთა დივერსიული ჯგუფების მეთაურობა და მოჯაჰედები მეთაურისაგან იღებდნენ მაგალითს. რუსულ სამხედრო ვერტმფრენებს შეიარაღებაში მძიმე სწრაფმსროლელი 100-მილიმეტრიანი ათი ქვემეხი აქვს. არც რამდენიმე უნივერსალური ბომბდამშენი სუ-24-ის თითქმის განუწყვეტელი პიკირების ხმაა სასიამოვნო მოსასმენი. ქვას ქვაზე ადუღებდნენ, საკმარისი იყო, რაიმე საეჭვო მოძრაობა შეემჩნიათ მიწაზე. ასეთები კი ავღანეთისა და ჩეჩნეთის ცაშიც მრავლად შეინიშნებოდა.

მოჯაჰედებს საკვებისა და წყლის მცირე ულუფა მიჰქონდათ თან, რათა რაც შეიძლება ბევრი ტყვია-წამალი და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალება წაეღოთ.

ცხენები და ვირები ვერ უძლებდნენ უდაბნოსა და მთებში უწყლოდ და უსაკვებოდ ხანგრძლივ ტრავერსებს და მის მაგივრობას ადგილობრივი მცხოვრებლები სწევდნენ. ნაკლები სასმელი წყალი და საკვები სჭირდებოდათ, ბრძოლა არ შეეძლოთ, მაგრამ ჯიჰადის წმინდა საქმეში თავიანთი წვლილის შეტანა უნდოდათ.

ხანდახან მებრძოლებს რამდენიმე დღე ან კვირა უწევდათ გამოქვაბულებში, ხეობებში ყოფნა, რათა თავისუფლად გადაადგილების საშუალება მოეპოვებინათ, ან მტრის გასანადგურებლად საუკეთესო პოზიცია აერჩიათ. ამ დროს ისინი ხვლიკებითა და უდაბნოს სხვა ქვეწარმავლებით იკვებებოდნენ და ისე ელოდნენ თავიანთ შანსს, გაენადგურებინათ ისლამის მტრები.

ბენ-იუსუფს სპეციალური მომზადება პაკისტანში ჰქონდა გავლილი. თუ ასე შეიძლება ითქვას, კვალიფიკაცია სხვადასხვა ქვეყანაში, ომებში აიმაღლა. არაერთ ბრძოლაში გამობრძმედილისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ სად ჩაებმებოდა ომში, უდაბნოსა თუ მთაში, ტყესა და ღრეში თუ მოსწორებულ ველზე. მისთვის მთავარი ჯიჰადი იყო.

ურუს-მარტანის რაიონში ბენ-იუსუფი სტუმრებს ელოდა. ამ დროს მასპინძელი შემოვიდა და ორი ახალგაზრდა შემოიყვანა. ბენ-იუსუფი სკამიდან წამოიწია, ისლამური წესების სრული დაცვით მიესალმა შემოსულებს და იქვე მდგომ დაბალ არაბულ ტახტზე დასხდომა შესთავაზა.

ორი ახალგაზრდა გაფაციცებით შესცქეროდა თვალებში არაბს.

სტუმრებიც, ბენ-იუსუფის მსგავსად, ტრადიციულ ისლამურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. დაბალი, გამხდარი ახალგაზრდები იყვნენ, ვერც ერთ მათგანს 30 წელზე მეტს ვერ მისცემდი. ტახტზე ჩუმად დასხდნენ. არაბს ისე შესცქეროდნენ, თითქოს ვიღაც იმქვეყნიდან ესტუმრათ და ენა წაართვაო.

ლაპარაკის დაწყებას არ აპირებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეტყობოდათ, ამ შეხვედრისათვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ.

ბენ-იუსუფი, მცირე პაუზის შემდეგ, მუჰამედისკენ შემოტრიალდა და არაბულად რაღაც ჰკითხა. უცნობმა არაბული არ იცოდა, მაგრამ სიტყვა „სტინგერი“ ინტერნაციონალურია და მიხვდა, რომ საუბარი პორტატიულ ანტისაჰაერო თავდაცვის საშუალებას შეეხებოდა.

– ჩემო უმცროსო ძმებო, – თქვა მან, – იცით, რა რთული სიტუაციაა შექმნილი მთელ მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტმა მუსლიმებმა ჯიჰადი გამოაცხადეს. ვინ, თუ არა თქვენ, იცით, რომ კაფირები და მუნაფიკები ყოველდღე ათასობით მშვიდობიან მუსლიმს კლავენ. მათ ცოდვა არ ჩაუდენიათ, ხოლო დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევრები არიან. თავად უზენაესი მოგვიწოდებს, რომ ეს ბრძოლა სასტიკი იყოს და ჩვენ მხოლოდ მისი სწავლების მიხედვით ვმოქმედებთ. წინასწარმეტყველი მუჰამედი, ალექუმ ასალათუ ასალამ, თავად მიუძღვის ყველა მოჯაჰედს ბრძოლაში, ხოლო შაჰიდებს – სამოთხეში. გამოცხადება მქონდა, მთავარანგელოზი ჯიბრაელი ვიხილე, თავად მითხრა, ნუთუ არ გწამს უზენაესის, რომელსაც ემსახურები?! ნუთუ არაა მუჰამედი (ალეიქუმ ასალასუ ასალამ) მისი რჩეული წინასწარმეტყველი?! ნუთუ წმინდა წიგნში, ყურანში არ წერია ერთადერთი ჭეშმარიტება?! ხოლო შარიათი ამ ჭეშმარიტების განხორციელების ერთადერთი გზა არაა?! ნუთუ მხოლოდ ისლამის მაღიარებელ ქვეყნებში და მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებზე არ მოიპოვება ნავთობი?! ამიტომაც არ მეპარება ეჭვი საბოლოო გამარჯვებაში. იცით, რატომ დამარცხდნენ ამერიკელი ინდიელები ევროპელებთან ბრძოლაში? იმიტომ, რომ მათ უზენაესი არ სწამდათ და მუნაფიკები, კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. ასეთი ბედი ელის ყველა უღმრთოს, ვინც ჭეშმარიტებას არ აღიარებს. ამ შეგონების გაგონებამდე თუ ურწმუნოებზე ასჯერ ძლიერი ვიყავი, ამის შემდეგ ათასჯერ ძლიერი გავხდი. ალბათ გაგიგიათ, რომ ტყვია და ავადმყოფობა არ მეკარება, ეს მართალია, რადგან მე მოჯაჰედი, ალაჰის მეომარი ვარ, ვინც მისი წესრიგი უნდა დავამყარო. ახლა მე და მაღალმა არაბმა ათი სტინგერი ჩამოგიტანეთ, მაგრამ ჯიჰადის განახლების შემდეგ კიდევ ბევრი გექნებათ, თუმცა იცოდეთ, რომ მორწმუნეს ქვითაც კი შეუძლია თვითმფრინავის ჩამოგდება.

ბენ-იუსუფისაგან ასეთ მგზნებარე გამოსვლას უცნობი ნამდვილად არ ელოდა. ყოველივე ის იმის დასტური იყო, რომ მართლაც რაღაც, მეტად მნიშვნელოვანი მზადდებოდა და ჩეჩნეთში დაწყებული მოქმედებები მხოლოდ უვერტიურა იყო. ახალგაზრდა მოჯაჰედები პირდაფჩენილები უსმენდნენ ლიდერს. მათთვის ის ნამდვილი ლეგენდა გახლდათ. ჯიბრაელის გამოცხადების შესახებ მოთხრობილმა ამბავმა კი სულ გადარია. ამენ, ამენს გაიძახოდნენ. შეხვედრიდან საკუთარ დაუმარცხებლობაში დარწმუნებულნი გავიდნენ და ალბათ ამ მუხტს კიდევ სხვებსაც გაუზიარებდნენ.

ბენ-იუსუფის მიერ მოყოლილმა მთავარანგელოზი ჯიბრაელის (გაბრიელის) გამოცხადების ამბავმა უცნობს ერთი ისტორია გაახსენა. ისლამის ერთ-ერთი მიმდევარი ქვეყნის ტელევიზიაში რამდენიმე დღის განმავლობაში გადიოდა გადაცემა საოცარი ვაშლის შესახებ. თურმე ერთ-ერთი გლეხის ეზოში ხიდან ვაშლი ჩამოვარდნილა. როდესაც გლეხის შვილი ვაშლთან მივიდა, მიწიდან აიღო და ჩაკბეჩა დააპირა, ზედ ამოტვიფრული არაბული წარწერა დაინახა. „არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“. წარწერა თავად მთავარანგელოზ ჯიბრაელს ამოუტვიფრია ვაშლზე, რათა ამ ქვეყნის მცხოვრებლები რწმენაში გამტკიცებულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ თეოლოგები, რომლებიც სატელევიზიო ეკრანიდან არ ქრებოდნენ.

სხვაგან საოცარ ბატკანზე ყვებოდნენ. მასაც ანალოგიური რამ, ან შეიძლება სულაც ყურანის პირველი სურა ეწერა. მუსლიმი თეოლოგები აქაც ალაჰისა და მისი ანგელოზების შემოქმედებას ხედავდნენ და რწმენაში გაძლიერებისაკენ მოუწოდებდნენ მცირედმორწმუნეებს.

სასწაულები ისლამში, ისევე როგორც სხვა რელიგიებში, მოსახლეობაზე ერთგვარი ზემოქმედების საშუალებაა და ჩეჩნეთშიც ჯიჰადისტთა ხელმძღვანელები, რომლებიც ერთდროულად სამხედრო და სასულიერო ლიდერებს წარმოადგენდნენ, ხშირად იყენებდნენ სასწაულებს საკუთარი გადაწყვეტილების გასამართლებლად.

ისლამი ამ დროისათვის არა მარტო კავკასიაში, არამედ ევროპაშიც კი დომინანტი რელიგია ხდებოდა. დასავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში საკმაო რაოდენობით მუსლიმანი ცხოვრობს.

რად ღირს მარტო საფრანგეთის მაგალითი, იქ ყოფილი ფრანგული კოლონიებიდან ჩასული არაბების რაოდენობამ ძალზე იმატა. მათი დიდი ნაწილი საფრანგეთის მოქალაქეა და საკმაოდ აქტიურ როლსაც თამაშობს ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ცხოვრებაში.

შედარებით უკეთესი სიტუაციაა, თუ ამას ასე შეიძლება ეწოდოს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში, მაგრამ ორივე ქვეყანა მაინც საკმაოდაა გაჯერებული ისლამის მიმდევრებით.

გერმანიაში – თურქები და ალბანელები, ხოლო დიდ ბრიტანეთში პაკისტანელები, პალესტინელი არაბები, ალბანელები და მათ შორის საკმაოდ რადიკალურად განწყობილი ექსტრემისტული წარსულის მქონე პიროვნებებიც არიან.

ამის გამო ამ ქვეყნების ლიდერების დამოკიდებულება რადიკალური ისლამის მიმდევრების მიმართ იმაზე ფრთხილია, ვიდრე მათგან ამას ამერიკელი მოკავშირეები ელიან.

ამას ისიც ემატება, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი ელვისებურად იცვლის ვექტორს ადმინისტრაციის ცვლილებასთან ერთად, ხოლო ბებერი ევროპა ჩამოყალიბებული პოლიტიკური კონიუნქტურით ფეხს ვერ უწყობს ხოლმე ახალ რეალობებს. თან ამერიკას ისლამური სამყაროსაგან ოკეანეები აშორებს, ხოლო ევროპა იქვეა. ასე რომ, ევროპელებს მეტად ფრთხილი და მოზომილი პოზიცია აქვთ. ისინი უფრო მეტად მოკავშირეებს ეძებენ, ვიდრე დაპირისპირებას. რა თქმა უნდა, მთავარ როლს ნავთობით მდიდარ ისლამურ რეგიონებზე ერთგვარი კონტროლის დამყარებაც ასრულებს.

იმავე დღეს ბენ-იუსუფი უცხოელ სტუმრებსაც შეხვდა, რომლებთანაც დეტალურად განიხილა რამდენიმე საკითხი, რომლებიც ჯიჰადისთვის მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

უბრალო ადამიანმა არც კი იცის, რომ ომის დაწყების წინ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ თუ მთავარსარდალმა, პირველ რიგში, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა შეაგროვოს მოწინააღმდეგის შესახებ. ასეთი სახის ინფორმაციის შეგროვებას შესაძლოა რამდენიმე წელი, ან ათწლეულიც კი დასჭირდეს. დროს ვინ ჩივის, დაინტერესებული მხარეები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ, ერთი შეხედვით, თუნდაც სულ უმნიშვნელო ინფორმაციის მოსაპოვებლად. მილიარდები იხარჯება პოტენციური მოწინააღმდეგის რიგებში საბოტაჟისა თუ საზოგადოებრივი დაპირისპირებების ინსპირაციებისათვის. ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ მოწინააღმდეგეს საკუთრივ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი.

ინფორმაცია უნდა შეეხებოდეს მოწინააღმდეგის ცხოვრების ყველა ასპექტს, როგორც სამხედროს, ასევე სამოქალაქოს. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო ჯიჰადის მიმდევრებს პრობლემა არასოდეს ჰქონიათ. ისინი კარგად იყენებდნენ დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ყველა ინსტიტუტს, საქველმოქმედო ფონდებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ბიზნესჯგუფებს. აგრეთვე სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ბაზას. ამისთვის მრავალი სწავლული იურისტი წინასწარ

ჰყავდათ მომზადებული და დაქირავებული. მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაში ფუნდამენტალისტების ინტერესებს, როგორც წესი, საქვეყნოდ ცნობილი, საუკეთესო დასავლურ იურიდიულ სკოლებში ცოდნამიღებული ადვოკატები იცავდნენ.

მოკლედ, ყველაფერი მზად ჰქონდათ, რათა საძულველი მტრისათვის უკანასკნელი, მომაკვდინებელი დარტყმა მიეყენებინათ.

რაც მთავარია, ინფორმაციის მოპოვებაში, რამდენად პარადოქსულიც უნდა იყოს, ჯიჰადისტებს ადგილობრივი პრესაც ეხმარებოდა. ჟურნალისტები ყოველთვის ცდილობენ, პირველებმა მოიპოვონ და გააშუქონ ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემა. ამა თუ იმ სოციალური ფენის ცხოვრების ასპექტები მიანიშნებენ ქვეყნის ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, უსაფრთხოებაში არსებულ სუსტ წერტილებზე. თუ ქვეყნების გარკვეულ რეგიონებში ეკონომიკური დაცემა აღინიშნება, აქაიქ ფინანსების ნაკლებობაა და ამაზე იწერება, მყის ჩნდება ისლამელი ინვესტორი, რომელიც უზარმაზარ თანხას დებს რეგიონის განვითარებაში. ატომური ნარჩენების საკუთარ ტერიტორიაზე გატარების წინააღმდეგ აქციები ისლამური ფულის დახმარებით უმალ ანტიგლობალისტურ და ანტიამერიკულ აქციებად გადაიზრდება ხოლმე. მუშავდება შესაძლო მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სიები, მათი სუსტი და ძლიერი წერტილები.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია პრობლემები, მაგრამ უმთავრესი მათ შორის, რომელიც ჯიჰადისტებს, როგორც თაფლი ბუზს, ისე იზიდავს, ეკონომიკური სიდუხჭირე, ხელსუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების კორუმპირებულობა, რადიკალური ოპოზიციისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ისლამის აღმსარებელთა არსებობაა.

ამ ყველაფრის საფუძველზე მზადდება შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც მსოფლიო ჯიჰადის ხელმძღვანელობას მიეწოდება. რეკომენდაციების საფუძველზე მუშავდება მოქმედების გეგმა. ამას ათვისების, შთანთქმის გეგმას უწოდებენ. ასეთი გეგმა ქვეყნის ეროვნულ-ეთნიკური, ფსიქო-სოციალური, ეკონომიკური, გეოგრაფიული თუ სხვა თავისებურებების გათვალისწინებით იქმნება. თავად ათვისების ოპერაცია რამდენიმე ნაწილად იყოფა. პირველი ეტაპი ქვეყანაში რეზიდენტების შეგზავნაა. რეზიდენტები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ბიზნესმენთა ჯგუფია. ბიზნესმენებს ადგილობრივ ბიზნესმენებთან და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან დიდი ეკონომიკური პროექტების წამოწყება ევალებათ, რათა შემდეგში ისინი მსოფლიო ჯიჰადის ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული გახდნენ. ისინი ასევე ამზადებენ ფონს ოპერაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის. უკავშირდებიან

ანალიტიკური ცენტრების მიერ გამორჩეულ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა თუ სოციალურ ჯგუფებს, უფინანსებენ რამდენიმე პროექტს თავიანთი სახსრებით, თუ საგანგებოდ შექმნილი სხვადასხვა სახის ისლამური და არაისლამური ჰუმანიტარული ფონდების მეშვეობით.

თუ ქვეყანაში არსებობს შეიარაღებული ოპოზიცია, ეს იდეალური ვარიანტია, მისწრებაა, თუ არა – ასეთი იქმნება. მაგრამ ეს ყველაფერი მოსამზადებელი სამუშაოა და სწორედ ამის შემდეგ იწყება ოპერაციის მეორე ეტაპი, სამიზნე ქვეყანაში პოტენციურ მომხრეებთან მუშაობის პროცესი.

რეზიდენტების მეორე ნაწილს ახალი სახის პოლიტიკური თუ სულიერი ლიდერები შეადგენენ. ისლამურ ქვეყნებში ამ საქმისათვის მსოფლიო ჯიჰადის ხელმძღვანელობა ამირებს მიავლენს ხოლმე. ისინი მარცხნივ და მარჯვნივ არიგებენ ფულს. ისეთ წარმოდგენას ქმნიან საზოგადოებაში, თითქოს მათთვის ფული არაფერია.

ნებისმიერი საქმის ან წამოწყებისათვის, რომელსაც გარკვეული თანხა სჭირდება, ორჯერ, სამჯერ ან ბევრად მეტს იხდიან. ამგვარად, გარშემო ფულის მოყვარულ ადგილობრივ მოსახლეობას იკრებენ.

ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკურად ჯიჰადისტებზე ხდება დამოკიდებული ისე, რომ ამას ვერც ხვდება. ხოლო სახელმწიფოს მმართველობა ნებსით თუ უნებლიედ ისლამელებისათვის სასარგებლო პოლიტიკურ კურსს ატარებს. ისინი ხედავენ, რომ ამირები არანაირ თანხას არ იშურებენ და რაც მთავარია, არ ამოწმებენ, მიზნობრივად დაიხარჯა თუ არა ფული.

ერთადერთი, რასაც ამირები ითხოვენ, ისლამის პატივისცემა და თავიდან თხოვნის, შემდეგ მოთხოვნის, ბოლოს კი ბრძანების შესრულებაა. ის, ვინც არ ასრულებს ბრძანებებს, თავს საშინელ მდგომარეობაში იგდებს. იმ დროისათვის, როდესაც ამირები ბრძანებებს იძლევიან, მათზე უკვე სახელმწიფო აპარატი, ქვეყნის ძალისმიერი სტრუქტურები, ისლამური ზაქიათის თანხების შექმნილი ახალგამოჩეკილი პოლიტიკური ლიდერები, ქვეყნის მასმედია, ბიზნესელიტა თუ საშუალო დონის ვაჭრები მუშაობენ.

ამირების ადგილობრივი თუ ემიგრანტი წარმომადგენლები მოწინააღმდეგეების დასაშინებლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასაც არ ერიდებიან.

თუ ესეც არ გაჭრის, მაშინ ადამიანს უარყოფით სახეს უქმნიან საზოგადოებაში მათ მიერ დაქირავებული, ნაყიდი პრესის საშუალებით, რომელშიც რეკლამის განსათავსებლად უზარმაზარ ფულს დებენ.

უცნობს გაახსენდა ბენ-იუსუფის ერთ-ერთი შეხვედრის ისტორია, რომლის შესახებაც მუჰამედმა უამბო მანქანაში მგზავრობისას. შეხვედ-

რა ჩეჩნეთის ერთ-ერთ მოსაზღვრე ქვეყანაში შედგა ადგილობრივი დაზვერვის ხელმძღვანელსა და მოჯაჰედს შორის.

ერთობ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად ჯიჰადისტებს არ ერიდებათ ასეთი შეხვედრების აფიშირება. ისინი პოლიტიკური მარკეტინგის ამ ხერხს რეკლამისათვის იყენებენ. წესით და რიგით, მათ უნდა ერიდებოდეთ სხვა ქვეყნის დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლთან ზოგჯერ მეგობრული კავშირი, რათა ვინმე თავისიანმა შარი არ მოსდოს, მაგრამ პირიქით, ამაყობენ კიდეც ამით.

მუჰამედმა ისე დეტალურად აღწერა შეხვედრა, უცნობმა კიდეც იფიქრა, ჩაწერილი ხომ არ ჰქონდა და ზეპირად ხომ არ ისწავლაო, მაგრამ შეხვედრის დეტალები მართლაც იმდენად საინტერესო იყო, რომ დიდი გულისყურით უსმენდა ახალგაზრდა მებრძოლს.

– გამარჯობა, ბატონო ბენ-იუსუფ, – უცერემონიოდ მიმართა მოჯაჰედს მასპინძელმა. შემდეგ ჩემკენ გამოიხედა და მითხრა, ხომ არ ეწყინება, ასე რომ მივმართეო, – ღიმილით ყვებოდა მუჰამედი.

– არა მგონია-მეთქი, – ვუპასუხე. მასპინძელს თვალი მოვაშორე და ინტერიერის თვალიერებას შევუდექი. ვიცოდი, რომ სადღაც აუცილებლად ექნებოდა კამერა ან რაიმე ჩამწერი, მაგრამ მართალი გითხრა, ძალიან არ მაწუხებდა ეს ამბავი. ბიძაჩემს გაფრთხილებული ვყავდი ამის შესახებ.

ბენ-იუსუფი დაბალ სავარძელში მოკალათებულიყო. მას მასპინძლის მიმართვისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია. ისლამური ტრადიციების თანახმად, ოთახში შესვლისთანავე სალამალეიქუმი წარმოთქვა. მისი აზრით, ეს სრულიად საკმარისი გახლდათ და აღარ იყო აუცილებელი, ვიღაც, თუნდაც მაღალი თანამდებობის პირისათვის ხელი ჩამოერთმია და სალამი გაემეორებინა.

მაღალი, ოდნავ ჩასუქებული, სამოც წელს გადაცილებული ძვირფასს შარვალსა და კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი არ დაბნეულა, გამოწვდილი ხელი ჩემკენ შემოაბრუნა და ჩაილაპარაკა, ვიცი, ამას თავისი წესები აქვს, ჩვენ კი – ჩვენიო. გულმხურვალედ მომესალმა, გადამეხვია, გულში ჩამიკრა, თითქოს რამდენიმე წლის უნახავი მეგობარი ვყოფილიყავი და სავარძლისაკენ მიმანიშნა, დაბრძანდიო.

სავარძლებს შორის პატარა მაგიდა ხილითა და ტკბილეულობით იყო გაწყობილი. რამადანის მარხვა რამდენიმე დღის დაწყებული გახლდათ და ბენ-იუსუფიც, ისევე, როგორც სხვა მართლმორწმუნენი, მკაცრად იცავს წინასწარმეტყველის მიერ დადგენილ ამ წესს და ხილისაკენ არც გაგვიხედავს. მასპინძელმა კი დიდი სიამოვნებით მიირთვა რამდენიმე ნაჭერი დაჭრილი ანანასი, იქვე თქვა, კარგია, ცხიმებს წვავსო. ორი-სამი ჭიქა

ადგილობრივი კონიაკი მიაყოლა. ყოველი ჭიქის დალევამდე და დალევის შემდეგ, ბენ-იუსუფსა და მე ბოდიშს გვიხდიდა ალკოჰოლიანი სუფრის გამართვისათვის, მაგრამ იქვე იხსენებდა კავკასიური სტუმარმასპინძლობის ადათ-წესებს, რაც ბენ-იუსუფს ყველაზე ნაკლებად ანაღვლებდა.

ასეთი სახის უსაგნო საუბრების შემდეგ ალკოჰოლით გამხნევებული საქმეზე საუბარზე გადავიდა.

– არ გეგონოს, რაიმე მზაკვრული მიზნით მოგიპატიჟეთ. თქვენ ჩვენს ქვეყანაში სტუმრები ბრძანდებით და კავკასიური ტრადიციების თანახმად, სტუმარი ღვთისაა.

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ბენ-იუსუფს გახედა, შემდეგ ჩემკენ გამოიხედა, წარბები შეყარა და დააზუსტა: ღვთის, ალაჰის, ღმერთი ერთია. კვლავ ბენ-იუსუფს გახედა და საუბარი განაგრძო.

– ჩვენი, როგორც მასპინძლების ვალია, სტუმარს ყოველგვარი პატივი ვცეთ, მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს, თუ არ ვიცით, რა სურს?! აი, თუ მეცოდინება, რომ გჭირდებათ ჩვენი მხარდაჭერა, შეგვიძლია დაგეხმაროთ თქვენთვის საჭირო მოქმედებებში. მოგანიჭოთ მოძრაობის თავისუფლება, სხვადასხვა საქონელი შეგაძენინოთ. ბევრით ვერ დაგეხმარებით. თქვენ თქვენი გეგმები გაქვთ, ჩვენ – ჩვენი.

უცხოელები ჩვენს ქვეყანაში მაშინვე ხვდება ხალხს თვალში. ერთი მითქმა-მოთქმა ატყდება ხოლმე. რად გვინდა ჩვენ ეს ვაი-ვიში?! ჩუმად ვითანამშრომლოთ. ხან თქვენ გააკეთებთ ჩვენს საქმეს, ხან ჩვენ გაგიმართავთ ხელს. ჩვენთან ამბობენ, ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად – პირსაო. თქვენნაირ პატივსაცემ სტუმრებს მოეხსენებათ, რომ აგენტები ყველგან გვყავს. თუ დაფინანსება იქნება, კარგადაც ვიმუშავებთ.

ბენ-იუსუფმა, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში თავი ჩაქინდრული ჰქონდა, ამოიხედა, თავი დაიქნია, წელში გასწორდა და თქვა:

– კარგი, დავუფიქრდებით თქვენს წინადადებას. ალაჰის ნებით ჩვენი თანამშრომლობა შედგება, – შემდეგ წამოდგა და კარისაკენ გაემართა. გზად კი მითხრა, ეს იმ ჯიშის ხალხია, ოღონდ ფული გააკეთონ და სულს შაითანს მიჰყიდიანო.

მაშინ კი მიხვდა უცნობი, თუ როგორ აღმოჩნდა სამირას მამინაცვლის ხელში და რა როლი ჰქონდა ამ ყველაფერში ადგილობრივ სპეცსამსახურს. არა, ეჭვი ღრნიდა, შესაძლოა უფრო მეტიც, ვიდრე უბრალოდ ეჭვი, მაგრამ მუჰამედის მოთხრობილმა ამბავმა რწმენა განუმტკიცა, რომ მის დაკავებასა და წამებაში ჯიჰადისტებთან ერთად სპეცსამსახურის ხელიც ერია. როდესაც სპეცსამსახურის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი იწყებს შეხვედრებსა და თანამშრომლობას ჯიჰადისტებთან,

დაბალი რანგის წარმომადგენლებს ყველაფრისათვის ხელი ეხსნებათ. უცნობის შემთხვევაში მამედის, მაღალი და დაბალი თანამდებობის პირთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. განგებამ თითქოს გააფრთხილა ის, რომ აწი მეტი სიფრთხილით უნდა ემოქმედა.

ბენ-იუსუფთან და მუჰამედთან ერთად დაღესტანში გაემგზავრნენ. გზად ერთ-ერთ ბინაში შეიარეს, სადაც ტანსაცმელი გამოიცვალეს, რადგან არაბულ ტანსაცმელში გამოწყობილი ჯიჰადისტები რუსებისათვის ადვილი ნადავლი შეიძლება გამხდარიყვნენ. ადგილობრივი მოსახლეობის ტანსაცმელში კი უფრო მარტივად შეძლებდნენ გადაადგილებას. შუადღეს ერთ-ერთ სახლთან გააჩერეს მანქანა. ეზოში შევიდნენ. სახლში კიდევ რამდენიმე ადამიანი დახვდათ. არაბულად დაიწყეს საუბარი, მანამდე, სანამ კიდევ რამდენიმე მამაკაცი არ შემოუერთდა. საღამოს, ნამაზის აღვლენის შემდეგ მოსასვენებელ ოთახში შევიდნენ.

ამასობაში შუაღამე დადგა.

უცნობმა ოთახში სინათლე ჩააქრო, რათა მეზობლების ყურადღება არ მიეპყრო.

მხოლოდ ერთი, პატარა ნათურა დატოვა ანთებული, რომ საჭიროების შემთხვევაში მაგიდაზე გაშლილი საბრძოლო გეგმისა თუ სხვა საბუთების წაკითხვა შეძლებოდათ.

ჯგუფის ჩეჩენი და დაღესტნელი წევრები დროდადრო ჩუმ-ჩუმად გარეთ გადიოდნენ, რათა ბენ-იუსუფის თვალწინ სიგარეტი არ მოეწიათ და ამით მისი გულისწყრომა არ დაემსახურებინათ.

ასეთი დანაშაულისათვის კავკასიის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირად სჯიდნენ. ჩეჩნეთში ყველა უმცროსი ყველა უფროსის წინაშე ერიდებოდა მოწევას, მაგრამ ეს ადგილობრივი ადათებისა და ტრადიციის გამოვლინება გახლდათ. ამ შემთხვევაში კი მწეველი მოჯაჰედები ჯგუფის სულიერი ლიდერის, ბენ-იუსუფისა და აგრეთვე არაბი აბდულ-რაჰმანის გაღიზიანებას უფრთხოდნენ. იცოდნენ, რომ არაბები, ზედმიწევნით იცავდნენ საღვთო ომის, ჯიჰადის, ყველა წესს, ისლამური შარიათის კანონებიდან სულ მცირეოდენ გადახვევასაც კი არავის აპატიებდნენ.

აბდულ-რაჰმანი თავისი შავი ხუჭუჭა წვერითა და გრძელი თმით, რომლის ნაწნავები მხრებზე გადაჰფენოდა, მეომარს არ ჰგავდა, უფრო მეტად ღრმადმორწმუნეს. ლოცვისას წვერებზე ხელი ჩამოისვა და მაშინ შეამჩნია უცნობმა, რომ ორივე ხელზე რამდენიმე თითი აკლდა. ეს კი მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტრავმა გახლდათ.

აბდულ-რაჰმანი ასაფეთქებელ ნივთიერებებს ამზადებდა, შემდეგ – მათი გამოყენებით სხვადასხვა სახის ბომბებს, დაწყებული შაჰიდის ქამ-

რებიდან, დამთავრებული უზარმაზარი ბომბებით, რომლებსაც მთელი მაღალსართულიანი კორპუსის ან დიდი ყაზარმის, აგრეთვე სახელმწიფო უწყების დანგრევა შეეძლო. ასკეტურ-მეომრულ ცხოვრებას მის სახეზე წარუშლელი კვალი დაეტოვებინა; მოღუშული, მხრებში ოდნავ მოხრილი იყო. ხანდახან ფიქრებში წავიდოდა და ყურადღებას არავის და არაფერს აქცევდა. მის შემხედვარეს გეგონებოდა, გაუჩერებლად ლოცულობს და მუდმივ ნეტარებაში იმყოფებაო.

20-იოდე წლის იყო, როდესაც რწმენაში ჩავარდა. მიატოვა მამის მრავალშვილიანი ოჯახი და თავიდან ბოლომდე ისლამის მსახურებისათვის გადადო თავი. მედრესის დამთავრების შემდეგ, როგორც ნამდვილმა მართლმორწმუნემ, რამდენიმე ჰაჯი შეასრულა და ავღანეთში რუსების წინააღმდეგ საომრად გაემართა. იქ გაიცნო ბენ-იუსუფი. მას შემდეგ ბენ-იუსუფი მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს მხოლოდ აბდულ-რაჰმანს ანდობდა. მრავალი ნაღმი, რომლებმაც სასტიკი ზიანი მიაყენეს მოწინააღმდეგესა თუ უბრალოდ სამოქალაქო ობიექტებს, სწორედ აბდულ-რაჰმანის შემოქმედება იყო.

ჯგუფის წევრი სხვა არაბები წარმოშობით, საუდის არაბეთთან შედარებით, ღარიბი იორდანიიდან იყვნენ. აბდულ-რაჰმანისაგან განსხვავებით, მათი ჯიჰადში მონაწილეობა მატერიალური სარგებლობით იყო განპირობებული.

მათგან მაინცდამაინც დიდ თავგანწირვას არავინ ელოდა, მიუხედავად ამისა, თავიანთი არაბული წარმომავლობის გამო, ადგილობრივ მცხოვრებლებში მაინც დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. იორდანიელები დამტვრეული რუსულით საუბრობდნენ. მათი „რომანტიკული მოგზაურობა“ მდიდარი საუდელი არაბი შეიხის, სალაუდინის მიერ იყო დაფინანსებული. შეიხს თავისი მხცოვანი ასაკის გამო აღარ შეეძლო საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოებული ჯიჰადის მებრძოლებისა და მათი ოჯახების დიდ ნაწილს სწორედ ის ინახავდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან არაბი შეიხი წითელი ზღვის სანაპიროზე არსებული რამდენიმე ათეული ნავთობის ჭაბურღილის მეპატრონე გახლდათ.

არაბებს ქალაქში გამოსასვლელად დიდი კონსპირაცია არ სჭირდებოდათ. ტანსაცმელი მაინც ადგილობრივი მოსახლეობისდარი ეცვათ. ეტყობოდათ, რომ უკვე რამდენიმე დღე ელოდნენ სტუმრების ჩასვლას. ამ დროის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქალაქში. დაღესტნის მოსახლეობა ერთმანეთს ძირითადად რუსულად ესაუბრება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩრდილო კავკასიის ეს რესპუბლიკა ძალზე მრავალეროვანია. ასე რომ, ძალისმიერ სტრუქტურებს დადასტურებული ინ-

ფორმაცია თუ არ აქვთ სადმე ტერორისტების თავშეყრის შესახებ, თავს არ იკლავენ მათი ძებნით. შემთხვევით რომც გაეჩერებინათ ქუჩაში, მაინც რუსულად მოუწევდათ ლაპარაკი. თან სახლიდან შორს არც გადიოდნენ, ჰა, ჰა, იქვე, მაღაზიაში ჩასულიყვნენ და რაიმე სასუსნავი ეყიდათ.

აბდულ-რაჰმანი დროდადრო სატელიტურ ტელეფონს გამართავდა. ბენ-იუსუფთან ერთად ცალკე გადიოდა და ხან ინგლისურად, ხან რუსულად და ხანაც მშობლიურ არაბულ ენაზე საუბრობდნენ.

თენდებოდა, როდესაც ყველა ერთ ოთახში შეიკრიბა. ბენ-იუსუფმა და აბდულ-რაჰმანმა შეკრებილებს გეგმის დეტალები გაანდეს. გეგმის თანახმად, რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა წინასწარ შერჩეულ დისლოკაციის ადგილებზე. იერიში უნდა მიეტანათ უცხოური სამხედრო კონტინგენტის წარმომადგენლებზე ამ ქვეყნებში. აგრეთვე აეფეთქებინათ შენობა-ნაგებობები, სადაც სამხედროები იყვნენ განთავსებული. ეს ყველაფერი თვითმკვლელ ტერორისტებს უნდა შეესრულებინათ. სავარაუდოდ რუსეთში, თურქეთში, ევროპის – რამდენიმე და სპარსეთის ყურის ქვეყნებში, საუკეთესო შემთხვევაში, ამერიკაშიც კი.

შეთქმულთა აზრით, ერთიანი შეტევა ამ ქვეყნების ხელისუფლებისა და ხალხის დემორალიზაციას გამოიწვევდა, რაც შესაძლებლობას მისცემდა ჯიჰადისტებს, ახალი ძალით მიეტანათ იერიში ყველა ფრონტზე.

ბენ-იუსუფი მეტად კმაყოფილი იყო გეგმით. თვლიდა, რომ მუსლიმი ერის გაღვიძებისთვის მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია დაგეგმა, თუმცა უცნობმა შეამჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ბენ-იუსუფი და მუჰამედი ოთახიდან გავიდნენ, აბდულ-რაჰმანმა იორდანიელებს დაჯღანული სიფათით რაღაც გადაულაპარაკა. ეტყობა, მთლად კმაყოფილი არ იყო ამ გეგმით, რომელიც მისთვის ხიფათს შეიცავდა.

აბდულ-რაჰმანს ასაფეთქებლების დამზადება ტერაქტის განხორციელების ადგილას მოუწევდა. ამისათვის კი რამდენიმე ადგილზე უნდა ჩასულიყო. იქვე შეეძინა ბომბების დამზადებისათვის საჭირო ნივთიერებები, დეტონატორები და ელექტრომოწყობილობა. ეს კი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რისკიანი საქმე ადრეც შეუსრულებია, მაგრამ ახლა უკვე აღარ იყო ისეთი ახალგაზრდა. მუდმივმა სტრესებმა შეიძლება მის ფსიქოლოგიურ მედეგობაზე გავლენა იქონიეს და ბრძოლიდან გამოსვლასაც ლამობდა. ამასთან ერთად გამოცდილმა ამფეთქებელმა ისიც იცოდა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები რისკის ზონებს შედარებით კარგად აკონტროლებდნენ და შესაძლოა აფეთქებების ოსტატს იმაზე ადრე ამოეყო თავი ციხეში, ვიდრე რაიმეს დამზადებას შეძლებდა. ციხეში მოხვედრა კი ნამდვილად არ ეპიტნავებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ბენ-იუსუფი უკვე აღარ ეწეოდა ჯიჰადს, მრავალმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ ასეთი რისკების გათვალისწინებით შეცვალა საკუთარი მოქმედების სტილი. აფეთქებები ცივმა იარაღმა და სატვირთო და მსუბუქმა ავტომობილებმა შეცვალა. ამ მეთოდით მსხვერპლთა რიცხვი შესაძლოა ნაკლები იყო, მაგრამ ტერაქტის შესახებ წინასწარი ინფორმაციის მოპოვება სპეცსამსახურებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

ისლამური სახელმწიფოს, პალესტინელი არაბების წარმომადგენლების მიერ ათეულობით ამ სახის ტერაქტი განხორციელდა ისრაელსა და ევროპის დედაქალაქებსა თუ სხვა მეგაპოლისებში. ადგილობრივი უშიშროების თანამშრომლები უსუსურები აღმოჩნდნენ ამ, ახალი სახის დანაშაულთან ბრძოლის წინაშე.

უცნობს ამ დროს თავში ერთი აზრი უტრიალებდა, რამენაირად დაეღწია თავი ამ სიკვდილის ბუდისათვის, დაეტოვებინა ჩეჩნეთ-დაღესტანი, გადასულიყო რომელიმე, ცივილიზაციასთან ახლოს მყოფ ტერიტორიაზე და იქიდან დაკავშირებოდა ოთხ ადამიანს, რომლებმაც მის თავგადასავალს შთაბერეს სული. ერთი მხრივ, მეტად გახარებული იყო, რომ მათთვის საინტერესო რამ გაიგო და ყველაფერი შეიძლება დასრულებულიყო, ხოლო მეორე მხრივ, მართლა გულით ეცოდებოდა მომავალი შეტევის მსხვერპლნი. თან სულ სამირაზე ფიქრობდა. აინტერესებდა, სად იყო და რა მდგომარეობაში. იქნებ რაიმე სჭირდებოდა და დახმარება შეეძლო. მოკლედ, ერთი სული ჰქონდა, დაეტოვება ეს ადგილი.

მუჰამედს სთხოვა, ცალკე გამოსულიყო და უთხრა, რომ აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო გროზნოში, სადაც მისი ძველი მასპინძელი, მოხუცი მოლა და მისი ქალიშვილები უნდა მოენახულებინა. ისიც უთხრა, რომ ძალიან სურდა სამირას ადგილსამყოფელის დადგენა. ის ძალიან უყვარდა და აპირებდა, თავისი ბედი მისთვის დაეკავშირებინა. ამისათვის სხვა შანსი შეიძლება არც მისცემოდა. საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ შესაძლოა სამირას დეიდებს და მოხუც ბაბუას გროზნო დაეტოვებინათ და სადმე, უფრო უსაფრთხო ადგილას გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

მუჰამედმა ყველაფერი ბენ-იუსუფთან შეათანხმა. რამდენიმე ხანში უთხრა, რომ უცნობს წასვლა შეეძლო. ბენ-იუსუფს დაემშვიდობა. წარმატება არ უსურვა, უბრალოდ უთხრა, რომ იმედია, კიდევ შეხვდებოდნენ. მოჯაჰედმა, წესისამებრ, უსიტყვოდ თავი დაუქნია. მხარი მხარს მიადეს. შემდეგ მუჰამედს გადაეხვია და სახლიდან გამოვიდა.

მუჰამედმა დამშვიდობებისას მანქანითა და მძღოლით მომსახურებაც შესთავაზა, მაგრამ უცნობმა იუარა.

– აქ უკვე ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში, – უთხრა.

იქვე გააჩერა ტაქსი და საზღვრისაკენ წაყვანა სთხოვა. საზღვართან სხვა მანქანაში გადაჯდა. როდესაც საზღვარის გადასაკვეთად მივიდნენ, მანქანიდან გადმოვიდა, ფეხით გაიარა სასაზღვრო კონტროლი. საზღვრის მეორე მხარეს, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა რაღაც ჯარიმა გამოუწერეს. გადახდა მოუწია, თუმცა არც დაინტერესებულა, რისთვის გამოუწერეს. უცებ, ადგილზე გადაიხადა. მესაზღვრეებს პასპორტი გამოართვა და კვლავ ტაქსიში ჩაჯდა, რომელიც იქვე ელოდებოდა.

სადღაც, ბაქომდე არმისული, ერთ-ერთ კაფესთან შეჩერდა. ხსნადი ყავა დალია და მცირე შესვენების შემდეგ ტაქსის მძღოლს სთხოვა, რაც შეიძლება ჩქარა წასულიყო ბაქოსაკენ. მან უთხრა, რომ ეს მათ გაჩერებას, საბუთების შემოწმებასა და შესაძლო დაჯარიმებას გამოიწვევდა, მაგრამ უცნობი მაინც თავისაზე იდგა, ტაქსის მძღოლს კიდევ ზედმეტი ფული ჩაუჯიბა. სხვა რა გზა ჰქონდა მძღოლს, მანქანა სიჩქარის გადაჭარბებით გააქროლა ბაქოსაკენ.

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ტაქსის მძღოლის სიტყვები აუხდა უცნობს. ბაქოს შესასვლელთან მათი მანქანა მართლაც შეაჩერეს. პოლიციელებმა უცნობს საბუთები შეუმოწმეს. ამჯერად მან, პასპორტის გარდა, არავითარი საბუთი არ წარუდგინა. პოლიციელებსაც საკმაოდ უხეშად დაელაპარაკა. ყველა სიტყვაზე გამოეკიდა. არც ფული შესთავაზა. ასე რომ მოქცეულიყო, რა თქმა უნდა, დათანხმდებოდნენ და გაუშვებდნენ. თითქოს ყველაფერს აკეთებდა, რომ დაეკავებინათ.

ჰკითხეს, საიდან მოდიოდა და რა უნდოდა აზერბაიჯანში. როდესაც გაიგეს, რომ ჩეჩნეთ-დაღესტნიდან იყო, მაშინვე ხელმძღვანელობას შეატყობინეს. თან ჩეჩნეთიდან ჩამოსული აგრესიულად განწყობილი უცნობი საფრთხის მომტანად მიიჩნიეს.

ხელმძღვანელობამაც არ დააყოვნა და უცნობის დაკავება და მათთან მიყვანა მოითხოვა. პოლიციის მანქანაში ჩასვეს. დაკავების ოქმი შეადგინეს. აქეთ-იქიდან თითო სამართალდამცავი მიუსხდა და ფორმალობის ყველა დეტალის დაცვით გადაიყვანეს რაიონული პოლიციის შენობაში. იქ კი უცნობი საგამოძიებო იზოლატორში მოათავსეს და უთხრეს, რომ საღამოს მას უშიშროების სპეციალური წარმომადგენელი დაკითხავდა და უმჯობესი იყო, ყველაფერი მოეყოლა, თორემ ციხე არ ასცდებოდა.

უცნობმა მათ თავი დაუქნია. უთხრა, რომ მზად იყო თანამშრომლობისათვის, თუმცა კი იცოდა, რომ საღამომდე ბევრი რამ შეიცვლებოდა.

პარტნიორებთან კონტაქტზე გასვლის ასეთი მეთოდი პარიზში, მოტელში მოიფიქრეს. შედარებით ცივილიზებულ ქვეყნებში მის პარტნი-

ორებს ყველგან ჰყავდათ საკუთარი თვალი და ყური. მისი დაკავების შესახებ აუცილებლად გახდებოდა მათთვის ცნობილი. სხვა გზა აღარ დარჩენოდა. ტელეფონით ვერ დაუკავშირდებოდა, ეს აკრძალული ჰქონდა. არც ისლამელთა დაზვერვას ეძინა. მამედის მიერ მისი დაკავების შემდეგ მეტად ფრთხილი გახდა და ითვალისწინებდა ყველაფერს, ნებისმიერ შემთხვევითობას აქცევდა ყურადღებას. დარწმუნებული იყო, ბენ-იუსუფი და მუჰამედი თუ არა, სხვა ვინმე მაინც აედევნებოდა დაღესტნიდან.

რამდენიმე საათი აყურყუტეს იზოლატორში, სხვა დაკავებულებისაგან განსხვავებით, ვერ გეტყვით, რომ უპატივცემულოდ ეპყრობოდნენ, უფრო სწორად, საერთოდ იგნორირებას უკეთებდნენ. სხვები სათითაოდ გაჰყავდათ კარცერში და იქიდან კარგად გვარიანად ნაბეგვი შემოჰყავდათ ხოლმე.

ჯურღმულში, რომელსაც კარცერი ერქვა, ერთხელ უცნობიც გაიყვანეს, მაგრამ მარტო დატოვეს რამდენიმე ხანი. შემდეგ უთხრეს, რომ წესია ასეთი, ვინმემ არ იფიქროს, რომ შენ განსხვავებულად გექცევითო, ეს ჩვენს ავტორიტეტზე უარყოფითად იმოქმედებსო. ჰყავდათ ასე ნახევარი საათი და შემდეგ საკუთარ კამერაში დააბრუნეს, სადაც ის მარტო იჯდა. აზერბაიჯანელი ძალისმიერები უფრთხოდნენ ჩეჩნეთიდან წამოსულებისათვის შეურაცხყოფის მიყენებას. ვინ იცის, ასეთი რამ რა შედეგით შეიძლება დასრულებულიყო. ის კი არა, მართლა დამნაშავესაც კი, რომელიც ჩეჩნეთიდან იყო, დიდი ხნით ვერ აკავებდნენ. ალიევის ხელისუფლება პრობლემებს ერიდებოდა.

ამასობაში დაღამდა კიდეც. უცებ იზოლატორში ჩოჩქოლი ატყდა. ყველამ აქეთ-იქით სირბილი და ფაფხური იწყო. ალაგებდნენ, წმენდნენ, ყვიროდნენ, ჭყიოდნენ. საჭმელი შემოიტანეს, საკნებში თეთრეული შეყარეს და ყველას მოსთხოვეს, რკინის ლოგინებისთვის გადაეფარებინათ. თან კარგად იკურთხებოდნენ.

უფროსის მაგიდაზე ჭიქები და ჩაიდანი დააწყვეს, კონიაკიც, თეფშზე – ხალვა და ნამცხვარი. რა თქმა უნდა, არა სომხური, არამედ აზერბაიჯანში დამზადებული.

გუშაგებმა ფორმები გაისწორეს, ცვლის უფროსმა თმა დაივარცხნა, დაბალფასიანი ოდეკოლონი შეისხა. შეისხა კი არა იმდენი დაისხა, რომ ყველაფერი ყარდა. მოუწია, ერთ-ერთი თანამშრომელი გაეშვა და ახლა უკვე ჰაერის გამწმენდი მოეტანათ, რათა მისი მყრალი ოდეკოლონის სუნი გაენეიტრალებინა.

მოკლედ, ასეთი სახის სანიტარიული დამუშავების შემდეგ, იზოლატორში ისეთი სუნი იდგა, მკვდარსაც კი გააცოცხლებდა.

უცნობი მიხვდა, რომ ვიღაც მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი უნდა სწვეოდათ და ცვლის უფროსი ამიტომ იყო ასეთი შეწუხებული. სტუმრის მოსვლამდე ორმოცდახუთი წუთით ადრე მთელი ცვლა საკნების წინ მოაწყო. რაღაცას უხსნიდა აზერბაიჯანულად. ხან ყვიროდა, ხანაც მენტორული ტონით საუბრობდა. სამში ერთი სიტყვა საკუთარი პრეზიდენტის სახელი და გვარი იყო. ალბათ ჭკუას არიგებდა გუშაგებს, ან უხსნიდა, რომ პრეზიდენტის ვინმე ახლობელი თანამდებობის პირი უნდა მოსულიყო.

ეს გასაკვირი არც იყო, რადგან აზერბაიჯანში ყველა მაღალ თანამდებობაზე ალიევის ნათესავია დანიშნული. სხვას არ ენდობიან. საკუთარ ნათესავებსაც კი არ ენდობიან და სხვა რა მოსატანია.

მოკლედ, ყველაფერი მზად იყო მაღალი რანგის სტუმრის მისაღებად. რაციაში ცვლის უფროსს რაღაც უთხრეს, ის კარისაკენ გაიქცა, ის იყო უნდა გაეღო, რომ მეორე მხრიდან დაასწრეს, ვიღაცამ მთელი ძალით წიხლი ჰკრა რკინის მძიმე მორყეულ კარს. კარი კედელს მიეჯახა და მაღალმა, კოსტიუმში გამოწყობილმა, სუფთად გაპარსულმა მამაკაცმა შემოჰყო თავი. როგორც შემოჰყო, ისევე უკან გახტა. ეტყობა, ისიც მეტად შეაწუხა იზოლატორში არსებულმა სუნმა. უცნობმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ აიფარა პირზე ხელი და ერთი მაგრად უთავაზა დამხვდურს კეფაში, რომელსაც მორჩილად ჰქონდა თავი დახრილი. გარეთ გაიხმო. მაგარი ყვირილი ისმოდა.

აკანკალებული და აწითლებული ცვლის უფროსი ოთახში შემოვარდა, საკუთარ მაგიდასთან მივარდა, ცდილობდა, სწრაფად აეღო გასაღებების აცმა, მაგრამ ისე ნერვიულობდა, რომ ხელიდან წარამარა უვარდებოდა. როგორც იქნა, ერთი გასაღები გამოარჩია და უცნობის საკანთან მოვარდა. სასწრაფოდ გააღო კარი და სულ მუჯლუგუნებით წაიყვანა გასასვლელისაკენ. გასასვლელთან არმისული, მოტრიალდა და უკან გაბრუნდა.

იზოლატორის შესასვლელთან რამდენიმე შავი მანქანა იდგა. მათ წინ – რაციებიანი კი ასევე კოსტიუმში გამწყობილი მამაკაცები. ერთ-ერთი უცნობისაკენ გამოეშურა. ახლოს მოვიდა, მიესალმა და უთხრა, რომ მანქანაში ელოდებოდნენ. უცნობმა არც აცია, არც აცხელა და უსიტყვოდ გაემართა ავტომობილისაკენ. კარი გაუღეს და ისიც ჩაჯდა. მანქანაში ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. ისიც მიესალმა უცნობს. დაცვის ერთ-ერთი წევრიც მანქანაში ჩაჯდა და ესკორტი დაიძრა.

მანქანაში უცნობს უთხრეს, რომ ის აზერბაიჯანის დაზვერვის უფროსთან მიჰყავდათ შეხვედრაზე, სადაც მას თავად ხელმძღვანელი და მისი მეგობრები ელოდნენ.

დაზვერვის სამსახურის შენობასთან მიახლოება მის წინ რამდენიმე პოლიციის მანქანამ, სამხედროების ბლოკპოსტმა და ბლოკპოსტზე მდგარმა ჯავშანმანქანამ მიახვედრა. მრავალსართულიანი შენობის წინ ძვირფასი მანქანების სადგომი იყო მოწყობილი. ზოგი მანქანა გადიოდა, ზოგიც მოდიოდა, ზოგში საქაღალდეებით დატვირთული ასევე კოსტიუმიანი მამაკაცები სხდებოდნენ, ძირითადად უკან, ზოგიერთიდან, ასევე საქაღალდეებით ხელში, თანამშრომლები გადმოდიოდნენ. შენობის წინ ჭიანჭველების ბუდესავით გამოიყურებოდა სიტუაცია. ყველა საქმიანად, მოზომილად დიდი ნაბიჯით დადიოდა. მიდიოდნენ-მოდიოდნენ. ერთმანეთს მოკლედ ესალმებოდნენ და მხოლოდ შესასვლელთან, საშვთა ბიუროს წინ ან დაცვის ჯიხურთან იწყებდნენ საუბარს.

შენობაში შესვლისას უცნობიც საშვთა ბიუროსთან მიიყვანეს. საშვი უცებ გამოუწერეს. დაცვის წევრმა ბოდიში მოუხადა და უთხრა, ხომ იცით, ჩვენთან კანონის უზენაესობის პრინციპი მოქმედებს და ამიტომ ყველა წესს ვიცავთო. ამის შემდეგ ლიფტში შევიდნენ. რაღაც სპეციალური კოდი აკრიფა, მაგნიტური საშვი ლიფტის პანელს მიადო და ბოლო სართულისაკენ დაიძრნენ.

მდიდრულად გაწყობილ კაბინეტში უცნობი მდივანმა და დაცვის თანამშრომელმა შეაცილეს. კაბინეტში პირველი, რამაც უცნობის ყურადღება მიიქცია, ჰეიდარ ალიევის უზარმაზარი პორტრეტი და ბროლის გიგანტური ჭაღი იყო, რომელიც მზესავით ანათებდა. ბროლის ჭაღის ფერად-ფერადი ანარეკლები სახეზე და ფიგურაზე ეცემოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის უზარმაზარ პორტრეტს. ნამუშევარი ისე კიაფობდა, თითქოს ზღვის ტალღებში ჩასვენებული მზის ანარეკლი იყო.

ოთახში, გრძელი მაგიდის თავში, ძვირფასი ხის სავარძელში აზერბაიჯანის მთავარი მზვერავი იყო დაბრძანებული, აქეთ-იქიდან კი, სკამებზე ოთხი ნაცნობი ადამიანი შენიშნა.

მაგიდასთან მსხდომები ფეხზე წამოდგნენ და უცნობს ხელი დაუქნიეს, აქეთ მოდიო. სამი მამაკაცი და ერთი ქალი მისკენ იხედებოდნენ. ეტყობოდათ, ერთი სული ჰქონდათ, გაეგოთ, თუ რისთვის გამოიყენა უცნობმა შეხვედრის ასეთი ხერხი, მაგრამ ამავდროულად, ცოტას ნერვიულობდნენ, ეტყობა, არ უნდოდათ, შემოსულს საუბარი ამ კაბინეტში წამოეწყო.

მაგიდასთან მისული უცნობი, პირველ რიგში, აზერბაიჯანის დაზვერვის უფროსს ეახლა. ხელი ჩამოართვა და მისი პერსონით დაინტერესების გამო მადლობა გადაუხადა. შემდეგ ნაცნობები ჩამოიარა. პირველ რიგში ქალბატონს მიესალმა, შემდეგ – დანარჩენებს. მაგიდის მეორე ბოლოს სავარძელი გამონია და ჩამოჯდა.

– ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, – დაიწყო საუბარი აზერბაიჯანელმა მასპინძელმა, – ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, – თქვა და მაგიდის ორივე მხარეს მსხდომებს გადახედა, მათაც თავი დაუკრეს მადლობის ნიშნად, – თქვენი საქმით დავინტერესებულიყავი. აზერბაიჯანი კანონის ქვეყანაა. ჩვენთან სიჩქარის გადაჭარბება არ შეიძლება, ისევე, როგორც სხვა კანონდარღვევა. ამას სამართლიანი რეაქცია მოჰყვება. ჩვენც ვიცავთ მოძრაობის წესებსა და კანონებს. თქვენ ცოტა აგრესიულიც ყოფილხართ.

– ასე მაინც სად გეჩქარებოდათ?! – ჩაიცინა, – სხვას თუ არა, საკუთარ ჯანმრთელობას მაინც უნდა გაუფრთხილდეთ. ისევ გადახედა დამსწრეებს.

– მადლობა, ბეი, ასე სწრაფად რომ გამოეხმაურე ჩვენს თხოვნას. ამ ყმაწვილს ჩვენ მივხედავთ, ვასწავლით ზრდილობასა და მოძრაობის წესებს, – თქვა და ადგა ამერიკელი, რომელიც ყველაზე მეტად ნერვიულობდა, უცნობს რაიმე ზედმეტი არ წამოსცდენოდა.

– არა, მაინც სად გეჩქარებოდათ?! – კვლავ იკითხა ბეიმ.

უცნობი მიხვდა, რომ რაღაც პასუხი უნდა გაეცა, თორემ გამოვიდოდა, რომ სიმართლეს მალავდა. ეს კი აზერბაიჯანის დაზვერვის უფროსის მიერ შეურაცხყოფად შეიძლება ყოფილიყო აღქმული, ხოლო ასეთი მაღალი თანამდებობის პირის შეურაცხყოფა, თანაც აღმოსავლურ ქვეყანაში, აუცილებლად გამოიწვევდა უარყოფით რეაქციას.

– გოგო, რომელიც ძალიან მომწონს, ჩეჩნეთიდან დევნილად წასულა, აზერბაიჯანის გავლით და მის დაწევას ვცდილობ, – არ დაიბნა უცნობი. ამერიკელმა შვებით ამოისუნთქა.

ბრიტანელმა დააყოლა, თან მუსლიმია გოგონაო.

– რელიგიას არ აქვს მნიშვნელობა, – მთავარია გრძნობა, – დაასკვნა ბეიმ, – თუმცა ესიამოვნა, რომ მუსლიმმა გოგონამ მოახერხა, მოენუსხა არამუსლიმი.

– კარგით, აღარ შეგაყოვნებთ, თუმცა არ იყო საჭირო ასე შეწუხება და ჩამობრძანება, თქვენ ჩემი მეგობრები ხართ და ტელეფონის ზარიც საკმარისი იყო, რომ დაგხმარებოდით, – თქვა და ფეხზე წამოდგა, – ახლა დაკავებული ვარ და საღამოს ვახშამზე გეპატიჟებით. არ მითხრათ უარი, რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა თუ არ გამომიძახა. სტუმრებმაც არ დააყოვნეს, ისინიც წამოდგნენ. უღრმესი მადლობა გადაუხადეს შეწუხებისა და ვახშმის შეთავაზებისათვის. დამშვიდობების ცერემონია კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა. ბეიმ კაბინეტის კარამდე მიაცილა. სტუმრებმა უთხრეს, რომ საღამოს აღარ შეაწუხებდნენ საქმეებით

დატვირთულ დაზვერვის უფროსს. მან კიდევ ერთხელ გაუმეორა, რომ ცალყბად არ დაუპატიჟებია, მაგრამ თუ სტუმრებს ეჩქარებოდათ, სხვა რა გზა იყო, საკუთარი მანქანა შესთავაზა და სტუმრები მისი მანქანით პირდაპირ აეროპორტში გაემგზავრნენ.

რამდენიმე ხანში უკვე თვითმფრინავში აღმოჩნდნენ. ბიზნესკლასში რამდენიმე მგზავრი ისხდა. არც ერთი საუბრობდა. ოთხი მამაკაცი და ქალბატონი სავარძლებში მოკალათდნენ. სიტყვა არ დაუძრავთ. თითქოს ელოდნენ აზერბაიჯანის საჰაერო სივრცის დატოვებას. აფრენიდან რამდენიმე წუთში სტიუარდესამ სასმელები მოართვა. უცნობი ხარბად მიეტანა ალკოჰოლიან სასმელს, რომელიც ძალიან გემრიელად მოეჩვენა. ისლამურ მიწაზე რამდენიმეთვიანი ყოფნის შემდეგ ალკოჰოლი ღვთიურ ნექტრად მოეჩვენა. შემდეგ თვალები დახუჭა და წაუძინა. ძილის დროს არავის შეუწუხებია. მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები, როდესაც თვითმფრინავის ბორბლები საფრენ ბილიკს შეეხო და დამუხრუჭება იწყო.

ხუთივემ სასწრაფოდ დატოვა თვითმფრინავი. აეროპორტში, ფოიეში გამოსული თანამგზავრები სწრაფი ნაბიჯით იქვე, კაფესკენ გაეშურნენ. ერთ მაგიდასთან დასხდნენ. ყავა შეუკვეთეს.

– აბა, რა ხდება, გვითხარი. ბენ-იუსუფი ნახე? გაიცანი? რას აპირებენ?! – დააყარეს შეკითხვები უცნობს.

მანაც უამბო, რომ რამდენიმე დედაქალაქსა და მეგაპოლისში დიდი ტერაქტებია დაგეგმილი, რომ ასაფეთქებელ საშუალებას ვინმე აბდულ-რაჰმანი ამზადებს, რომ დივერსიული ჯგუფების ნაწილები უკვე გადასროლილია ამ ქალაქებში, რომ თავდასხმა სამხედრო დასახლებებზე უნდა განხორციელდეს. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი და დამფინანსებელი ბენ-იუსუფია. შემსრულებლები კი თვითმკვლელი შაჰიდები იქნებიან.

– ამ ტერაქტებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თითქოს რაღაცის დაწყების ნიშანია. არ უთქვამთ, რისი, მაგრამ ეტყობა, კარგი ამბავი არ იქნება.

რამდენიმე სიტყვით ბენ-იუსუფზეც მოჰყვა. თქვა, რომ ის განსხვავდებოდა სხვა ჯიჰადისტებისაგან.

– ის რაღაც სხვანაირია. არაა ისეთი, როგორც სხვები. მისტიკურია. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მიუხედავად ათასი უბედურებისა, რაც მას გაუკეთებია და ჩაუდენია, პატივისცემას მაინც იმსახურებს. არ მგონია, უსამართლო ადამიანი იყოს. მართლა სწამს იმ გზის, რომელზეცაა შემდგარი. მორწმუნეა, ოღონდ ჭეშმარიტი მორწმუნე.

უცნობი საუბრობდა, ხოლო მისი ოთხი თანამგზავრი გაფაციცებით უსმენდა. სადღაც ერთი საათი ისაუბრეს. ყველა დეტალი გამოჰკითხეს. განსაკუთრებით, აბდულ-რაჰმანის და მისი ჯგუფის წევრების შესახებ.

უცნობმა შაჰიდების ვინაობა არ იცოდა, არც ნანახი ჰყავდა, მაგრამ იქ, დაღესტანში არაერთხელ თქვეს, რომ შაჰიდები დიდი ხანია ცხოვრობდნენ იმ ქვეყნებში, სადაც ტერაქტები უნდა მომხდარიყო. ისინი ამ ქვეყნების მოქალაქეებიც იყვნენ და ერთადერთ პრობლემად ასაფეთქებელი საშუალების დასამზადებელი კომპონენტების შეძენასა და ბომბების გაკეთებას ასახელებდნენ.

საუბრის შემდეგ წამოდგნენ, უცნობს მადლობა გადაუხადეს. უთხრეს, რომ შეეძლო დაესვენა, ისინი თვითონ დაუკავშირდებოდნენ და დაიშალნენ.

ამ დღიდან ყველა ქალაქში, სადაც სავარაუდო თავდასხმა იყო მოსალოდნელი, თითქმის ყოველდღე ტარდებოდა სპეცოპერაციები. ბევრი ჯიჰადისტი და მათი თანამოაზრე დააკავეს და დაკითხეს, თუმცა მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ ინფორმაციას არც ერთი ფლობდა.

ამ დროს ბენ-იუსუფს კავკასიის ტერიტორია უკვე დატოვებული ჰქონდა. ის ერთ-ერთ ქვეყანში გაემგზავრა, რადგან წმინდა ადგილის მოლოცვას აპირებდა. ხოლო აბდულ-რაჰმანი კი ჯერ დაღესტანში იმყოფებოდა.

დროდადრო, ბრძოლებსა და ომებს შორის ბენ-იუსუფი დროს ნახულობდა, რომ ომზე უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის, სულის გადარჩენისათვის, სხვა გზითაც ეღვაწა. თან დივერსიული აქტისათვის საჭირო თანხა აბდულ-რაჰმანს მისგან უკვე მიღებული ჰქონდა. ახლა მხოლოდ ლოდინი იყო საჭირო, თუ როდის დაამზადებდა აფეთქებების სპეციალისტი ნაღმებს სხვადასხვა ქვეყანაში და შემდეგ, ერთ დღეს რამდენიმე ადგილას ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო აფეთქებები.

სალოცავად ბენ-იუსუფი მარტო დადიოდა. არ უყვარდა, როდესაც ვინმე მისსა და უზენაესის ურთიერთობაში ერეოდა. ამბობენ, რომ განსაკუთრებით ძველ მეჩეთებში უყვარდა სიარული, იქ, სადაც არავითარი პომპეზურობა არ იყო. თავისთვის, კუთხეში ან სვეტთან გაშლიდა სალოცავ ხალიჩას და აღასრულებდა ხოლმე ნამაზს. ხალიჩას ეტყობოდა, რომ თავის დროზე მეტად ძვირი ღირდა. სპარსული იყო. ახლა ფერები გახუნებული, გაცრეცილი, მაგრამ არაბისთვის მეტად ძვირფასი. ერთადერთი ნივთი, რასაც იარაღთან ერთად ალბათ ვერასდროს შეელეოდა.

მეჩეთის ეზოშიც ბევრჯერ უნახავთ უბრალოდ ჩამომჯდარი, როდესაც თითქოს არაფერზე ფიქრობდა, მაგრამ სინამდვილეში, ვინ იცის, რით

იყო სავსე არაბის გული და გონება, რა ცოდვების მონანიებას შესთხოვდა უფალს. ხანდახან ლოცვებს ბუტბუტებდა, ოღონდ ისე, რომ არავის შეემჩნია. კედლისკენ მიტრიალდებოდა და თან ხელში კრიალოსანს ატრიალებდა. ასეთი იყო ბენ-იუსუფი, უშიშარი მებრძოლი, ამავდროულად, მეტად თავმდაბალი, როდესაც საქმე რწმენას და უზენაესს ეხებოდა.

აბდულ-რაჰმანი კიდევ რამდენიმე ხანი დაღესტანში დარჩა. ფული უკვე მის ხელში იყო. დაღესტანსა და ჩეჩნეთში დაწყებულმა ოპერაციამ ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც ჯიჰადისტები ელოდნენ. არც დაღესტნის მოსახლეობა შეუერთდა ახლად წამოწყებულ საღვთო ომს და რუსებიც პირელი ომისაგან განსხვავებით, მეტად გააფთრებით უტევდნენ მოჯაჰედთა პოზიციებს.

არც მაღალი არაბის მიერ ჩატანილმა 10-მა სტინგერმა უშველათ. რუსული ავიაცია ყოველდღე აუთოვებდა მათ პოზიციებს. ის კი არა, დაღესტნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაღლილი შარიათის კანონებისაგან, რუსებთან ერთად გააფთრებით ეკვეთა იმამატის წარმომადგენლებს. ისლამურ უმას ყოველდღე უწევდა პოზიციების დათმობა.

აბდულ-რაჰმანმა სხვებთან ერთად დაღესტნის დროზე ადრე დატოვება გადაწყვიტა და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად სამხრეთისაკენ დაიძრა. გზად მრავალი დევნილი თუ მებრძოლი შეხვდა, რომლებსაც უკვე აღარ სურდათ ბრძოლა და სამხრეთ კავკასიისაკენ გასასვლელ გზას ეძებდნენ.

ერთი ჩემოდანი ფულით მგზავრობა ადვილიცაა და რთულიც. ადვილი იმიტომ, რომ ვისაც გინდა, იყიდი, ან მოისყიდი, რთული კი იმიტომ, რომ ყველამ, ვინც იცის, შენს ხელთ ამდენი ფულია, თავისუფლად შეიძლება, ყელი გამოგჭრას. ამის გამო არაბი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილებს. ის და მისი რამდენიმე თანამგზავრი დიდხანს არსად ჩერდებოდნენ.

საზღვართან მისულს მეტად გაუჭირდა სანდო გამყოლის მოძიება. გამყოლებს იმდენი კლიენტი ჰყავდათ, რომ საგულდაგულოდ ირჩევდნენ ხოლმე ნაკლებად სარისკო ადამიანებს. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სპეციალური აგენტები საზღვარზე მებრძოლებისა და მათი დამხმარეების გამოვლენისათვის იყვნენ მოვლენილები. ამიტომ, ძირითადად ქალები და ბავშვები გადაჰყავდათ. ტყეები, განსხვავებით პირველი ომისაგან, სავსე იყო როგორც დაღესტნის მილიციის ნაწილებით, ასევე რუსული არმიისა და სხვა სპეციალური დანიშნულების რაზმების წევრებით. საზღვრის გადალახვის გარეშე კი ის ოპერაცია, რომელიც დაღესტნის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში დაიგეგმა, ვერ აღსრულდებოდა.

საზღვართან, ერთ-ერთ სოფელში, სახლში, სადაც უთითო არაბი იმყოფებოდა, და გადასვლისათვის ემზადებოდა, საღამოს ხანში შესული ქალბატონი და რამდენიმე მამაკაცი შემოვიდნენ. ქალბატონი მეტად აქტიურობდა, სულ ხელებს იქნევდა და შენიშვნებს იძლეოდა. ერთ-ერთი შემოსული მამაკაცი კოჭლობდა, სიარული უჭირდა. ქალბატონი, მიუხედავად ამისა, სულ უყვიროდა, ისიც თავჩაქინდრული უსმენდა.

ქალი სულ ეზოში იჯდა, გარდა იმ დროისა, როდესაც ლოცულობდა ან ეძინა. მამაკაცი კი ხან გადიოდა ეზოდან რამდენიმე ხნით, ხან ისევ უკან ბრუნდებოდა და ქალბატონს მოახსენებდა რაღაცას. ეტყობოდა, დედა-შვილი იყვნენ. ხანში შესული ქალი უბრალოდ კი არ უყვიროდა ხოლმე შვილს, თან ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებდა.

– უნიათო, არაფრის მაქნისი ხარ. ცოლიც კი გაგექცა და თან როგორი ცოლი, განათხოვარი, შვილიანი. ჯერ ეგ ბოზი მოიყვანე სახლში, შეგვარცხვინე, შეგეტენა, ახლა გაგექცა კიდეც. ბებერი დედა ვერ გადაგიყვანია საზღვარზე. გინდა, რომ მომკლან, რომ ისევ იმ ბოზს დაუბრუნდე. ეჰ, რატომ არაა მამაშენი ცოცხალი, ხომ გკრავდა ტყვიას შუბლში და სირცხვილსაც ჩამოგვრეცხავდა.

– გაგიყვან, დედა, გაგიყვან. ხომ იცი, რომ მთელი ფული დავხარჯე მიმალვაში. ეგ ნაძირალა არაბი ბენ-იუსუფი არ ყოფილიყო, ახლა აქ არ ვიქნებოდი. ალაჰი დასჯის. არ აპატიებს ჩვენს გაუბედურებას. კაფირს შეეკრა, გადაარჩინა, მუსლიმს არჩია. ნამდვილი შაითანია.

უსაქმურობისაგან აბდულ-რაჰმანი და მისი თანმხლები პირებიც ეზოში ისხდნენ. ბენ-იუსუფის ხსენებაზე ყურები ცქვიტეს. აბდულ-რაჰმანმა ერთ-ერთ მასთან მყოფს უთხრა, ერთი ეგ კოჭლი აქ მომიყვანეთო. მანაც შესძახა, აქეთ გამოდი, შენთან საუბარი უნდათო. პროთეზიანი დიდი სიხარულით წამოვიდა აბდულ-რაჰმანისაკენ, რადგან დედის მხრიდან შეურაცხყოფის მოსმენა უკვე აუტანელი იყო.

აბდულ-რაჰმანმა ჰკითხა, ვინ იყო და რა კავშირი ჰქონდა ბენ-იუსუფთან. მაშინ მამედი თავის ისტორიას მოუყვა უთითო არაბს.

უთხრა, რომ ის ჩეჩნეთის კონტრდაზვერვის ოფიცერი გახდა და მასონების მაგრად კონსპირირებული აგენტი აღმოაჩინა, რომელსაც ჩეჩნეთში იარაღი შეჰქონდა. იარაღი დივერსიული ჯგუფებისთვის იყო განკუთვნილი და მას სამოქალაქო ომის ინსპირაცია უნდა მოეხდინა. ამისათვის მასონების აგენტი საველე მეთაურებსა და ჩეჩნეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ხვდებოდა. თითქმის მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ მამედმა შეძლო მისი გაუვნებელყოფა. დააკავა ის, უკვე თითქმის მიღებული ჰქონდა აღიარებითი ჩვენება, მაგრამ აგენტი ბენ-იუსუფის ძმის

შვილისა და ძმის მეგობარი აღმოჩნდა. მოუწია გათავისუფლება, ხოლო მისი კარიერა მთლიანად დაინგრა და ამ ყველაფერს ბენ-იუსუფს აბრალებდა. ისე გაყოყოჩდა, რომ თავად ჯიჰადისტთა ლეგენდას დასწამა სიონისტთა აგენტობა და ძალიან გაუკვირდა, როდესაც აბდულ-რაჰმანმა არ გააპროტესტა მისი სიტყვები.

შემდეგ ბევრი იწუწუნა, რომ მოხუცი დედიკო ვერ გაჰყავს რესპუბლიკიდან, რადგან ფული აღარ გააჩნია, თორემ საკმაო კავშირები აქვს და ასე შემდეგ. თითქოს განგებამ გამოაჩინა მამედი სპეციალურად აბდულ-რაჰმანისათვის. რა ხანია, ერთი ჩემოდანი ფულით დადიოდა, ხან იმალებოდა, ხანაც მდევარს გაურბოდა. აქ კიდევ რაღაც უაზრო გეგმა გამოჩნდა, რომელიც ბენ-იუსუფმა შეიმუშავა და რომლის შესრულებასაც, დიდი ვარაუდით, შეეწირებოდა. არა, სიკვდილის არ ეშინოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე გაიმართლა თავი საკუთარ „მესთან“, უბრალოდ მამედის საუბარმა ბენ-იუსუფში შეატანინა ეჭვი. კაფირს ენდო და მუსლიმი გაწირა?! ამას რწმენა არ გვასწავლის, გაიფიქრა თავისთვის. აკი ამბობს წინასწარმეტყველი, მოატყუე კაფირი და გაანადგურე მუნაფიკი. და ნუთუ ეს ბენ-იუსუფმა არ იცის?! თან უბრალო მუსლიმი არაა, შარიათის კონტრდაზვერვის ოფიცერი!

მამედი თიოთქოს მიუხვდა ნააზრევს აბდულ-რაჰმანს და მოწმედ დედა მოიყვანა.

– აი, ჰკითხე დედას, რა დამავალეს შარიათის უსაფრთხოებისა და კონტრტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელებმა, დედა, მოდი აქ, აუხსენი ამ პატიოსან ადამიანებს, ვინ ვარ და ვისი ნათესავები ვართ.

მამედის დედა ბუზღუნით მოვიდა არაბთან. უთხრა, რომ კონტრტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი, ახლა კი შარიათის უშიშროების ერთ-ერთი ხელმძღვანელი მისი გაზრდილი იყო და მან მართლა დაავალა მამედს მასონებისა და სიონისტების აგენტების აღმოჩენა.

მამედის დედის სიტყვები სერიოზული არგუმენტი აღმოჩნდა. აბდულ-რაჰმანმა ახლა უბრალო ეჭვი კი არ შეიტანა ბენ-იუსუფში, არამედ თითქმის დარწმუნდა კიდეც, რომ მოჯაჰედს მისი განადგურება უნდოდა. ამიტომ მიშვებს დავალებაზე, რომლიდანაც ცოცხალი ვერ დავბრუნდები, იფიქრა.

აბდულ-რაჰმანმა გადაწყვიტა და შეთანხმება შესთავაზა ცალფეხას. თუ მამედი, სამირას მამინაცვალი, მას საზღვარზე გაიყვანდა, ის მთელ ამ მოგზაურობას დააფინანსებდა და ამავდროულად, მამედს თავის ჯგუფში გააწევრიანებდა. ამით მას სახელიც აღუდგებოდა და შესაძლოა, შანსიც მისცემოდა, სამაგიერო გადაეხადა მისთვის უბედურების მომტანებისთვის.

მამედი სიხარულით დათანხმდა და რამდენიმე დღეში მათ მოახერხეს დაღესტნის დატოვება.

გზად ერთმანეთი უკეთ გაიცნეს. აბდულ-რაჰმანმა ბენ-იუსუფის მიერ მომზადებულ გეგმაზე ისაუბრა და თქვა, რომ თავიდანვე უნდობლობით მოეკიდა ამ იდეას.

– ურთულესი მისია დაგვავალა ბენ-იუსუფმა. პრაქტიკულად შეუსრულებელია. მაგას ვინ ჩივის, არასწორიცაა. ისლამის მიმდევრებს ეგ ვერ გააღვიძებს, რისთვის მოგვცა შარიათი უზენაესმა?! იმიტომ, რომ წესრიგი მის უმაში დავამყაროთ. თუ უმა ძლიერი იქნება, ვერას დაგვაკლებენ ურწმუნოები. მეჩეთები და რელიგიური მოღვაწეები აგენტებითაა სავსე. ჯერ მათ უნდა ვაზღვევინოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ, ნამდვილი მორწმუნეების გულებს მივუკაკუნოთ. შენმა სიტყვებმა დამაფიქრა. თუ ის ადამიანი, შენ რომ დააკავე, მართლაც სიონისტების აგენტი იყო და მას ბენ-იუსუფის ოჯახი გამოესარჩლა, ისინიც მათკენ ყოფილან. მაშინ ჩემთვის გასაგებია, რატომ მოგვცა ასეთი შეუსრულებელი დავალება. ვიცი, რაც უნდა მოვიმოქმედოთ. მოღალატეები თავად უნდა გავანადგუროთ. – თქვა აბდულ-რაჰმანმა.

მამედს თვალები აუკიაფდა. ერთი მხრივ, ამ გადაწყვეტილებით ის საკუთარ ავტორიტეტს აღიდგენდა და მეორე მხრივ, მისი ყველა უბედურების სათავეს – ბენ-იუსუფს მოიცილებდა თავიდან და თან ფინანსურ მდგომარეობასაც გამოისწორებდა, რადგან შეატყო, რომ არაბს ძალიან ბევრი ფული ჰქონდა თან.

ოიდიპოსის და ჰეროსტატეს კომპლექსებით შეპყრობილი მამედი მეტად გახარებული იყო, რომ უზენაესმა ასეთი თანამზრახველი მოუვლინა. დედასთან ავტორიტეტი აიმაღლა, ახლა ჯერი ბენ-იუსუფის განადგურებაზე მიდგა.

აბდულ-რაჰმანმა კარგად იცოდა, სად იმყოფებოდა ბენ-იუსუფი. ისიც იცოდა, რომ მეჩეთი, რომელშიც ის ლოცულობდა, მე-9 საუკუნეში იყო აგებული და თანამედროვე მეჩეთებისაგან განსხვავებით, არ იყო ბეტონითა და რკინის არმატურით ნაშენი. ამის გამო სიმყარე აკლდა და არც განსაკუთრებული დაცვა ჰქონდა, რადგან დასახლებული პუნქტიდან მოშორებით იყო. ახლო აღმოსავლეთში, უდაბნოში, პატარა მეჩეთი გამოცდილი მოჯაჰედისათვის რწმენის ოაზისს წარმოადგენდა.

მამედი და აბდულ-რაჰმანიც აქეთ გაემართნენ. შეთქმულებს ადგილზე არ გასჭირვებიათ ასაფეთქებელი ნივთიერების შეძენა, რადგან აქ არც დასავლური სპეცსამსახურების წარმომადგენლები, არც ადგილობრივი სამართალდამცავები იყვნენ. ხანდახან თუ გადაიფრენდა უპი-

ლოტო თვითმრინავი, რომელიც ტერორისტების ბანაკების აღმოჩენისთვის იყო განკუთვნილი.

კვირის დასაწყისში აბდულ-რაჰმანი ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებას შეუდგა. მეტისმეტი რუდუნებით მუშაობდა. ხუთშაბათს, დილისათვის დაამთავრა კიდეც. რამდენიმე კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტი ბომბები აქლემებზე გადაჰკიდეს, ზოგიც მანქანებში ჩაალაგეს და დანიშნულების ადგილისაკენ მიმართეს.

ყველაზე ძლიერი ასაფეთქებელი მოწყობილობა კი იმ მეჩეთის მიმართულებით წავიდა, სადაც ბენ-იუსუფი ეგულებოდათ. მამედს სხვა ახლომდებარე ქალაქებში, მეჩეთებში აფეთქებების ორგანიზება დაევალა. მან მეტისმეტი გულისყურით მიიღო დავალება, ყველაფერი ათასჯერ შეამოწმა და გადაამოწმა. ადგილობრივ მოსახლეობაში არც შაჰიდებისა და შემსრულებლების მოძებნა გაუჭირდათ. საკმაო ფული გადაუხადეს. დანარჩენი კი თავიანთთვის გადაინახეს. როგორც კონტრდაზვერვის ოფიცერი, დიდხანს ესაუბრა თითოეულს, რომელთაც დავალება უნდა შეესრულებინათ. უთხრა, რომ რადგან საკუთარ თავზე ასეთი საპასუხისმგებლო მისია იტვირთეს, დაღუპვის შემთხვევაში აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდნენ. მისია კი სიონისტებთან შეკრული სასულიერო პირების განადგურებაში მდგომარეობდა. ყოველ მათგანს უყვებოდა ჩეჩნეთში მომხდარ ერთ ისტორიას. როდესაც ერთ-ერთი მეჩეთის წინამძღვარი მოლა სიკვდილით დასაჯეს. ამის მიზეზი კი მის მიერ ერთი ძველი ხელნაწერის პარასკეობით მეჩეთში კითხვა გახდა. ამ ხელნაწერს რამდენიმე ათეული წელი კითხულობდა მეჩეთის ყველა წინამძღვარი. სოფელი, სადაც სალოცავი მდებარეობდა, დიდი ქალაქებიდან და დასახლებული პუნქტებიდან შორს იყო, სტრატეგიულ ადგილს არ წარმოადგენდა და აქ იშვიათად თუ ადიოდნენ არაბები და ჩეჩენი მეთაურები. ერთ-ერთ პარასკევს კი ვინმე არაბი, მოლას საუბედუროდ, ამ მეჩეთში დაესწრო ლოცვას. შემდეგ ძველი ხელნაწერის კითხვასაც და გაოგნდა, როდესაც ათას ერთი ღამის ფრაგმენტი მოისმინა. მაშინვე აცნობა შარიათის გვარდიის წარმომადგენლებს და მათაც არც აციეს, არც აცხელეს, მოლა სარჩობელაზე გააქანეს. ბრალად სიონისტთა აგენტობა და მოსახლეობის გარყვნის მცდელობა მიუყენეს. ეს ისტორია იმის დასტურად მოჰყავდა, თუ რატომ უნდა დაწყებულიყო წმენდა სწორედ მეჩეთებიდან და მოჯახედების წარუმატებლობის მიზეზად ასეთი სასულიერო პირების არსებობა მოჰყავდა.

თავად ალაჰი მოგვიწოდებს, გავწმინდოთ საკუთარი რიგები. მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეს ძალუძს ჰაზავათში ყოფნა – ასე ასრულებდა საუბარს მამედი, რომელსაც საკუთარი თავი უკვე ისლამური ჯიჰა-

დის ერთ-ერთ ლიდერად წარმოედგინა. შემსრულებლების დამუშავების შემდეგ თავადაც იმ მეჩეთისაკენ გაემგზავრა, სადაც მისი უბედურების სათავე ბენ-იუსუფს უნდა ელოცა. აბდულ-რაჰმანთან ერთად კედლის უკანა მხარეს მეტისმეტი რუდუნებით დაამონტაჟეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. გარეთ გამოვიდნენ და იქვე, შორიახლოს დაბინავდნენ.

პარასკევს რამდენიმე მეჩეთი ერთდროულად აფეთქდა.

რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა. უამრავი დაჭრილისა და დასახიჩრებულის გამოყვანას სასწრაფოები და ადგილობრივი სამართალდამცავები ვერ აუდიოდნენ. საავადმყოფოები გადატენილი იყო უბედური მსხვერპლით. მთელ არემარეზე მხოლოდ ყვირილი, ტირილი და გოდება ისმოდა და მხოლოდ ერთ სახლში დასცეს გამარჯვების ყიჟინა, სახლში, რომელშიც აბდულ-რაჰმანი, მამედი და რამდენიმე მათი თანამზრახველი იყვნენ შეკრებილი.

– ჩაძაღლდა. აღარაა. აკი სიკვდილს დავიწყებული ჰყავსო. – ყვიროდა აბდულ-რაჰმანი.

– ახლა იმ კაფირმა ნახოს. ვიპოვი, ყველაფერს ვაზღვევინებ. – ხაოდა მამედი.

მეტად გახარებულები იყვნენ. თან მაგიდაზე დაყრილი ფულის შეკვრებს ითვლიდნენ.

– თან რა იაფად გამოვედით. ყველა ჩვენზე ლაპარაკობს. ახლა აღარ დაუჯერებენ ამ გადაყრუებულ ბებერ მოლებს და მოუწევთ ჯიჰადში ჩაბმა, თუ არა და სიკვდილი მეჩეთშიც ეწევათ. ინშალაჰ, – თქვა მესამემ.

– ყველაფერი მაინც სიონისტებს დაბრალდებათ. ჩვენ მშრალზე გამოვედით, – უხაროდა მამედს.

ასეთ განცხრომაში მყოფებს იარაღი იქვე, კუთხეში ჰქონდათ მიყუდებული. მამედი ისეთი გახარებული იყო, პროთეზი მოიხსნა და ასკინკილათი დარბოდა.

აბდულ-რაჰმანი ტახტზე მიესვენა. დანარჩენებმა ალბათ წარმოიდგინეს, თუ როგორ ხარჯავდნენ ბრძოლისათვის გამოყოფილ ფულს, სადმე დუბაიში ან სხვა ქალაქში. გამარჯვების ეიფორიაში იყვნენ. წარმატებულად დასრულებული ოპერაციის შემდგომ ნაბიჯზე ჯერ არ ფიქრობდნენ.

უცებ გარედან ფეხის ხმა და საბრძოლო ყიჟინა შემოესმათ. თითქოს რამდენიმე ათეული ადამინი ერთად გაჰკიოდა. ოთახში მყოფები შიშმა აიტანა. ერთმანეთს დაუწყეს ყურება. შემდეგ იარაღისაკენ დააპირეს მირბენა. კარები შემოიმტვრა. ოთახში ნაცრისფერი მტვერი შემოვარდა და მას სიკვდილის ანგელოზი შემოჰყვა. ის მარტო იყო. ძველარაბულად ყვიროდა.

კართან ახლოს მდგარმა შეთქმულმა ვერაფერი დაინახა, გარდა მოქნეული ხმლისა და ვერც ვერაფრის გაკეთება შეძლო, ისე გაგორდა მისი თავი და იმ ტახტის ქვეშ შეგორდა, რომელზეც აბდულ-რაჰმანი იყო წამომჯდარი. მან მეტი ვერაფერი მოახერხა და უთითებო ხელები სახეზე აიფარა, თითქოს ხმლისაგან დაიცავსო, მაგრამ მოქნეულმა არაბულმა ორლესურმა ჯერ ხელები მოჰკვეთა და მეორე დარტყმით მხარი გასხიპა. ტახტზე გადაესვენა. მომაკვდავმა ერთი მოახერხა და უკანასკნელად გაიხედა იმ მიმართულებით, საიდანაც სიკვდილი ეწვია.

– აზრაილი, აზრაილი, სიკვდილის ანგელოზი, – ამოილუღლუღა და სული განუტევა.

ხმლის ყოველ მოქნევას ძველარაბულ ენაზე შეძახილი მოჰყვებოდა. გარკვევით მხოლოდ შაითანი ისმოდა. ახლა მამედისაკენ მოტრიალდა, გზად მისგან მარჯვნივ მდგომს, ფულებით ჯიბეებგამოტენილს, გადაჰკრა ხმალი და მასაც გააფრთხობინა სული.

ბოლოს მამედისაკენ დაიძრა, მტვერი გაიფანტა... ცალ ფეხზე მოხტუნავე მამედის წინ შეშლილი სახით, აწითლებულთვალებიანი, მტვერსა და სისხლში ამოგანგლული ბენ-იუსუფი იდგა.

ხმალი მოუქნია, მამედმა პროთეზს დასტაცა ხელი პირველი დარტყმა მოიგერია. პირველს მეორე მოჰყვა, შემდეგ – მესამე და მეოთხე. პროთეზი ნაფოტებად იქცა. ახლა კი ვეღარ აიცილებდა მოქნეულ ხმალს... მუხლებზე დაემხო, პატიების თხოვნა დაიწყო, მაგრამ ამაოდ.

თავდამსხმელი არ ჩერდებოდა. გავეშებით იქნევდა ხმალს. ნაკუწებად აჩეხილი მამედის სხეული სისხლის გუბეში ცურავდა. ბენ-იუსუფმა კიდევ ერთხელ იღრიალა. ხმალი იქვე დააგდო და სახლიდან სახეზე ხელებაფარებული, ნელი ნაბიჯით გავიდა.

მიდიოდა და თან რაღაცას მღეროდა. ხელებს ხან ზეცაში აღაპყრობდა, ხან ისევ ძირს უშვებდა. დროდადრო მუხლებზე ეცემოდა, ისევ დგებოდა. ასე სიმღერ-სიმღერით გავიდა სოფლის ბოლოს, სანამ მისი სილუეტი უდაბნოს ჰორიზონტმა არ ჩაყლაპა.

დერვიში

უცნობი თვითმფრინავიდან დაღლილი გადმოვიდა. აეროპორტის გამოსასვლელთან ტაქსიში ჩაჯდა.

მძღოლისთვის არც კი შეუხედავს, ისე მიაწოდ ხელჩანთა, რომელიც მან ძველი მოდელის მერსედესის საბარგულში თვალის დახამხამებაში მოათავსა. მანქანაში შეამჩნია, რომ ტაქსის მძღოლი აფრიკელი

არაბი იყო, მაროკოდან. სთხოვა, სასტუმროსთან მიეყვანა. ამ სასტუმროში ადრეც გაჩერებულა, იმ დროს, როდესაც მუჰამედმა საინტერესო ცხოვრება შესთავაზა.

გზად მძღოლმა ჰკითხა, ასე სად გაირუჯე, მალტაზე თუ კანარის კუნძულებზეო. არაფერი უპასუხა. მაშინ შეკითხვა გაუმეორა და თან დაამატა, წელს ზღვა განსაკუთრებით თბილი და კარგიაო.

უცნობი მიხვდა, რომ თუ მის ცნობისმოყვარეობას არ დააკმაყოფილებდა, სასტუმრომდე არ შეეშვებოდა. უპასუხა, რომ ზღვა ძალიან უყვარდა, მაგრამ დაღლილი იყო და მასთან საუბრის თავი არ ჰქონდა.

სასტუმროში მისვლისთანავე დაურეკა მუჰამედის მოკავშირეს და შეატყობინა, რომ მშვიდობიანად ჩამოვიდა. შემდეგ ნომერში ხილი და აღმოსავლური შარბათი შეუკვეთა, მოსასვენებლად წამოწვა და ჩათვლიმა.

მოულოდნელად ტელეფონის ზარმა გააღვიძა. ყურმილი აიღო და სასიამოვნო ხმის მქონე ახალგაზრდა ქალმა ფრანგულად უთხრა, მუსიე მუჰამედ აჰმედი გკითხულობთო. მოსაცდელში გელოდებათ და რა გადავცეო.

უპასუხა, რომ რამდენიმე წუთში ჩავიდოდა.

სასწრაფოდ წამოდგა, ნომრიდან გამოვიდა და მოსაცდელისკენ გაეშურა.

– სალამ ალეიქუმ! – მიესალმა მუჰამედს.

ისიც მიესალმა და ანიშნა, წამომყევიო.

უცნობი უსიტყვოდ გაჰყვა. მუჰამედი სასტუმროს გასასვლელისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა. უცნობი მიხვდა, რომ რაღაც სასწრაფო საქმე ჰქონდათ. იქვე, სასტუმროსთან გაჩერებულ ტაქსიში ჩასხდნენ და პარიზის არაბული უბნისაკენ გაემართნენ. ამჯერად ახალგაზრდა არაბი დაცვის გარეშე, მარტო იყო მოსული.

არაბს მთელი გზა სიტყვა არ დასცდენია. დაახლოებით ნახევარი საათი იმგზავრეს და იმ რესტორანში მივიდნენ, საიდანაც უცნობის თავგადასავალი დაიწყო, სადაც მუჰამედის ბიძა და ახლა უკვე მისი უფროსი მეგობარი, ბენ-იუსუფის ძმა, შეიხი ალი-აჰმედი გაიცანო.

ტრადიციული მისალმების შემდეგ ალი-აჰმედმა საუბარი წამოიწყო.

– მინდა წამოგვყვე, ჩემი ძმა, ბენ-იუსუფი, ახლა უკვე აზრაილი, ნახო და გაესაუბრო, – თქვა შეიხმა და თვალზე ცრემლი მოადგა.

შეიხის ასეთმა სენტიმენტალურობამ გააკვირვა, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მუსლიმ მოჯაჰედებთან და არცერთხელ უნახავს, რა მსხვერპლიც უნდა გაეღოთ მსოფლიო ჯიჰადისათვის, რომელიმე მათგანს, ან მისი ოჯახის წევრს თვალები აწყლიანებოდა და მით

უმეტეს, რატომ მოიხსენია საკუთარი ძმა აზრაილად, სიკვდილის ანგელოზის სახელით?!

არა, ბენ-იუსუფი თუ ახლა უკვე აზრაილი, რწმენისათვის ბრძოლაში რომ დაღუპულიყო, შეიხი ალბათ იზეიმებდა კიდეც, ძმის, მასწავლებლის, ისლამისათვის მებრძოლის უფლის წინაშე წარდგომას. მიზეზი ნამდვილად სხვა რამე იყო. მიხვდა, რატომ იყო ასეთი სიტყვაძუნწი მუჰამედი. მასაც ბიძამისის, ბენ-იუსუფის, ბედი ანაღვლებდა.

ათასმა აზრმა გაუელვა თავში. იქნებ სადმე, დაბომბვაში მოხვდა და დასახიჩრდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არ სთხოვდნენ შეხვედრას. მაშ, სხვა რა უნდა მომხდარიყო. ამ ფიქრებში წასულს ალი-აჰმედის სიტყვები ჩაესმა.

– ბენ-იუსუფი დერვიში გახდა, ახლა მას აზრაილად იცნობენ. სახელზეც კი უარი თქვა, და იგი... იგი... ჯიჰადის... – ველარ დაამთავრა წინადადება შეიხმა.

– უთხარი, ბიძაჩემო, უთხარი! – წამოიყვირა მუჰამედმა.

– დიახ, ბენ-იუსუფი ახლა თავს დერვიშს უწოდებს... იგი აღარაა ჩვენი წინამძღვარი, აღარ აინტერესებს არც ჯიჰადი, არც იერუსალიმის გათავისუფლება, არც ხალიფატი. მთელ დღეს მხოლოდ საკუთარ თავთან ლაპარაკში ატარებს. აღარ ეკარება იარაღს. მისი საყვარელი „სმიტ ვესონი“ გახსოვს?! ისიც კი მოისროლა. აღარ აღავლენს ნამაზს, მხოლოდ თავისთვის ბუტბუტებს რაღაცებს. ასე ამბობს, ღმერთს ვესაუბრებიო. რწმენისათვის შენს თავში უნდა იბრძოლო, ყველა ჩვენგანმა საკუთარ თავში უნდა დაამარცხოს ურწმუნონიო. ფულით რწმენისათვის ომი არ შეიძლება, ნამდვილი მუსლიმი დიდ ჯიჰადშიაო. ერთი სიტყვით, გაგიჟდა ჩვენი წინამძღვარი! – თქვა მუჰამედმა.

– წადი, იქნებ შენ დაგელაპარაკოს და მოიყვანო გონს. არც ერთ ძველ თანამებრძოლს აღარ ესაუბრება. აღარც ნათესავებს, მუჰამედიც კი არ მიიღო. გაიძახის, ყველას მორწმუნეთა სისხლში გვაქვს ამოსვრილი ხელებიო. იქნებ შენ მაინც გითხრას, რატომ იქცევა ასე, შენ ხომ არც მოჯაჰედი და არც მუსლიმი ხარ! – უთხრა ალი აჰმედმა უცნობს.

უცნობი დაუფიქრებლად დათანხმდა. მართლა აინტერესებდა, რა დაემართა ბენ-იუსუფს. ვერ წარმოედგინა მებრძოლის, ჯიჰადისტთა ლეგენდის ასეთი კათარზისი.

დერვიში სპარსულად გლახას, ღატაკს ნიშნავს. ამ მუსლიმანი მისტიკოსების მოძღვრების დედააზრი უზენაესთან უშუალო კავშირის დამყარებაა. ადრე დერვიშებს ჯადოქრებადაც მიიჩნევდნენ და ამის გამო უბრალო ხალხს ეშინოდა კიდეც. ზოგი დერვიშებს ჯინებთან და სულებ-

თან კავშირსაც აბრალებდა, ამის გამო ეშინოდათ. ახლა კი ისინი, აქაიქ ძალიან ჩამორჩენილ ისლამურ ქვეყნებში თუ შეგხვდებათ, სადმე განმარტოებულნი ან მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულზე.

თუ ბენ-იუსუფი მართლაც დერვიში გახდა, იგი დაწყებულ ჯიჰადს, ტერორიზმსა და სხვა ძალადობას, გამოდის, რომ ჩამოშორდა. შესაძლოა, ამის შესახებ არც სცოდნოდა უცნობის ოთხ მეგობარს.

ბენ-იუსუფს ბევრი მუსლიმი მოჯაჰედი დიდ პატივს სცემდა. ბევრიც ეთაყვანებოდა. მის სიტყვას უდიდესი წონა ჰქონდა მრავალი მოჯაჰედისათვის. გაუგებდნენ კი მას სხვები, თუ საკუთარი ძმა და ძმისშვილი ვერ გარკვეულან მის საქციელში?!

ასეთი კითხვები უტრიალებდა თავში, როდესაც პარიზიდან ბენ-იუსუფის სანახავად დაიძრნენ. არც შეუმჩნევია, ისე მოხვდა ალი აჰმედის თვითმფრინავში. ისე ჩაფრინდა სადღაც, არც უკითხავს, რომელ ქვეყანაში ან სად მიემგზავრებოდა.

უდაბნოში მგზავრობას მიჩვეული იყო, მაგრამ ამჯერად ძალიან გაუჭირდა ცხელი და მტვრიანი ჰაერით სუნთქვა. ამის მიზეზი ალბათ ის გახლდათ, რომ ნერვიულობდა იმ ადამიანთან შეხვედრის გამო, რომელმაც მთელ მის ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა.

ბენ-იუსუფს უკვე მეგობრად თვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ უცნობი მუსლიმი არ იყო, იგი არასდროს აძლევდა ნებას საკუთარ თავს ან სხვას, რამენაირად ეგრძნობინებინა რელიგიური განსხვავება. ერთმანეთთან არასდროს უკამათიათ იმის შესახებ, თუ რომელი ღმერთის სწავლება იყო ჭეშმარიტი, ან რომელი მოხვდებოდა სამოთხეში. ყოველთვის მკაცრი იყო საკუთარი თავისა და თანამებრძოლების მიმართ.

იგი არასდროს ერიდებოდა ვინმეს კრიტიკას, გამუდმებით ლოცულობდა, კითხულობდა ყურანს.

ძალიან აინტერესებდა, რა გახდა ამ ადამიანის ასეთი ტრანსფორმაციის მიზეზი. ნუთუ ის უბრალოდ გადაღალა მუდმივმა ბრძოლამ, ომმა, სტრესებმა; ან ეჭვი შეეპარა მის მიერ განვლილი ცხოვრების გზის სიმართლეში?!

ამის დაჯერება მისთვის შეუძლებელი იყო.

საკუთარ თავს მრავალ შეკითხვას უსვამდა და თვითონვე პასუხობდა. თუმცა მაინ ვერ შეძლო იმ პასუხის მოძებნა, რომელიც მას დააკმაყოფილებდა და ეს ძალიან აღიზიანებდა. გადაწყვიტა, არაფერზე ეფიქრა და დალოდებოდა შეხვედრას, რომელიც ცოტა ხანში შედგებოდა.

რამდენიმე ჯიპისგან შემდგარი კორტეჟი ბედუინების ერთ-ერთ დასახლებასთან შეჩერდა.

მუჰამედი, შეიხი ალი-აჰმედი და თანმხლები მანქანებიდან გადმოვიდნენ.

– აქ ცოტას შევისვენებთ და შემდეგ ცხენებითა და აქლემებით განვაგრძობთ გზას. ბენ-იუსუფთან მარტო წახვალ, ჩვენ იქვე, შორიახლოს დავბანაკდებით, მზის ჩასვლამდე მიხვალ დანიშნულების ადგილას, – უთხრა უცნობს მუჰამედმა.

შეიხის დაცვის წევრებმა მანქანების საბარგულებიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, შაშხანები, ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები გადმოალაგეს. ასეთი შეიარაღება უდაბნოში მოხეტიალე ბანდიტებისაგან თავის დასაცავად იყო საჭირო.

მუჰამედი, ალი-აჰმედი და უცნობი დასახლების ყველაზე დიდი კარვისაკენ გაემართნენ. კარავთან რამდენიმე ბედუინი და მათი შვილები შემოეხვივნენ. გულითადად მიესალმნენ.

აქლემის ტყავის კარავში ხალიჩაზე დასხდნენ. რამდენიმე ჩადრიანმა გოგონამ, რომლებიც ვერცხლისა და ოქროს სამკაულებით იყვნენ მორთულნი, ფეხსაცმელი გახადა, სპილენძის სურებიდან წყალი დაუსხა, რათა ხელ-ფეხი დაებანათ. შემდეგ პირსახოცები მიაწოდეს.

საჭმელი შედარებით უფროსმა ქალბატონებმა შემოიტანეს. ცხვრის ხორცისაგან მომზადებულმა წვნიანმა, რამდენიმე ფინჯანმა ცხენის რძით შეზავებულმა ჩაიმ ხასიათი დროებით გამოუსწორა სტუმრებს. ბედუინმა, რომელთანაც სტუმრად იმყოფებოდნენ, თითქოს ჯინაზე, ყველასათვის მტკივნეულ, დროებით მივიწყებულ თემაზე წამოიწყო საუბარი.

– დერვიშები აქ ადრე ბევრნი იყვნენ. მათ საძმოში მოხვედრა ყველას არ შეეძლო, მხოლოდ მათ, ვინც რწმენისათვის ყველაფერს გაიღებდა, გაყიდდა ცხვრებს, ცხენებს, აქლემებს, კარვებს და ფულს გაჭირვებულებს დაურიგებდა. ჩვენი ხალხი მათ პატივს სცემდა, მაგრამ ეშინოდათ. ისინი ალაჰთანაც საუბრობდნენ და შაითანთანაც. დიდი ძალა აქვთ დერვიშებს. ისინი ღვთის რჩეულები არიან.

შეიხმა და მუჰამედმა ბედუინს არაფერი უპასუხეს. უცნობმა იფიქრა, თუ ეს პატივცემული ბედუინი არ თვლის ბენ-იუსუფს მხდალად, ყველაფერი არც ისე ცუდადააო. უცნობს ახსოვდა, რომ სწორედ ბენ-იუსუფის სახელმა და მისმა ავტორიტეტმა დაიხსნა ის ტყვეობიდან და შესაძლოა სიკვდილის კლანჭებისგანაც. ამიტომ არ შეეძლო ამ სიკეთის დავიწყება.

მცირე პაუზის შემდეგ, ალი აჰმედმა უთხრა, რომ მისი გამგზავრების დრო დამდგარიყო. ორ მცველს უბრძანა, გაჰყოლოდნენ და ისინიც, არაბულ ცხენზე ამხედრებულები გამყოლს გაჰყვნენ.

უსასრულო უდაბნოს შემყურეს, უსაგნო ფიქრი არავის აწუხებდა. ყველა ჩუმად მიჰყვებოდა გამყოლს, რომელიც ნელა მიაჭენებდა ბედაურს.

რამდენიმე ხნის მგზავრობის შემდეგ ძველი ქალაქის თუ დასახლების ნანგრევები გამოჩნდა, რომლის სილამაზემ უცნობი გააოგნა. დასავლეთის მზე და შუქჩრდილები ისე თამაშობდნენ ქვიტკირით შელესილი სახლის ნანგრევებზე, თითქოს ახლაც ცხოვრება ჩქეფდა. წარმოიდგინა, როგორ ცხოვრობდა ხალხი რამდენიმე საუკუნის წინ უდაბნოში გაშენებულ ამ ოაზისში, როგორ დადიოდნენ ბედუინების წინაპრები ამ თეთრი კირით შელესილ სახლებსა და შენობებს შორის. სხვადასხვა ხილისა თუ საქონლით დატვირთული ხონჩები ალბათ თავზე ჰქონდათ შემოდგმული. პატარა ურიკები ძლივს ეტეოდა ვიწრო ქუჩებში. ბაზარში გაცხოველებული ვაჭრობა იქნებოდა, ისევე, როგორც ახლა, თანამედროვე სტამბოლში, ქაიროსა თუ ალექსანდრიაში.

ამ ფიქრებში წასული დაცვის წევრებისა და გამყოლის შეძახილებმა გამოაფხიზლა.

უცებ თანამგზავრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და პირქვე დაემხნენ. ხელებს აღმოსავლეთისაკენ იშვერდნენ და რაღაცას ყვიროდნენ. უცნობიც ჩამოქვეითდა. შეეცადა, მათი ასეთი საქციელის გამომწვევი მიზეზი ამოეხსნა. აღმოსავლეთისაკენ გაიხედა, ნანგრევების ბოლოს, ჰორიზონტზე, უზარმაზარი ადამიანი ჩანდა. ის ზომით რამდენიმე ასეულჯერ აღემატებოდა ყველაზე მაღალ შემორჩენილ ნანგრევს.

უცებ გაჩერდა, მათკენ გამოიხედა და ხელი დაუქნია. მიწაზე გართხმული გამყოლი წამოხტა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა. თან გაჰკიოდა – ჯინი, ჯინიო...

უცნობს ჯინებისა და სასწაულების არ სჯეროდა და მოვლენის მეცნიერულ ახსნას შეეცადა. მიხვდა, რომ თანამგზავრების შიშის მიზეზი უდაბნოსათვის დამახასიათებელი გასაოცარი მოვლენა, მირაჟი გახდა.

ქალაქის ბოლოდან კი ხელს ბენ-იუსუფის მირაჟი იქნევდა და უცნობი მისკენ გაემართა.

ცოტა ხანში დერვიშს მიუახლოვდა.

ბენ-იუსუფი იქვე, მიწაში ჩარჭობილი ქოლგის ქვეშ დაგებულ ხალიჩაზე იჯდა, იმ ხალიჩაზე, რომელზეც ადრე ნამაზს აღავლენდა. ანიშნა, აქეთ მოდიო.

როდესაც უფრო ახლოს მივიდა, შეამჩნია, რომ ძველისძველი ქოლგა სხვადასხვა ზომის ზანზალაკებითა და ზარებით იყო მორთული. ხალიჩა, რომელზეც ბენ-იუსუფი ფეხმორთხმული იჯდა, ჭუჭყიანი და დახეული იყო.

ძონძებში შემოსილმა შეხედა, თითქოს თვალით აწონ-დაწონა, შემდეგ კი ძველარაბულად რაღაც წაიმღერა. ბენ-იუსუფის გვერდით ჯდომა ყველას დიდ პატივად მიაჩნდა და უცნობი ახლაც სიამოვნებით მიუჯდა მას, ვინც მხარზე ხელი დაადო და გაუღიმა.

უცნობმა კითხვების კორიანტელი დააყარა. გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ეკითხებოდა ყველაფერს, რაც მას, მუჰამედსა და ალი-აჰმედს აინტერესებდათ. რატომ, რისთვის, რა იყო მისი გადაწყვეტილების მიზეზი.

დერვიში მხოლოდ ისმენდა.

ხანდახან გაიღიმებდა, თან თავს დაიქნევდა ხოლმე. შუაღამეს უდაბნოს მოწმენდილ ცაზე, მთვარისა და ვარსკვლავების შუქზე, ბენ-იუსუფს მართლა მისტიკური სახე ჰქონდა.

ამასობაში შემოათენდათ.

სავსე მთვარე და ვარსკვლავები ამომავალი მზის სხივების ფონზე ჯერ გამკრთალდნენ და შემდეგ გაქრნენ, გაუჩინარდნენ.

ბენ-იუსუფმა ქოლგა შეარხია და ზანზალაკები აახმაურა. უცნობი ვერ მიხვდა, რატომ მოიქცა ასე დერვიში, თუმცა რამდენიმე ხანში ნანახისაგან გაოცდა.

ნანგრევებიდან თეთრი დედალი აქლემი გამოვიდა და დერვიშისაკენ წამოვიდა.

ბენ იუსუფი წამოდგა, მისკენ გაემართა..

მალე უკან დაბრუნდა და აქლემის რძით სავსე ტოლჩა მიაწოდა უცნობს. მან პირი გაისველა. მზის შუქზე შეეცადა, კარგად შეეთვალიერებინა დერვიშის სახე. ის სულ მთლად გაჭაღარავებულიყო. სახე სულ დანაოჭებოდა. წელში მოხრილს მეომრის გამომეტყველება აღარ ჰქონდა. გარეგნობის საკმაო ცვლილების მიუხედავად, ვერ იტყოდი, რომ ცხოვრებამ მოტეხა. უბრალოდ შეიცვალა.

დერვიში მიხვდა, რომ აკვირდებოდა.

თვალი თვალში გაუყარა. ასე თვალდაუხამხამებლად უყურებდა რამდენიმე ხანი. დაიხარა, მიწა აიღო, ხელებში მოფშვნიტა, რაღაც ჩაიბუტბუტა, გაიღიმა, შემდეგ სული შეუბერა.

დაიხარა, მუხლებზე დადგა, თითქოს ლოცვას აპირებდა, მაგრამ არა, ხალიჩა დაახვია და უბეში ამოიდო. შემდეგ წამოდგა. ზანზალაკებიანი ქოლგა მიწიდან ამოაძრო, გადაკეცა და ხელჯოხის მაგვარად დაეყრდნო. კვლავ გაუღიმა უცნობს.

მობრუნდა და ისევ თეთრი აქლემისაკენ გაეშურა. ზურგზე ხელი გადაუსვა, კვლავ შემობრუნდა და ხელით ანიშნა, წადიო. ასე ნელ-ნელა, თეთრ აქლემთან ერთად გაუყვა თითქოს უსასრულობაში მიმავალ

ბილიკს. ხანდახან ქოლგასა და ხალიჩას მიწაზე დადებდა. შემდეგ გაიმართებოდა, ერთ ხელს ზეცაში აღმართავდა, მეორეს დაბლა უშვებდა და სუფია მისტიკოსივით ციბრუტივით ტრიალსა და სიმღერას იწყებდა.

უცნობი ვერ მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე. გაოგნებული დაბრუნდა ბანაკში. ალი აჰმედსა და მუჰამედს ყველაფერი უამბო.

არც მათ უთქვამთ რაიმე. ალბათ შინაგანი კონფლიქტი ღვიოდა. ერთი მხრივ, ალბათ ამტყუნებდნენ დერვიშს ასეთი საქციელის გამო, ხოლო სადღაც, გულის სიღრმეში, ამაყობდნენ კიდეც.

რამდენიმე დღის განმავლობაში არც შეიხსა და არც მუჰამედს კრინტი არ დაუძრავთ. ხან ყურანს კითხულობდნენ, ლოცულობდნენ, ხანაც უბრალოდ აქეთ-იქით დადიოდნენ, ან სულაც ვარსკვლავებს აკვირდებოდნენ...

ხანდახან, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც წყურვილი მეტისმეტად შეაწუხებდათ, რამდენიმე ყლუპი აქლემის ან ცხენის რძით ისველებდნენ ბაგეებს. მათ დუმილს ბედუინებისათვის ჩვეული ცხოვრების რიტმი არღვევდა. სპილენძის ჭურჭლის ხმაური, ცხენების ჭიხვინი, ბავშვების სიცილ-კისკისი და საღამოობით სიმღერა ოდნავ მაინც განმუხტავდა ხოლმე დაძაბულობას.

ერთხელაც ალი აჰმედი უცნობთან მივიდა და უთხრა, რომ განშორების დრო დადგა და უნდა წასულიყო. უცნობი შეეკითხა, ამჯერად სად აგზავნიდა მას შეიხი. მან არაფერი უპასუხა.

ამის შემდეგ მუჰამედი მიუახლოვდა და უთხრა:

– ძმაო, შენთვის და ჩემთვის ჯიჰადი დასრულდა. ბიძაჩემმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ბენ-იუსუფის საქციელმა თვალები აგვიხილა. ჩვენმა ქმედებებმა უამრავი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. უმრავლესობა უბრალოდ ფულისათვის იბრძვის და არა რწმენისათვის. ბენ-იუსუფი მართალია, სისხლში გვაქვს ხელები ამოსვრილი, მართლმორწმუნეთა სისხლში, რადგან ჩვენ გამო, ჩვენი ამბიციების, პოლიტიკური ინტრიგებისა და ინტერესების გამო უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან... ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ყველა ადამიანს აქვს არჩევნის უფლება. ვისაც უნდა, ომი აირჩიოს, ვისაც უნდა, მშვიდობა, მაგრამ იძულებით, მოტყუებით ფულისა და გასამრჯელოს, პოლიტიკური ინტერესების გამო ხალხის ხოცვა არ შეიძლება.

ძალადობა ძალადობას შობს და ამით უზენაესის მიერ შექმნილ სილამაზეს ვანადგურებთ. ნუთუ არსებობს ამაზე მეტი ცოდვა?!

სწორედ ამიტომ აირჩია ბენ-იუსუფმა დერვიშობა, რათა სხვას მაგალითი მისცეს, რომ მთავარი ბრძოლა ურწმუნოებასთან ჩვენს გულებ-

ში მიმდინარეობს. საკუთარ თავში უნდა დავამარცხოთ შაითანი და მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ სულიერ სიმშვიდეს. სწორედ მაშინ დავიბრუნებთ რწმენას და ვემსახურებით ღმერთს.

კარგად იყავი, ძმაო. ჩვენთვის დიდი ჯიჰადი დაიწყო. მანქანები მზადაა, შეგიძლია გაჰყვე. დიდი საოცრების მომსწრე გახდი და გაქვს უფლება, როგორც გინდა, ისე მოიქცე. რაც გინახავს და გაგიგია, მოუყევი სხვასაც.

ჩვენ კი აქ დავრჩებით, ბედუინებთან. იქნებ ჩვენც დაგვაჯილდოვოს ჭეშმარიტების ჭვრეტის ნიჭით უზენაესმა და სხვა თვალით შევხედოთ სამყაროს. იქნებ კიდეც გავიმარჯვოთ დიდ ჯიჰადში...

ეს თქვა მუჰამედმა, შეიხს გვერდით ამოუდგა და ისინი ფეხით გაუყვნენ უდაბნოს მტვრით დაფარულ გზას, რომელიც ძველი ნასახლარისაკენ მიიკლაკნებოდა.

უცნობი დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად ბენ-იუსუფი მათაც დაუთმობდა ადგილს ძველი, დახეული, ზანზალაკებიანი ქოლგის ქვეშ დაგებულ დახეულ ნოხზე, ისევე, როგორც მას, ძმასა და ძმისშვილსაც გაუმასპინძლდებოდა თეთრი აქლემის რძით და ისინი ერთად იპოვიდნენ ღმერთისაკენ მიმავალ გზას, რომელიც, ალბათ, ძველი ნასახლარიდან ზეცისაკენ მიემართებოდა...

შინ მიმავალი უცნობი მანქანიდან ადევნებდა თვალს უდაბნოში მიმავალ აქლემების ქარავანს, რომელიც წითელი მტვრის ნაწილაკებში იყო გახვეული და ნელა მიიზლაზნებოდა ასწლეულობით გაკვალულ გზაზე. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები კიდევ უფრო მისტიკურ ელფერს აძლევდა ყოველივეს. მექარავნეების შეძახილები, მათი სიმღერები, წინაპრების მიერ საუკუნეებიდან ამოძახილი გულისთქმა დროის შეგრძნებას აქარვებდა.

გასაოცარი სიმშვიდე დაეუფლა.

ჰომეროსის ოდისევსის ან მოგზაურ სინდბადის მსგავსად, მრავალხნიანი ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის შემდეგ, მისი გემიც უახლოვდებოდა სანუკვარ ნავთსაყუდელს, სანაპიროს.

მიხვდა, რომ ძალიან მონატრებოდა სახლი, ეზო, ქუჩა. ქვეყნად პრონიალმა, ათასგვარი სულით მახინჯის ნახვამ და გაცნობამ ძალიან დაღალა.

ერთადერთი აზრი, რომელიც თავში უტრიალებდა, ის იყო, შეასრულებდნენ თუ არა დანაპირებს მისი პარტნიორები; ეტყოდნენ თუ არა სამირას ადგილსამყოფელს, გოგონასი, რომელიც ჭრაქივით უნათებდა გზას ყველაზე უფრო ბნელ და საშიშ ღამეებში. იმედი ჰქონდა, რადგან

თვლიდა, რომ მისია იმაზე კარგად დასრულდა, ვიდრე ალბათ მისი პარტნიორები ელოდნენ.

ტერაქტები თავიდან იქნა აცილებული, ბენ-იუსუფი ოჯახითურთ ჯიჰადს ჩამოსცილდა. სამირაზე ფიქრში გართული ჩაფრინდა სამშობლოში.

სახლთან მისულს დასვენებაზე არც უფიქრია.

უახლოეს საკანცელარიო მაღაზიაში შეიარა, საბეჭდი მანქანის ლენტი და რამდენიმე შეკვრა თაბახის ფურცელი იყიდა. მაცივარი – წვენებითა და ლუდით, განჯინა კი ყავითა და ორცხობილათი გამოტენა.

საბეჭდი მანქანა გამართა. ტელეფონი იქვე დაიდო, რადგან მაინც ჰქონდა იმედი, რომ დაურეკავდნენ და გოგონას ადგილსამყოფელს შეატყობინებდნენ.

სცადა, წერა დაეწყო, მაგრამ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ცქმუტავდა. თითქოს წინათგრძნობა ეუბნებოდა, რომ რაღაც ახალი ამბავი უნდა შეეტყო. ტელეფონი აიღო, პარტნიორებსაც დაურეკა, მაგრამ ოთხივე ნომერი გათიშული იყო.

შემდეგ წამოწვა. ვერ მოისვენა. ბორგავდა. წრიალებდა. პატრონის მომლოდინე ძაღლის მსგავსად, ხან კარებთან აიტუზებოდა, ხან კი ბოლთას სცემდა ოთახიდან ოთახში.

სადარბაზოში ყოველ ფაჩუნზე კარს აღებდა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. რამდენიმე ფინჯანი ყავა დალია, რომ არ ჩასძინებოდა და ან ტელეფონის ზარი, ან კარზე კაკუნი არ გამორჩენოდა.

დილისკენ ფანჯრები გააღო, რათა მზის შუქი და ჰაერი შემოსულიყო კვამლიან ოთახში. სახლის დალაგებას შეუდგა, ვინიცობაა უცებ, გაუფრთხილებლად მესტუმრონ და არ შევრცხვეო.

რამდენიმე პარკი ნაგვით აავსო, გადასაყრელად აპირებდა ჩასვლას, კარს მიუახლოვდა. ერთი ხელიდან ნაგვის პარკი იატაკზე დადო, რათა კარი გაეღო. ამ დროს კარზე ნაზი კაკუნი გაისმა. ჭუჭრუტანაში არც გაუხედავს, ისე გააღო კარი...

საოცრად ნაზი სურნელი ეცა. ცხვირის ნესტოების ყნოსვის რეცეპტორებმა ტვინს ელექტრონული იმპულსი გაუგზავნეს, ნაცნობი სურნელი...

თვალები კარის საკეტიდან ზევით ასწია და არ შემცდარა, მის წინ, ზღურბლთან სამირა იდგა. ნაგვის პარკი ხელიდან გაუვარდა, ნაბიჯის გადადგმა სცადა და მეორეს წამოსდო ფეხი. ნაგავი ძირს გადმოიყარა და უნებლიეთ ორივე დაიხარა. ერთმანეთს შუბლით შეეხნენ, ისევ გაიმართნენ. ხმა ჩაუვარდა. სიტყვაც კი ვერ დაძრა. ბოლოს ისევ გოგონამ იყოჩაღა და თითით ოთახისაკენ აჩვენა, თან ჰკითხა, შეიძლებაო?

თვალებს არ უჯერებდა. აქეთ-იქით მიმოიხედა. თვალებით თავის პარტნიორებს ეძებდა, უნდოდა, ეყვირა, მადლობა გადაეხადა, მაგრამ თითქოს პირში ბურთი გაეჩხირა. ხმას ვერ იღებდა... სამირას ხმის გაგონებამ გამოაფხიზლა. გოგონა ხელში აიტაცა და სახლში შემოიყვანა. კარი წიხლით მიაჯახუნა ისე, რომ ალბათ ბათქაშიც ჩამოიყარა.

გაახსენდა, რომ ხელები ჭუჭყიანი ჰქონდა და ტანსაცმელი – მტვრიანი. გოგონა ტახტზე დასვა, სასწრაფოდ აბაზანაში შევარდა. რაც ხელში მოხვდა, ის გადაიცვა, ხელები დაიბანა.

ამ ყველაფრის შემყურე სამირა იღიმოდა. ისევ ისე, როგორც მოხუც ბაბუასთან, სახლში, ეზოში, ხის ქვეშ. ღიმილის შემყურე უცნობი დამშვიდდა. გოგონასთან მივიდა მოეფერა. შემდეგ გვერდით მიუჯდა და კითხვა კითხვაზე დაუსვა. სად, რატომ წავიდა, რა მოხდა, თუ როგორ იყო.

ხელს არ უშვებდა. არ უნდოდა წამით მაინც დასცილებოდა, ვერ შეეგრძნო ახალგაზრდა გოგონას სხეული. ხელებს უკოცნიდა. თმაზე ეფერებოდა. სამირა იღიმებოდა, ტუჩის კუთხეს ზევით სწევდა, თრთოდა.

უცებ გაახსენდა, რომ გოგონასთვის ყავა მაინც უნდა შეეთავაზებინა. სასწრაფოდ მოადუღა და როდესაც პირველი ყლუპი იგემეს, სამირამ უთხრა:

– ბენ-იუსუფმა დედაჩემის ქმარი მოკლა. იქ, სახლში ყველა ამაზე ლაპარაკობს. შენ იცნობდი ხომ ბენ-იუსუფს?! მე კი აქ შენმა მეგობრებმა მომიყვანეს. სამი მოხუცი კაცი და ერთი ქალი იყო. ასე მითხრეს, ადი ზევით, გელოდებიანო.

დედას ძალიან ეშინოდა, რომ გვიპოვიდა ის... გადამალული ვიყავით. როდესაც ისინი ჩვენთან მოვიდნენ, არ მიშვებდა, მაგრამ რაღაც მომნუსხველად ესაუბრნენ. შემდეგ დედიკომ გამომპრანჭა, მითხრა, რომ ახლა თავისუფლები ვართ და გამომიშვა. ახლა აქ ვარ, შენთან. იმ ბაბუებმა და დეიდამ მითხრეს, დაეხმარეო. ოღონდ არ ვიცოდი, რაში უნდა დაგხმარებოდი, არაფერი ვიცოდი. არ მჯეროდა, რომ შენთან მომიყვანდენ. ახლა ვიცი, წამოდი, ნაგავი გადავყაროთ. – თქვა და გაიღიმა.

უცნობი წამოდგა, გოგონას ნათქვამმა ღიმილი მოჰგვარა. თან ტანში ჟრუანტელმა დაუარა. წამოდგნენ, კვლავ კართან მივიდნენ. ნაგავი ერთად აკრიფეს და ქუჩაში გავიდნენ.

სულ გოგონას უყურებდა. ხელს არ უშვებდა, თითქოს ეშინოდა, ზმანება არ ყოფილიყო და არ გამქრალიყო. გაახსენდა, რომ სულ მასზე ფიქრობდა მთელი მოგზაურობის დროს, იმ დღიდან, როდესაც ხესთან მარტო მოხვდნენ. ყველა დეტალი გაახსენდა. გაახსენდა სამირას

პერლამუტრით გაწყობილი მუქი მწვანე კაბა, გაახსენდა მისი ცრემლები, როდესაც მამედი გააგდო სახლიდან. მამედის გახსენება არ ესიამოვნა. ოფლმა დაასხა და სამირას უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი. ფიქრებში ბენ-იუსუფის სახე ამოუტივტივდა. გაახსენდა დერვიში, რომელიც არავისთვის აღარ წარმოადგენდა საფრთხეს. არა, ადრე ბენ-იუსუფს თვალის დახამხამებაც კი არ დასჭირდებოდა, ისე გააფრთხობინებდა ნაძირალას სულს, მაგრამ ახლა?! ის ხომ დერვიშია. რატომ უნდა მოეკლა მამედი, ვერ ხვდებოდა. რა შეხება უნდა ჰქონოდათ მათ ერთმანეთთან. ფიქრებში წავიდა. სახლში ამოვიდნენ. გზად, სახლთან საცხობში შეიარეს და უგემრიელესი ნამცხვრები იყიდეს. როდესაც ოთახში შევიდნენ, სამირამ იკითხა, თეფშები სად არისო. უცნობს გაახსენდა, რომ თეფშები არ ჰქონდა. მხოლოდ მუყაოს რამდენიმე თეფში და ყავის ჭიქა შეადგენდა მის ავლადიდებას. ის ისევე, როგორც ბენ-იუსუფი, არ ილტვოდა სიმდიდრისაკენ, მაგრამ, თუ ბენ-იუსუფმა ღმერთისაკენ მიმავალი გზა იპოვა, უცნობმა თავისი სიყვარული დაიბრუნა. განჯინასთან მივიდა ორი თეფში გამოიღო.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. უცებ აიღო ყურმილი. ნომერი ვერ ამოიცნო. ყურმილის მეორე მხრიდან ნაცნობმა ხმამ მოიკითხა, შემდეგ სხვა ორმა და ბოლოს ქალბატონმა.

მადლობა გადაუხადეს და ბედნიერება უსურვეს. იმეილის შემოწმება სთხოვეს, სიურპრიზი გელოდებაო, უთხრეს, რომ ძალიან კმაყოფილები არიან შედეგით. კიდევ შესთავაზებენ თანამშრომლობას, თუ ის თანახმა იქნება და საუბარი დასრულდა...

უცნობი კომპიუტერთან მივიდა, ჩართო და კორპორაცია ოთხი მეგობრისაგან წერილი ნახა შემდეგი ტექსტით:

სრულიად საიდუმლოდ:

შეიხმა ბენ-იუსუფმა აქა და აქ ხმლით დახოცა რამდენიმე მეჩეთისა და მის აფეთქებაში ეჭვმიტანილები და ჩამონათვალი...

შეიხმა ალი-აჰმედმა თავისი ჭაბურღილები გაყიდა და თანხა ომისგან დაზარალებულ მსხვეპლთა დახმარების ორგანიზაციას გადაურიცხა.

ალი მუჰამედის, ალი-აჰმედისა და ბენ-იუსუფის ადგილმდებარეობა კორპორაციისათვის უცნობია და ის აღარაა დაინტერესებული მათი ადგილმდებარეობის მოძიებით.

მადლობა თანამშრომლობისათვის.

ეს რამდენიმე სიტყვიანი წერილი იმაზე მეტად მრავლისმთქმელი იყო, ვიდრე უცნობი ელოდა. მისმა პარტნიორებმა, მეგობრებმა სიტყვა შეასრულეს. ისინი აღარ ეძებდნენ ბენ-იუსუფსა და მისი ოჯახის წევ-

რებს, რომლებმაც ჯიჰადზე უარი თქვეს. სამირა დაუბრუნეს, როგორც შეჰპირდნენ. თანამშრომლობა დასრულდა.

უცნობმა ღრმად ჩაისუნთქა და ნელა, მრავლისმეტყველად ამოისუნთქა. მაგიდასთან, რომელზეც მე-19 საუკუნის „ანდერვუდის“ მარკის საბეჭდი მანქანა იდგა, მეორე სკამი დადგა, სამირას ხელი გაუწოდა და სკამთან მიიყვანა.

დასხდნენ. ერთმანეთს თვალებში შეხედეს, თაბახის ფურცლები მანქანაში ჩადო და...

დერვიში

მებარგულე, იცოდე, რომ საოცარი ამბავი გადამხდა თავს. ყოველივეს გიამბობ, რაც დამმართნია და გადამიტანია, ვიდრე ამ კეთილდღეობას მოვიპოვებდი და დავჯდებოდი იქ, სადაც ვარ. ამ განცხრომასა და ადგილს სანამ მივაღწევდი, მძიმე გარჯა, დიდი გაჭირვება და მრავალი საფრთხე გამოვიარე. რამდენი შრომა და ტანჯვა გადავიტანე, რამდენი ვიმოგზაურე და ყოველი მოგზაურობის დროს ისეთი საოცარი ამბავი გადამხდა, რომ ფიქრს გააოგნებს. ეს ყოველივე განგებითა და ბედისწერით იყო. ვერსად გაექცევი და დაემალები იმას, რაც გიწერია.

მოგზაური სინდბადი
ათას ერთი ღამე

ჟურნალისტის, მხატვრის, სოსო ჩაღლიშვილის ნანარმოები „ფურცლები" 20-ე საუკუნის მიწურულს კავკასიაში და მოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე მიუთითებრნია.

ნანარმოებში აღწერილია რუსეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთ კავკასიაში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანსა თუ აზერბაიჯანსა და საქართველოში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დამყნებული ისლამური ნინააღმდეგობისა და ტერორისტული უფრთხილების შექმნისა და მათი მოქმედების შესახებ. აღწერილია ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომის პერიოდში მოქმედი რეალური ამბები.

ავტორი მკითხველს აცნობს ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ვითარებას. ცალკეული გმირების ნინა პლანზე წამოწევით ეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, თუ ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

ნანარმოებს მთავარ ლაიტმოტივად სასიცოცხლო ისტორია გასდევს. ის ნათლად აჩვენებს გრძნობის, როგორც აღმაშენებელ, ასევე დამანგრეველ ძალას, ხოლო მთავარი გმირის საბოლოო კეთილსინი ამსოლუტურად ცვლის ამ დროისათვის არსებულ რეალობასთან და ცხოვრებასთან მათ დამოკიდებულებას.

ISBN: 978-9941-8-4941-1

9 789941 849411